

სახელმჯიკრულო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2022, № 12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2022, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2022, №12

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2022, № 12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქატიკვან შინგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

1. საბანკო გარანტია

გარანტიისათვის წარდგენილი მოთხოვნის ფარგლები 4

საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა 18

გარანტის უარი

ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 35

2. თავდებობა

თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა 53

1. საბანკო გარანტია

გარანტიისათვის წარდგენილი მოთხოვნის ფარგლები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1455-2018

10 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. „ს.გ.ტ.კ.-ასა“ (შემდეგში – შემკვეთი, ბენეფიციარი, მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან კომპანია) და შპს „კ-ის“ (შემდეგში – მენარდე, პრინციპალი, მოსარჩელე, აპელანტი) შორის 2014 წლის 1 ივლისს დაიდო „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №189.06.14 ხელშეკრულება“ (შემდეგში – ხელშეკრულება), რომლის მიხედვით, მენარდე ვალდებული იყო, შემკვეთის დავალებითა და შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ქალაქ ტყიბულის სრული გაზიფიციების მიზნით, გასადავების შიდა გამანაწილებელი ქსელის მონყობის სამშენებლო სამუშაოები შეესრულებინა. სამუშაოთა დაწყების დროდ განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმების თარიღი. სამუშაოები 360 დღეში უნდა დასრულებულიყო. სამუშაოთა ღირებულება – 2 124 378.58 ლარით განისაზღვრა. მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო უნდა შეესრულებინა მისთვის გადაცემული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, ხოლო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა შემკვეთისათვის.

2. ხელშეკრულების 8.3. პუნქტით, მიმწოდებლის მხრიდან შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრა სამუშაოთა ჯამური ღირებულების 0.1%-ით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რაც გულისხმობდა შესრულების უზრუნველყოფისათვის მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარდგე-

ნას ხელშეკრულების ღირებულების 4%-ით; საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

4. ხელშეკრულებაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება: 2014 წლის 4 სექტემბერს მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებას დაერთო ქალაქ ტყიბულის გაზიფიცირების სამუშაოების გეგმა-გრაფიკი და გახდა ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი; 2014 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება №2-ის მიხედვით, გაზიფიცირების სამუშაოების გეგმა-გრაფიკი შეიცვალა კორექტირებული გეგმა-გრაფიკით, რაც გახდა ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი; 2015 წლის 17 აპრილის №3 შეთანხმებით ცვლილება შევიდა ხელშეკრულებაში, კერძოდ, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 2 005 078,14 ლარით; 2015 წლის 29 მაისს ცვლილებები შევიდა ხელშეკრულებაში, კერძოდ, მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება №4, რომლის მიხედვით, გაზიფიცირების სამუშაოების გეგმა-გრაფიკი კვლავ შეიცვალა კორექტირებული გეგმა-გრაფიკით; ამასთან, შეთანხმებით მხარეებმა შეცვალეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა, კერძოდ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით განისაზღვრა; 2015 წლის 27 ივლისის ცვლილებებით (შეთანხმება №5), მხარეებმა კვლავ შეცვალეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა, კერძოდ, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 402 კალენდარულ დღეში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა – 2015 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით, სამუშაოთა ჯამური ღირებულება კი, 2 012 186.44 ლარით; 2015 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმება №6-ის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით განისაზღვრა. ამავე შეთანხმებით მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, არაუგვიანეს 2015 წლის 15 სექტემბრისა, შემსყიდველისათვის წარედგინა არანაკლებ 119 000.00 ლარის შუალედური შესრულებული სამუშაოების აქტი.

5. 2015 წლის 25 სექტემბერს შემსყიდველი კომპანიის სატენდერო კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულების 8.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვაზე 2015 წლის 7 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

6. 2015 წლის 13 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით, მენარდის მიერ 2015 წლის 25 სექტემბრის მონაცემებით,

შესრულებული სამუშაოების ღირებულების ჯამმა შეადგინა – 1 714 891.36 ლარი; 2015 წლის 13 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოებიდან მენარდემ შეასრულა 90 555.23 ლარის ღირებულების სამუშაო, საიდანაც შემკვეთმა მენარდეს აუნაზღაურა 2019.00 ლარი, დარჩენილი თანხა კი, დაიტოვა პირგასამტეხლოს სახით. შემკვეთის მიერ მენარდისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო სულ – 98 000.00 ლარია.

7. სს „ს.კ.ჯ.პ-მა“ (შემდეგში – გარანტი) 2016 წელს სრულად აუნაზღაურა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა – 84 980.00 ლარი.

8. 2016 წლის 3 თებერვალს მენარდემ სარჩელი აღძრა შემკვეთის წინააღმდეგ შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 98 000.00 ლარისა და გარანტისათვის რეგრესის წესით გადახდილი 94 469.00 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, შესრულებულ სამუშაოთა საერთო ღირებულებიდან (1 714 891.36 ლარიდან) მოპასუხემ არ აუნაზღაურა 98 000.00 ლარი იმ საფუძველით, რომ ეს თანხა ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებულ პირგასამტეხლოში გაუქვითა. მოსარჩელის მტკიცებით, მას ვალდებულება არ დაურღვევია, პირიქით, მოპასუხემ ვერ უზრუნველყო შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულებულიყო სამშენებლო სამუშაოები. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის იმ თანხის დაკისრება, რაც მან გარანტს რეგრესის წესით გადაუხადა. მოსარჩელის განმარტებით, მან ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ამის მიუხედავად, მოპასუხემ გარანტისაგან მაინც გამოითხოვა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა – 84 980.00 ლარი. ამ ქმედებით მოსარჩელეს მიაღდა ზიანი, ვინაიდან იგი იძულებული გახდა გარანტისათვის გადაეხადა როგორც საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა, ისე საბანკო გარანტიის საზღაური – 9 489.00 ლარი, სულ 94 469.00 ლარი.

9. შემკვეთმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მათ არაერთხელ გამოიჩინეს გულისხმიერება მოსარჩელის მიმართ, კერძოდ, ქ. ტყიბულის გაზიფიცირების სამუშაოების სპეციფიკის, მძიმე კლიმატური პირობების, რთული რელიეფისა და პროექტში შეტანილი კორექტირებებით, რამდენჯერმე გაიზარდა სამუშაოთა შესრულების ვადა. მოსარჩელე სისტემატურად არღვევდა ვადას, რის გამოც მას პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრა. საბანკო გარანტია იყო უპირობო და, რაკი მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ჯეროვნად ვერ შეასრულა, შემკვეთს წარმოეშვა საბანკო გარანტიით გათვალისწინე-

ბული თანხის გამოთხოვის უფლება.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხეს 98 000.00 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 316-ე, მე-400, 417-ე, 418-ე, 629-ე და 879-ე მუხლები გამოიყენა.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – 79 200 ლარის, 10 000 ლარისა და 80 298 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

12.1. სააპელაციო პალატის მითითებით, უდავო იყო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე ვერ დასრულდა, კერძოდ, საერთო ღირებულებიდან – 2 012 186.44 ლარიდან ხელშეკრულების ვადის ამონურვისას მენარდემ შეასრულა – 1 714 891.36 ლარის სამუშაო, ანუ შესასრულებელ სამუშაოთა 85 პროცენტი, შესაბამისად, შეუსრულებელი დარჩა – 297 295.00 ლარის სამუშაო. შემკვეთმა ხელშეკრულების ვადის ამონურვის დროს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებიდან – 90 555.23 ლარიდან მოსარჩელეს გადაუხადა მხოლოდ – 2019.00 ლარი, ხოლო – 88 536.23 ლარი გაქვითა პირგასამტეხლოს ანგარიშში. ამასთან, შემკვეთს წინა პერიოდში პირგასამტეხლოს ანგარიშში უკვე დაკავებული ჰქონდა 10 000 ლარი, რის გამოც შემკვეთის მიერ მენარდისათვის დაკისრებულმა პირგასამტეხლომ შეადგინა – 98 000.00 ლარი. პალატის მითითებით, უდავო იყო ისიც, რომ შემკვეთმა ხელშეკრულების ვადის ამონურვისას, ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით, სრულად დაისაკუთრა მოსარჩელის მიერ საბანკო გარანტიის სახით წარდგენილი – 84 980.00 ლარი. ზემოხსენებული თანხის უკან დაბრუნებას მოსარჩელე ითხოვდა იმ საფუძვლით, რომ ვალდებულება მისი მიზე-

ზით არ დარღვეულა, კერძოდ, სამუშაოები შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით ვერ სრულდებოდა თავად შემკვეთის ბრალით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ შემკვეთის მიერ მიწოდებული შესასრულებელი სამუშაოების პროექტი იყო ხარვეზიანი, შემკვეთი კი ხარვეზს დროულად არ ასწორებდა.

12.2. სააპელაციო პალატამ საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის პოზიცია, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში სამუშაოების დაუსრულებლობა არ იყო გამოწვეული მხოლოდ მიმწოდებლის მიზეზით და იკვეთებოდა თანამონაწილეობა (შერეული ბრალი). სააპელაციო პალატამ მიუთითა ხელშეკრულების დანაწესზე, რომლის მიხედვითაც, შემკვეთს გაზსადენების შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები უნდა შეესრულებინა შემსყიდველის მიერ მომზადებული და მისთვის გადაცემული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისად, თუ საპროექტო დოკუმენტაცია, მისი ხარვეზიანობის გამო, არ ქმნიდა სამუშაოების შეთანხმებულ ვადაში შესრულების შესაძლებლობას, ვლინდებოდა სამუშაოთა შესრულების ვადის დარღვევაში შემსყიდველის თანამონაწილედ მიჩნევის საფუძველი. ამას ადასტურებდა საქმეში წარდგენილი შპს „გ-ის“ დასკვნაც, რომლის მიხედვით, საპროექტო დოკუმენტაცია ადგილზე არსებული რეალური ვითარების შესაბამისი არ იყო და ხშირ შემთხვევაში, სამუშაოები ვერ სრულდებოდა საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

12.3. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზიანობას ის ფაქტიც ადასტურებდა, რომ პროექტში მიმწოდებლის მოთხოვნით რამდენჯერმე შევიდა ცვლილება, რაც თავისთავად აფერხებდა სამუშაოთა დათქმულ ვადაში დასრულებას. ამასთან, სრული კორექტირებული პროექტი შემკვეთს არ გადასცემია და არც საქმეში არ წარდგენილა. საყურადღებო იყო ისიც, რომ შემკვეთმა სამუშაო დაასრულა სწორედ კორექტირებული პროექტის შესაბამისად, იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც მენარდე უშედეგოდ ითხოვდა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. ამასთან, სახელშეკრულებო დათქმის შესაბამისად, მენარდე შემკვეთს დროულად ატყობინებდა პროექტის ხარვეზიანობის შესახებ და ითხოვდა საპროექტო მონაცემებში ცვლილებების შეტანას.

12.4. სააპელაციო პალატის მითითებით, შემკვეთმა სამუშაოთა მორიგი ეტაპის დასრულების ვადა დაუკავშირა მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის თარიღს – 12 აგვისტოს და არა ფორმა №2-ის წარდგენის თარიღს – 5 აგვისტოს, შესაბამისად, 7 აგვისტოდან 12 აგვისტომდე პერიოდი მიიჩნია სამუშაოთა დასრულების ვადის დარ-

დღევად, რის გამოც შემკვეთს პირგასამტეხლო – 10 000 ლარი და-
არიცხა. პალატამ, საქმის მასალებისა და ანალიტიკური ექსპერტი-
ზის დასკვნის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდემ
შესასრულებელ სამუშაოთა მორიგი ეტაპი ფაქტობრივად შეთან-
ხმებულ ვადაში – 2015 წლის 7 აგვისტომდე დაასრულა, რის შესა-
ხებაც ელექტრონული ფოსტით აცნობა შემკვეთს. მიღება-ჩაბა-
რების აქტის დაგვიანებით შედგენა კი, ვერ შეცვლიდა რეალურ
ვითარებას და ვერ შექმნიდა პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძ-
ველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის გან-
სჯით, 2015 წლის 7 აგვისტოდან 2015 წლის 12 აგვისტომდე (ხუთი
დღე) დარიცხული პირგასამტეხლო – 10 000 ლარი მოსარჩელეს
სრულად უნდა დაჰბრუნებოდა.

12.5. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პირგასამტეხლო სა-
ერთო ხელშეკრულებო ღირებულების 0.1%, ჯამურად – 88 000
ლარი (2015 წლის 12 აგვისტოდან 2015 წლის 25 სექტემბრამდე),
შეუსაბამოდ მაღალი და არაგონივრული იყო, სცდებოდა პირგა-
სამტეხლოს პრევენციულ ფუნქციას. იმის გათვალისწინებით, რომ
ამჟამად იყო ვალდებულების ნაწილობრივი დარღვევა/არაჯეროვა-
ნი შესრულება, ამასთან, ეს არ იყო გამონეგული მხოლოდ მენარ-
დის მიზეზით, პირგასამტეხლო დღეში 0.01%-ით – 8 800 ლარით
უნდა განსაზღვრულიყო. შესაბამისად, ეს თანხა უნდა დარჩე-
ოდა შემკვეთს პირგასამტეხლოს ანგარიშში ჩამოჭრილი 88 000 ლა-
რიდან, ხოლო მენარდეს უნდა დაჰბრუნებოდა – 79 200 ლარი. ამ-
დენად, პალატამ დაადგინა, რომ შემკვეთის მიერ დაკავებული პირ-
გასამტეხლოდან – 98 000 ლარიდან, პირველ ეტაპზე დარიცხული
პირგასამტეხლო – 10 000 ლარი სრულ დაბრუნებას, ხოლო მეორე
ეტაპზე დარიცხული პირგასამტეხლო – 88 000 ლარი, 8 800 ლარამ-
დე შემცირებას და – 79 200 ლარი დაბრუნებას ექვემდებარებოდა.

12.6. სააპელაციო პალატის მითითებით, მხარეთა შორის დადე-
ბული ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელს საბანკო გარან-
ტია ჩამოერთმეოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შეუსრულებლობის შემთხვევაში. პალატის დასკვნით, ვინაიდან,
განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადის ამონურვისას,
მიმწოდებლის მიერ შესრულებული იყო ნაკისრ ვალდებულებათა
85%, საბანკო გარანტიის სრული ოდენობით გამოყენების წინაპი-
რობაც არ არსებობდა. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაჰბრუ-
ნებოდა მოპასუხის მიერ დასაკუთრებული საბანკო გარანტიის
თანხის – 84 980 ლარის და ამ გარანტიის მომსახურებაზე განეული
ხარჯის – 9 489 ლარის, სულ – 94 469 ლარის 85% – 80 298 ლარი.

**13. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუ-
ხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობ-**

რივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად უარყოფა შემდეგი დასაბუთებით:

13.1. კასატორის მტკიცებით, ტენდერში მონაწილეობის მიღებაზე, მენარდეს წინასწარ, ადგილზე არ შეუსწავლია არსებული ვითარება. მიუხედავად პროექტის მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, მოპასუხემ სამუშაო თავიდანვე უკიდურესად ნელა წარმართა. ამის გამო მოთხოვნილ იქნა სამუშაო ტემპის გაზრდა, ხოლო შემდგომ გეგმა-გრაფიკის წარდგენა. ამდენად, პირველი შეთანხმების გაფორმების საფუძველი სამშენებლო პროექტის კორექტირება არ ყოფილა. 2014 წლის ნოემბერში გაზიფიცირების სამუშაოების აუდიტის შედეგად აღმოჩნდა, რომ სამშენებლო სამუშაოები გეგმა-გრაფიკის მიხედვით არ მიმდინარეობდა. მოსარჩელის თხოვნის საფუძველზე, გეგმა-გრაფიკი შეიცვალა 2014 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული №2 შეთანხმებით. ამდენად არც ამ შეთანხმების გაფორმების საფუძველი არ ყოფილა სამშენებლო პროექტის კორექტირება.

13.2. კასატორის მითითებით, ქალაქ ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ზოგიერთ ქუჩაზე ბეტონის გზები მოენყო, შედეგად გაზიფიცირების სამუშაოების პროექტმაც განიცადა ცვლილება, სახელდობრ, ამ ქუჩებზე მინისქვეშა გასაზადენის მაგივრად, მინისზედა გასაზადენის მოწყობა განისაზღვრა. ამასთან დაკავშირებით, დამატებითი სამუშაოები, კომპანიის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, შეასრულა სხვა კომპანიამ. შესაბამისად, შემცირდა მოსარჩელის მიერ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობაც. შეთანხმება №3 სწორედ აღნიშნულის თაობაზე გაფორმდა. №4 შეთანხმებაც გაფორმდა არა პროექტის კორექტირების მიზნით, არამედ მენარდის მოთხოვნით, კლიმატური პირობების გათვალისწინებით. №5 შეთანხმებით სამშენებლო პროექტი დაკორექტირდა და სამუშაოთა შესრულების ვადა გაიზადა 12 დღით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ არაერთხელ გამოიჩინა გულისხმიერება მოსარჩელის მიმართ, ქალაქ ტყიბულის გაზიფიცირების სამუშაოების სპეციფიკის, მძიმე კლიმატური პირობების, რთული რელიეფისა და პროექტში შეტანილი კორექტირებებით, რამდენჯერმე გაიზარდა სამუშაოთა შესრულების ვადა, მოსარჩელის მიერ სისტემატურად ირღვეოდა ვადა, რამაც მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება გამოიწვია.

13.3. კასატორის მითითებით, მხარეთა შორის №6 შეთანხმება გაფორმდა მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების პირობით, როდესაც მოსარჩელემ უკვე გადააცილა სამუშაოების შესრულების ვადას და ერიცხებოდა პირგასამტეხლო. ამ-

დენად, მხარეთა შორის გაფორმებული №6 შეთანხმებიდან, სამშენებლო პროექტში კორექტირება შევიდა №3 შეთანხმებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელია კომპანიას წინასწარ სცოდნოდა. ამდენად, ხელშეკრულება მისი მოქმედების ამონაწერის გამო შეწყდა. 2015 წლის 13 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ 2015 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, შესრულებული სამუშაოების ჯამმა შეადგინა – 1 714 891.36 ლარი (ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოების ჯამური ღირებულება – 2 012 186,44 ლარია). მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ნაწილობრივი შესრულებისა და შეთანხმებულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი. ამასთან, სამუშაოების წარმოების დროს აღმოჩენილ იქნა უამრავი დარღვევა და კომპანიას თავად მოუწია ხარვეზით შესრულებული გარკვეული სამუშაოების შესრულება.

13.4. კასატორის მითითებით, 2015 წლის 12 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტში ცალსახადაა მითითებული, რომ მოსარჩელეს შესრულებული ჰქონდა სამუშაოების ნაწილი, რაც პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველია. ამდენად, მიუხედავად იმისა, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდებოდა – 7 თუ 12 აგვისტოს, თუკი სამუშაოები სრულად არ იქნებოდა დასრულებული 2015 წლის 7 აგვისტოს, ნებისმიერ შემთხვევაში დაერიცხებოდა პირგასამტეხლო. მოსარჩელეს საქმისწარმოების არცერთ ეტაპზე პირგასამტეხლოს დაანგარიშების მეთოდი სადავოდ არ გაუხდია და არც მისი შემცირება არ უთხოვია.

13.5. შემკვეთმა ისარგებლა საბანკო განატიით მინიჭებული უფლებამოსილებით და გარანტისაგან შეთანხმებული თანხა მიიღო. კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ ითვალისწინებდა შემცირებას მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების პროპორციულად.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 19 აპრილის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი

გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და სადავო არ არის, რომ მენარდემ შეასრულა – 1 714 891.36 ლარის სამუშაო. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებიდან შემკვეთმა მენარდეს არ გადაუხადა 98 000.00 ლარი. შესაბამისად, მენარდის პირველი მოთხოვნის – ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების საზღაურის დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 629.1 (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) მუხლი.

17. ზემოხსენებული მოთხოვნის წინააღმდეგ შემკვეთმა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი წარადგინა, კერძოდ, შემკვეთი მენარდის მიერ სამუშაოთა 85%-ის შესრულებას არ ედავება, თუმცა განმარტავს, რომ, რაკი მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე ვერ დაასრულა, მას, ხელშეკრულების შესაბამისად, დაერიცხა პირგასამტეხლო – ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.1% (98 000.00 ლარი), რაც მენარდისათვის გადასახდელ საზღაურში უნდა გაიქვითოს. აქედან გამომდინარე, შემკვეთის მიერ წარმოდგენილი გაქვითვის შესაგებელი სსკ-ის 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის), 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს

წერილობით ფორმას), 442.1 (ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაკვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა) მუხლებს ეფუძნება.

18. კასატორის პრეტენზია ისაა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ვალდებულების დარღვევაში ორივე მხარის ბრალეულობა, ამასთან, დაუსაბუთებლად შეამცირა პირგასამტეხლო 0.01%-მდე.

19. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში სამუშაოების დაუსრულებლობა არ იყო გამონეწეული მხოლოდ მიმწოდებლის მიზებით და იკვეთებოდა სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შერეული ბრალი. სწორია სააპელაციო პალატის მითითება ხელშეკრულების დანაწესზე, რომლის მიხედვითაც, შემკვეთს გახსადენების შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები უნდა შეესრულებინა შემსყიდველის მიერ მომზადებული და მისთვის გადაცემული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, რაკი შემკვეთმა ვერ უზრუნველყო მენარდისათვის უხარვეზო საპროექტო დოკუმენტაციის გადაცემა, რაც აფერხებდა სამუშაოების შეთანხმებულ ვადაში დასრულებას, ვლინდებოდა სამუშაოთა შესრულების ვადის დარღვევაში შემკვეთის ბრალეულობა (იხ. წინამდებარე განჩინების 12.2 და 12.3 პუნქტები).

20. შემკვეთის მიერ მენარდისათვის დარიცხულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით პალატა მიუთითებს საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, პირგასამტეხლო არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი თუ არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან დაანგარიშდება. საკასაციო პალატის განმარტებით, პირგასამტეხლოს თაობაზე სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში დათქმული პირობის მიუხედავად, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან პირგასამტეხლოს გამოანგარიშება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან ასეთი წესით დაანგარიშებული პირგასამტეხლოს მოვალისათვის დაკისრება ვერ შეასრულებს თავის ნორმატიულ დანიშნულებას. იგი, ერთი მხრივ, უსაფუძვლოდ გაზრდის პირგასამტეხლოს მოცულობას, მეორე მხრივ კი, მოვალეს უკვე შესრულებული ვალდებულების ნაწილში დააკისრებს პასუხისმგებლობას (შდრ. სუსგ. №ას-931-896-2016, 31.01.2017 წ. №ას-581-2019, 31.07.2019წ).

21. გარდა ამისა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგა-

სამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების კუთხით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას, კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს, პირის ბრალეულობის ხარისხს. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, მასში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველმყოფელი ვალდებულება და, რაც უმთავრესია, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ. სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლო ითვალისწინებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან (შდრ. სუსგ ას-144-140-2016, 19.04.2016 წ.).

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ზიანის დადგომაში მოპასუხესაც მიუძღვის ბრალი, შესაბამისად, დარღვევის სიმძიმისა და მოცულობის, დამრღვევის ბრალის ხარისხისა და შედეგების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გონივრული და სამართლიანი ოდენობა – 8 800 ლარია. ამდენად, ვადაგადაცილებისათვის მენარდის მიმართ წარდგენილი შემკვეთის პრეტენზია პირგასამტეხლოს – 8 800 ლარის შესახებ საფუძვლიანია, ამასთან, რაკი შემკვეთისა და მენარდის მოთხოვნების შესრულების ვადაც მოსულია, ისინი უნდა გაიქვითოს სსკ-ის 442.1 (ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა) და 444-ე (თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქვითება მხოლოდ ის, რომლის მო-

ცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე) მუხლების საფუძველზე, ხოლო გაქვითის შემდეგ დარჩენილი თანხა – 79 200 ლარი მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს.

23. მოსარჩელის მეორე მოთხოვნა საბანკო გარანტიის (სსკ-ის 879-ე მუხლი – საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე) ურთიერთობიდან გამომდინარეობს, კერძოდ, იგი მოითხოვს მოპასუხისათვის იმ თანხის დაკისრებას, რაც პრინციპალმა გარანტს რეგრესის წესით გადაუხადა. მოსარჩელის განმარტებით, მან ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ამის მიუხედავად, ბენეფიციარმა გარანტისაგან მანც გამოითხოვა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა – 84 980.00 ლარი. ბენეფიციარის მოქმედებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი, ვინაიდან იგი იძულებული გახდა გარანტისათვის გადაეხადა როგორც საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა, ისე ამ გარანტიის მომსახურებაზე განეუღლი საზღაური – 9 489.00 ლარი, სულ 94 469.00 ლარი. ნარდობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ნარდგენილი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მიერ პრინციპალისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 629.1 (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 8.3 (სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი) და 115-ე (სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მუხლებს ეფუძნება) მუხლების შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

24. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობებია: ვალდებულების ბრალეული დარღვევა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების

დარღვევასა და შედეგს შორის. დასახელებული შემადგენლობიდან რომელიმე ელემენტის არარსებობა გამორიცხავს იმ სამართლებრივი შედეგის დადგომას, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს (სუსგ №ას-1780-1758-2011, 22.01.2013წ.).

25. კეთილსინდისიერება, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, გულისხმობს კეთილსინდისიერებას ობიექტური გაგებით. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კეთილსინდისიერება გამოხატავს სამოქალაქო ბრუნვაში, ე.ი. უფლებათა შექმნის, განხორციელების, დაცვის, ასევე ვალდებულებათა შესრულებისას, – სამართლის სუბიექტის ზნეობრივად მოქმედების შესახებ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. ყოველი პირი უფლების განხორციელებისა თუ ვალდებულების შესრულების დროს უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთ უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, ამკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობას და სიმყარეს (სუსგ №ას-549-521-2015, 18.11.2015წ.). საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბენეფიციარის მიერ სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად და გულისხმიერად განხორციელებას. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიისას ბენეფიციარის კეთილსინდისიერება ვლინდება გარანტისათვის წარდგენილი მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრისას, კერძოდ, ბენეფიციარის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედება შეიძლება გამოიხატოს საგარანტიო თანხის სრულად გადახდის მოთხოვნის წარდგენაში, როდესაც უზრუნველყოფილი ვალდებულება დიდწილად შესრულებულია. ამდენად, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის ფარგლების კეთილსინდისიერად განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია (მდრ: საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრად გამოხატულია პოზიცია ბენეფიციარის მიერ კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულების შესახებ, განსაკუთრებით, უპირობო გარანტიების შემთხვევაში. არაკეთილსინდისიერი მოთხოვნა გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამართლზომიერი მოთხოვნისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი საფუძველია. – ლიპარტია, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, დისერტაცია, თბილისი,

2018, გვ. 185-187).

26. მოცემულ შემთხვევაში, წარდგენილი იყო რა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარს უნდა წარედგინა „ნაწილობრივი მოთხოვნა“, კერძოდ, ძირითადი ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის პროპორციულად. ბენეფიციარმა მოითხოვა საბანკო გარანტიის თანხა სრულად, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების დიდი ნაწილი (85%) შესრულებული იყო. ეს კი ეწინააღმდეგება სსკ-ით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების პრინციპს (შდრ. სუსგ. №ას-251-239-2017, 21.04.2017წ., სადაც უზენაესმა სასამართლომ, სსკ-ის მე-8 და 115-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მხოლოდ მოთხოვნის უფლების არსებობა იმგვარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, როგორც საბანკო გარანტიაა, არ აძლევს ბენეფიციარს უფლებას, უპირობოდ აინაზღაუროს თანხა, მას ეკისრება მეორე მხარის ქონებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამოჩენა).

27. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ ბენეფიციარმა ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარანტიის თანხის გამოთხოვის უფლებამოსილება არაკეთილსინდისიერად განახორციელა, რითაც მოსარჩელეს მიაყენა ზიანი – 94 469 ლარის 85%-ის (80 298 ლარის) ოდენობით. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო პალატის დასკვნა 80 298 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

28. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

29. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს.გ.ტ.კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ას-476-2020

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2017 წლის 14 სექტემბერს შპს „ე-სა“ (შემდგომში „მოსარჩელე“ ან „მიმწოდებელი“) და ააიპ „თბილისის ... საბავშვო ბაგა-ბაღს“ (შემდგომში „მოპასუხე“, „შემსყიდველი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) შორის დაიდო ხელშეკრულება სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვებისთვის კვებითი მომსახურების განწევის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 73 540.20 ლარით.

2. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება უზრუნველყო 292 სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვისთვის დღეში სამჯერადი კვებითი მომსახურების განწევა 2017 წლის 18 სექტემბრიდან 2017 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულების პირობებისა და თანდართული კვების მენიუს მიხედვით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებდნენ შემსყიდველი და ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ შესაბამისი სამსახურები.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკის თავიდან აცილების მიზნით დადგინდა უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3% – 2243

ლარი.

5. ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილებისთვის განისაზღვრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

6. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით 2017 წლის 14 სექტემბერს გაიცა სს „ბ-ის“ საბანკო გარანტია №... 14.09/145, (პრინციპალი – მიმწოდებელი, ბენეფიციარი შემსყიდველი) და საგარანტიო თანხის ზღვრული მოცულობა 2243 ლარით განისაზღვრა.

7. მიწოდებული პროდუქტების (ყველი, კარაქი) ხელშეკრულებით მოთხოვნილ სავალდებულო პარამეტრებთან შეუსაბამობის მოტივით, შემსყიდველმა უარი განაცხადა მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2017 წლის დეკემბრისთვის (1 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ათვლით) შედარების აქტის შედგენაზე.

8. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბალებში მიმწოდებლის მიერ შეტანილი ყველის ეტიკეტირების შემოწმების მიზნით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

9. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 15 დეკემბრის №09/13005 მიმართვის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებული პროდუქტი დასახელებით „იმერული“ არ შეესაბამება ხელშეკრულებით მოთხოვნილი სურსათის – ყველის – სავალდებულო პარამეტრებს.

10. მოსარჩელის მოთხოვნა

10.1. მიმწოდებელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შემსყიდველის მიმართ და მოითხოვა განეული მომსახურების ღირებულების 11 574.15 ლარის, საბანკო გარანტიის თანხის 2 243 ლარსა და პირგასამტეხლოს – 990 ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

10.2. მოსარჩელის განცხადებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2017 წლის დეკემბერში მოპასუხეს გაენია 11 574.15 ლარის მომსახურება, ნარედგინა შედარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, თუმცა მოპასუხემ უარი განაცხადა შედარების აქტის ხელმოწერაზე და აცნობა მოსარჩელეს, რომ, თითქოს, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას, რაც გამოიხატებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მახასიათებლების არმქონე სურსათის – ყველისა და კარაქის მოპასუხისთვის მიწოდებაში. აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს – მიწოდებული პროდუქტი თავისი თვისებებით აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს.

ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე რისკების თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრული საბანკო გარანტიის თანხა უზრუნველყოფდა მოსარჩელის მხრიდან მოპასუხისთვის მიყენებული ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებას. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება, თუ რა სახის ზიანი მიადგა მოპასუხეს, რის გამოც გადახდილი საბანკო გარანტიის თანხა ექვემდებარება მოსარჩელისთვის დაბრუნებას. მოპასუხეს ასევე უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს, შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების (11574.15 ლარის) 0,1%-ის, ანუ 990 ლარის გადახდა.

11. მოპასუხის პოზიცია

12. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

13. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა

13.1. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებიდან გამომდინარე ზიანის, 19 212 ლარის ანაზღაურება.

13.2. შეგებებული სარჩელის ავტორის განცხადებით, მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები – მის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებული ყველი და კარაქი არ შეესაბამება ხელშეკრულებით მოთხოვნილი – სურსათის – (ყველი, კარაქის) – სავალდებულო პარამეტრებს, რითაც ზიანი მიადგა შემსყიდველს და იგი ექვემდებარება ანაზღაურებას.

14. შეგებებული სარჩელის მოპასუხის პოზიცია

14.1. შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი წარადგინა მოსარჩელემ, რომლითაც შეგებებული სარჩელი არ ცნო.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

15.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განუღი მომსახურების ღირებულების – 11 574.15 ლარის, ასევე პირგასამტეხლოს, 990 ლარის გადახდა; საბანკო გარანტიის თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ასევე, არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

16. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

16.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ: მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულ

ლად დაკმაყოფილება.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

17.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიის თანხის – 2243 ლარის გადახდა.

17.2. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულ მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

17.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 487-ე, 488-ე, 490-ე-492-ე მუხლებით და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებული პროდუქტი არ აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროდუქტის სავალდებულო პარამეტრებს, თუმცა ვინაიდან მოპასუხეს არც პროდუქტის მიღებისას და არც შემდგომში მისი მოხმარებისას სადავოდ არ გაუხდია მიწოდებული პროდუქციის ნივთობრივი ხარისხი (მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხზე კონტროლის მექანიზმისა და მათ მიერვე აპელირებული მიღებული პროდუქტის მომხმარებელი სპეციპიკური სეგმენტისა), სურსათის – ყველის – ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია ამ პროდუქტის აღდგენილი რძისგან დამზადების შესახებ, არ შეიძლებოდა განხილულიყო იმგვარ არსებით ნაკლად, რაც მთლიან შესრულებას გახდიდა ნაკლიანს და გაათავისუფლებდა მოპასუხეს ანაზღაურების ვალდებულებისაგან. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხეს მართებულად დაეკისრა 2017 წლის დეკემბერში მიწოდებული პროდუქტის ღირებულების ანაზღაურება.

17.4. პროდუქტ „კარაქთან“ დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მოპასუხისთვის უნდა მიენობებინა კარაქი, რომელშიც რძის ცხიმის შემცველობა არანაკლებ 80%-ია. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებული კარაქის ეტიკეტზე ცხიმის შემცველობად მითითებულია 80% (+/- 0.5). შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან მოსარჩელეს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებულ კარაქში ცხიმის შემცველობა 80%-

ზე ნაკლებია, მიწოდებული პროდუქტი შესაბამისობაში იყო ხელშეკრულებით დადგენილ მახასიათებლებთან, რაც გულისხმობს იმას, რომ კარაქის მიწოდების ნაწილში მიმწოდებელმა სახელშეკრულებო ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა.

17.5. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 417-ე-418-ე, 420-ე მუხლებით, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების მართებულობის შესახებ და ვალდებულობის მოცულობისა და ვადაგადაცილების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გონივრულად მიიჩნია მოპასუხისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა – 990 ლარი.

17.6. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა საბანკო გარანტიის თანხის მოპასუხისთვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 879-ე-880-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების ნაკლიანი შესრულების შედეგად, მისი უმნიშვნელო ხასიათიდან გამომდინარე, მოპასუხეს რაიმე ზიანი არ მისდგომია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მიღებული საგარანტიო თანხით კომპანიის მხრიდან არაჯეროვანი შესრულებით გამონგვეული ზიანის კომპენსირებას ვერ მოახდენდა, ზიანის არარსებობის გამო.

17.7. პალატის მოსაზრებით, მხოლოდ მოთხოვნის უფლების არსებობა იმგვარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, როგორც საბანკო გარანტიაა, არ აძლევს ბენეფიციარს უფლებას, უპირობოდ აინაზღაუროს თანხა, ამ შემთხვევაში მას ეკისრება მეორე მხარის ქონებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამოჩენა (სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი). არაჯეროვანი შესრულების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების მოცულობა, შესასრულებელი სამუშაოს კომპლექსურობა, შემსრულებლის მიერ ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულება და, რა თქმა უნდა, შესრულების ნაკლის სიმძიმე.

17.8. განსახილველ შემთხვევაში, შესრულების ნაკლი (ფულად გამოხატულებაში რამდენიმე ათეული ლარი) იმდენად უმნიშვნელოა ძირითად შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებით, რომ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად მისი განხილვა სასამართლებრივად დაუსაბუთებელია. შესაბამისად, პალატამ არამართებულად მიიჩნია კონკრეტულ შემთხვევაში საბანკო გარანტიის გამოყენება.

17.9. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლით და აღნიშნა, რომ გარანტიის საფუძველზე ბენეფიციარის მიერ მიღებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის სა-

მართლებრივი საფუძველი სწორედ მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე, რადგანაც ამ უკანასკნელმა გარანტს რეგრესის წესით გადაუხადა მოპასუხისათვის – (ბენეფიციარი) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ანაზღაურებული საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა (სკ-ის 890.1 მუხლი) 2 243 ლარი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ იგი უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

18. მოპასუხის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები

18.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და მოსარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

18.2 კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მართალია, სასამართლომ დაადგინა, რომ რძეზე დამზადებული პროდუქტის გამოყენებით მომსახურების განწევის მოთხოვნის თვითნებური ჩანაცვლება აღდგენილ რძეზე დამზადებული პროდუქტით წარმოადგენს არაჯეროვან შესრულებას, თუმცა სასამართლომ არ განავრცო აღნიშნული მსჯელობა და ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თუ ზემოთ დადგენილი გარემოება ერთიანი ხელშეკრულების ჩრჩილში უნდა განიმარტოს ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებად, კონკრეტული პროდუქტის მიწოდების ჩრჩილში წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობას. დადგენილია, რომ მოსარჩელეს მოპასუხისთვის არ მიუწოდებია ხელშეკრულებით განსაზღვრული პარამეტრების მქონე პროდუქტი „ყველი“, შესაბამისად, შემსყიდველს არ წარმოშობია ყველის საფასურის გადახდის ვალდებულება.

18.3 ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა მენარმე სუბიექტს, იგი ვალდებული იყო სცოდნოდა ქვეკონტრაქტორებისგან მიღებული პროდუქტის მახასიათებლები. მოპასუხეზე კი მსგავსი სამართლებრივი ბოჭვა არ ვრცელდება. სსკ-ის 495-ე მუხლის მეორე ნაწილი გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას გონივრულ ვადაში პარამეტრებისგან განსხვავებული პროდუქტის აღმოჩენაზე, რადგან მოსარჩელე შეგნებულად დუმდა სახელშეკრულებო ვალდებულების ნაკლიანი შესრულების შესახებ. ეს კი დასტურდება საქმეში თავად მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ყველის ნაცვლად გამოყენებული პროდუქტის მწარმოებელი კომპანია შპს „ნ“-ის წერილით, რომელშიც ავტორი ადასტურებს, რომ მის მიერ ნაწარმოები პროდუქტი მოსარჩელისთვის მიწოდების მანძილზე მუდმივად მზადდებოდა

აღდგენილი რძისა და ნაღების კარაქისაგან. შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან განზრახი დუმილით შემსყიდველი შედიოდა შეცდომაში და ეთანხმებოდა ისეთ შესრულებას, რომელიც რეალურად არ განხორციელებულა. ეს კი ცხადყოფს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარებები აქტის გაფორმების მიუხედავად, მონინააღმდეგე მხარე არ თავისუფლდება ნაკლიანი შესრულებიდან გამომდინარე შესრულების პასუხისმგებლობისგან. შესაბამისად, შესრულების მიღება არ წარმოადგენს ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

18.4 რეალურად, მოსარჩელის მხრიდან განხორციელებული შესრულების ნაკლი მდგომარეობს ხელშეკრულების ფარგლებში განეული მომსახურებისას ყველისა და კარაქის გამოუყენებლობაში. ანუ, ამ ორი პროდუქტის ნაწილში ნაკლის ღირებულებად მიჩნეული იქნა იმ პროდუქტის შესაბამისი საფასური, რომელიც მომსახურების განევისას არ გამოუყენებია მოპასუხეს. ამ არგუმენტით კი, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით მოპასუხემ მოსარჩელეს დაუკავა დეკემბრის თვის ანაზღაურება ნაკლიანი შესრულებით გამოწვეული ზედმეტად, ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის უკან დაბრუნებამდე. სააპელაციო სასამართლომ კი, დასაბუთების გარეშე, ლეგიტიმურ სანქციად არ მიიჩნია ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობით გამოწვეული ნაკლის არსებობისას შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების გადაუხდელობა. ამრიგად, ვინაიდან მოსარჩელეს მოპასუხისთვის არ მიუწოდებია ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქტი „ყველი“, „ყველის“ საფასურის გადახდის ვალდებულებაც არ წარმოშობილა, რაც წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის რეგულირების საგანს.

18.5 სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მიწოდებულ კარაქთან მიმართებით ხელშეკრულება არ დარღვეულა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ აიღო ვალდებულება მოპასუხისთვის მიწოდებინა კარაქი არანაკლებ 80% ცხიმის შემცველობით, თუმცა ფაქტობრივად მიწაწოდა პროდუქტი +/- 0.5%-იანი ცდომილებით. შესაბამისად, მომსახურების განევისას ხელშეკრულების მახასიათებლებისგან განსხვავებული პროდუქტის ღირებულება არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

18.6 სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხიც და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეს უფლება ჰქონდა განეხორციელებინა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მიზნით თანხების დაკავება.

18.7 სააპელაციო პალატამ არასწორად განიხილა ასევე, საბან-

კო გარანტიის საკითხი და არასწორად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა გარანტიის თანხის მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულების ნაწილი შეასრულა არაჯეროვნად, რაც მთლიან შესრულებას ხდის არაჯეროვნანს. საბანკო გარანტია კი, თავისი ბუნებით არის გამოუთხოვადი და მოიცავს როგორც ვალდებულების შეუსრულებლობას, ასევე არაჯეროვან შესრულებას. ამ საკითხის ზიანის ანაზღაურებასთან და ზიანის არსებობასთან დაკავშირება კი სრულიად კანონსაწინააღმდეგოა.

19. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

19.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

19.2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

21. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასატორს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ჩამოთვლის იმ ძირითად პრეტენზიებს, რაზეც მოპასუხე მიუთითებს საკასაციო საჩივარში და შემდგომ თანმიმდევრობით შეაფასებს მათ.

22. კერძოდ, კასატორის მოსაზრებით: 1) მოსარჩელის მიერ მიწოდებული პროდუქტის, „ყველი იმერულის“ საფასურის გადახდის ვალდებულება მოპასუხეს არ გააჩნია, ვინაიდან ამ ნაწილში ადგილი აქვს ხელშეკრულების იმგვარ არაჯეროვან შესრულებას, რაც ვალდებულების შეუსრულებლობას უთანაბრდება; 2) მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებას აქვს ადგილი, ასევე, მის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებული პროდუქტის, „კარაქის“ შემთხვევაში, რაც გამორიცხავს აღნიშნული პროდუქტის ღირებულების ანაზღაურებასაც; 3) სასამართლომ არასწორად დააკისრა შემსყიდველს პირგასამტეხლოს თანხა და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეს უფლება ჰქონდა განეხორციელებინა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მიზნით თანხების დაკავება; 4) სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეს საბანკო გარანტიის თანხა, 2243 ლარი.

23. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ ზემოთ ჩამოთვლილ პრეტენზიათაგან სამი მათგანი უსაფუძვლოა და არ არსებობს მათი გაზიარების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობა.

24. სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, განსახილველი დავა შეიცავს, როგორც ნასყიდობის, აგრეთვე ნარდობისსამართლებრივი ურთიერთობების ელემენტებს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წინამდებარე შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძვლების სამართლებრივი შეფასებისა და გამოყენებისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ წესებს ენიჭება უპირატესობა, ვინაიდან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, ხელშეკრულების საგნის დამზადება/შესყიდვა ხდებოდა მიმწოდებლის მიერ, ხოლო შემდგომი მიღება/შესყიდვა კასატორის (მოპასუხის) მიერ (იხ. სსკ-ის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

25. კასატორის პირველ პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია მიმწოდებლის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – კერძოდ, პროდუქტი „ყველის“ მიწოდება, რომელიც, ნაცვლად პასტერიზებული რძისა, დამზადებული იყო აღდგენილი რძისგან. სასამართლო მიუთითებს „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილების მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, აღდგენილ რძის ნაწარმს წარმოადგენს რძის ნაწარმი, რომელიც მიიღება რძის მშრალ ან შესქელებულ/კონცენტრირებულ ნაწარმზე იმ რაოდენობის წყლის დამატებით, რომ მასში აღდგენილ იქნეს რძის

ნაწარმისთვის დეკლარირებული სტანდარტით დადგენილი, დამახასიათებელი სინესტისა და მშრალი ნივთიერების მასური წილის შესაბამისი თანაფარდობა. ამავე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მშრალი რძე (რძის ფხვნილი) არის რძის ნაწარმი, რომელიც მიიღება რძის ნაწილობრივ გაუწყლოებით. იმავე პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პასტერიზებულ რძეს (მაღალი ტემპერატურით დამუშავებული) წარმოადგენს უვნებლობის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით, თერმულად (თბურად) დამუშავებული სასმელი რძე. მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სასმელი რძე არის რძე, რომელიც გამიზნულია ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის, შემდგომი გადამუშავების გარეშე.

26. ამდენად, მითითებული დებულებების შესაბამისად, ცალსახად დგინდება, რომ აღდგენილი და პასტერიზებული რძე განსხვავებული პროდუქტებია.

27. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მიუხედავად მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის ნაკლიანი პროდუქტის (პასტერიზებულ რძეზე დამზადებული ყველის ნაცვლად, აღდგენილი რძით დამზადებული ყველის) მიწოდებისა, აღნიშნული პროდუქტი მოპასუხემ მიიღო და გამოიყენა დანიშნულებისამებრ, ისე, რომ პრეტენზია არ განუცხადებია მიმწოდებლისთვის. კასატორი აცხადებს, რომ მას პროდუქტის საფასური ვალდებულების გარეშე აქვს გადახდილი.

28. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ორი სამართლებრივი ინსტიტუტი – ვალდებულების გარეშე შესრულება (შემსყიდველის მიერ) და ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება (მიმწოდებლის მიერ). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სადავო პროდუქტი „ყველი“ ფაქტობრივად მიწოდებულია, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ნედლეულითაა დამზადებული (იხ. წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტი).

29. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ნასყიდობისსამართლებრივი ნორმების საფუძველზე უნდა შეფასდეს მხარეთა ურთიერთმოთხოვნების სამართლებრივი მდგომარეობა, უდავოა, რომ ნაკლიან შესრულებას (იხ. სსკ-ის 488-ე „1. ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. 2. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ

ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე“ (მუხლი) აქვს ადგილი.

30. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 490.1 („თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში“), 491-ე („მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს განუვლი დანახარჯები“) და 492-ე („თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი“) მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ უდავოდ დგინდება ვალდებულების ნაწილობრივ, არაჯეროვანი შესრულება, რის გამოც, დასახელებული სამართლებრივი მექანიზმით უნდა ესარგებლა მხარეს ნაკლის გამოსწორების, ხელშეკრულების მოშლის ან ფასის შემცირების მოთხოვნით, რაც საქმის მასალებით არ დგინდება. კასატორის პრეტენზია, რომ ერთიანი ხელშეკრულების კონტექსტში არ უნდა მოხდეს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შეფასება, რადგან, კონკრეტულად „ყველის“ მიწოდების ნაწილში ვალდებულება საერთოდ არ შესრულებულა, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. ერთიანი ვალდებულების ამგვარი დაყოფის შემთხვევაში, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ყოველთვის ვალდებულების შეუსრულებლობად იქნება განხილული, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლებრივ წესრიგს (მდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-174-2020, 17 ივნისი, 2020 წელი, საქმე №ას-108-2020, 3 ივნისი, 2020 წელი).

31. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საკითხის სამართლებრივი შეფასებისთვის უმნიშვნელოვანესია იმის გარკვევა, თუ რა სახის ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მხარეები. დადგენილია, რომ მხარეთა შორის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა დადებული. ამგვარი ხელშეკრულების შესრულებაზე წარმოშობილი მხარის პრეტენზიებს, სასამართლო უპირველესად სახელშეკრულებო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეაფასებს და მხოლოდ მას შემდეგ ხდება ე.წ. „სუბსიდიური წესით“ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების (კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი სა-

ფუძვლების) შესაბამისად საკითხის მოწესრიგება. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა არა ვალდებულების შეუსრულებლობა, არამედ ვალდებულების ნაკლიანი შესრულება, კასატორის მითითება, სსკ-ის 385-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების გარეშე გადახდის საკითხი, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით რეგულირდება, დაუსაბუთებელია (დამატ. მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების შემოწმების რიგითობის თაობაზე იხ. სუსგ. №ას-1681-2018; 1 მარტი, 2019 წელი).

32. კასატორის მორიგ პრეტენზიასთან დაკავშირებით, პროდუქტ „კარაქთან“ დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. წინამდებარე განჩინების 16.4 ქვეპუნქტი) და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც, მოპასუხეს არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება, უშუალოდ პროდუქტის კვლევასთან დაკავშირებით, რომლითაც დადასტურდებოდა პროდუქტის ხარისხის შეუსაბამობა შეთანხმებულ პირობებთან, ან მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან, მხოლოდ ეტიკეტირების წესებზე მითითებით, პროდუქტის ნაკლიანად მიჩნევა უსაფუძვლოა. უდავოა, რომ კომპანიის მიერ ბ-ებისთვის მიწოდებულ კარაქის ეტიკეტზე ცხიმის შემცველობად მითითებულია 80% (+/-0,5), ამ მოცემულობასა და სანინააღმდეგო მტკიცებულების არარსებობის პირობებში კი, ვრცელდება პრეზუმფცია, რომ პროდუქტის თვისებები შესაბამისობაშია მის ეტიკეტზე დატანილ მახასიათებლებთან.

33. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მორიგ პრეტენზიას პირგასამტეხლოს არამართებულად დაკისრების შესახებ და განმარტავს, რომ მოპასუხის მითითება ფულადი თანხების ურთიერთგაქვითვის თაობაზე დაუსაბუთებელია. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შემსყიდველმა მიწოდებული პროდუქტის თანხა სრულად არ გადაიხადა (დეკემბრის თვის მიწოდების საფასური საერთოდ არ გადაუხდია), ამასთან, უდავოა, რომ შემსყიდველის პრეტენზიები მიწოდებული საქონლის საფასურის უკან დაბრუნების თაობაზე, როგორც ვალდებულების გარეშე გადახდილზე, დაუსაბუთებელია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მართებულადაა დაკისრებული პირგასამტეხლო. ამასთან, მისი გაქვითვის მოთხოვნა ვერ მოხდება სანაცვლო მოთხოვნის არარსებობის გამო (იხ. სუსგ საქმე №ას-174-2020, 17 ივნისი, 2020 წელი).

34. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რო-

მელიც საგარანტიო თანხის გამოთხოვის არამართებულობას შეეხება, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში იზიარებს კასატორის მოსაზრებას და, პირველ რიგში, საჭიროდ მიიჩნევს, შეეხოს თავად საბანკო გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალების, არსსა და მისი გამოყენების წინაპირობებს.

35. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის მიხედვით, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამავე კოდექსის 881-ე მუხლით, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. 882-ე მუხლის მიხედვით კი, საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

36. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურების მოთხოვნის კვლევისას, მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების მოცულობა, შესასრულებელი სამუშაოს კომპლექსურობა, შემსრულებლის მიერ ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულება და შესრულების ნაკლის სიმძიმე. საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული მსჯელობა ეწინააღმდეგება თავად საბანკო გარანტიის არსს და აღნიშნულ საკითხზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას.

37. უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია (განჩინებაშია) მითითებული, რომ საბანკო გარანტია სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდრო-

ულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

38. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტიის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა, მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (იხ. სუსგ საქმე №ას-781-996-08, 2009 წლის 17 მარტი). ბენეფიციარი, საგარანტიო თანხის მოთხოვნისას, გარანტორის წინაშე არაა ვალდებული დაასაბუთოს პრინციპალის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულების უტყუარობა. მხოლოდ საგარანტიო პირობებთან შესაბამისობის კუთხით მოწმდება ბენეფიციარის მოთხოვნა (იხ. სუსგ საქმე №ას-1189-1149-2016).

39. ამდენად, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახის და ხარისხის კვლევა გარანტიის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა). სწორედ ამიტომ უნოდებენ კომერციულ პრაქტიკაში საბანკო გარანტიას ე.წ. დოკუმენტურ ოპერაციას (იხ. სუსგ №ას-782-739-2015, 2015 წლის 19 ოქტომბერი).

40. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ექვემდებარება მხოლოდ ფორმალური საფუძვლით შემოწმებას და პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა თავისთავად არ იწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები (სუსგ №ას-749-709-

2015, 2015 წლის 25 სექტემბერი).

41. შესაბამისად, საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენას, რაც სამართლის დოქტრინაში ცნობილია „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპით (Principle of Strict Compliance). აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა ზუსტად შესაბამისი უნდა იყოს საბანკო გარანტიის პირობებთან და მასვე უნდა დაერთოს გარანტიაში გათვალისწინებული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი გათვალისწინებულია დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №458 უნიფიცირებული წესების მე-9 მუხლით, რომლის თანახმად, „ყველა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ან წარდგენილია საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მათ შორის მოთხოვნა, შემოწმებული უნდა იქნეს გარანტის მიერ გონივრული წინდახედულობის გათვალისწინებით, შეესაბამება თუ არა ისინი საბანკო გარანტიის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები არ შეესაბამება პირობებს, გარანტია უნდა იქნას უარყოფილი“. (საბანკო გარანტიის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, შესაბამისად, დამატებით ამ საკითხზე იხილეთ: MuKo HGB/Welter, Zahlungsverkehr, Rn.3; Sorgel/Heuser Vorb. zu §765-778 BGB, Rn.64; MüKo BGB, Habersack Vorb. zu §765-778 BGB, Rn.20; BGH WM 1999, 73; Graf von Westphalen/Jud/Westphalen, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, S.166; Staudinger/ Horn Vorb. zu zu §765-778 BGB, Rn.320; Goode, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, S.55).“ (დამატ. იხ. სუსგ-ები.: №ას-1633-2019; 9.03.2020; №ას-562-871-09; 20.10.2009; №ას-950-886-2017; 3.11.2017;)) .

42. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც წინამდებარე საქმის მასალებით დგინდება, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 14 სექტემბერს სს „ბ-ის“ მიერ გაიცა უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია №BB.14.09/145, რომლითაც გარანტმა (ბანკმა) პრინციპალის (მიმწოდებლის) თხოვნით იკისრა წერილობითი ვალდებულება პრინციპალის კრედიტორისთვის (შემსყიდველისთვის) (ბენეფიციარისთვის) გადაეხადა ფულადი თანხა, 2 243 ლარი გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა არაჯეროვნად (მოპასუხეს მიაწოდა

პროდუქტი ყველი, რომელიც ნაცვლად შეთანხმებით განსაზღვრული პასტერიზებული რძისა, დამზადებული იყო აღდგენილი რძისგან), რის გამოც, მოპასუხემ გამოითხოვა გარანტიით გათვალისწინებული მოსარჩელის კუთვნილი თანხა.

43. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან წინამდებარე საქმეზე დადგენილია მოსარჩელის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გამორიცხავს გამოყენებული საბანკო გარანტიის თანხის მოპასუხისთვის დაკისრების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ ნაწილში არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, რადგან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

46. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, სარჩელის ფასი განსაზღვრული იყო 14 807.15 ლარით, გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი – 445 ლარი, ხოლო, მოთხოვნა დაკმაყოფილდა 12 564.15 ლარის ნაწილში. სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იყო ორივე მხარის მიერ, საიდანაც, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შემსყიდველის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა (12 564.15 ლარი) და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, მიმწოდებლის სააპელაციო საჩივარ-

რი სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში (2 243 ლარი) გასაჩივრებული გადანყვეტილების შეცვლისა და ახალი გადანყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადანყვეტილებით, შემსყიდველის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადანყვეტილება გაუქმდა და მიმწოდებლის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მიმწოდებლის სარჩელი შემსყიდველის მიმართ საბანკო გარანტიის თანხის 2 243 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

47. ამდენად, კასატორს უნდა დაეკისროს, მოწინააღმდეგე მხარის მიერ სარჩელზე გადახდილი, მისი დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის – 12 564.15 ლარის 3% – 377.58 ლარი, ხოლო მიმწოდებლის მიერ სარჩელზე გადახდილი – 67.42 ლარი და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი – 150 ლარი დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად. ასევე, მიმწოდებელს დაეკისროს, კასატორის მიერ, საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 741 ლარიდან, მისი დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად – 112.15 ლარის გადახდა, ხოლო, კასატორის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილი ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა(ა)იპ „თბილისის ... საბავშვო ბაგა-ბაღის“ საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 იანვრის გადანყვეტილება გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება:

1. ა(ა)იპ „თბილისის ... საბავშვო ბაგა-ბაღის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

1. შპს „ე-ის“ სარჩელი ა(ა)იპ „თბილისის ... საბავშვო ბაგა-ბაღის“ მიმართ საბანკო გარანტიის თანხის 2 243 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

3. ა(ა)იპ „თბილისის ... საბავშვო ბაგა-ბაღის“ დაეკისროს შპს „ე-ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი 377.58 ლარი;

4. შპს „ე-ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი 67.42 ლარი და სააპე-

ლაციო საჩივარზე გადახდილი 150 ლარი დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად;

5. შპს „ე-ს“ დაეკისროს, ა(ა)იპ „თბილისის ... საბავშვო ბაგა-ბაღის“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 741 ლარიდან 112.15 ლარის გადახდა;

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გარანტის უარი გენეფიცირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-367-348-2015

15 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება (ძირითად სარჩელზე), საბანკო გარანტიის სიყალბის დადგენა (შეგებებულ სარჩელზე)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებულის მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებულის სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე, მოწინააღმდეგე მხარე, ბენეფიციარი ან სამინისტრო) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „მ-ისა“ (შემდგომში – მოპასუხე, მიწინააღმდეგე მხარე ან პრინციპალი) და სს „ს. ა-ს“ (უფლებამონაცვლები: სს „ს.ა.“, სს „ს.ი.“, სს „ს.ე.“, შემდგომში წოდებული, როგორც მოპასუხე ძირითად სარჩელზე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან გარანტი) მიმართ და მოითხოვა პრინციპალისათვის ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის – 1 002 492,75 ლარის, ასევე, პირგასამტეხლოს – 374 348,92 ლარის, ხოლო გარანტისათვის მის მიერ გაცემული საბანკო გარანტიებით გათვალისწინებული თანხის, სულ – 1 274 259 ლარის დაკისრება.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ა) 2011 წლის 12 სექტემბერს მოსარჩელესა და პრინციპალს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლითაც პრინციპალმა იკისრა ვალდებულება, 2011 წლის 1 დეკემბრამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების მიზნით, საცხოვრებელი ფართების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაეტარებინა ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩა №6-ში არსებულ მრავალპროფილიანი პროფესიული კოლეჯი „მ-ის“ შენობაში. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 1 399 000 ლარით. 2011 წლის 15 სექტემბერს ამავე მხარეებს შორის ასევე გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლითაც 2011 წლის 1 დეკემბრამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების მიზნით, მოპასუხეს საცხოვრებელი ფართების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა ქ. თბილისში, მ-ის ხევში, გ-ის სახელობის პედაგოგიური კოლეჯის ადმინისტრაციული კორპუსისათვის. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 663 950 ლარით. პრინციპალმა 2011 წლის 13 სექტემბრის №70 ნერილით 2011 წლის 12 სექტემბერის №... ხელშეკრულებისა და გარანტიის მიერ გაცემული B... საბანკო გარანტიის საფუძველზე, მოითხოვა წინასწარი ანგარიშსწორება 835 000 ლარის ოდენობით, ხოლო 2011 წლის 23 სექტემბერს – 2011 წლის 15 სექტემბრის №... ხელშეკრულებისა და გარანტიის მიერ გაცემული B... საბანკო გარანტიის საფუძველზე – 398 000 ლარის ოდენობით. ბენეფიციარმა მოპასუხის ხსენებული მოთხოვნები დააკმაყოფილა;

ბ) ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები პრინციპალმა შეასრულა არაჯეროვნად, რის გამოც მინისტრის 2011 წლის 6 დეკემბრის №... ბრძანებით შეწყდა 2011 წლის 12 და 2011 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებების მოქმედება. ამასთან, მოსარჩელემ მიმართა გარანტს მის მიერ გაცემული საბანკო გარანტიების საფუძველზე თანხების ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა, ერთ შემთხვევაში, საბანკო გარანტიის არარსებობის, ხოლო, მეორე შემთხვევაში – საბანკო გარანტიაში თანხის არასწორად მითითების გამო და მოითხოვა მის მიერ გაცემული საბანკო გარანტიების დედნების წარდგენა, რათა განეხილა ვალდებულების შესრულების საკითხი;

გ) 2011 წლის 12 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე პრინციპალის მიერ წარმოებული სამუშაოების ღირებულება, ფაქტიურად წარმოებულ სამუშაოთა და ხარჯთაღრიცხვით მოცემული სამუშაოების ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეადგენდა 165 425,37 ლარს, დღგ-ს ჩათვლით, რაც ხარჯთაღრიც-

ხვით გათვალისწინებულ შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულებაზე (1 399 000 ლარი) 1 233 574,63 ლარით ნაკლები იყო დღგ-ს ჩათვლით, რეალურად, შესრულებული სამუშაოები კი, 699 574,63 ლარით ნაკლები იყო წინსწრებით გადახდილ თანხასთან შედარებით. გარდა აღნიშნულისა, 2011 წლის 15 სექტემბრის №... ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებული სამუშაოების ღირებულებამ, ფაქტიურად წარმოებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარჯთაღრიცხვით მოცემულ სამუშაოთა ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეადგინა 65 081,88 ლარი დღგ-ს ჩათვლით, რაც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულებაზე (663 950 ლარი) 598 868,12 ლარით ნაკლები იყო დღგ-ს ჩათვლით. ამასთან, რეალურად შესრულებული სამუშაოები 332 918,18 ლარით ნაკლები იყო წინსწრებით გადახდილ თანხასთან შედარებით;

დ) პრინციპალმა მოსარჩელეს მიაყენა 1 002 492,75 ლარის ზიანი, რამდენადაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე მისთვის გადახდილ იქნა 835 000 ლარი და 398 000 ლარი, სულ 1 233 000 ლარი. ექსპერტიზის დასკვნების თანახმად კი, ორივე ობიექტზე შესრულებულია მხოლოდ 230 507,25 ლარის სამუშაოები. გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით მხარეებმა ვალდებულების დარღვევისათვის გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს ანაზღაურება (ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.2. და 9.3. მუხლები), მოცემულ შემთხვევაში, პრინციპალისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა 374 348,92 ლარს შეადგენს, რადგანაც, შეთანხმების თანახმად, ვალდებულების დარღვევის დღიდან (2011 წლის 1 დეკემბერი) ვალდებულების დამრღვევმა უნდა აანაზღაუროს შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების (1 832 442,75 ლარი) 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გარდა ამისა, ხელშეკრულებებით მხარეებმა განსაზღვრეს ასევე, რომ ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებული არ არის და აღნიშნული ვალდებულებები არც სამომავლოდ შესრულდება, შესაბამისად, სახეზეა აღნიშნული სანქციის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და თავად სანქციის ოდენობა ხელშეკრულებების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე 103 147,5 ლარია;

ე) გარანტის მიმართ დაყენებული მოთხოვნები ბენეფიციარმა დაამყარა იმ ფაქტს, რომ მოპასუხემ საბანკო გარანტიებით იკის-

რა ვალდებულება, უზრუნველყო პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება. ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია, რომ პრინციპალს წინსწრებით გადახდილი თანხებით შესასრულებელი სამუშაოები არ შეუსრულებია, რაც გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების საფუძველს იძლევა.

1.2. გარანტმა შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში პრინციპალისა და ბენეფიციარის მიმართ და მოითხოვა 2011 წლის 12 სექტემბერს 835 000 ლარზე გაცემული საავანსო გადახდის უზრუნველსაყოფი B... საბანკო გარანტიისა და 2011 წლის 23 სექტემბერს 398 000 ლარზე გაცემული საავანსო გადახდის უზრუნველსაყოფი B... საბანკო გარანტიის სიყალბის აღიარება, ასევე, სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენა.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება იმ ფაქტს, რომ თავდაპირველ მოსარჩელესა და პრინციპალს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გარანტმა მართლაც გასცა საბანკო გარანტიები, თუმცა, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილი თანხის თაობაზე გაცემული დოკუმენტაცია გაყალბებულია, კერძოდ, B... საბანკო გარანტია გაცემულია არა 835 000, არამედ, 35 000 ლარზე, ხოლო B... საბანკო გარანტია შეგებებულ მოსარჩელეს საერთოდ არ გაუცია. თავის მხრივ, გარანტმა განმარტა ისიც, რომ სასამართლოს მხრიდან შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხავს ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის წარდგენასა და გარანტის უფლებების სამომავლოდ დარღვევას.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. გარანტმა თავდაპირველი სარჩელის წინააღმდეგ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა და განმარტა, რომ მისთვის ცნობილი იყო 2011 წლის 12 სექტემბრის №... ხელშეკრულების შესახებ, ხოლო №... ხელშეკრულება არ წარუდგენია პრინციპალს. B... საბანკო გარანტია 835 000 ლარზე მის მიერ არ გაცემულა, არამედ, №... ხელშეკრულების საფუძველზე, 2011 წლის 12 სექტემბერს გააფორმა საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გაიცა საავანსო გადახდის საბანკო გარანტია B... თანხით 35 000 ლარი. რაც შეეხება 398 000 ლარზე გაცემულ B... საბანკო გარანტიას, იგი საერთოდ არ გაცემულა. შესაგებლის თანახმად, მოპასუხე უარს არ აცხადებს, ბენეფიციარს აუნაზღაუროს 41 259 ლარი;

2.2. თავდაპირველმა მოსარჩელემ ასევე არ ცნო შეგებებული სარჩელი და აღნიშნა, რომ გარანტს სადავო საბანკო გარანტიების სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია,

რის გამოც მას ეკისრება შესაბამისი თანხის ანაზღაურების ვალდებულება. საქმის მასალებით არც ის გარემოება დასტურდება, რომ ეროვნული ბანკისათვის წარდგენილ ანგარიშგებაში არ ფიქსირდებოდა სადავო საბანკო გარანტიები. მასთან წარდგენილ საბანკო გარანტიებსაც გააჩნდა იგივე დამცავი აღნიშვნები, ხელმოწერა, ბეჭედი და მათში აღნიშნული თანხები იყო თანხვედრაში იმ თანხებთან, რომელიც გადაცემულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. ამასთან, 35 000 ლარზე წარდგენილი საბანკო გარანტია ლოგიკურად არ შეიძლება ყოფილიყო ვალდებულების უზრუნველყოფის შესაბამისი, ვინაიდან ხელშეკრულებით ბენეფიციარის მიერ პრინციპალისათვის გადაცემული თანხა შეადგენდა 1 274 259 ლარს.

2.3. პრინციპალს არც თავდაპირველი და არც შეგებებული სარჩელის წინააღმდეგ არ წარუდგენია შესაგებელი, ხოლო სასამართლო სხდომაზე სადავო საბანკო გარანტიების სიყალბის ფაქტი დაადასტურა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით ბენეფიციარის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გარანტს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიებით განსაზღვრული თანხის გადახდა შემდეგი ოდენობით: 2011 წლის 12 სექტემბრის B... საბანკო გარანტიიდან გამომდინარე – 35 000 ლარი; 2011 წლის 9 სექტემბრის B... გარანტიიდან გამომდინარე – 27 980 ლარი; 2011 წლის 12 სექტემბრის B... საბანკო გარანტიიდან გამომდინარე – 13 279 ლარი. ამავე გადაწყვეტილებით პრინციპალს ძირითადი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის – 926 233,75 ლარისა და პირგასამტეხლოს – 374 348,92 ლარის ანაზღაურება. გარანტის შეგებებული სარჩელი ბენეფიციარის მიმართ არ დაკმაყოფილდა, ხოლო პრინციპალის მიმართ – დაკმაყოფილდა, შესაბამისად, 2011 წლის 12 სექტემბრის საავანსო გადახდის გარანტია B... (თანხაზე 835 000 ლარი) და 2011 წლის 23 სექტემბრის საავანსო გადახდის გარანტია B... (თანხაზე 398 000 ლარი) აღიარებულ იქნა ყალბად;

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გარანტმა, მოითხოვა ბენეფიციარის სასარგებლოდ 2011 წლის 12 სექტემბერს 35 000 ლარზე გაცემული B... საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 35 000 ლარის დაკისრების ნაწილში,

ასევე, თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით კასატორისათვის 35 000 ლარის დაკისრებაზე უარის თქმა, ასევე, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის არგუმენტები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა 2011 წლის 12 სექტემბერს გაცემული B... საავენსო გადახდის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 35 000 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, ბენეფიციარის მიმართ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

1. 2011 წლის 12 სექტემბერს გაცემული B... საავენსო გადახდის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა კი, მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვე-

ტილებას/განჩინებას, თუკი კასატორი საკუთარ პოზიციას მოხმობილ დებულებათაგან ერთ-ერთზე ამყარებს და საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდება, როგორც ამ დარღვევის, ისე – დარღვევის არსებითი ხასიათიდან გამომდინარე არასწორი გადანყვეტილების მიღების ფაქტი. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით გარანტი სადავოდ ხდის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს B... სააგანსო გადახდის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 35 000 ლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ქვემდგომ სასამართლოთა დასკვნები ამ თვალსაზრისით მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენება-განმარტებას ემყარება.

1.2. იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად დასაშვები შედავება იქნა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან, პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსაჩივრებული განჩინებით დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.2.1. 2011 წლის 12 სექტემბერს მოსარჩელესა და პრინციპალს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, პრინციპალმა იკისრა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განსახლების მიზნით საცხოვრებელი ფართების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ვალდებულება, კერძოდ, მას უნდა შეესრულებინა ქ. თბილისში, ქ-ის ქ. №6-ში მდებარე მრავალპროფილიანი პროფესიული კოლეჯი „მ-ის“ შენობის დევნილთათვის საცხოვრებელ სახლად რეაბილიტაციისათვის აუცილებელი სამუშაოები. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენდა 1 399 000 ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 25 დეკემბრამდე. ხელშეკრულების 4.12 მუხლის თანახმად, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 2011 წლის პირველ დეკემბრამდე. 11.1. მუხლით, პრინციპალმა იკისრა ვალდებულება, წარედგინა საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

1.2.2. პრინციპალმა ბენეფიციარს წარუდგინა 2011 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული შეგებებული მოსარჩელის სახელით გაცემული B... საბანკო გარანტია 835 000 ლარზე და მოითხოვა ამავე თანხაზე წინასწარი ანგარიშსწორება, რაც განხორციელდა კიდევ;

1.2.3. 2011 წლის 15 სექტემბერს ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ასევე გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელმა იკისრა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განსახლების მიზნით საცხოვრებელი ფართების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ვალდებულება (ქ. თბილისში, მ-ის ხევში, გ-ის

სახელობის პედაგოგიური კოლეჯის ადმინისტრაციული კორპუსის). ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენდა 663 950 ლარს, ხოლო მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 25 დეკემბრამდე. 4.12 მუხლის თანახმად, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 2011 წლის პირველ დეკემბრამდე. 11.1 მუხლით, მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, წარედგინა საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

1.2.4. პრინციპალმა ბენეფიციარს წარუდგინა 2011 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული შეგებებული მოსარჩელის სახელით გაცემული B... საბანკო გარანტია 398 000 ლარზე და მოსთხოვა სამინისტროს ამავე თანხაზე წინასწარი ანგარიშსწორება, რაც განხორციელდა კიდევ;

1.2.5. 2011 წლის 5 დეკემბერს პრინციპალმა ძირითად მოსარჩელეს აცნობა, რომ ვერ ხერხდებოდა სამუშაოების შესრულება, რადგან კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელობა, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება, იმყოფებოდა პატიმრობაში და კომპანიას არ გააჩნდა სახსრები, შესაბამისად, ბენეფიციარის 2011 წლის 6 დეკემბრის №... ბრძანებით შეწყდა 2011 წლის 12 და 15 სექტემბრის №... და №... ხელშეკრულებები მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო;

1.2.6. 2011 წლის 5 დეკემბერს სამინისტრომ გარანტს აცნობა, რომ პრინციპალის მიერ წარდგენილ იქნა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები, რომელთა საფუძველზეც მოხდა 1 233 000 ლარის გადარიცხვა. რამდენადაც პრინციპალს არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულებები, სამინისტრომ მოითხოვა საბანკო გარანტიების შესაბამისად გადარიცხული თანხის – 1 274 259 ლარის ანაზღაურება, საიდანაც 41 259 ლარი იყო ხელშეკრულების უზრუნველყოფა. მოსარჩელემ შესაბამისი თანხების ჩარიცხვა მოითხოვა 2011 წლის 7 და 23 დეკემბრის წერილებითაც;

1.2.7. 2011 წლის 7 დეკემბერს გარანტმა ბენეფიციარს აცნობა, რომ მოთხოვნაზე თანდართული 2011 წლის 12 დეკემბრის B... საბანკო გარანტიის ასლი არ შეესაბამებოდა მათ მიერ ამავე რიცხვში ამავე ნომრით გაცემულ საბანკო გარანტიას, კერძოდ, მათ მიერ გაცემულ საბანკო გარანტიის პირველ პუნქტში მითითებული თანხა შეადგენდა 35 00 ლარს და არა 835 000 ლარს. ამავე წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მათ მიერ საერთოდ არ ყოფილა გაცემული B... საბანკო გარანტია;

1.2.8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2014 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით შეგებებული მოსარჩელის მიერ 2011 წლის 12 სექტემბრის 835 000 ლარზე გაცემული საავანსო გადახდის გარანტია B... და 2011 წლის 23 სექტემ-

ბერს 398 000 ლარზე გაცემული B... საბანკო გარანტია აღიარა ყალბად. გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გასაჩივრებულა;

1.2.9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 ივლისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ასევე დადგინდა, რომ ზემოხსენებული საბანკო გარანტიების გაყალბებაში მონაწილეობდა ასევე პრინციპალის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. განაჩენით ბენეფიციარის/მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის რაიმე ფორმით კავშირი საბანკო გარანტიების გაყალბებასთან მიმართებით არ დადგინდა;

1.2.10. გარანტის მიერ 2011 წლის 12 სექტემბერს რეალურად გაცემულ იქნა საბანკო გარანტია B... შემდეგი მონაცემებით:

– გარანტი – სს „საერთაშორისო ს. ინტერნეიშენალი“;

– პრინციპალი – შპს „მ-ი“;

– ბენეფიციარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;

– საფუძველი (ხელშეკრულება, საიდანაც წარმოიშვა უზრუნველყოფილი მოთხოვნა) – 2011 წლის 12 სექტემბრის №... ხელშეკრულება;

– საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა – 2011 წლის 12 სექტემბრიდან 2011 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით;

– საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ იქნა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე აღებული ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება მხოლოდ 35 000 ლარის ფარგლებში.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.4. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პოზიციას ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან კანონის, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის არასწორად განმარტების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ დარღვევას გასაჩივრებულ ნაწილში არასწორი გადაწყვეტილების/განჩინების მიღება მოჰყვა. უპირველესად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვერ დაეთანხმე-

ბა გარანტის მითითებას იმის თაობაზე, რომ სადავო ურთიერთობის რეგულირება ქვემდგომ სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 837-ე მუხლზე უნდა დაემყარებინა და ამ დასაბუთებით არ დაეკმაყოფილებინა 35 000 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი, რამდენადაც ეს უკანასკნელი ნორმა სამოქალაქო კოდექსის იმ თავშია მოქცეული, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციალურ სახეს – დაზღვევას არეგულირებს, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული დათქმიდან გამომდინარე კი, სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. რაც შეეხება თავად საბანკო გარანტიიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობას, პალატა განმარტავს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად, როდესაც საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს დავის საგანს, სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი გვევლინება. მოხმობილი ნორმის თანახმად კი, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. იმისათვის, რათა ამომწურავად შეფასდეს სადავო ვალდებულების წარმოშობის საკითხი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეფასებას ექვემდებარება თავად ხელშეკრულების დადების საკითხი, რომელიც კრედიტორის მოთხოვნის ნამდვილობას განაპირობებს. ამ თვალსაზრისით საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობათა მარეგულირებელი სპეციალური ნორმები არ შეიცავენ შესაბამის დათქმებს, რის გამოც, საკასაციო პალატა თვლის, რომ ურთიერთობის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელ იმ ნორმათა დებულებები, რომლებიც ამავე კოდექსის 879-ე-890-ე მუხლების დათქმებს არ ეწინააღმდეგება, კერძოდ:

1.4.1. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგებაა, კერძოდ, გარანტი ცალმხრივად კისრულობს ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ განახორციელოს გარკვეული ფულადი შესრულება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული სამართალურთიერთობის პრინციპალის მხრიდან დარღვევის შემთხვევაში. განსხვავებით ამ სამართლებრივი ურთიერთობისაგან, თავად გარანტსა და პრინციპალს შორის

არსებობს დამოუკიდებელი ორმხრივი შეთანხმება, რომელიც საბანკო გარანტიის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს (იხ. სკ-ის 890-ე მუხლი). ცალმხრივი ნების ნამდვილობის საკითხი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. სამართლის თეორიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, 51-ე მუხლის მოქმედება, მიუხედავად მისი სათაურისა, ვრცელდება არა მხოლოდ ცალმხრივი, არამედ ყველა იმ ორმხრივი/მრავალმხრივი ნების მიმართ, რომელიც შინაარსობრივად მიღებასავალდებულო კატეგორიას განეკუთვნება, მით უფრო მნიშვნელოვანია ამ საკითხის სწორად განსაზღვრა ცალმხრივი ნების ნამდვილობის კვლევისას, რამეთუ მას სამართლებრივი შედეგები მოჰყვება და კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს, რომ ნება ადრესატს უნდა მიუვიდეს, რათა წარმოშობილად იქნეს მიჩნეული ესა თუ ის ურთიერთობა, ანუ ცალმხრივი გარიგება იურიდიულ ძალმოსილებას მას შემდეგ შეიძენს, რაც მისი გარეგანი ფორმირების პროცესი ადრესატის აღქმის არეალში მოქცევით დასრულდება.

1.4.2. განსახილველ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა 35 000 ლარის დაკისრების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანად იმ დასაბუთებით მიიჩნიეს, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში გარანტს მართლაც ჰქონდა B... საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია გაცემული, თუმცა, საგარანტიო თანხა შეადგენდა არა ბენეფიციარისათვის გადაცემულ დოკუმენტში აღნიშნულ 835 000 ლარს, არამედ, მხოლოდ 35 000 ლარს. ვინაიდან სისხლის სასამართლის საქმეზე დოკუმენტის გაყალბების ფაქტის მიმართ არ დადგინდა ბენეფიციარის რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, მიჩნეულ იქნა, რომ სამინისტრო, როგორც კეთილსინდისიერი მხარე, უფლებამოსილი იყო მოეთხოვა შესრულება, ხოლო გარანტი ვალდებული იყო აენაზღაურებინა იმ ოდენობის თანხა, რა ოდენობაზეც რეალურად იქნა გაცემული საბანკო გარანტია.

1.4.3. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვემდგომ სასამართლოთა ამ დასკვნას და განმარტავს, რომ მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტს (სკ-ის 8.3. მუხლი), თუმცა, კეთილსინდისიერებით არ შეიძლება ყოველთვის იქნეს ახსნილი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ინტერესი, რადგანაც თავად კეთილსინ-

დისიერება კონტრაჰენტს იცავს მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით (მაგ: სკ-ის 312-ე მუხლი), რამდენადაც კანონმდებლის ამგვარი მიდგომა წარმოადგენს კოლიდირებულ სიკეთეთა შორის უპირატესი უფლების მქონე პირის განსაზღვრის ინსტრუმენტს და ცდილობს, ამ გზით დაიცვას ყველა იმ კეთილსინდისიერი პირის ინტერესები, რომლებიც მართლზომიერად განკარგავდნენ საკუთარ სამოქალაქო უფლებებს და გააჩნდათ ამ განკარგვის ლეგიტიმური შედეგის დადგომის მოლოდინი. განსხვავებით ამისაგან, კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვა ვერ გადაწონის იმ პირის უფლებებს, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობაში არ შესულა და არც შესაბამისი უფლება-მოვალეობები წარმოშობია.

1.4.4. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ უდავო ფაქტს, რომ კასატორის მხრიდან 35 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე შესაბამისი საბანკო გარანტიის გაცემის მიუხედავად, ეს ნება ადრესატს (ბენეფიციარი) არ მისვლია, არამედ, მას გადაეცა სრულიად განსხვავებული, არარა ნება, რომელიც ვალდებული პირისაგან არ მომდინარეობდა და თვლის, რომ ამ შემთხვევაში, კასატორსა და ძირითად მოსარჩელეს შორის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულება, მიუხედავად ბენეფიციარის კეთილსინდისიერებისა, არ წარმოშობილა. შესაბამისად, ვერც ამ მხრივ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ დაკისრებული თანხის ფარგლებში შეგებებული მოსარჩელის ნების არსებობა მის ვალდებულებას განაპირობებდა.

1.4.5. ამდენად, ბენეფიციარმა სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა რა გარანტიისაგან თანხის ანაზღაურება, ამ მოთხოვნას მოპასუხემ იმგვარი შესაგებელი დაუპირისპირა, რომელიც ვალდებულებას გამორიცხავს (მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი), რამეთუ მან საბანკო გარანტიის სიყალბეზე მითითებით სადავო გახადა სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტი. თავის მხრივ, მხარეთა შორის უდავოა რა ის გარემოება, რომ ადრესატს გარანტის ნამდვილი ნება არ მიუღია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნის ნაწილში სამინისტროს სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ მხარეთა შორის არა თუ რაიმე ფორმით ბათილი ხელშეკრულება, არამედ, ნების არარსებობის პირობებში (835 000 ლარი) გარიგება საერთოდ არ წარმოშობილა, შესაბამისად, მას ვერც დადასტურება (სკ-ის 61-ე მუხლი) და ვერც ნებაზე ზემოქმედების რაიმე კანონისმიერი საშუალება ნამდვილად ვერ აქცევს.

1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახ-

მად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არ იკვეთება 2011 წლის 12 სექტემბერს გაცემული B... საავანსო გადახდის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დამატებით დადგენისა და ამ თვალსაზრისით მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის აუცილებლობა და/ან გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების არსებობა, არამედ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დადგენილი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასება, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს ამ ნაწილში გადაწყვეტილება. განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატა აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას გარანტისათვის 35 000 ლარის დაკისრების ნაწილში და სახელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობის გამო, ბენეფიციარის ამ მოთხოვნას უარყოფს. ამასთანავე, ვინაიდან წინამდებარე გადაწყვეტილებით პალატა სრულად აკმაყოფილებს გარანტის საკასაციო პრეტენზიას ზემოხსენებული თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, შეფასების გარეშე ტოვებს მის იმ შედავებას, რომლებიც სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის არასწორ განმარტებას, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას შეეხება.

2. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და შეგებებული სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

2.1. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ გარანტმა აღძრა ნეგატიური შეგებებული სარჩელი და მოითხოვა 2011 წლის 12 სექტემბერს 835 000 ლარზე გაცემული საავანსო გადახდის უზრუნველსაყოფი B... საბანკო გარანტიისა და 2011 წლის 23 სექტემბერს 398 000 ლარზე გაცემული საავანსო გადახდის უზრუნველსაყოფი B... საბანკო გარანტიის სიყალბის აღიარება, ასევე, სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენა.

2.2. აღიარებითი სარჩელის ძირითად საფუძვლებად მხარე, პირველი საბანკო გარანტიის მიმართ, მიუთითებდა მის გაყალბებაზე, ხოლო, მეორე საბანკო გარანტიის სიყალბეს უკავშირებდა იმას, რომ ამგვარი გარანტია საერთოდ არ გაცემულა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულების უზ-

რუნველყოფის თაობაზე. აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესად მხარე ასახელებდა ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლებას, თუკი სასამართლო დააკმაყოფილებდა მას.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა აღიარებითი სარჩელი, სადავო საბანკო გარანტიების სიყალბე აღიარა პრინციპალის მიმართ, ხოლო სამართლებრივი ძალის მქონედ მიიჩნია ბენეფიციარის მიმართ. პრინციპალის მიმართ საბანკო გარანტიის სიყალბე ზემდგომი წესით არ გასაჩივრებულა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შევიდა კანონიერ ძალაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგების ბათილობა თავისთავად არ ნიშნავს განუხორციელებელ მოქმედებას, არამედ, ის წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, თუმცა, არა იმას, რომლის დადგომისკენაც მხარეთა ნება იყო მიმართული. მაგალითად: ნივთის ბათილი განკარგვის დროს ნების ნაკლი/არარსებობა შეიძლება მოგვიანებით გახდეს ცნობილი და მიუხედავად განკარგვისა, ნივთის მიძღები ვერ გახდება უფლების მქონე ამ ნივთზე, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (მაგ: კონდიქცია) ადგენს პირთა რესტიტუციის შესაძლებლობას. საკასაციო პალატა განმარტავს ასევე, რომ სამართალი დასაშვებად მიიჩნევს ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესაძლებლობასაც და ეს ამ ხელშეკრულების სხვა ნაწილების უცილოდ ბათილობას არ იწვევს (იხ. სკ-ის 62-ე მუხლი), თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც დადგინდება სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა (ნების უცილოდ ბათილობა) იგი არ შეიძლება ვინმეს მიმართ ნამდვილად იქნეს მიჩნეული. მიუხედავად ამ მსჯელობისა, პრინციპალის მიმართ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის გამო, შესაბამისი ფაქტები საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი ვეღარ გახდება.

2.4. რაც შეეხება ბენეფიციარის მიმართ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საკითხს, პალატა მიიჩნევს, რომ დოკუმენტის სიყალბისა და სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენის თაობაზე გარანტის სარჩელი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, რადგანაც გარანტს ნეგატიური აღიარებითი მოთხოვნის მიმართ არ გააჩნია იურიდიული ინტერესი:

2.4.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იურიდიული ინტერესის არარსებობის პირობებში აღძრული სარჩელი სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, ამ საკითხის კვლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის ფარგლებში სარჩელის გან-

სახილველად მიღებისას წყდება, თუმცა იმისათვის, რათა შესაძლო დაშვებული ხარვეზი გამოსწორდეს, საპროცესო სამართალი იცნობს წარმოებაში არსებული სარჩელის განუხილველად დატოვების ინსტიტუტსაც, რომელიც საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილითაა მოწესრიგებული. თავად ეს უკანასკნელი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მართალია, ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონიშნაზე მასშია აღნიშნული, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც სახეზე გვაქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულოა, აღიარებით სარჩელში აღინიშნოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის კვლევა განეკუთვნება სამართლის საკითხს და მის დასადგენად მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით, რადგანაც სწორედ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი.

2.4.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს რომელთაც განეკუთვნება შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტის შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის განხილვისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს, არსებობს ზოგადად სარჩელის აღძვრის წინაპირობა და დადებით შემთხვევაში – ხომ არ უნდა აღიძვრას სხვა ტიპის

სარჩელი, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, რაც საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. თუკი ამგვარი წინაპირობები არ არსებობს, მაშინ სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი უნდა უკავშირდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენას, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარებას ან დოკუმენტების სიყალბის დადგენას. ისეთ ვითარებაში, როდესაც სავალდებულოა, მაგალითად, მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, უფლების დაცვის თვალსაზრისით მხოლოდ აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ (იხ. სუსგ №ას-1439-1357-2012, 1 ივლისი, 2013 წელი).

2.4.3. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობისა და სამართლებრივი შეფასებების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ბენეფიციარის სარჩელისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალებად სადავო საბანკო გარანტიების სამართლებრივი ძალის არარსებობის მტკიცების თვალსაზრისით გარანტის მოთხოვნის გამოძრვიცხავი შესაგებელი საკმარისი საშუალება იყო, რომლის ფარგლებშიც საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო მოთხოვნა, შესაბამისად ამისა, მიღწეული სამართლებრივი შედეგის შეგებებული სარჩელის ფარგლებში კვლავ მიღწევა გარანტის იურიდიულ ინტერესს გამოორიცხავს აღიარებითი მოთხოვნის მიმართ.

2.5. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები იურიდიულად არასაკმარისადაა დასაბუთებული, რაც მათი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), ხოლო, ვინაიდან მოსარჩელეს არ გააჩნია მოთხოვნის მიმართ იურიდიული ინტერესი, სარჩელი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

3. სასამართლო ხარჯები:

3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს

ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

3.2. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შეგებებულმა მოსარჩელემ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 5 000 ლარი, სააპელაციო საჩივარზე – 1 400 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 1 750 ლარი. პირველი ინსტანციის სასამართლომ პრინციპალის მიმართ დააკმაყოფილა რა შეგებებული სარჩელი და ამ ნაწილში განსაზღვრა პროცესის ხარჯებიც, გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში (იხ. სამოტივაციო ნაწილის 2.3. პუნქტი), შესაბამისად, ამ ნაწილში აღარ არსებობს სასამართლო ხარჯების განაწილების საფუძველი, ამასთანავე, ვინაიდან 35 000 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში დაკმაყოფილდა კასატორის მოთხოვნა, პალატა თვლის, რომ მოსარჩელეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი ბაჟის – 3 150 ლარის გადახდა.

3.3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 187-ე, 372-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს.ა.“ უფლებამონაცვლეების: სს „ს.ა-ის“, სს „ს.ი-სა“ და სს „ს.ე-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 თებერვლის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი 2011 წლის 12 სექტემბერს გაცემული B... საავანსო გადახდის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების (35 000 ლარის დაკისრება) შესრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. სს „ს.ა-ს“ (უფლებამონაცვლეები: სს „ს.ა.“, სს „ს.ი.“ და სს „ს.ე.“)

შეგებებული სარჩელი დოკუმენტის სიყალბის აღიარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენის თაობაზე დარჩეს განუხილველად, შესაბამისად, გაუქმდეს ამ ნაწილში ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სს „ს.ა.“, სს „ს.ი.“ და სს „ს.ე.“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი ბაჟის – 3 150 ლარის ანაზღაურება, ხოლო შეგებულ სარჩელზე გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. თავდებობა

თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა

ბანკინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-647-647-2018

21 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ძირითად სარჩელში – სოლიდარული პასუხის-
მგებლობის ფარგლებში თანხის გადახდის დაკისრება, იპოთეკის
საგნის სარეალიზაციოდ მიქცევა; შეგებებულ სარჩელებში – სო-
ლიდარული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათი-
ლად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს. ბ-ს“ (შემდეგში: ბანკი, მოსარჩელე, პირველი აპელანტი
ან კასატორი; შეგებებული სარჩელის მოპასუხე) და კლიენტებს –
შპს „ნ. ე-ის“ (შემდეგში: მესამე პირი) და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის, 2010
წლის 14 ივნისს გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესა-
ხებ ხელშეკრულება №514587-517830 (შემდეგში: გსხ-ის შესახებ
ხელშეკრულება).

1.1. ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტით განისაზღვრა ხელ-
შეკრულების საგანი. კერძოდ, 2.1.1 ქვეპუნქტით ხელშეკრულებით
ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით დადგე-
ნილი წესისა და პირობების შესაბამისად: ბანკი იღებს ვალდებუ-
ლებას, ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი გენერალური
საკრედიტო ხაზის ფარგლებში, კლიენტის კონკრეტული მოთ-
ხოვნ(ებ)ის ან/და ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული
სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე და პირობებით მიანიჭოს
კლიენტს შემდეგი საბანკო პროდუქტებით სარგებლობის უფლება
– კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი და დოკუმენტალური
ოპერაციები (დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივი, დოკუ-
მენტალური ინკასო და საბანკო გარანტია);

1.2. ამავე ხელშეკრულების 2.1.2 ქვეპუნქტით კლიენტი იღებს
ვალდებულებას სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრუ-

ლებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებები ამავე ხელშეკრულებით ან/და მათან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესითა და პირობებით; 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე: ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში ბანკის მიერ შეუზღუდავად განიხილება კლიენტის მოთხოვნები საბანკო პროდუქტებით სარგებლობაზე, იმგვარად, რომ, თუკი სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული, მხარეთა შორის არსებული წერილობითი შეთანხმებით, ათვისებული/ასათვისებელი თანხების ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს გენერალური საკრედიტო ხაზის მოცულობას და ამავედროულად, ითვალისწინებდეს კლიენტის მიერ ათვისებული თანხების დაფარვას გენერალური საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის დასრულებამდე;

1.3. ამ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლით ერთიანი საკრედიტო ლიმიტი (მოცულობა) განისაზღვრა 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა მასზე ხელმოწერის დღიდან 120 (ას ოცი) თვე, კრედიტით, საკრედიტო ხაზით და ოვერდრაფტით სარგებლობაზე დადგინდა წლიური საპროცენტო სარგებელი 10%-დან 20%-მდე, დოკუმენტურ ოპერაციებზე – წლიური 3%-დან 12%-მდე;

1.4. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილებად მიიჩნევა №1 და №2 დანართები, რომელთაგან პირველი ასახავს გსკ-ის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, ხოლო მეორე – ამავე ხელშეკრულების დამატებით პირობებს;

1.5. გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების №1 დანართის (სტანდარტულ პირობების) მე-3 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების (მათ შორის, №1 დანართისა და მისი არსებობის შემთხვევაში, №2 დანართის ჩათვლით) ხელმოწერა არ გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე საბანკო პროდუქტით (კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, გარანტიები, აკრედიტივები და სხვა სახის დოკუმენტალური ოპერაციები) სარგებლობის უფლების მინიჭებას. კლიენტისათვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების საკითხს ბანკი განიხილავს კლიენტის მიმართვ(ებ)ის საფუძველზე ბანკში იმ მომენტისათვის არსებული პროცედურებისა და წესების დაცვით. სტანდარტული პირობების 3.1.1.1 ქვეპუნქტის თანახმად, ბანკის ან/და მისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ კრედიტის გაცემის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ბანკი და კლიენტი გააფორმებენ დამატებით ხელშეკრულებას („საკრედიტო ხელშეკრულება“),

რომლითაც განისაზღვრება კრედიტით სარგებლობის კონკრეტული პირობები. 3.1.1.2 ქვეპუნქტი ითვალისწინებს ხელშეკრულების შემდეგ სტანდარტულ პირობას: კრედიტის გაცემა მოხდება შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ან საკრედიტო ხელშეკრულებითვე გათვალისწინებულ ვადაში, იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება ხელშეკრულებით ან/და საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა ბანკისათვის მისაღები ფორმით. საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კრედიტის თანხა შესაძლოა გაიცეს რამდენიმე ტრანშად (ნაწილად) ამავე საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით. კრედიტის თანხა ასევე შესაძლოა გაიცეს ხელშეკრულებაში მითითებულისაგან განსხვავებულ ვალუტაში იმ კურსით, რაც დადგინდება ბანკის ან/და მისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შესაბამისად აისახება საკრედიტო ხელშეკრულებაში.

1.6. გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სტანდარტული პირობები შემდეგი შინაარსისაა: (3.2.1.1) ბანკის ან/და მისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ საკრედიტო ხაზის დამტკიცების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ბანკი და კლიენტი გააფორმებენ დამატებით ხელშეკრულებას („საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება“), რომლითაც განისაზღვრება ამგვარი საკრედიტო ხაზით სარგებლობის კონკრეტული პირობები; (3.2.1.4); მიუხედავად შეთანხმებული პირობებისა, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას – (3.2.1.4.1.) დაანესოს დამატებითი პირობები კლიენტის მიერ მოთხოვნილ კრედიტის თანხების გაცემასთან დაკავშირებით, მათ შორის, დაანესოს კონკრეტული კრედიტის თანხის დაბრუნების ვადები, მიზნობრიობა ან/და სხვა დამატებითი პირობები; (3.2.1.4.2.) ცალმხრივად განაცხადოს უარი საკრედიტო ხაზის ფარგლებში კლიენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადებით გათვალისწინებული კრედიტის თანხების გაცემაზე, მათ შორის, თუკი დარღვეულია ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით (მათ შორის, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით) ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებით დადგენილი პირობები ...

2. ბანკსა და წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ კლიენტს საწარმოებს შორის 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებული გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების ფარგლებში 2010 წლის 14 ივნისს, 16 სექტემბერს, 29 ოქტომბერს, 6 და 15 დეკემბერს, ასევე 2011 წლის 19 მაისს გაფორმდა გსკ-ის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები (ე.წ. №2 დანართები),

მათ შორის, №2-514587-517830-004 დამატებითი პირობები, რომელიც, სხვა ნივთების იპოთეკით დატვირთვასთან ერთად, ითვალისწინებდა კლიენტთა, კერძოდ, წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული საწარმოების ვალდებულებას, უზრუნველყოთ ქ. თბილისში, ..., ე.წ. „...“ უბანში მდებარე, ს. ჩ-ის (მოპასუხე და შეგებებული მოსარჩელე) კუთვნილი უძრავი ნივთების იპოთეკით დატვირთვა.

2.1. უდავოა, რომ 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და მესამე პირს შორის, 2010 წლის 29 ოქტომბერს, გაფორმდა სადაზღვევო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-752794 შემდეგი პირობებით: საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადად განისაზღვრა 120 (ას ოცი) თვე; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 4410 (ოთხი ათას ოთხასათი) აშშ დოლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში; საკრედიტო ხაზის ათვისების ბოლო ვადა – 2020 წლის 13 ივნისი; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი – წლიური 18%; ათვისებულ კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობა განისაზღვრა ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ყოველთვიურ გადახდას; პირგასამტეხლო საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის – ვადაგადაცილებული თანხის წლიური 0,5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის; საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა – სადაზღვევო პრემიის დაფარვა.

2.2. უდავოა, რომ 2010 წლის 14 ივნისის გსკ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ მესამე პირს შორის, 2011 წლის 19 მაისს, გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-901392 შემდეგი პირობებით: საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 19 მაისიდან 4 (ოთხი) თვე; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 29 000 000 (ოცდაცხრა მილიონი) ლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი – წლიური 16,5%; პირგასამტეხლო საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის – ვადაგადაცილებული თანხის წლიური 33%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სხვა

საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირების საკომისიო – რეფინანსირებული თანხის 2%; საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა – №12542473440CD, №1264156026CD ოვერდრაფტების და №791662, №791663, №811084, №743913, №743914 და №832973 სესხების რეფინანსირება. 2011 წლის 19 მაისის საკრედიტო ხაზის №514587-517830-901392 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და მესამე პირს შორის დაიდო ოთხი გარიგება საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დამატებითი პირობების თაობაზე, მათ შორის, 2011 წლის 30 სექტემბრის საკრედიტო ხაზის დამატებითი პირობები დანართი №1-514587-517830-901392-002 და 2012 წლის 31 იანვრის საკრედიტო ხაზის დამატებითი პირობები დანართი №1-514587-517830-901392-003, რომელთაგან პირველის შემთხვევაში 2011 წლის 19 მაისის საკრედიტო ხაზის №514587-517830-901392 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა და ნაცვლად 4 (ოთხი) თვისა განისაზღვრა 2012 წლის 16 იანვრის ჩათვლით, ასევე შეიცვალა აღნიშნული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 4.10 პუნქტის შინაარსი და ის ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით – ათვისებული კრედიტის თანხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობა: კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი დაიფაროს ყოველთვიურად, ხოლო ძირითადი თანხა – 16.01.2012 წელს, ვადაგადაცილებული საპროცენტო სარგებელი დაიფაროს 17.10.2011 წელს; რაც შეეხება მეორე შემთხვევას, კვლავ გაგრძელდა საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადა და ის განისაზღვრა 2012 წლის 5 ივლისამდე, ასევე, კვლავ შეიცვალა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 4.10 პუნქტის შინაარსი და ის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: ათვისებული კრედიტის თანხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობა: კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი დაიფაროს ყოველთვიურად, ხოლო ძირითადი თანხა – ვადის ბოლომდე.

2.3. უდავოა, რომ 2010 წლის 14 ივნისის გსნ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და მესამე პირს შორის, 2012 წლის 5 ნოემბერს, გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-1308029 შემდეგი პირობებით: საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 5 ნოემბრიდან 2012 წლის 30 ნოემბრამდე; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 3 300 000 (სამი მილიონ სამასი ათასი) ლარი; საკრედიტო ხაზის ათვისების ბოლო ვადა – საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის ბოლო თარიღის წინა საბანკო დღე; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი – წლიური 9,5%; პირგასამტეხლო საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და

მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის – ვადაგადაცილებული თანხის წლიური 19%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირების საკომისიო – რეფინანსირებული თანხის 7%.

3. უდავოა, რომ ბანკსა და მის კლიენტ სანარმოებს შორის 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებული გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულებიდან (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების დადების დღესვე – 2010 წლის 14 ივნისს გაფორმდა სოლიდარული თავდებობის სამი ხელშეკრულება:

3.1. ბანკსა და ლ. კ-ძეს (მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, მეორე აპელანტი) შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №514587-517830-გ;

3.2. ბანკსა და ნ. შ-ს (მოპასუხე) შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №514587-517830-ა;

3.3. ბანკსა და ი. ჩ-ს (მოპასუხე და შეგებებული მოსარჩელე) შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №514587-517830-ბ.

3.4. სამივე შემთხვევაში თავდებებმა – ლ. კ-ძემ, ნ. შ-მა და ი. ჩ-მა ერთსა და იმავე დღეს (2010 წლის 14 ივნისს) მიმართეს ბანკს სოლიდარული თავდებობის შესახებ განცხადებებით და მათ განაცხადეს, რომ კისრულობენ ვალდებულებას, ბანკთან შეთანხმებული პირობებით, ბანკის სასარგებლოდ, თავდებად დაუდგნენ ძირითადი ხელშეკრულების (იგულისხმება 2010 წლის 14 ივნისის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულება) მხარეებს, კერძოდ, ბანკის კონტრაჰენტებს – შპს „ნ. ე-ის“ (ამ საქმეში მესამე პირს) და შპს „ნ.რ.გ-ს“.

3.4.1. განცხადებებში თავდებობით უზრუნველყოფილ მოთხოვნებად მითითებულია – ძირითადი ხელშეკრულებიდან ან/და ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ბანკის სასარგებლოდ არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნები არსებული ან/და სამომავლო მოვალეების მიმართ (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად: ნებისმიერი სახის დავალიანება, საკომისიო, პირგასამტეხლო/ჯარიმა და ბანკისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი), ასევე სასამართლოს (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს), აღსრულების და ამგვარი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯი.

3.4.2. სამივე თავდებთან, იმავე დღეს – 2010 წლის 14 ივნისს, ბანკმა გააფორმა ერთი და იმავე შინაარსის მქონე, სამი სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებათა საგანია ბანკის სასარგებლოდ ლ. კ-ის, ნ. შ-ისა და ი. ჩ-ის თავდებობა მოვალეების – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ. სამივე ხელშეკრულებაში თავდებ პირთა პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის ოდენობად მიეთითა 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარი.

4. უდავოა, რომ ბანკსა და ნ. შ-ს შორის 2010 წლის 13 დეკემბერს სანოტარო ფორმის დაცვით დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება №514587-517830-ო (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...). ამ ხელშეკრულების საგანია ნ. შ-ის მხრიდან საკუთარი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვა მოვალეების: შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ. იპოთეკის საგნის მახასიათებლებია: მესაკუთრე – ნ. შ-ი, მისამართი – ქ. თბილისი, ..., ფართი – 232,1 მ², ბინის ნომერი – 3, საკადასტრო კოდი – ... ხელშეკრულების დადების დღისათვის იპოთეკის საგნის ღირებულებად ხელშეკრულებაში მიეთითა 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარი.

5. უდავოა, რომ ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გააფორმა იპოთეკის ხელშეკრულება №514587-517830-ნ (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...). ამ ხელშეკრულების საგანია ს. ჩ-ის მხრიდან საკუთარი უძრავი ნივთების იპოთეკით დატვირთვა მოვალეების – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შეს-

რულებისაკენ. ამ ხელშეკრულების ფარგლებში იპოთეკით დაიტვირთა სხვადასხვა საიდენტიფიკაციო (საკადასტრო) კოდის მქონე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ს. ჩ-ის საკუთრებად რეგისტრირებული შემდეგი შეიდი უძრავი ნივთი: ქ. თბილისში, ... (...) მდებარე 530მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისში, ... მდებარე 901მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით; ქ. თბილისში, მდებარე 1265მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით; ქ. თბილისში, ... („...“) მდებარე 3181მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისში, მდებარე, 301მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისში, ... მდებარე, 1300მ² მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისში („...“) მდებარე 1663მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... ხელშეკრულების დადების დღისათვის ზემოთ დასახელებულ იპოთეკის საგანთა საერთო ღირებულებად ხელშეკრულებაში მიეთითა 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში ბანკში დადგენილი კომერციული კურსით.

6. მხარეთა შორის დავას არ იწვევს, ამასთან, ხელშეკრულების ასლით დადასტურებულია, რომ 2011 წლის 19 მაისს ბანკს – ბანკსა და კლიენტებს – შპს „ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის კვლავ გაფორმდა გსხ-ის შესახებ ხელშეკრულება №GCL000000621. აღნიშნული ხელშეკრულება იგივე მხარეებს შორის ჯერ კიდევ 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებულ გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების შინაარსისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ უკანასკნელი გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების ერთიანი საკრედიტო ლიმიტი (მოცულობა) განისაზღვრა 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარით.

6.1. უდავოა, რომ 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და შპს „ე-ის“ შორის, 2012 წლის 5 აპრილს, გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000001782-1122705 შემდეგი პირობებით: საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადად განისაზღვრა პერიოდი 2012 წლის 5 აპრილიდან 2012 წლის 18 ივნისამდე; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარი; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი – წლიური 16,5%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში კრედიტის თანხის ათვისების საკომისიო – 0,5%; პირგასამტეხლო საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპრო-

ცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის – ვადაგადაცილებული თანხის წლიური 33%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირების საკომისიო – რეფინანსირებული თანხის 7%; საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა – საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება.

6.2. უდავოა, რომ 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის, 2012 წლის 29 ივნისს, გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000002109-1198366 შემდეგი პირობებით: კრედიტის გაცემის დროდ განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღე; კრედიტის მოქმედების ვადა – 60 (სამოცი) თვე; კრედიტის მოცულობა და ვალუტა – 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი – წლიური 15%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში კრედიტის თანხის ათვისების საკომისიო – 0,5%; პირგასამტეხლო საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის – ვადაგადაცილებული თანხის წლიური 30%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირების საკომისიო – რეფინანსირებული თანხის 7%; საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა – №901392 და №1122705 კრედიტების ვადაგადაცილებული კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს რეფინანსირება. ხელშეკრულებას თან ერთვის მხარეთა შორის შეთანხმებული შპს „ნ. ე-ის“ კრედიტის დაფარვის გრაფიკი.

6.3. უდავოა, რომ 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000002296-1246453 შემდეგი პირობებით: საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადად განისაზღვრა პერიოდი – 2012 წლის 23 აგვისტოდან 2012 წლის 30 ნოემბრამდე; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 3 450 000 (სამი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი – წლიური 9,5%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში კრედიტის თანხის ათვისების საკომისიო – 0,5%; პირგასამტეხლო საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე

დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის – ვადაგადაცილებული თანხის წლიური 19%; საკრედიტო ხაზის ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირების საკომისიო – რეფინანსირებული თანხის 7%; საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა – საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება და კრედიტორული დავალიანების დაფარვა. ხელშეკრულებას თან ერთვის მხარეთა შორის შეთანხმებული, შპს „ნ. ე-ის“ კრედიტის დაფარვის გრაფიკი.

7. მხარეთა შორის დავას არ ინვესს და ამასთან საქმეში წარმოდგენილი საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული გარიგებების, ბენეფიციარის მოთხოვნების ამსახველი წერილების, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 9 ივლისს №2/4054-14 საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლებით დადასტურებულია ის გარემოებები, რომ 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკმა პრინციპალ შპს „ნ. ე-ის“ კრედიტორების (ბენეფიციარების) სასარგებლოდ გასცა საბანკო გარანტიები და მათ საფუძველზე, ბენეფიციართა სასარგებლოდ, ბანკმა ჯამში 12 360 169,21 (თორმეტი მილიონ სამას სამოცი ათას ას სამოცდაცხრა ლარი და ოცდაერთი თეთრი) ლარი გადაიხადა.

8. უდავოა, რომ ბანკსა და კლიენტებს – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულებიდან და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ორი ხელშეკრულება:

8.1. ბანკსა და ნ. შ-ს შორის 2011 წლის 19 მაისის დაიდო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №CAS000000624;

8.2. ბანკსა და ლ. კ-ძეს შორის 2011 წლის 12 ივლისის დაიდო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №CAS000000830;

8.3. ორივე შემთხვევაში თავდებებმა – ნ. შ-მა, 2011 წლის 19 მაისს, და ლ. კ-ძემ, 2011 წლის 12 ივლისს, ბანკს მიმართეს სოლიდარული თავდებობის შესახებ განცხადებებით და დაადასტურეს, რომ კისრულობენ ვალდებულებას, ბანკთან შეთანხმებული პირობებით, ბანკის სასარგებლოდ, თავდებებად დაუდგენნ ძირითადი ხელშეკრულების (იგულისხმება 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულება) მხარეებს, კერძოდ, ბანკის კონტრაჰენტებს – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ს“. განცხადებებში თავდებობით უზრუნველყოფილ მოთხოვნებად მითითებულია – ძი-

რითადი ხელშეკრულებიდან ან/და ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ბანკის სასარგებლოდ არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნები არსებული ან/და სამომავლო მოვალეების მიმართ (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად: ნებისმიერი სახის დავალიანება, საკომისიო, პირგასამტეხლო/ჯარიმა და ბანკისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი), ასევე – სასამართლოს (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს), აღსრულების და ამგვარი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯი.

8.4. ბანკმა, 2011 წლის 19 მაისს, თავდებ ნ. შ-თან, ხოლო 2011 წლის 12 ივლისს, ლ. კ-ძესთან გააფორმა ერთი და იმავე შინაარსის მქონე, სოლიდარული თავდებობის ორი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებათა საგანია ბანკის სასარგებლოდ ნ. შ-ისა და ლ. კ-ძის თავდებობა მოვალეების – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ. ორივე ხელშეკრულებაში თითოეული თავდები პირის პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის ოდენობად მიეთითა 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარი.

8.5. უდავოა, რომ ბანკსა და ნ. შ-ს შორის 2011 წლის 29 ივნისს სანოტარო ფორმის დაცვით დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება №CAH000000769 (ნოტარიუსი ი. შ-ძე, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...). ამ ხელშეკრულების საგანია ნ. შ-ის მხრიდან საკუთარი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვა მოვალეების – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ. იპოთეკის საგნის მახასიათებლებია: მესაკუთრე – ნ. შ-ი, მისამართი – ქ. თბილისი, ..., ფართი – 232,1მ², ბინის ნომერი – 3, საკადასტრო კოდი – ...; ხელშეკრულების დადების დღისათვის იპოთეკის საგნის ღირებულებად ხელშეკრულებაში მიეთითა 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარი.

9. სარჩელის საფუძვლები

9.1. ბანკმა 2012 წლის 31 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუ-

ხეების: შპს „ნ.რ.გ-ის“, შპს „ლ-ნ“-ის, ნ. შ-ის, ლ. კ-ძის, ი. ჩ-ის, ს. ჩ-ის და შპს „ნ. ე-ის“ წინააღმდეგ. ბანკმა 2013 წლის 17 ივლისს დაზუსტებული სარჩელი წარადგინა იმავე შვიდი მოპასუხის წინააღმდეგ, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 თებერვლის მოსამზადებელ სხდომაზე დაზუსტებული სარჩელი წარადგინა ექვსი მოპასუხის: შპს „ნ. ე-ის“, შპს „ნ.რ.გ-ის“, ნ. შ-ის, ლ. კ-ძის, ი. ჩ-ის და ს. ჩ-ის წინააღმდეგ, შესაბამისად, სასამართლომ 5-დღიანი ვადა განუსაზღვრა მოპასუხეებს დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებლების წარსადგენად. ამის შემდეგ მოსარჩელე ბანკის წარმომადგენელმა 16.02.2015წ. განცხადება წარადგინა სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნის გამოხმობის თაობაზე შპს „ლ-ნ“-ის წინააღმდეგ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში და საქმეში მესამე პირად შპს „ნ. ე-ის“ ჩაბმის თაობაზე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, იმ დასაბუთებით, რომ ეს საწარმო არის ერთ-ერთი ძირითადი მოვალე და მისი დავალიანებიდან გამომდინარე ბანკი ითხოვს სხვა მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრებას და უზრუნველყოფილი ქონებების რეალიზაციას. მოსარჩელე ბანკის განცხადება დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.05.2016წ. საოქმო განჩინებით. მოსარჩელის მიერ ადრე დასახელებულ მოპასუხეთაგან შპს „ნ. ე-ი“ საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 89-ე მუხლის თანახმად, რადგან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი პირის მიმართ.

9.2. საბოლოოდ, ბანკის სასარჩელო მოთხოვნები ხუთი მოპასუხის: შპს „ნ.რ.გ-ის“, ნ. შ-ის, ლ. კ-ძის, ი. ჩ-ის და ს. ჩ-ის წინააღმდეგ შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

9.2.1. ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის, 2010 წლის 29 ოქტომბერს, გაფორმებული სადაზღვევო საკრედიტო ხაზის №514587-517830-752794 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, მოპასუხეთაგან: ლ. კ-ძისათვის, ნ. შ-ისათვის, ი. ჩ-ისათვის და შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად 2667,61 (ორი ათას ექვსას სამოცდაშვიდი დოლარისა და ცენტის) აშშ დოლარის გადახდის დაკისრება;

9.2.2. ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის, 2011 წლის 19 მაისს, გაფორმებული საკრედიტო ხაზის №514587-517830-901392 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, მოპასუხეთაგან: ლ. კ-ძისათვის, ნ. შ-ისათვის, ი. ჩ-ისათვის და შპს „ნ. რ. გ-ისათვის“ სოლიდარულად 21 619 460,39 (ოცდაერთი მილიონ ექ-

ვსას ცხრამეტი ათას ოთხას სამოცი ლარისა და ოცდაცხრამეტი თეთრის) ლარის გადახდის დაკისრება;

9.2.3. ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის, 2012 წლის 5 ნოემბერს, გაფორმებული საკრედიტო ხაზის №514587-517830-1308029 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ მოპასუხეთაგან: ლ. კ-ძისათვის, ნ. შ-ისათვის, ი. ჩ-ისათვის და შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად 3 253 703,53 (სამი მილიონ ორას ორმოცდაცამეტი ათას შვიდას სამი ლარისა და ორმოცდაცამეტი თეთრის) ლარის გადახდის დაკისრება;

9.2.4. აღნიშნულ დავალიანებათა დაფარვის მიზნით, 2010 წლის 13 დეკემბერს, ბანკსა და ნ. შ-ს შორის დადებული №514587-517830-ო იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხე ნ. შ-ის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... მდებარე, იპოთეკით დატვირთული, 232,1მ² ფართის მქონე №3 ბინის (საკადასტრო კოდი ...) სარეალიზაციოდ მიქცევა. იგივე მიზნით, 2010 წლის 14 დეკემბერს, ბანკსა და ს. ჩ-ს შორის დადებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხე ს. ჩ-ის საკუთრებაში არსებული, შემდეგი საკადასტრო კოდებით იდენტიფიცირებადი უძრავი ნივთების სარეალიზაციოდ მიქცევა: ...; ...; ...; ...; ...; ... და ... იმ შემთხვევისათვის, თუ იპოთეკის საგანთა რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა სრულად ვერ დაფარავს წინამდებარე განჩინების 9.2.1-9.2.3 პუნქტებში ასახულ მოთხოვნებს, მათი სრულყოფილად დაკმაყოფილების მიზნით, ლ. კ-ძის, ნ. შ-ის, ი. ჩ-ის და შპს „ნ.რ.გ-ის“ საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა;

9.2.5. ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის, 2012 წლის 5 აპრილს, გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000001782-1122705 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, მოპასუხეთაგან: ლ. კ-ძისათვის, ნ. შ-ისათვის და შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად 1 495 350,45 (ერთი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას სამას ორმოცდაათი ლარისა და ორმოცდახუთი თეთრის) ლარის გადახდის დაკისრება;

9.2.6. ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის, 2012 წლის 29 ივნისს, გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000002109-1198366 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, მოპასუხეთაგან: ლ. კ-ძისათვის, ნ. შ-ისათვის და შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად 2 001 138,07 (ორი მილიონ ათას ას ოცდათვრამეტი ლარისა და შვიდი თეთრის) ლარის გადახდის დაკისრება;

9.2.7. ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000002296-1246453 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ,

მოპასუხეთაგან: ლ. კ-ძისათვის, ნ. შ-ისათვის და შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად 3 456 003,27 (სამი მილიონ ოთხას ორმოცდათექვსმეტი ათას სამი ლარისა და ოცდაშვიდი თეთრის) ლარის გადახდის დაკისრება;

9.2.8. პრინციპალის შპს „ე-ის“ შეუსრულებელ ვალდებულებათა გამო ბანკის მიერ განაღდებული საბანკო გარანტიების ანგარიშში, ბანკის სასარგებლოდ, მოპასუხეთაგან: ლ. კ-ძისათვის, ნ. შ-ისათვის და შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად 12 360 169,21 (თორმეტი მილიონ სამას სამოცი ათას ას სამოცდაცხრა ლარისა და ოცდაერთი თეთრის) ლარის გადახდის დაკისრება.

9.2.9. წინამდებარე განჩინების 9.2.5-9.2.8 პუნქტებში მითითებულ დავალიანებათა დაფარვის მიზნით, 2011 წლის 29 ივნისს, ბანკსა და ნ. შ-ს შორის დადებული №CAH000000769 იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხე ნ. შ-ის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... მდებარე, იპოთეკით დატვირთული, 232,1მ² ფართის მქონე №3 ბინის (საკადასტრო კოდი ...) სარეალიზაციოდ მიქცევა. იმ შემთხვევისათვის, თუ იპოთეკის საგანთა რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა სრულად ვერ დაფარავს 9.2.5-9.2.8 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათი სრულყოფილად დაკმაყოფილების მიზნით, ლ. კ-ძის, ნ. შ-ის და შპს „ნ.რ.გ-ის“ საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

9.2.10. მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში გათვალისწინებულ საფუძველზე დაყრდნობით გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

9.2.11. ბანკსა და ი. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 ივნისს დადებული სოლიდარული თავდებობის №514587-517830-ბ ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

9.2.12. ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს დადებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

9.2.13. ბანკსა და ლ. კ-ძეს შორის 2010 წლის 14 ივნისს დადებული სოლიდარული თავდებობის №514587-517830-გ ხელშეკრულებისა და 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული სოლიდარული თავდებობის №გას000000830 ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

10. მოპასუხეთა შესაგებლების შესახებ

10.1. მოპასუხეთაგან: ნ. შ-ს და შპს „ნ.რ.გ-ს“ არც შესაგებლებით მიუმართავთ სასამართლოსთვის და არც დავის არსებით განხილვაში მიუღიათ მონაწილეობა.

10.2. მოპასუხეთაგან ლ. კ-ძემ, ი. ჩ-მა და ს. ჩ-მა არ ცნეს სარჩელი. ლ. კ-ძეს და ი. ჩ-ს მიაჩნიათ, რომ სარჩელში გადმოცემული ფაქ-

ტობრივი გარემოებების სათანადო სამართლებრივი შეფასების პირობებში არ არსებობს მათ მიმართ სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები.

10.3. ს. ჩ-ის მტკიცებით, ბანკის სარჩელი უსაფუძვლოა და მის წინააღმდეგ, როგორც იპოთეკის საგნის მესაკუთრის, წარდგენილი მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

11. მოპასუხეთა შეგებებული სარჩელი და მოპასუხე ბანკის პოზიცია

11.1. მოპასუხებმა – ლ. კ-ემ, ი. ჩ-მა და ს. ჩ-მა შეგებებული სარჩელები აღძრეს ბანკის წინააღმდეგ და მიუთითეს, რომ თუ მათ შესაგებლებში ჩამოყალიბებული მსჯელობა და მტკიცება არ იქნებოდა გაზიარებული სასამართლოს მიერ, მაშინ თითოეულ მათგანთან დადებული ხელშეკრულებების (შესაბამისად – სოლიდარული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების) ბათილად ცნობის საფუძვლები არსებობს, რასაც მოითხოვენ შეგებებულ სარჩელების დაკმაყოფილების გზით.

11.2. შეგებებულ სარჩელთა მოპასუხე ბანკმა არ სცნო მის წინააღმდეგ ლ. კ-ის, ი. ჩ-ისა და ს. ჩ-ის მხრიდან აღძრული შეგებებული სასარჩელო მოთხოვნები, რადგან მიაჩნია, რომ არ არსებობს სადავო ხელშეკრულებათა ბათილობის განმაპირობებელი გარემოებები.

12. მესამე პირის პოზიცია

12.1. მესამე პირს – შპს „ნ. ე-ის“ მიაჩნია, რომ არ არსებობს ბანკის სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ბანკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

13.1.1. მოპასუხეთაგან ლ. კ-ეს და ნ. შ-ს, როგორც სოლიდარულ თავდებებს, 2010 წლის 29 ოქტომბერს ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული სადაზღვევო საკრედიტო ხაზის №514587-517830-752794 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 2 667,61 (ორიათას ექვსას სამოცდაშვიდი დოლარისა და სამოცდაერთი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა;

13.2. ბანკის სასარჩელო მოთხოვნა მასსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის, 2010 წლის 29 ოქტომბერს, გაფორმებული სადაზღვევო საკრედიტო ხაზის №514587-517830-752794 ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხეთაგან: შპს „ნ.რ.გ-ისა“ და ი. ჩ-ისათვის, სოლიდა-

რულად, თანხის გადახდის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა;

13.3. მოპასუხეთაგან ლ. კ-ძეს და ნ. შ-ს, როგორც სოლიდარულ თავდებებს, 2011 წლის 19 მაისს, ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №514587-517830-901392 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 21 619 460,39 (ოცდაერთი მილიონ ექვსას ცხრამეტი ათას ოთხას სამოცი ლარი და ოცდაცხრამეტი თეთრი) ლარის გადახდა;

13.4. ბანკს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, 2011 წლის 19 მაისს, მასსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №514587-517830-901392 ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხეთაგან შპს „ნ.რ.გ-ისა“ და ი. ჩ-ისათვის სოლიდარულად თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

13.5. მოპასუხეთაგან ლ. კ-ძეს და ნ. შ-ს, როგორც სოლიდარულ თავდებებს, 2012 წლის 5 ნოემბერს, ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №514587-517830-1308029 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 3 253 703,53 (სამი მილიონ ორას ორმოცდაცამეტი ათას შვიდას სამი ლარისა და ორმოცდაცამეტი თეთრის) ლარის გადახდა;

13.6. ბანკს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, 2012 წლის 5 ნოემბერს, მასსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №514587-517830-1308029 ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხეთაგან შპს „ნ.რ.გ-ისა“ და ი. ჩ-ისათვის სოლიდარულად თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

13.7. ბანკს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხე ს. ჩ-ის კუთვნილი უძრავი ნივთების სარეალიზაციოდ მიქცევის შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

13.8. მოპასუხეთაგან ლ. კ-ძეს და ნ. შ-ს, როგორც სოლიდარულ თავდებებს, 2012 წლის 5 აპრილს ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000001782-1122705 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 1 495 350,45 (ერთი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას სამას ორმოცდაათი ლარისა და ორმოცდახუთი თეთრის) ლარის გადახდა;

13.9. ბანკს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, 2012 წლის 5 აპრილს, მასსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000001782-1122705 ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხეთაგან შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად

თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

13.10. მოპასუხეთაგან ლ. კ-ძეს და ნ. შ-ს, როგორც სოლიდარულ თავდებებს, 2012 წლის 29 ივნისს, ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000002109-1198366 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 2 001 138,07 (ორი მილიონ ათას ას ოცდათვრამეტი ლარისა და შვიდი თეთრის) ლარის გადახდა;

13.11. ბანკს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, 2012 წლის 29 ივნისს, მასსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000002109-1198366 ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხეთაგან შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

13.12. მოპასუხეთაგან ლ. კ-ძეს და ნ. შ-ს, როგორც სოლიდარულ თავდებებს, 2012 წლის 23 აგვისტოს, ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000002296-1246453 ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე ბანკის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 3 456 003,27 (სამი მილიონ ოთხას ორმოცდათექვსმეტი ათას სამი ლარისა და ოცდამეტი თეთრის) ლარის გადახდა;

13.13. ბანკს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, 2012 წლის 23 აგვისტოს, ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის №GCLCLA000002296-1246453 ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხეთაგან შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ სოლიდარულად თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

13.14. მოპასუხეთაგან ლ. კ-ძეს და ნ. შ-ს, როგორც სოლიდარულ თავდებებს, ბანკის მიერ პრინციპალ შპს „ნ. ე-ის“ შეუსრულებელ ვალდებულებათა გამო განაღდებული საბანკო გარანტიების ანგარიშში, ბანკის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 12 360 169,21 (თორმეტი მილიონ სამას სამოცი ათას ას სამოცდაცხრა ლარისა და ოცდაერთი თეთრის) ლარის გადახდა;

13.15. ბანკს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მის მიერ პრინციპალ შპს „ნ. ე-ის“ შეუსრულებელ ვალდებულებათა გამო განაღდებულ საბანკო გარანტიების ანგარიშში, მოპასუხეთაგან შპს „ნ.რ.გ-ისათვის“, როგორც სოლიდარული მოვალისათვის, თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

13.16. ამავე გადაწყვეტილებით სარეალიზაციოდ მიექცა ქ. თბილისში, ... მდებარე, ნ. შ-ის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული, 232,1მ² ფართის მქონე №3 ბინა (საკადასტრო კოდი ...).

13.17. ი. ჩ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა:

13.17.1. ბათილად იქნა ცნობილი ბანკსა და ი. ჩ-ს შორის, 2010

ნლის 14 ივნისს, დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №514587-517830.

13.18. ს. ჩ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა:

13.18.1. ბათილად იქნა ცნობილი ბანკსა და ს. ჩ-ს შორის, 2010 წლის 14 დეკემბერს, დადებული იპოთეკის ხელშეკრულება №514587-517830-ს.

13.19. ლ. კ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13.20. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა გადაწყვეტილების აღსრულების წესი – ქ. თბილისში, ... მდებარე, ნ. შ-ის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული, 232,1მ² ფართის მქონე №3 ბინის (საკადასტრო კოდი ...) რეალიზაციის შემდეგ, ამგვარი რეალიზაციის შედეგად შემცირებული, კრედიტორი ბანკის დარჩენილი მოთხოვნის აღსრულების მიზნით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გამონაკლისის გათვალისწინებით, დასაშვებია სოლიდარული თავდებების: ლ. კ-სა და ნ. შ-ის ნებისმიერი უძრავ-მოდრავი ქონების რეალიზაცია;

13.21. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელე ბანკის ყველა დაკმაყოფილებული მოთხოვნისა და გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრის ნაწილებში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

13.22. საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ნინამდებარე განჩინების 1-8.6 ქვეპუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და შემდეგი სადავო გარემოებები გამოარკვია:

13.22.1. ამონაწერებით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დადასტურებულია, რომ შპს „ნ. ე-ის“ ჰყავს ორი პარტნიორი, რომელთაგან ერთია ნ. შ-ი – 30%-იანი წილით საწარმოში, ხოლო მეორეა ლ. კ-ძე – 70%-იანი წილით.

13.22.2. ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან დადასტურებულია, რომ ნ. შ-ის საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. თბილისში, ... მდებარე სახლის მე-5 სართულზე განთავსებული ბინა №3 ფართით 232,1მ² (საკადასტრო კოდი ...) სამი იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე დატვირთულია იპოთეკით. ორ შემთხვევაში იპოთეკარს წარმოადგენს განსახილველ დავაში მოსარჩელე ბანკი და ამგვარი უფლებრივი ტვირთის რეგისტრაციის საფუძველს განაპირობებს მოსარჩელე ბანკსა და ნ. შ-ს შორის 2010 წლის 13 დეკემბერს და 2011 წლის 29 ივნისს დადებული №514587-517830-ო (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) და №CAH000000769 (ნოტარიუსი ი. შ-ძე, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) იპოთეკის ხელშეკრულებები.

13.22.3. ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან დადასტურებულია

ლია, რომ მოსარჩელე ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულების (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) საფუძველზე იპოთეკა რეგისტრირებული ს. ჩ-ის კუთვნილ შემდეგ უძრავ ნივთებზე: ქ. თბილისი, ... („...“) – 530მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისი, ..., 901მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისი, ..., 1265მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისი, ... „...“/თბილისი, ..., 3181მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, საკადასტრო კოდით ...; თბილისი, ... 301მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ...; თბილისი, ..., 1300მ² მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, საკადასტრო კოდით ...; ქ. თბილისი, ... („...“), 1663მ² ფართის მქონე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით ...

13.22.4. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულება (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) არაა დამონმებული სანოტარო წესით, რადგან სანოტარო აქტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს გარიგების სანოტარო ფორმის დაცვით დადებას, არ ასახავს რეალობას – ყალბია. სასამართლოს მიერ ამგვარი ფაქტობრივი გარემოების არსებობის თაობაზე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე ს. ჩ-ის ახსნა-განმარტებასთან და მოწმე ც. ჩ-ის ჩვენებასთან ერთად, განაპირობა მოწმის სახით დაკითხული, დასახელებული ხელშეკრულების 2010 წელის დამონმებელი, იმხანად მოქმედი ნოტარიუსის პ. შ-ას ჩვენებამაც, რომლის თანახმად:

ა) სანოტარო აქტში გადმოცემული შინაარსის თანახმად, ს. ჩ-მა და მოსარჩელე ბანკის წარმომადგენელმა ვ. ხ-მა მიმართეს ნოტარიუს პ. შ-ას სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ... სანოტარო აქტის ამგვარი შინაარსის მქონე ტექსტის მიუხედავად, პ. შ-ამ განმარტა, რომ ხელშეკრულების მხარეები არ გამოცხადებულან თბილისში, ... №3 მდებარე სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსი თვითონ ეწვია ს. ჩ-ს სახლში, რომელიც მდებარეობს ..., ე.წ. „...“ უბანში;

ბ) სანოტარო აქტი დათარიღებულია 2010 წლის 14 დეკემბრით. მოწმე პ. შ-ამ ზუსტად ვერ გაიხსენა წელიწადის – 2010 წლის რადროს განხორციელდა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმება, თუმცა, მისი განმარტების თანახმად იმდენად ცხელოდა, რომ სანოტარო მოქმედება შესრულდა ს. ჩ-ის ეზოში, ე.წ. „ბესეტკაში“;

გ) სასამართლოს შეფასებით, სანოტარო აქტში დაფიქსირებული იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მხარეები ერთდროულად გამოცხადდნენ ნოტარიუსთან, მან მხარეებს წაუკითხა და განუმარტა ხელშეკრულების შინაარსი და მასზე ხელმოწერების სამართლებრივი შედეგები და ამის შემდეგ მხარეებმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ნოტარიუსის თანდასწრებით; ცხადი ხდება, რომ სანოტარო აქტის შინაარსის შესაბამისად, ხელშეკრულების მხარეებს ერთდროულად უნდა განეხორციელებინათ ხელმოწერები. თუმცა, მოწმე პ. შ-ამ ამ გარემოების საპირისპიროდ განმარტა, რომ ს. ჩ-თან სახლში სტუმრობისას იპოთეკის ხელშეკრულება ბანკის წარმომადგენლის მხრიდან უკვე ხელმოწერილი იყო;

დ) სანოტარო აქტის შინაარსის თანახმად, ნოტარიუსმა დაადგინა მხარეთა ნების გამოხატვის ნამდვილობა, შეამოწმა მათი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება, რის შემდეგაც შეადგინა იპოთეკის ხელშეკრულება. თავის მხრივ, პ. შ-ამ განმარტა, რომ საბანკო პრაქტიკის შესაბამისად, ხელშეკრულების შედგენა ხდება ბანკის თანამშრომლის მიერ, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, ნოტარიუსს არ შეუდგენია ხელშეკრულება და მან მხოლოდ სანოტარო აქტის სახე მისცა ხელშეკრულებას;

ე) სანოტარო აქტის თანახმად, ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა და განუმარტა ხელშეკრულების შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. სანოტარო აქტის ამ შინაარსთან მიმართებით მოწმე პ. შ-ამ განმარტა, რომ ხელშეკრულება არ წაუკითხავს ს. ჩ-ისათვის და არც მისი შინაარსი განუმარტავს, რადგან ინფორმირებული იყო ს. ჩ-ის მეუღლე – ც. ჩ-ი და ს. ჩ-თან დამატებითი კომუნიკაციის და ახსნა-განმარტების საჭიროება აღარ არსებობდა;

ვ) მოწმე პ. შ-ამ ვერ ამოიცნო დარბაზში მყოფი ს. ჩ-ი.

ზ) მოწმე ც. ჩ-მა განმარტა, რომ მან 2010 წლის დეკემბერში დაურეკა მეუღლეს – ს. ჩ-ს, აცნობა, რომ მასთან სახლში მივიდოდნენ ბანკის წარმომადგენლები, რომლებიც მიიტანდნენ გარკვეულ დოკუმენტებს და სთხოვა მათზე ხელმოწერა;

თ) თავად ს. ჩ-მა განმარტა, რომ ის მოქმედებდა მეუღლის – ც. ჩ-ის თხოვნით. ს. ჩ-ს, მისივე მეუღლისაგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 2010 წლის დეკემბერში ესტუმრა ორი პირი და ხელმოსაწერად წარუდგინეს გარკვეული დოკუმენტები. ს. ჩ-მა მეუღლესთან სატელეფონო საუბრით კვლავ გადაამოწმა, თუ როგორ ემოქმედა, რაზედაც ც. ჩ-მა განუმარტა, რომ ეს იყო გარკვეული ფორმალობა და ხელი მოეწერა. ს. ჩ-ს არავინ გასცნობია ნოტარიუსად, არავის არაფერი განუმარტავს და აუხსნია მისთვის, მეუღ-

ლის სურვილით, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე, მოაწერა ხელი ხელშეკრულებას.

13.23. ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დადასტურებულია, რომ ი. ჩ-ი და ნ. შ-ი არიან შპს „ბ-ას“ (ს/კ ...) სანესდებო კაპიტალში წილთა მესაკუთრენი, მათ შორის, ი. ჩ-ის წილი შეადგენს 23%-ს, ხოლო ნ. შ-ის წილია – 20%.

13.24. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეები ბანკის სასარჩელო მოთხოვნებს არ ეთანხმებიან და უარყოფენ არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების, იმგვარ სამართალურთიერთობათა არარსებობის მოტივით, რაც აუცილებელია მოპასუხეთათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სასამართლომ განმარტა, რომ ბანკის სასარჩელო მოთხოვნათა მოცულობის, სარჩელით მოთხოვნილი თანხების რაოდენობრივი კუთხით სარჩელი სადავო არ გამხდარა. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 9 ივლისს სარჩელის ცნობის საფუძველზე დააკმაყოფილა ბანკის სარჩელი და მოპასუხეს, თავად მოვალისავე განცხადების საფუძველზე დაწყებული წარმოების გამო, გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფ შპს „ნ. ე-ის“ (განსახილველი დავის მესამე პირს) ბანკის სასარგებლოდ, განსახილველ დავაში მითითებული საკრედიტო ურთიერთობების ფარგლებში, ჯამში 48 256 567,46 (ორმოცდარვა მილიონ ორას ორმოცდათექვსმეტი ათას ხუთას სამოცდაშვიდი ლარისა და ორმოცდაექვსი თეთრის) ლარის გადახდა დააკისრა (ამ თანხით ბანკი კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში გათვალისწინებული იქნა კრედიტორად). ამ გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია მოთხოვნილი თანხების რაოდენობის განმსაზღვრელი ყველა ციფრი, მათი დაანგარიშების სისწორე.

13.25. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ:

13.25.1. ზოგადზნეობრივ ნორმებთან გარიგების შეუთავსებლობის გამო უნდა დაკმაყოფილდეს მოპასუხე ი. ჩ-ის შეგებებული სარჩელი, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას მოსარჩელე ბანკის წინაშე;

13.25.2. ასევე, უნდა დაკმაყოფილდეს მოპასუხე ს. ჩ-ის შეგებებული სარჩელი, რადგან მის მიერ სადავოდ ქცეული იპოთეკის ხელშეკრულება, როგორც სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული გარიგება, ბათილია. ეს კი ბანკის სარჩელს იმ მოთხოვნის ნაწილში, რომლითაც ს. ჩ-ის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია არის მოთხოვნილი, უსაფუძვლო პრეტენზიად აქცევს.

13.25.3. ბანკის სარჩელი იმ მოთხოვნის ნაწილში, რომლითაც ის ითხოვს მის სასარგებლოდ მოპასუხე „შპს ნ.რ.გ-ისათვის“ თანხის გადახდის დაკისრებას, დაუსაბუთებელია, რადგან არ დადასტურდა „შპს ნ.რ.გ-ის“ მხრიდან საბანკო პროდუქტებით სარგებლობის ფაქტი და ამასთან არ არსებობს ხელშეკრულება, რომლითაც აღნიშნული მოპასუხე პასუხისმგებლობას აიღებდა შპს „ნ. ე-ის“ მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

13.25.4. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან მისი მხრიდან სადავოდ ქცეული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს და ამასთან, დადასტურდა ყველა ის გარემოება, რაც შესაძლებელს ხდის ლ. კ-ძის მხრიდან სოლიდარული თავდებობის ჩრილში ბანკის სასარგებლოდ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით თანხების გადახდის ამ მოპასუხისათვის დაკისრებას;

13.25.5. მოპასუხე ნ. შ-იც, მსგავსად ლ. კ-ძისა, ვალდებულია შეასრულოს თავდებობის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები;

13.26.6. ასევე დასაბუთებულია ბანკის სარჩელი, რომლითაც ის ითხოვს ნ. შ-ის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციას.

13.27. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 891-ე მუხლით, 893-ე მუხლით, 54-ე მუხლით; ასევე – განსახილველი დავის ჩრილში გადასაწყვეტი სადავო ურთიერთობის წარმოშობისათვის მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით; მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით, 115-ე მუხლით; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით; სსკ-ის 72-ე მუხლით და 73-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, 894-ე-896-ე მუხლებით, 286-ე, 289-ე და 301-ე მუხლების პირველი ნაწილებით, 68-ე მუხლით, 69-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 289-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 59-ე მუხლით.

13.28. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ხოლო 317-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარ-

და იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულიად მიიჩნევა, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ხოლო არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

13.29. საქალაქო სასამართლომ განმარტა: განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბანკსა და კლიენტებს – შპს „ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის, 2010 წლის 14 ივნისს გაფორმდა გსხ-ის შესახებ ხელშეკრულება №514587-517830, ხოლო 2011 წლის 19 მაისს – იმავე მხარეებს შორის კვლავ გაფორმდა გსხ-ის შესახებ ხელშეკრულება №GCL000000621. ასევე დადგენილია, რომ ამ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებათა ფარგლებში ბანკთან სათანადო ხელშეკრულებები გააფორმა და საბანკო პროდუქტებით ისარგებლა მხოლოდ შპს „ნ. ე-იმ“.

13.30. არც ერთ ამ ხელშეკრულებაში არაა მითითებული, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია კლიენტთაგან ერთ-ერთს იმ შემთხვევისათვის, როდესაც მათგან მხოლოდ ერთი ისარგებლებს გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ურთიერთობის ფარგლებში ბანკისაგან შეთავაზებული საბანკო პროდუქტებით – კრედიტით, საკრედიტო ხაზით, ოვერდრაფტით ან დოკუმენტალური ოპერაციებით (დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივით, დოკუმენტალური ინკასოთი ან საბანკო გარანტიით). საქმეში არ მოიპოვება იმგვარი გარჩევა, რომელიც დაადასტურებდა ბანკს, შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის ისეთ არსებით პირობაზე შეთანხმებას, რომელიც შპს „ნ. ე-ის“ მხრიდან რომელიმე საბანკო პროდუქტით ისარგებლობისას განსაზღვრავდა შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებათა არსს, მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობის საფუძველს და ფარგლებს. ხელშეკრულების ამგვარ არსებით პირობაზე შეთანხმებლობის პირობებში ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ პირად (კლიენტად) შპს „ნ.რ.გ-ის“ მითითება, ვერ გამოდგება მის მიმართ იმ შეუსრულებელ ვალდებულებათა შესრულებაზე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ გარემოებად, რომელიც გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ წარმოიშვა მხოლოდ ბანკსა და შპს „ე-ის“ შორის დადებული საკრედიტო ხაზის, სადაზღვევო საკრედიტო ხაზის თუ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების საფუძველზე. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელი ყველა იმ მოთხოვნის ნაწილში, რომელიც მიმართულია შპს

„ნ.რ.გ-ის“ წინააღმდეგ, დაუსაბუთებელია.

13.31. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეების: ლ. კ-ისა და ი. ჩ-ის წარმომადგენლები განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე და, თავდებობის აქცესორულობის კონტექსტში, სასამართლოს სთავაზობენ დასკვნას, რომ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დროს დადებული თავდებობის ხელშეკრულებები იმის გამო, რომ საკრედიტო ხაზი არ ავალდებულებს ბანკს სესხის გაცემას, არ წარმოშობენ სამართალურთიერთობას და თავდებობის არსებობისათვის აუცილებელია გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყოველი საკრედიტო ხელშეკრულებისათვის ახალი, სესხის გაცემის ყოველ შემთხვევაში უკვე გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი თავდებობის ხელშეკრულებების პირობებზე შეთანხმება. სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხეების წარმომადგენლების ამ მოსაზრებას შემდეგი სახის გარემოებებისა და საფუძვლების არსებობის გამო:

13.31.1. მოპასუხეების წარმომადგენლები თავიანთი დასკვნის მართებულობის სამტყიცებლად იშველიებენ იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მაგალითად, სსკ-ის კომენტარის მე-4 ნიგნის მე-2 ტომში, 230-ე გვერდზე პროფესორ რომან შენგელიას მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „თავდებობის ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია ძირითადი ვალდებულების არსებობა. საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით თავდებობას ავტონომია არ გააჩნია. იგი ყოველთვის ძირითადი ვალდებულებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, თავდებობა მოქმედებს მოვალის მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომელიც უკვე აისახა თავდებობის ხელშეკრულებაში. ამიტომ თუ ძირითადი ვალდებულების მოვალე რაიმე გარიგებას დადებს თავდებობის აღების შემდეგ, ასეთი გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობაზე თავდებობა არ გავრცელდება და შესაბამისად თავდებობის ვალდებულებაც არ გაიზრდება“. საქალაქო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ციტატის შინაარსი სავსებით გასაგებია, მაგრამ მისი გამოყენება მოპასუხეთა პოზიციის სამტყიცებლად უადგილოა და მიუთითებს მოპასუხეთა მხრიდან კომენტარით ნაგულისხმები კონტექსტის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე. ამის დასტურია იგივე ნიგნის მე-2 ტომში 229-ე გვერდზე იგივე ავტორის მიერ გაკეთებული კომენტარი – „თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინაც, როცა ვალდებულება, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაცაა ნავარაუდევი იგი, ჯერ კიდევ არ წარმოშობილა. ე.ი. თავდებობა გამოიყენება სამომავლო ვალდებულებებ-

შიც, მაგალითად, თავდები იკისრებს სესხის გადახდის ვალდებულებას თუ მის ნათესავს, ვინმე ფულს ასესხებს. იგივე შეიძლება ითქვას პირობით ვალდებულებებზეც. განსაკუთრებით კი – გადადების პირობით წარმოშობილ ვალდებულებებზე“.

13.31.2. ლ. კ-ისა და ი. ჩ-ის წარმომადგენლები ასევე იშველიებენ პროფესორ ლადო ჭანტურიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც ასახულია წიგნში სახელწოდებით „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“. მეცნიერი განმარტავს, რომ „საკრედიტო ხაზი არ ავალდებულებს ბანკს სესხის გაცემას. ბანკს სესხის გაცემის ვალდებულება მხოლოდ კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოეშობა. საკრედიტო ხაზი ბანკის ოფციონალურ უფლებას წარმოადგენს და მისი გამოყენება ბანკის ნებაზეა დამოკიდებული“ (იხ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012 წ., გვ. 33). სასამართლო განმარტავს, რომ ეს ციტატა ამონარიდია იმ აბზაციდან, სადაც ლადო ჭანტურია შემდეგი სახის მსჯელობას ავითარებს: „საბანკო კრედიტისაგან უნდა განვასხვავოთ ე.წ. საკრედიტო ხაზი ან გენერალური საკრედიტო ხაზი, რომელიც როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო საბანკო საქმიანობაში ფრიად გავრცელებულია. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაზღვრავს ბანკისა და მსესხებლის საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებს: მაქსიმალურ ვადებს, საკრედიტო ლიმიტს და ა.შ. როგორც წესი, ამ ლიმიტის ფარგლებში ხდება კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება. ყოველი ახალი კრედიტის გაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს უკვე გაცემული სესხის დაბრუნებაზე. საბანკო კრედიტის ყოველი ტრანშის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება უზრუნველყოფის ერთი და იგივე საშუალება იქნეს გამოყენებული, მაგალითად, იპოთეკით დაიტვირთოს მიწის ნაკვეთი. საკრედიტო ხაზი ორივე მხარისთვის მისაღებია: ბანკს შესაძლებლობა აქვს დააკვირდეს კლიენტის (მსესხებლის) გადახდისა თუ კრედიტუნარიანობას და ამის მიხედვით არეგულიროს კრედიტების გაცემა. ხოლო კლიენტს არ სჭირდება ყოველი კრედიტის აღებისას უზრუნველყოფის ახალი საშუალებების მოძებნა. საკრედიტო ხაზი არ ავალდებულებს ბანკს სესხის გაცემას. ბანკს სესხის გაცემის ვალდებულება მხოლოდ კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოეშობა. საკრედიტო ხაზი ბანკის იფციონალურ უფლებას წარმოადგენს და მისი გამოყენება ბანკის ნებაზეა დამოკიდებული“ (იხ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012 წ., გვ. 33).

13.31.3. ლადო ჭანტურია იმავე სახელმძღვანელოში განმარტავს, რომ „ძირითადი ვალდებულების შეწყვეტისთანავე წყდება თავდებობაც. ამიტომ მისი არსებობა მთლიანად დამოკიდებულია

უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე. მაგალითად, თუ თავდებობის ხელშეკრულება დადებულია თავდებსა და კრედიტორს შორის, მაგრამ ძირითადი ხელშეკრულება, რომლითაც ძირითად მოვალეს სესხი უნდა აელო ბანკისაგან, არ დაიდო, მაშინ არც თავდებობა არ წარმოიშობა, თუმცა ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია“ (იხ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012 წ., გვ. 183-184).

13.31.4. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში განვითარებული, თავად მოპასუხეთა მიერ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებების თანახმადაც კი, თავდებობის ხელშეკრულების დადება შესაძლოა წინ უსწრებდეს ძირითადი, კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობის განმსაზღვრელი ხელშეკრულების დადებას. ეს ფაქტი არაფრით არ აკნინებს თავდებობის ხელშეკრულების ლეგიტიმურობას და თავდებობა სრულად იძენს იურიდიულ ძალმოსილებას, თუ კრედიტორსა და მოვალეს შორის დაიდება ის ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც განაპირობებს თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის და მისი შესატყვისი ვადებულების არსებობას. ძირითადი ხელშეკრულების წინმსწრებად დადებული თავდებობის ხელშეკრულების აქცესორულობა ვლინდება იმაში, რომ თავდებობა ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრედიტორსა და მოვალეს შორის დაიდება ძირითადი ხელშეკრულება. ამგვარი დასკვნა სრულ შესაბამისობაშია სსკ-ის 891-ე და 893-ე მუხლების შინაარსთან. სსკ-ის 891-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად; ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კი, თავდებობა შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის. რაც შეეხება სსკ-ის 893-ე მუხლით დადგენილი ნორმის შინაარს: თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და ამ გარეგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება.

13.32. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. აღნიშნული მუხლით გარიგების ბათილობის საფუძველზე მიიჩნევა სამი სახის ფასეულობათაგან ერთ-ერთის ხელყოფა: კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები; საჯარო წესრიგი; ზნეობის ნორმები. ზნეობის ნორმების ხელყოფის საფუძველით გარიგების ბათილობისას მხედვე-

ლობაშია მისაღები საზოგადოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმები. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მორალის (ზნეობის) უზოგადესი ცნების აბსტრაქტულობის გამო კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მასშტაბად მისი გამოყენება რეალურად შეუძლებელია. ამიტომ საკითხის გადაწყვეტისას ანგარიში უნდა გაენიოს ამა თუ იმ რეგიონში გაბატონებულ ზნეობრივ წარმოდგენებს, კონკრეტულ საზოგადოებაში „გაბატონებულ მორალს“. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილის, მისწრაფებები დემოკრატიული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. საქართველოს სწრაფვა ევროპისაკენ და მისი ურყევი ნება ევროინტეგრაციისადმი, უპირველესად, უნდა აისახებოდეს ადამიანის უფლებების დაცვაში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული ოჯახის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებული შეხედულებები მნიშვნელოვანია საქართველოსათვის სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამოვლინებაა სსკ-ით ისეთი ნორმის გათვალისწინება, რომელიც ზნეობის სანინაალმდეგო გარიგებას ბათილად აცხადებს. ამ შინაარსის მქონე სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა გერმანული სამართლის გავლენის და რეცეფციის შედეგია. ანალოგიური შინაარსისაა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: გსკ) 138-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი – გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, ბათილია. მსგავსია, ასევე, გსკ-ის 138-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით და განსახილველი დავის ქრილში გადასაწყვეტი სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები. გსკ-ის 138-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მიძიმე მდგომარეობით, გამოუცდელით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი, ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც აშკარად არაპროპორციულია ვალდებულების შესრულებისა. რაც შეეხება სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილს, ის ითვალისწინებდა შემდეგს: გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შესაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მიძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელით (გულუბრყვილობით). ქმედებისას კეთილსინდისიერების პრინციპით ხელმძღვანე-

ლობა მნიშვნელოვანია გერმანული და ქართული სამოქალაქო სა-
მართლისათვის. მაგალითად, გსკ-ის 242-ე პარაგრაფით მოვალე
ვალდებულია, შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერების
პრინციპის შესაბამისად ჩვეულების ნორმების გათვალისწინებით.
სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სამართლებრივი
ურთიერთობების მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდი-
სიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

13.32.1. გსკ-ის 138-ე პარაგრაფთან მიმართებით გერმანიის სა-
სამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა და გარი-
გების მხარეების ინტერესების დაცვა კონსტიტუციის დონეზე გან-
ხორციელდა. განსახილველი დავის შინაარსის გათვალისწინებით
განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გერმანიის ფედერალური სა-
კონსტიტუციო სასამართლოს 1993 წლის გადაწყვეტილება „ბიურ-
გეს“ საქმეზე (BVERFG89, 214 = NJW 1994, 36). ამ შემთხვევაში სა-
კითხი ეხებოდა შვილის მიერ მამის ვალდებულების უზრუნველსა-
ყოფად თავდებობას ბანკის სასარგებლოდ. გერმანიის ფედერა-
ლურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, მიუთითა
ძირითადი უფლებების მნიშვნელობაზე კერძო სამართალში. სასა-
მართლო განმარტავს, რომ „ძირითადი კანონი ძირითადი უფლებე-
ბის თავში შეიცავს ფუნდამენტურ-სამართლებრივ გადანყვეტი-
ლებებს სამართლის ყველა დარგისათვის. ეს ფუნდამენტური გა-
დანყვეტილებები ვითარდება იმ დებულებების მეშვეობით, რომ-
ლებიც პირდაპირ აკონტროლებს განსახილველი სამართლის სფე-
როს და უპირველს ყოვლისა გააჩნიათ მნიშვნელობა სამოქალაქო
სამართლის ზოგადი დებულებების განმარტებისათვის. როდესაც
სამოქალაქო კოდექსის 138-ე და 242-ე პარაგრაფები საკმაოდ ზო-
გადად მიუთითებს ზნეობაზე, ჩვეულებებზე და კეთილსინდისი-
ერებაზე, ისინი მოითხოვენ სასამართლოების მხრიდან კონკრეტი-
ზაციას ღირებულებითი კონცეფციების სტანდარტით, რომლებიც
უპირველესად განსაზღვრულია კონსტიტუციაში არსებული პრინ-
ციპული გადანყვეტილებებით. შესაბამისად, სამოქალაქო სასამარ-
თლოები კონსტიტუციურად ვალდებული არიან გაითვალისწინონ
ძირითადი უფლებები, როგორც „გზის მაჩვენებელი“ ზოგადი დე-
ბულებების განმარტებისას და გამოიყენებისას. თუ ისინი ვერ შეძ-
ლებენ მათ გათვალისწინებას და გამოიტანენ გადანყვეტილებას
რომელიმე პირის სანაწილმდეგოდ, მაშინ ისინი არღვევენ მხარის
ძირითად უფლებებს“.

13.32.2. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამარ-
თლოს ყურადღების ცენტრში მოექცა თავდებობის ხელშეკრულე-
ბის შინაარსი. სასამართლომ განმარტა, რომ „თავდებობის ხელ-
შეკრულება, რომლის თაობაზეც ფედერალურ საკონსტიტუციო სა-

სამართლოს უნდა ემსჯელა, არსებითად განსხვავდება ყოველდღიურად დადებული უზრუნველყოფის ხელშეკრულებებისაგან. საკონსტიტუციო მოსარჩელემ ხელშეკრულებით იტვირთა ექსტრაორდინარულად მაღალი რისკი უზრუნველყოფილი საკრედიტო ხელშეკრულების მიმართ ყოველგვარი ეკონომიკური ინტერესის გარეშე. სამოქალაქო კოდექსში არსებულ თითქმის ყველა დამცავ დებულებაზე უარის თქმით, მან გასცა უპირობოდ აღსრულებადი გარანტია მამამისის სამენარმეო რისკის მიმართ იმ ფარგლებში, რაც გაცილებით ცდებოდა მის ეკონომიკურ გარემოებებს. თავიდანვე განჭვრეტადი იყო და საკრედიტო დაწესებულებისათვის ადვილად დასადგენი, რომ თუ ვალდებულება წარმოიშობოდა, მოსარჩელე სავარაუდოდ მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში ვერ შეძლებდა ვალაუვალობის ტვირთიდან თავის დაღწევას. ამ სიტუაციაში, მხედველობაში უნდა მიღებულიყო ხელშეკრულების დადების წინაპირობები და მიზეზები“. საქალაქო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებულ გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული კერძო ავტონომიის ფარგლების მნიშვნელობაზე. სასამართლო სწორებას ახდენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე – ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რამდენადაც აღნიშნული არ ხელყოფს სხვათა უფლებებს და არ არღვევს კონსტიტუციურ წყობილებას და ზნეობრივ ნორმებს. შესაბამისად, სასამართლო განმარტავს, რომ „ინდივიდის მიერ საკუთარი სურვილის შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება მისი მოქმედების თავისუფლების ნაწილს წარმოადგენს. ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი იცავს კერძო ავტონომიას, როგორც „სამართლებრივ სივრცეში ინდივიდის თვითგამორკვევას“. კერძო ავტონომია აუცილებლად შეზღუდულია და მოითხოვს სამართლებრივ ფორმულირებას. აქედან გამომდინარე, კერძო-სამართლებრივი რეჟიმები შედგება ფორმულირების წესებისა და მეთოდების დაკალიბრებული სისტემისაგან, რომელიც ერთმანეთთან კოორდინირებულია, რომლებიც უნდა თავსდებოდეს კონსტიტუციურ წესრიგში. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება მოეპყრას კერძო ავტონომიას ისე, როგორც ეს მას მოესურვება და შედეგად მისი ძირითადი უფლებებით დაცვის შინაარსი დაიკარგოს. საკანონმდებლო ხელისუფლება ფორმულირებისას შებოჭილია ძირითადი უფლებების ობიექტური სამართლით“. ამ მსჯელობის კვალდაკვალ სასამართლო განმარტავს სახელშეკრულებო თავისუფლებას, როგორც თანასწორობის საწყისებზე ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებას. გერმანიის ფედერალური საკონსტი-

ტუცციო სასამართლოს აზრით ხელშეკრულების დადების გზით „ორი-ვე მხარე ბოჭავს საკუთარ თავს და შესაბამისად ისინი იყენებენ ინდივიდუალური მოქმედების თავისუფლებას. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს გააჩნია ისეთი უპირატესი მდგომარეობა, რომ მას ძალუძს ფაქტობრივად ცალმხრივად განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი, ეს შედეგი, მეორე მხარესთან მიმართებით, არის გამორკვევა სხვის მიერ“. სასამართლო იქვე აღნიშნავს, რომ „თუ საქმე ეხება შემთხვევას, საიდანაც ჩანს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის სტრუქტურული უთანასწორობა და თუ ხელშეკრულების შედეგები უჩვეულოდ მძიმეა ხელშეკრულების სუსტი მხარისათვის, სამოქალაქო სამართალმა უნდა იმოქმედოს და ხელი შეუწყოს მდგომარეობის გამოსწორებას. ეს გამომდინარეობს კერძო ავტონომიის ძირითადი უფლებით დაცვისაგან“. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ხელშეკრულების თავისუფლების გამომრიცხავი ისეთი ელემენტის დადგენისას, როგორცაა „განსაზღვრა სხვის მიერ“, ცენტრალური მნიშვნელობა მიანიჭა სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებს: „ამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს გააჩნია ცენტრალური მნიშვნელობა. სამოქალაქო კოდექსის 138(2) პარაგრაფის რედაქცია გამოხატავს ამ აზრს საკმაოდ ნათლად. ის აღწერს ტიპიურ გარემოებებს, რომელთაც ავტომატურად მივყავართ მოლაპარაკების მონაწილე ერთ-ერთი სახელშეკრულებო მხარის დაბალ მდგომარეობამდე და რაც მოიცავს მის გამოუცდელობას. თუ უფრო ძლიერი მხარე იყენებს ამ სისუსტეს იმისათვის, რათა ცალმხრივად და ცხადად მიაღწიოს თავის ინტერესებს, ეს იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. სამოქალაქო კოდექსის 138(1) პარაგრაფი საკმაოდ ზოგადად ბათილობას უკავშირებს ზნეობის ნორმების დარღვევას. ჩამოყალიბებული სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლიდან გამომდინარე. სამოქალაქო სამართლის მეცნიერება საბოლოო ჯამში ერთიანია იმ აზრში, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ადგენს სახელშეკრულებო ძალაუფლების და ფორმულირების შინაგან ზღვარს და აყალიბებს ხელშეკრულების შინაარსის სასამართლო კონტროლის უფლებამოსილების საფუძველს. სამოქალაქო სასამართლოებისათვის აქედან გამომდინარეობს მოვალეობა უზრუნველყონ, რომ ზოგადი დებულებების განმარტებისა და გამოყენების დროს ხელშეკრულებები არ გამოიყენებოდეს სხვისი გამორკვევის მიზნისთვის. თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ რეჟიმზე, რომელიც დასაშვებია, როგორც წესი, ხელშეკრულების შინაარსის უფრო ექსტენსიური კონტროლი არ არის საჭირო. თუმცა თუ ხელშეკრულების შინაარსი უჩვეულოდ მძიმეა ერთი მხარისათვის და აშკარად

შეუსაბამოა ინტერესთა შეთანხმებისათვის, სასამართლო არ უნდა დაკმაყოფილდეს იმის თქმით, რომ „ხელშეკრულება ხელშეკრულებაა“. სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ეს რეჟიმი სტრუქტურულად არათანასწორი მოლაპარაკების ძალაუფლების შედეგი, და თუ ეს აუცილებელია, ჩაერიოს მის გამოსწორებაში თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების ფარგლებში“. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეიღის მიერ მამის ვალდებულების უზრუნველსაყოფად თავდებობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღო შემდეგი სახის გარემოებები: თავდების უჩვეულოდ მაღალი რისკი ისე, რომ მას არ გააჩნდა საკუთარი ეკონომიკური ინტერესი; რისკების შეფასების განსაკუთრებული სირთულე; თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული საგარანტიო თანხით მხოლოდ ძირითადი მოთხოვნის მაქსიმუმის განსაზღვრა; ძირითად თანხას უნდა დამატებოდა სხვა ხარჯები და სარგებელი სესხისათვის, ისე, რომ მისი გაანგარიშების წესი თავდებობის ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული; თავდები უარს აცხადებდა სამოქალაქო კოდექსით მისთვის მინიჭებულ ყველა დამცავ დებულებაზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა თავდების ძირითადი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო სასამართლოების მხრიდან სარჩელის უარყოფა იმ საფუძვლით, რომ თავდები სრულწლოვანი იყო და უნდა შეეფასებინა წარმოშობილი რისკი, ეწინააღმდეგებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონს. ამ გადაწყვეტილების შედეგად არსებითად შეიცვალა სასამართლო პრაქტიკა თავდებობის ხელშეკრულებასთან მიმართებით. დღეისათვის არსებობს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რომლითაც, სასამართლოს აზრით, გადაჭარბებული ფინანსური დატვირთვის და ძირითად მოვალესთან კავშირის გამო თავდებობის ამორალურობა სახეზეა, თუკი თავდებად დადგომის მომენტში ერთობლივად წარმოდგენილია შემდეგი ნიშნები:

ა) სახეზე უნდა გვქონდეს თავდების გადაჭარბებული ფინანსური დატვირთვა. შეუძლებელი უნდა იყოს ძირითადი ვალის არსებითი ნაწილების ან ძირითადი ვალდებულებების მიმდინარე პროცენტების თავდების ხელთ არსებული შემოსავლით დაფარვა და ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება შემოსავლის ის ქვედა ზღვარი, რომელზეც ყადაღა ვერ იქნება დადებული. არაპროპორციულობის დადგენა ხდება წინასწარი პროგნოზის მიხედვით, რაც ემსახურება იმის გარკვევას შესწევს თუ არა თავდებს ძალა დაფაროს ვალი და მოემსახუროს ვალს, მათ შორის, პროცენტს. თავდე-

ბის შემოსავლის განსაზღვრა ხდება სამომავლო პროგნოზით და, ამასთან, გადახდისუნარიანობა უნდა გადამოწმდეს თავდებობის აღების მომენტისათვის, რა დროსაც დასაშვები უნდა იყოს ამ მომენტისათვის შესაძლო პროგნოზით ხელმძღვანელობა (იხ. უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ZIP 2002, 170; აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკა Rn. 40 ZIP 2000, 960). ძირითადად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავდების შემოსავლის თვალსაზრისით რელევენტური ყველა გარემოება, მაგალითად, ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, განსაკუთრებული ხასიათის ოჯახური ან მსგავსი ტიპის დატვირთვები, როგორცაა მაგალითად რჩენის ვალდებულებები, რამდენად შეიძლება გაიზარდოს მისი შემოსავალი მომავალში და ა.შ. ამავდროულად, სამომავლო დასაქმების ან შემოსავლის ჰიპოთეტური შანსი მხედველობაში არ მიიღება. მიიჩნევა, რომ ის ქონება, რაც თავდებს გააჩნია იმ დროს, როცა კრედიტორი თავდებისაგან შესრულებას ითხოვს, იყო სავარაუდო თავდებობის გაფორმების დროსაც. ამის შემდეგ კრედიტორმა უნდა უარყოს ეს პრეზუმფცია და ამტკიცოს, თუ რატომ იყო სხვაგვარი მოლოდინი უფრო ლეგიტიმური. გარდა ამისა, თავდების ქონებრივი მდგომარეობის შეფასების დროს, ცალკე უნდა გამოიყოს ის ქონება, რომელიც აუცილებელია მისი ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (იხ. BGH, 1997 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება, NJW 1997, 3372-3373);

ბ) თავდები მთავარ მოვალესთან ან ემოციურად უნდა იყოს დაკავშირებული ან მასზე ეკონომიკურად უნდა იყოს დამოკიდებული. ამგვარი ვითარება გვაქვს იმ შემთხვევაში, თუკი თავდები „თავისი სულიერი დამოკიდებულების საფუძველზე, რომელიც კრედიტის ამღებთან ემოციური კავშირის ან მასზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო წარმოიშვება, ვალდებულებების აღებაზე დათანხმდება“ (იხ. უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ZIP 1994, 773 (776)). ამის შემდგომ სხვა გარემოებების ჩართვის გარეშე ვარაუდი (პრეზუმფცია) მეტყველებს იმაზე, რომ თავდებს თავდებობის აღებისას არ უხელმძღვანელია თავისი ინტერესებითა და ეკონომიკურ რისკებთან დაკავშირებული რაციონალური გადაწყვეტილებით და კრედიტორმა (საკრედიტო ინსტიტუტმა) კი მასსა და მთავარ მოვალეს შორის არსებული ურთიერთობა ყოველგვარი მორალური გამართლების გარეშე გამოიყენა (იხ. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2002, 744; Pfab, Jura 2005, 737 (740); გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის

ჟურნალი (WM) 2005, 421 = ZIP 2005, 432 = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2005, 971 (972); უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2005, 418 ZIP 2005, 607 = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2005, 973 (975); უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2001, 402 m. w. N.; დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო, ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 277 (278)). აღნიშნული სამართლებრივი პრინციპები მოქმედებს მაშინაც, თუკი მთავარი მოვალე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით თავდებათან ან პასუხისმგებლობის გამზიარებელ პირებთან ემოციურად მჭიდროდ დაკავშირებულ პირებს ეკუთვნის (იხ. ფედერალური სასამართლო პალატის გადაწყვეტილებების კრებული (BGHZ) 137, 329 (336) = ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 1998, 239). ამდენად, გარდა ოჯახის წევრებს, სხვა ნათესავებსა და მეგობრებს შორის ურთიერთობისა, სასამართლოები მიიჩნევენ, რომ ახლო ურთიერთობა არსებობს ასევე იმ დროს, როცა მოვალე კომპანიაა და ის სრულად, ან წილი მასში, ეკუთვნის პირს, რომელთანაც თავდება აკავშირებს ემოციური ურთიერთობა (იხ. BGH, 1997 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, NJW 1994, 1278-1279);

გ) პრეზუმციის უარყოფის მიზნით კრედიტორი უფლებამოსილია წამოაყენოს სამი სახის შესაგებელი:

პირველი გულისხმობს შემთხვევას, როდესაც კრედიტორმა არ იცოდა არაპროპორციულობის შესახებ. თუმცა, წესისამებრ, ბანკები წინასწარ აფასებენ თავების ქონებრივ მდგომარეობას, სხვაგვარად წარმოუდგენელიც კი უნდა იყოს და თუ ბანკმა წინდახედულობის საწინააღმდეგოდ ასეთი რამ არ გააკეთა, მაშინ მას არ შეუძლია თქვას, რომ უცნობი იყო თავების ქონებრივი მდგომარეობა. ამიტომ, ამგვარი შესაგებელი შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოდგეს, როცა თავდება ბანკს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

მეორე შემთხვევა გულისხმობს ბანკის შესაძლებლობას ამტკიცოს, რომ თავდებას საკუთარი ეკონომიკური ინტერესი გააჩნდა ძირითად ხელშეკრულებაში. ამ დროს გერმანიის სასამართლოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერესის შეფასების საკითხს. სასამართლოები მოითხოვენ უშუალო და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესის არსებობას და მხედველობაში არ მიიღება არაპირდაპირი ინტერესი. მაგალითად, პირდაპირ ეკონომიკურ ინტერესად არ ჩათვლება შემთხვევა, როცა თავდება მონაწილეობდა ძირითადი

ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისათვის გამართულ მოლაპარაკებაში ან როცა ის კრედიტის შედეგად მიღებული თანხით აშენებულ სახლში იცხოვრებს ან კომერციული კრედიტის წარმატების შემთხვევაში მისი ცხოვრების ხარისხი ამაღლდება (იხ. BGH, 1991 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, NJW 1991, 923-925; BGH, 2000 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, NJW 2000, 1182-1184; BGH, 2000 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, NJW 2001, 815-817; BGH, 2002 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება, BKR 2003, 157-158);

მესამე შესაგებელში დამატებით, ბანკმა შეიძლება ამტკიცოს, რომ თავდებობა მიზნად ისახავდა აქტივების გადაცემის პრევენციას. ძველი სასამართლო პრაქტიკა მეუღლის თავდებობას მიიჩნევდა ნამდვილად, თუ მისი მიზანი იყო კრედიტორებისაგან ქონების გადამალვის თავიდან აცილება. ახალი პრაქტიკა ამგვარ პირობას ნამდვილად მიიჩნევს, თუ ამის შესახებ ხელშეკრულებაში საგანგებოდაა მითითებული, ან მეუღლეს ქონება რეალურად გადაეცა. 13.32.3. გერმანული სასამართლო პრაქტიკის ანალიზით შესაძლებელი გახდა იმ დასკვნამდე მისვლა, რომ გსკ-ის 138(1) პარაგრაფის განმარტებისას საქმე გვაქვს სუბიექტურად კრედიტორისაკენ მიმართულ საყვედურთან, რაც მდგომარეობს შემოსავლისა და ქონების არმქონე თავდების პირადი გარანტიის მიღებაში, რა დროსაც ხდება მისი ემოციური კავშირების ან ეკონომიკური დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება, მასასადამე საქმე გვაქვს კრედიტორის უმართებულო ქმედებასთან და ხელშეკრულების დადების დროს ძირითად მოთხოვნასა და გადახდისუნარიანობას შორის დისბალანსთან (იხ. შიმანსკი, ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 2437-2439; უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2002, 223; კიოლნის უმაღლესი სამხარეო სასამართლო, ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 280-282).

13.33. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს საკითხის გადაწყვეტას ი. ჩ-ის შეგებებული სარჩელის ფარგლებში, მსგავსი შემთხვევა გამოკვეთილი. ი. ჩ-ის თავდებობის ამორალურობის სამტკიცებლად საქალაქო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, ყურადღება გაამახვილოს შემდეგი სახის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე: საბანკო საქმიანობა მენარმეობის ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული და სტრუქტურულად უზრუნველყოფილი სფეროა. ბანკი სხვადასხვა მიმართულებით განათლებული სპეციალისტებით დაკომპლექტებული სტრუქტურული ერთეულების (მაგალითად, საკრედიტო, აუდიტორული, რისკების შემფასებელთა და სხვა

განყოფილებების თუ დეპარტამენტები) მიერ შესწავლილი გარემოებების საფუძველზე აკეთებს დასკვნებს და იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული საბანკო მომსახურების განვების ან მასზე უარის თქმის შესახებ. საბანკო წესები ქმნიან მოლოდინს, რომ ბანკი აუცილებლად გადაამონიშებს გარანტიის ღირებულების მდგრადობას, მაგალითად, თავდებობის დროს თავდების ქონებრივ მდგომარეობას (იხ. კიოლნის უმაღლესი სამხარეო სასამართლო ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 286 (289)). ბანკები ზრუნავენ საბანკო მომსახურების ფარგლებში გაცემული კაპიტალის დაბრუნებისათვის და სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი ცდილობენ კონკრეტული საბანკო პროდუქტით მომსახურებისას მაქსიმალურად დააზღვიონ გაცემული თანხების ამოუღებლობის რისკი. ამ თვალსაზრისით ბანკი კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში თავად განსაზღვრავს პირობებს. მაგალითად, ბანკები სესხების გაცემისას არ სჯერდებათ მხოლოდ იპოთეკას და გირავნობას და აუცილებლად იყენებენ თავდებობასაც. თუმცა, ბანკის ეს უფლება არ უნდა იქცეს თვითნებობის საბაბად. ამას კი უზრუნველყოფს კეთილსინდისიერების პრინციპის განუხრელი დაცვა, ის, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ეს ნორმა ბანკს ავალდებულებს, იზრუნოს კონტრაქტის მდგომარეობაზე და არ გააფორმოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც განსაკუთრებულად მძიმე ვითარებას უქადის ხელშემკვრელ მხარეს და ამასთან, იმთავითვე გამორიცხულია ხელშეკრულებით ნაგულისხმევი შედეგის მიღწევა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ბანკი დაარღვევს სსკ-ის 115-ე მუხლს, რომლის თანახმადაც სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

13.33.1. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელშიც თბილისის სააპელაციო სასამართლომ შემდეგი შინაარსის განმარტება ასახა: „საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. ყოველივე ამის საფუძველი სტაბილური ეკონომიკური ბრუნვა და ბრუნვის მონაწილეთა ძირითადი უფლებების დაცვაა. გარიგება ან მისი ესა თუ ის პირობა ზნეობრივ ნორმებთან და საჯარო წესრიგთან შეუსაბამოა, როდეს

საც ის ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში. შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც თითოეული გარიგების შინაარსი და მისი სამართლებრივი ბუნება, ასევე მისი პირობების შედარება სამოქალაქო ბრუნვაში ანალოგიური ეკონომიკური დანიშნულების მქონე გარიგებების შინაარსთან, ასევე ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც გამოავლინა გარიგების დადების ნება მხარემ“ (იხ. სუსგ №ას-970-928-2013, 26.11. 2013 წლის განჩინება).

13.34. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბანკსა და ი. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 ივნისს დაიდო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც თავდებმა – ი. ჩ-მა 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარის ფარგლებში ბანკის წინაშე იკისრა პასუხისმგებლობა იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის არსებული ურთიერთობების ფარგლებში ძირითად მოვალეს – შპს „ნ. ე-ის“ უნდა შეესრულებინა. საქალაქო სასამართლოს მსჯელობით, ამგვარი გარიგების დადება ხდება იმ ვითარებაში, როდესაც ი. ჩ-ი არაა ძირითად მოვალესთან პირდაპირ დაკავშირებული პირი – კომპანიის სანესდებო კაპიტალში რაიმე წილის მქონე პარტნიორი ან ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სუბიექტი (დირექტორი). შემხებლობა, რამაც შესაძლოა გარკვეული ლოგიკური საფუძველი მოგვცეს, ვივარაუდოთ ი. ჩ-ისა და შპს „ნ. ე-ის“ ურთიერთობისა და კავშირის მასშტაბზე, განპირობებულია მხოლოდ იმით, რომ ი. ჩ-ი შპს „ნ. ე-ის“ ერთ-ერთ, 30%-იანი წილის მქონე პარტნიორთან ნ. შ-თან ერთად სამენარმეო საქმიანობას ეწევა შპს „ბ-აში“ (ს/კ ...), სადაც ი. ჩ-ს 23%-იანი წილი აქვს, ხოლო ნ. შ-ს – 20%-იანი. გარდა ამისა, მოწმის სახით დაკითხულმა ც. ჩ-მა, რომელიც ი. ჩ-ის ძმა არის, დაადასტურა, რომ ის მეგობრობდა ნ. შ-თან და დღესაც მეგობრობს კომპანია „ნ. ე-ის“ 70%-იანი წილის მფლობელ ლ. კ-ძესთან. მხოლოდ ამ ფაქტორებით განპირობებული კავშირის ფარგლებში, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, შეუძლებელია ვისაუბროთ რაიმე სახის ეკონომიკურ ინტერესზე, რომელიც რაციონალურ გამართლებას მისცემდა ი. ჩ-ის მხრიდან 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარის ფარგლებში პასუხისმგებლობის აღებას. ამასთან, არც საკუთრივ ი. ჩ-ის ეკონომიკური შესაძლებლობების თაობაზე რაიმე ცნობილი, რითაც ბანკი შეძლებდა, დაედასტურებინა სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების დადების მიზანი, პიროვნული უზრუნველყოფის ამ შემთხვევის გამოყენების გონივრულობა იმ თვალსაზრისით, რომ ი. ჩ-ის ფინანსური მდგომარეობა, ერთი მხრივ, საკმარისია ბანკის მოთხოვნათა

დაკმაყოფილებისათვის და, მეორე მხრივ, სადავო თავდებობით ნაკისრ ვალდებულებათა აღსრულება თავდებს არ მოუსპობდა არსებობისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. ამ ვითარებაში საქალაქო სასამართლოს ჩამოყალიბდა რწმენა, რომ ამ სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელე ბანკი მოქმედებდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიეღო თავდებობა. ბანკმა ისარგებლა კონტრაჰენტთან შედარებით გარკვეული დომინანტური მდგომარეობით და სოლიდარული თავდებობის ამ შემთხვევის ფარგლებში ასცდა გონივრულობითა და კეთილსინდისიერებით ნაკარნახევ პრინციპებს. ბანკმა არ გაითვალისწინა ი. ჩ-ის ეკონომიკური გარემოებები, მისი მხრიდან აღებულ პასუხისმგებლობასა და ფინანსურ შესაძლებლობათა არაპროპორციულობა (ყოველ შემთხვევაში იმის მიუხედავად, რომ ბანკის ტვირთია სანინააღმდეგოს მტკიცება, მას ამ მიმართულებით არაფერი დაუსაბუთებია) და თავად თავდების ეკონომიკური ინტერესის არარსებობა სადავო ხელშეკრულებით ნაკისრი ესოდენ მაღალი პასუხისმგებლობისადმი. ბანკმა გამოიყენა ხელშეკრულების დადების პროცესში პირობათა განსაზღვრის კუთხით საკუთარი უპირატესობა და გულგრილად მოექცა იმ ფაქტს, რომ ი. ჩ-ის დათანხმება სადავო თავდებობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის აღებაზე განაპირობა ძირითადი მოვალის – შპს „ნ. ე-ის“ პარტნიორებთან მეგობრობამ. შესაბამისად, ბანკმა ისარგებლა ამ ემოციური დამოკიდებულებით, რითაც დაარღვია ზნეობრიობის პირობა. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე ბანკსა და ი. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებული №514587-517830-ბ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება არის შედეგუუნარო, ბათილი გარიგება სსკ-ის 54-ე მუხლისა და სადავო გარიგების დადებისას მოქმედი 55-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით.

13.34. 1. ი. ჩ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომელიც საფუძვლად უდევს ბანკის სასარჩელო მოთხოვნას – ბანკის სასარგებლოდ ი. ჩ-ისათვის, როგორც სოლიდარული პასუხისმგებლობის მქონე პირისათვის, თანხების გადახდის დაკისრებას, გამორიცხავს ბანკის აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. 2010 წლის 14 ივნისის №514587-517830-ბ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ანულისრების გამო, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ ი. ჩ-ი არაა პასუხისმგებელი იმ თანხების ანაზღაურებაზე, რომელსაც მისგან ბანკი მოითხოვს.

13.35. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ვერ გაიზიარება ი. ჩ-ის შეგებებულ სარჩელში ჩამოყალიბებული დასაბუთების

იდენტურ მიდგომას ლ. კ-ის შეგებებული სარჩელით გადასაწყვეტ საკითხთან მიმართებით, რაც შემდეგი სახის სამართლებრივ შეფასებას ეფუძნება: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს სამენარმეო საქმიანობის დეფინიციას – სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს მენარმე სუბიექტთან (ექვს) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და მათ შორისაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც. შპს იმ ტიპის სამენარმეო საზოგადოებაა, რომელიც იქმნება ერთი ან რამდენიმე პარტნიორის მიერ კაპიტალის დაბანდების, გაერთიანების შედეგად. კაპიტალის ამგვარი გაერთიანებით დაფუძნებულ სანარმოში თითოეულ პარტნიორს აქვს სანარმოსათვის გადაცემული საკუთარი კაპიტალის შესატყვისი წილი, რომელიც პარტნიორს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობდეს სანარმოს მართვაში, რაც გულისხმობს საზოგადოების უმაღლესი მართვის ორგანოს – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას;

13.35.1. თავის მხრივ, სანარმოს მართვაში მონაწილეობა დაკავშირებულია სარგებლის მიღების იურიდიულ ინტერესთან. სწორედ დივიდენდის მიღების სურვილი განაპირობებს პირთა ნებას, საკუთარი კაპიტალის გაღებით დააფუძნონ კომპანია, ან მის სანესდებო კაპიტალში წილზე შეიძინონ საკუთრების უფლება. პარტნიორთა სწრაფვა მეტი შემოსავლის მიღებისაკენ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომპანიის ეფექტიან მართვაზე. ამ მხრივ გადამწყვეტია საერთო კრების გადაწყვეტილებები, პარტნიორთა უნარი, კომპანია უზრუნველყონ სათანადო მენეჯმენტით და მასზე კონტროლით კომპანია აქციონ მომგებიან სანარმოდ. ამდენად, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ პარტნიორი არის, როგორც კომპანიის სასარგებლოდ ინვესტიციის განმახორციელებელი, ისე კომპანიის ქონების (აქტივის) მართვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მაკონტროლებელი პირი, რომელიც მოქმედებს სანარმოს ეკონომიკური განვითარებისათვის იმ ორიენტირის გათვალისწინებით, რომ მეტი დივიდენდის მიღებით დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესი. პარტნიორის ცხადად გამოხატული პირადი ფინანსური დაინტერესება განაპირობებს განასხვავებულ მიდგომას ამორალურობის საფუძვლით იმ თავდებობის ბათილად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მიმართულია საკუთარი კომპანიის სასარგებლოდ კრედიტით ან სხვა საბანკო პროდუქტით მისაღები თანხის დაბრუნების უზრუნველყოფისაკენ.

13.35.2. ამ შემთხვევაზე მსჯელობისას საქალაქო სასამართლომ მოიხიმო გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება № XI ZR 98/01 საქმეზე. ეს შემთხვევა დაკავშირებულია კრედიტორის საკასაციო საჩივრის განხილვასთან, სადაც კასატორი ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც საკრედიტო დაწესებულების სარჩელი არ დაკმაყოფილდა ზოგადზნობრივ ნორმებთან წინააღმდეგობის საფუძველით პარტნიორის თავდებობის ბათილობის გამო. სააპელაციო სასამართლომ, ძირითადად, განმარტა მისი გადაწყვეტილების დასაბუთებლად შემდეგი: „ბათილია მოპასუხის თავდებობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოსარჩელეს უნდა გაეცნობიერებინა, რომ თავდებობა გამოიწვევდა მოპასუხისათვის დიდ ფინანსურ პრობლემებს. ამ უკანასკნელს არ ხელენიფებოდა მიმდინარე საპროცენტო ტვირთის ზიდვაც კი. ცხადი იყო, რომ მოპასუხემ იკისრა თავდებობა ყოველგვარი უშუალო პირადი ფინანსური დაინტერესების გარეშე, საკუთარი მეუღლის (ქმარი) პიროვნული ფაქტორის გათვალისწინებით. მისი შპს-ში წილობრივი მონაწილეობა არ იყო თავდების რისკის შესაბამისი ეკვივალენტური ქმედება, რამეთუ შპს-ს მთელი ქონება წარმოადგენდა საკრედიტო უზრუნველყოფას. მოპასუხეს არანაირი სარგებელი არ მიუღია მისი მონაწილეობით, არამედ უკისრია თავდებობა მისი ქმრის ზენოლით. მოსარჩელეს სცოდნია მოპასუხის შემოსავლები (ფინანსური მდგომარეობა). ამდენად, მას უნდა გაეცნობიერებინა, რომ თავდებობა ფინანსურად ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო და მისი მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ საბანკო თავდებობის მიღება“. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასებები, საკასაციო საჩივარი მიიჩნია დასაბუთებულად, დააკმაყოფილა ის და გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სადავო გადაწყვეტილება შემდეგი სახის დასაბუთებით: „ზემოთ აღნიშნული მსჯელობა საჭიროებს სამართლებრივ გადახედვას. მოპასუხის მიერ ნაკისრი თავდებობა არ ეწინააღმდეგება ზოგადზნობრივ ნორმებს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი). სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს მიერ ფინანსურად გაუმართავი (უქონელი) მეუღლეებისა და ცხოვრების თანამგზავრების თანაპასუხისმგებლობისა და თავდებობის ამორალურობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრინციპები ვერ გავრცელდება მოპასუხეზე, როგორც მთავარი მოვალის თანაპარტნიორზე. საკრედიტო დაწესებულება,

რომელიც გასცემს სესხს შპს-ზე, ძირითადად, დაინტერესებული აქტიურად მონაწილე პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობით. სამართლებრივად სრულიად გამართლებულია საბანკო პრაქტიკა, საქმიანი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შპს-ს პარტნიორთა თავდებობა. კრედიტის გამცემი ბანკი ზოგადად უნდა ამოვიდეს იქიდან, რომ შპს-ს წილობრივი მონაწილეობის მქონე პარტნიორი აკეთებს ამას საკუთარი ფინანსური დაინტერესებით და სწორედ ამიტომ, არანაირ არაპროპორციულ რისკს არ იღებს საკუთარ თავზე. ამდენად, თავდები პარტნიორის არც ფინანსური უქონლობა და არც მისი ემოციური კავშირი საზოგადოებაზე გაბატონებულ მესამე პირთან ვერ გაამართლებს ამორალურობის ვარაუდს“. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტებით ეს წესი მოქმედებს მაშინაც კი, თუ ძირითადი მოვალის – შპს-ის პარტნიორობა მოჩვენებითია და ამ გარემოების აღქმა კრედიტორისათვის მიუწვდომელია: „აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ პარტნიორი არის მხოლოდ და მხოლოდ საზარბაზნე ხორცი. მეუღლის თავდებობის ამორალურობასთან დაკავშირებული პრინციპები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო დანესებულება ცხადად აცნობიერებს, რომ თავდებ პირს არ აქვს არანაირი ფინანსური დაინტერესება და არც ფინანსური წილობრივი მონაწილეობა, და რომ მან პარტნიორის სტატუსი მიიღო ყოველგვარი ფინანსური დაინტერესების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ შპს-ის ერთ-ერთი ფინანსურად გაბატონებული, მასთან ახლო პირად ურთიერთობაში მყოფი პარტნიორის გამო“.

13.35.3. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელის განხილვის ფარგლებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ლ. კ-ძემ, როგორც ძირითადი მოვალის – შპს „ნ. ე-ის“ ერთ-ერთმა პარტნიორმა (მისი წილი შეადგენს 70%-ს), მისი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს სასარგებლოდ კრედიტით მისაღები და საბანკო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარისათვის გასაცემი თანხების გასტუმრების უზრუნველსაყოფად ბანკის წინაშე ორჯერ, 2010 წლის 14 ივნისს დადებული სოლიდარული თავდებობის №514587-517830-გ ხელშეკრულებითა და 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული სოლიდარული თავდებობის №გას000000830 ხელშეკრულებით იკისრა თავდებობა. პირველ შემთხვევაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის ოდენობად მიეთითა 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარი. საქალაქო სასამართლოს შეფასებით რაიმე გარემოება, რაც სასამართლოს აფიქრებინებდა, რომ ლ. კ-ძის პარტნიორობა განპირობებულია მხოლოდ

და მხოლოდ მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი, კომპანიაზე გაბატონებული პარტნიორის ან მესამე პირის მხრიდან ზემოქმედების გამო და ამგვარი პარტნიორობა არაა ნაკარნახევი ლ. კ-ის ფინანსური დაინტერესებით (დივიდენდის მიღების სურვილით), არათუ არ დასტურდება, არამედ ამ ტიპის გარემოებების არსებობის თაობაზე არც კი მიუთითებია მხარეს. შესაბამისად, დღის წესრიგში არც კი დგას ბანკისაგან ლ. კ-ის ფინანსური დაინტერესების არარსებობის განმაპირობებელი გარემოებების გაცნობიერების საკითხი. ამდენად, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. კ-ძე სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების დადებისას მოქმედებდა საკუთარი ფინანსური დაინტერესებით. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს შეფასებით ლ. კ-ის შემთხვევაში თავდებობით ნაკისრი რისკის არაპროპორციულობა არ არის გამოვლენილი და ამ შემთხვევაში თავდები პარტნიორის მტკიცება, რომ თავდებობა უქონელმა პარტნიორმა იკისრა, ვერ გაამართლებს სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საფუძვლის არსებობას – ამორალურობის ვარაუდს.

13.35.4. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმავე გადანყვევტილებაში (იხ. წინამდებარე განჩინების 13.35.2 ქვეპუნქტი) გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტებით ეს წესი მოქმედებს მაშინაც კი, თუ ძირითადი მოვალის – შპს-ის პარტნიორობა მოჩვენებითია და ამ გარემოების აღქმა კრედიტორისათვის მიუწვდომელია: „აღნიშნული წესი მოქმედებს იმ საკრედიტო დაწესებულებისათვის შესარაცხი გარემოებები, როგორებიცაა საქმიანი გამოუცდლობის ბოროტად გამოყენება ან კიდევ ნების გამოვლენა თუ გადანყვევტილების მიღების თავისუფლება შეცდომაში შეყვანით, მშვიდნიერი იძულებითი მდგომარეობის შექმნა ან დაუშვებელი ზენოლის განხორციელება, რომლებიც ქმნიან თავდებობის ამორალურ იერ-სახეს“.

13.35.5. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. კ-ძე მასსა და ბანკს შორის დადებული სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, ასევე, ითხოვს სსკ-ის 72-ე მუხლითა და 73-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით. 72-ე მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. რაც შეეხება 73-ე მუხლს, ის განსაზღვრავს არსებითი შეცდომის სახეებს – არსებით შეცდომად ითვლება, როცა: ა) პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა; ბ) პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა; გ) არ არსებობს ის

გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად. ლ. კ-დის წარმომადგენელთა მტკიცებით, გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც გაფორმებულია სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებები, არ წარმოშობდა საკრედიტო ურთიერთობებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ეს ხელშეკრულებები იყო ჩარჩო შეთანხმებები, რომლებითაც მხარეებმა გამოთქვეს მომავალში თანამშრომლობის სურვილი. შესაბამისად, სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებებიც, როგორც აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გარიგებები, მსგავსი შინაარსის მატარებელი იყო და იმავე მიზნებს ემსახურებოდა, რასაც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებები. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ თუ ძირითად მსესხებელს მიეცემოდა კრედიტი, თავდებები შესაბამის პერიოდში არსებული გარემოებების შედეგად მიიღებდნენ გადაწყვეტილებას კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის აღების შესახებ. ლ. კ-დის წარმომადგენლები დამატებით განმარტავენ, რომ სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების დროს ლ. კ-დის მიერ სადავო ხელშეკრულებების შინაარსის აღქმა სწორედ იმგვარ შეფასებას ეფუძნებოდა, რომ ისინი აფორმებდნენ წინასწარი ხასიათის, ერთგვარი მემორანდუმის ტიპის შეთანხმებას, როგორც იყო ბანკსა და ძირითად მსესხებელს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები. ლ. კ-დის მიერ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების გაფორმების მომენტში, არავისთვის, მათ შორის, არც ბანკისთვის იყო ცნობილი, შედგებოდა თუ არა საკრედიტო-სამართლებრივი ურთიერთობა ბანკსა და ძირითად მსესხებელს შორის. ამ მსჯელობის შედეგად ლ. კ-დის წარმომადგენლები მიდიან დასკვნამდე, რომ თავდებს არც კი შეეძლო დაეშვა, რომ კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებების დადება და შესაბამისი თანხების გაცემა მისი დამატებითი თანხმობისა და ინფორმირების გარეშე მოხდებოდა და ძირითადი ვალდებულების არარსებობის პირობებში გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების ვალდებულება მომავალში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ძირითადი მსესხებლის ვალდებულებებზე ავტომატურად გავრცელდებოდა.

13.35.6. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თუ გარიგება სადავოა მის შინაარსში შეცდომის საფუძველით, მაშინ საქმე გვაქვს იმგვარ ცდომილებასთან, როდესაც ერთი შეხედვით გარიგების მო-

ნანილის ნება და გამოვლენილი ნება ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ გარიგების მონანილის სურვილი სხვა აზრითაა ნაკარნახევი, მას სურდა სხვა შინაარსი ჩაექსოვა, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. ამგვარი შეცდომის არსებობა შესაძლებელია დადგინდეს ნების განმარტების საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ ლ. კ-ძეს სურდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების დადება. თუმცა მხარის მტკიცებით, მისი ნება არ ყოფილა იმ პირობებზე შეთანხმება, რომლითაც ბანკს მასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებებში მითითებული, სამომავლოდ დასადები ხელშეკრულებების დადების გამო წარმოქმნილი ურთიერთობების ფარგლებში, თავდებობის საფუძველით, დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა ძირითადი მოვალის – შპს „ე-ის“ შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის.

13.35.7. სასამართლოს განმარტებით, საკუთარი ნების ამგვარი ინტერპრეტაცია შესაძლოა მივიჩნიოთ სამომავლო ვალდებულებებისათვის თავდებობის ინსტიტუტის მნიშვნელობის არცოდნის თუ არასწორი გაგების პროდუქტად, მაგრამ ვითარების ობიექტური შეფასება არ იძლევა ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. პირველ რიგში, უნდა ითქვას ის, რომ ლ. კ-ძე არის ძირითადი მოვალის – შპს „ე-ის“ საწესდებო კაპიტალში 70%-ის ოდენობის მქონე წილის მესაკუთრე პარტნიორი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი თანხმობის გარეშე ბანკისაგან ესოდენ დიდი ოდენობის სახსრების მოზიდვის გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა. უფრო მეტიც, ლ. კ-ძე, როგორც საწყისი მოლაპარაკებების, ისე – უკვე დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში, აქტიურადაა ჩართული ბანკთან ურთიერთობაში და ამის რწმენას იძლევა ზოგადად პარტნიორისა და, მით უმეტეს, გადაწყვეტილებების მიღებაში დომინანტური მდგომარეობის მქონე პარტნიორის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული პირადი ინტერესი, რომ მოქმედებდეს სანარმოს საკეთილდღეოდ (მიიღოს სანარმოსათვის მომგებიანი გადაწყვეტილებები, გააკონტროლოს მათი შესრულება და ამ მხრივ ზედამხედველობა გაუწიოს დირექტორს, დაუსახოს გეგმები მენეჯმენტს) და ამით მიაღწიოს იმ პირადი ინტერესის აღსრულებას, რასაც დივიდენდის მიღება ჰქვია. სასამართლოს შეფასებით, რომ არა ლ. კ-ძის ნება, არც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებები და მით უმეტეს – არც სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები არ დაიდებოდა. მეორე რიგში, უნდა შეფასდეს თავად ბანკის ინტერესიც, რომელიც ძირითადი მოვალე კომპანიის მსგავსად, ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. საბანკო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ეს მიზანი ვერ მიიღწევა, თუ ბანკი

მხოლოდ მოვალეთა კეთილსინდისიერების იმედით მოქმედებს და გაცემული სესხები არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი. როგორც ზემოთაა აღნიშნული, სამართლებრივად სრულიად გამართლებულია საბანკო პრაქტიკა, საქმიანი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შპს-ის პარტნიორთა თავდებობა. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ამ გარემოებათა გათვალისწინებით არაგონივრულად, უფრო მეტიც, ინფანტილურად ჩანს მიდგომა, რომ ბანკმა იზრუნა კრედიტით თუ სხვა საბანკო პროდუქტებით მომსახურების ფარგლებში განკარგული თანხების უზრუნველყოფისათვის, საამისოდ გააფორმა ძირითადი მოვალის პარტნიორთან სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები, თუმცა – უშედეგოდ, რადგან თავდებობის ხელშეკრულებები მხოლოდ მხარეების განზრახულობათა გამოვლენას ემსახურებოდა და შემდგომი თავდებობის ხელშეკრულებების გარეშე არ წარმოშობდა მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ამგვარ მტკიცებას მივყავართ იმ აზრამდე, რომ თუ კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას კვლავ არ დაიდებოდა თავდებობის ხელშეკრულება, მხარეთა შორის პრაქტიკულად ვერ შედგებოდა ურთიერთობა, რაც ბუნებრივად აჩენს კითხვას: რა საჭიროება, რა გონივრული ახსნა ჰქონდა სადავო გარიგებების გაფორმებას. ლოგიკასთან შეუსაბამოა მხარის მტკიცება, რომ ის ვერ წარმოიდგენდა, თუ სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები, უზრუნველყოფდა ძირითადი მოვალის სამომავლო ვალდებულების შესრულებას, ამგვარი შინაარსით გარიგების დადება არ იყო თავდების მიზანი, ის შეცდა ხელშეკრულების შინაარსში მაშინ, როდესაც სადავო ხელშეკრულებების ტექსტში სწორედ რომ ძირითადი მოვალის მხრიდან სამომავლო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავდების ვალდებულების განსაზღვრის მიზანი იკითხება. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ლ. კ-ქმ ბანკის წინაშე, ერთი და იგივე ძირითადი მოვალის ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორჯერ, სხვადასხვა, დაახლოებით ერთი წლისა და ერთი თვის ინტერვალით იკისრა თავდებობა იდენტური შინაარსის ხელშეკრულებების დადების გზით და გარიგების შინაარსში შეცდომის გამო პრეტენზია მხოლოდ მაშინ გამოთქვა, როცა ბანკმა თავდების წინააღმდეგ სარჩელი აღძრა.

13.35.8. აღნიშნული მსჯელობით საქალაქო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ლ. კ-ძის შემთხვევაში არავითარ შეცდომასთან არ გვაქვს საქმე, სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები არის ბანკისა და თავდების ნათლად გამოხატულ ნებათა თანხვედრის შედეგი. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო გარიგებათა ბათილად ცნობის, არც შინაარსში შეც-

დომის საფუძვლით, წინაპირობა არ არსებობდა.

13.36. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა კრედიტორის მოთხოვნისა და თავდების პასუხისმგებლობის მთავარ სამართლებრივ საფუძველზე, რაც სსკ-ის 891-ე მუხლის პირველი ნაწილით წესრიგდება – თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა უშვებს თავდებობის გამოყენების შესაძლებლობას სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვისაც. სსკ-ის 893-ე მუხლი თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელად მიიჩნევს შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობას. სასამართლომ განმარტა, რომ კრედიტორის მოთხოვნის განხორციელების წინაპირობა არის თავდებობის ხელშეკრულება და თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულების არსებობა. მაგრამ თავდების პასუხისმგებლობის დადგომისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ვალდებულების არსებობა, ასევე დამდგარი უნდა იყოს ამ ვალდებულების შესრულების ვადა. გადამწყვეტი წინაპირობა თავდების პასუხისმგებლობისა არის ძირითადი მოვალის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა. ამ მომენტიდან წარმოემოება კრედიტორს თავდებისაგან მოთხოვნის უფლება. სსკ-ის 895-ე მუხლის თანახმად, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა. ეს ნორმა განსაზღვრავს ჩვეულებრივი თავდებობის ფარგლებში კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წესისაგან განსხვავებულ წესს. თუ ჩვეულებრივი თავდებობის პირობებში თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (სსკ-ის 894-ე მუხლი), სოლიდარული თავდებობის დროს კრედიტორს უფლება აქვს მოთხოვნის დაკმაყოფილება პირდაპირ მოსთხოვოს თავდებს. ამის წინაპირობა კი არის ძირითადი მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება და უშედეგო გაფრთხილება, ანდა ძირითადი მოვალის ცხადად გამოხატული გადახდისუუნარობა.

13.36.1. სსკ-ის 896-ე მუხლით განსაზღვრულია რამდენიმე თავდების პასუხისმგებლობა ერთი და იმავე ვალდებულებისათვის. კერძოდ, თუ ერთი და იგივე ვალდებულების თავდები რამდენიმე პირია, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები,

მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თავდებებმა – ლ. კ-ქემ და ნ. შ-მა იკისრეს სოლიდარული თავდებობა იმ ერთი და იგივე სამომავლო ვალდებულებებისათვის, რომელიც ძირითად მოვალე შპს „ე-ის“ ჰქონდა ნაკისრი მოსარჩელე ბანკთან გაფორმებული ორი გსხ-ის ხაზის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული საკრედიტო ხაზის და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებით, ამ შეუსრულებელ ვალდებულებათა ოდენობა შედგება 44 185 824,92 (ორმოცდაოთხი მილიონ ასოთხმოცდახუთი ათას რვაასოცდაოთხი ლარისა და ოთხმოცდათორმეტი თეთრის) ლარისა და 2667,61 (ორიათას ექვსას სამოცდაშვიდი დოლარისა და სამოცდაერთი ცენტის) აშშ დოლარის ჯამისაგან და ძირითადი მოვალე შპს „ე-ის“ მიმართ, ამ უკანასკნელისავე განცხადების საფუძველზე, 2012 წლის 3 დეკემბრიდან სამართლოში წარმოებს გადახდისუუნარობის საქმე.

13.36.2 საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ ბანკის სარჩელი იმ მოთხოვნის ნაწილში, რომლითაც ის ითხოვს სოლიდარულ თავდებთა – ლ. კ-ქისა და ნ. შ-ის სოლიდარული პასუხისმგებლობის განსაზღვრას მათთვის თანხის გადახდის დაკისრების გზით, ლეგიტიმურია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

13.37. სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). სსკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება ერთ-ერთი მხარის მიერ გარიგების წარდგენის საფუძველზე, რომელიც დადებულია ამ კოდექსის 311-ე მუხლით დადგენილი წესით. გარიგებაში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი. მხარეთა შეთანხმებით გარიგებაში შესაძლებელია აღინიშნოს აგრეთვე უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, სარგებელი, შესრულების ვადა და სხვა პირობები. აღნიშნული ნორმის დეფინიციის შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებული იყოს უძრავი ნივთი. იპოთეკის ხელშეკრულება კრედიტორისათვის დამატებითი გარანტიის მატარებელია და მისი სტაბილური ქონებრივი ფასეულობა გარანტირებულს ხდის მის რისკს და აძლევს შესაძლებლობას, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა

უძრავი ქონების რეალიზაციის ხარჯზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ბანკსა და ნ. შ-ს შორის იპოთეკის ხელშეკრულებები გაფორმდა სამოქალაქო კანონმდებლობის დაცვით და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მოხდა. სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია.

13.37.1. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მსესხებელი მხარის (შპს „ნ. ე-ის“) მიერ დარღვეულ იქნა ვალდებულებები და ამ ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას ნარმოადგენს იპოთეკით დატვირთული, ნ. შ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ეს ვითარება კი, კრედიტორს (მოსარჩელე ბანკს) ლეგიტიმურ საფუძველს აძლევს იმისათვის, რომ შპს „ნ. ე-ის“ (მესამე პირის) მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი და შეუსრულებელი ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მოითხოვოს ნ. შ-ის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული, უძრავი ნივთის რეალიზაცია. ამდენად, სარჩელი ამ ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

13.38. სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. სასამართლო განმარტავს, რომ გარიგების ფორმა ნების გამოვლენის ფორმაა. კანონი იცნობს გარიგების ფორმის სამ სახეს და მათ შორისაა სანოტარო ფორმაც. მაგალითად, სსკ-ის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. სანოტარო ფორმის დაცვის აუცილებლობის კანონით განსაზღვრული შემთხვევის კლასიკური მაგალითია სსკ-ის 289-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც იპოთეკის ხელშეკრულების დადებისათვის ადგენს სანოტარო ფორმის დაცვის აუცილებლობას. კანონით გათვალისწინებული გარიგების ფორმის დაცვა არაა უბრალო ფორმალობა, რომლის დარღვევაც არაფერს იწვევს. ვინაიდან გარიგების ფორმა ნების გამოვლენის ფორმაა, ის პირდაპირ უკავშირდება ნების გამოვლენის ნამდვილობას და მიიჩნევა, რომ გარიგების ფორმის დარღვევით გამოვლენილი ნება არაა ნამდვილი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველს იძლევა სსკ-ის 59-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული იმპერატიული ნორმა, რომლის თანახმადაც, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინე-

ბული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

13.38.1. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულება (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) არაა დამონმებული სანოტარო წესით, რადგან სანოტარო აქტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს გარიგების სანოტარო ფორმის დაცვით დადებას, არ ასახავს რეალობას – ყალბია (იხ. წინამდებარე განჩინების 13.25.2-ე ქვეპუნქტი). საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ამ ვითარებაში სრულიად ზედმეტია მტკიცება სადავო იპოთეკის ხელშეკრულებით იპოთეკის საგნის მესაკუთრე ს. ჩ-ის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის თაობაზე. სასამართლომ გაიზიარა ს. ჩ-ის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა და მოსარჩელე ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულება (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) ბათილად, დადების მომენტიდან შედეგურნარო გარიგებად, ცნო.

13.38.2. ს. ჩ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებით, იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობით, რომელიც საფუძვლად უდევს ბანკის სარჩელს იმ მოთხოვნის ნაწილში, რომ შპს „ნ. ე-ის“ (ბანკის ძირითადი მოვალის, განსახილველ დავაში მესამე პირის) შეუსრულებელ ვალდებულებათა აღსრულების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცეს ს. ჩ-ის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული ნივთები, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამოირიცხა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

13.39. საქალაქო სასამართლომ ასევე იმსჯელა მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრასა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

13.39.1. მოსარჩელე ბანკმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, რომ იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა სრულად ვერ დაფარავს თავდებობით უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, მათი სრულად დაკმაყოფილების მიზნით გადახდევინება მიექცეს თავდებთა: ლ. კ-ძისა და ნ. შ-ის ნებისმიერ ქონებაზე და ამასთან, გადაწყვეტილება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

13.39.2. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ დავაზე დადგენილია, რომ მოსარჩელე ბანკსა და ლ. კ-ძეს შორის, 2010 წლის 14 ივნისს და 2011 წლის 12 ივლისს დადებული №514587-517830-გ და №CAS00000830 სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების; ბანკსა და ნ. შ-ს შორის, 2010 წლის 14 ივნისს და 2011

ნლის 19 მაისს, დადებული №514587-517830-ა და №CAS00000830 სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების 4.3.3 და 11.2 პუნქტებით მხარეებმა გაითვალისწინეს ძირითადი მოვალის (განსახილველ დავაში მესამე პირის) ვალდებულებების დაფარვის მიზნით თავდებთა ნებისმიერი ქონებაზე ან აქტივზე გადახდევინების მიქცევისა და სასამართლოში დავის წარმოების შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის წესები. ამასთან, ისიც უდავოა, რომ ბანკსა და ნ. შ-ს შორის, 2010 წლის 13 დეკემბერს და 2011 წლის 29 ივნისს, დადებული №514587-517830-ო და №CAH000000769 იპოთეკის ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში გათვალისწინებული პირობებით (ორივე შემთხვევაში ამ პირობათა განმსაზღვრელი პუნქტებია 15.2) მხარეებმა განსაზღვრეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის წესი.

13.39.3. სსსკ-ის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფარგლებში თავდებთა ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლების კუთხით და, ამასთან, დავის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის პირობებსა და წესებზე შეთანხმება, ქმნის იმის საჭიროებას, რომ სასამართლომ იმოქმედოს სსსკ-ის 251-ე მუხლის შესაბამისად და, მოცემული ვითარებიდან გამომდინარე, სამართლებრივი ლოგიკისა და სსსკ-ის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული დანაწესის საფუძველზე, გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევასთან ერთად განსაზღვროს შემდეგი შინაარსის გადანყვეტილების აღსრულების წესი – ქ. თბილისში, ... მდებარე, ნ. შ-ის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული, 232,1მ² ფართის მქონე №3 ბინის (საკადასტრო კოდი ...) რეალიზაციის შემდეგ, ამგვარი რეალიზაციის შედეგად შემცირებული, კრედიტორი ბანკის დარჩენილი მოთხოვნის აღსრულების მიზნით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გამოწვევის გათვალის-

წინებით, დასაშვებია სოლიდარული თავდებების: ლ. კ-ძისა და ნ. შ-ის ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაცია.

14. მხარეთა სააპელაციო საჩივრები

14.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა:

14.1.1 თავდაპირველმა მოსარჩელემ (ბანკმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოპასუხეთა: ი. ჩ-ის, ს. ჩ-ის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული შეგებებული სარჩელების ნაწილში და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შეგებებული სარჩელების უარყოფა და მოპასუხეთა წინააღმდეგ კრედიტორი ბანკის მიერ აღძრული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება;

14.1.2. მოპასუხე ლ. კ-ძემ მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბანკის მიერ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და არ დაკმაყოფილდა თავად ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელი, შესაბამისად, მეორე აპელანტმა მოითხოვა საკუთარი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და ბანკის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული ძირითადი სარჩელის უარყოფა.

14.2. ბანკის სააპელაციო პრეტენზიები შემდეგ ძირითად არგუმენტებს მოიცავს:

14.2.1. პირველი აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.2.4 პუნქტში მითითებულია, რომ ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულება არაა დამონმებული სანოტარო წესით, რადგან სანოტარო აქტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს გარიგების სანოტარო ფორმის დაცვით დადებას, არ ასახავს რეალობას – ყალბია. ნოტარიუსის ჩვენებით ს. ჩ-მა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სოფელ ..., რის შესახებაც არ არის მითითებული დამონმების აქტში. ეს ტექნიკურ უზუსტობას წარმოადგენს და არ შეიძლება იყოს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. 2016 წელს მონმის სახით სასამართლო სხდომაზე მოწვეულმა ნოტარიუსმა ვერ გაიხსენა, 2010 წელს, წელიწადის რომელ დროს მოხდა ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, რაც გასაკვირი არაა, ვინაიდან პ. შ-ას ჩვენებით, ის რამდენჯერმე იყო მისული ჩ-ებთან ხელშეკრულების დასამონმებლად. კანონით აკრძალული არ არის, რომ მხარეებმა სხვადასხვა დროს და ადგილას განახორციელონ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. ნოტარიუსმა განმარტა, რომ ხელშეკრულება მის მიერ იყო შედგენილი, ც. ჩ-ი დაწვრილებით გაეცნო ხელშეკრულების შინაარსს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ხელმოწერა. ასევე, ნოტარიუსმა ამოიცნო სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი ს. ჩ-ი. ბან-

კის მტკიცებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული ს. ჩ-თან დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი, ასევე თავდების – ი. ჩ-ის და თანამსესხებლის შპს „ნ.რ.გ-ის“ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები, ამასთან ამ უკანასკნელს საერთოდ არ წარმოუდგენია შესაგებელი სასამართლოში და სადავოდ არც გაუხდია ვალდებულების არსებობა. იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა იმ ვადით, რა ვადითაც იყო გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება. ასევე, დამატებითი პირობა ჩაიდო მეორე მხარის მიერ, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპს „ნ. ე-ის“ (მესამე პირის) ვალდებულება ბანკის წინაშე იქნებოდა არა უმეტეს ათი მილიონი დოლარისა და შპს „ნ. ე-ი“ გაიმარჯვებდა და გააფორმებდა ახალ კონტრაქტებს მინიმუმ ასი მილიონი ლარის ღირებულებით, ბანკი იღებდა ვალდებულებას, გაცეცა იპოთეკის მოხსნის წერილი. მხარისათვის არავის შეუზღუდავს ხელშეკრულების გაცნობის და ხელმოწერის უფლება. ს. ჩ-მა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გამოხატა თავისი ნება და აიღო შესაბამისი ვალდებულება, ამდენად ბანკი არ იზიარებს შეგებებული მოსარჩელის განმარტებას, რომ მას აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია. შესაბამისად, უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი სასამართლოს გადაწყვეტილება იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით;

14.2.2. პირველი აპელანტის მითითებით, სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მსჯელობს სადავო ხელშეკრულების ბათილობის რამდენიმე საფუძველზე;

14.2.3. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა შპს „ნ.რ.გ-ისათვის“ თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, თითქოსდა არ დასტურდება ამ უკანასკნელის მიერ საბანკო პროდუქტით სარგებლობის ფაქტი და არ არსებობს ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხე აიღებდა პასუხისმგებლობას შპს „ნ. ე-ის“ მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტების შესაბამისად შპს „ნ.რ.გ-ი“ იღებს პასუხისმგებლობას შემადგენელი ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით ბანკისათვის მიყენებულ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე;

14.2.4. ერთ-ერთი თავდები პირის – ი. ჩ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების ბათილობის თაობაზე, ბანკი სააპელაციო პრეტენზიის სახით ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სოლიდარული თავდებობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერით ადასტურებს პირი, რომ მისთვის ცნობილია, თუ რა

სახის და მოცულობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად კისრულობს თავდებობას და ეს განცხადება გაკეთებულია ნებაყოფლობით, ბანკის, მოვალეების და სხვა მესამე პირთა მხრიდან ი. ჩ-ის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ამ განცხადების შემდეგ გაფორმდა უკვე სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები;

14.2.5. ბანკი აკრიტიკებს სასამართლოს მსჯელობას გარიგების ამორალურობასთან დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევაში შპს „ნ. ე-ის“ (მესამე პირს) იმაზე მეტი ოდენობის სესხი მიეცა, ვიდრე იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონებების ღირებულება იყო. დამატებითი უზრუნველყოფის სახით გამოყენებულ იქნა თავდებობის ხელშეკრულებებიც. მხარეებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა (საქმე №2ბ/1341-14) სააპელაციო სასამართლოში, რომლის განხილვაც შეჩერებულია ამ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. აღნიშნულ საქმეში დავა მიმდინარეობს ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილობის თაობაზე ი. ჩ-ის და ლ. კ-ძის მიმართ. ი. ჩ-ს 50 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ქონება აქვს გასხვისებული ოჯახის წევრებზე. შესაბამისად, თავდებ პირს ჰქონდა მატერიალური შესაძლებლობა, თავისი აქტივებით აეღო პასუხისმგებლობა მსესხებლის მიერ პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. ასევე მოპასუხეები: ი. ჩ-ი, ნ. შ-ი და ლ. კ-ძე იყვნენ შპს „ბ-ას“ და შპს „ბ-ოს“ დამფუძნებლები, ამ საწარმოებში შპს „ნ. ე-იდან“ ხდებოდა თანხების გადარიცხვა, რაზედაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე შპს „ნ. ე-ის“ მიმართ, ასევე, მიმდინარეობდა ადმინისტრაციული დავა ცრუმადგიერ პირებად აღიარებასთან დაკავშირებით. თავდებობის ხელშეკრულების გაფორმება მოხდა იმ ვადით, რა ვადითაც საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება იყო გაფორმებული. ასევე დამატებითი პირობა ჩაიდო მეორე მხარის მიერ, რომ თავდებს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნის თავდებისათვის წარდგენიდან ათი კალენდარული დღის ვადაში თავდები ბანკს წარუდგენდა იმ დროისათვის თავდების მიმართ ბანკის მოთხოვნის ღირებულების 10%-ის მოცულობის საბანკო გარანტიას. ასევე, გაუგებარია რაში გამოიხატა ბანკის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მხარისათვის არავის შეუზღუდავს ხელშეკრულების გაცნობის და ხელმოწერის უფლება. მხარემ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გამოხატა თავისი ნება და აიღო შესაბამისი ვალდებულება. პირველი აპელანტი არ იზიარებს მხარის განმარტებას, რომ მას არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია აღებულ ვალდე-

ბულებებთან დაკავშირებით. აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება მოცემულ საქმეში პრეცედენტის სახით გამოიყენოს გერმანიის კანონმდებლობა და სასამართლო გადაწყვეტილება პრეცედენტის სახით, მით უმეტეს, რომ მათ არანაირი კავშირი და მსგავსება არა აქვს მოცემულ დავასთან დაკავშირებით. ასევე უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე (საქმე №ას-970-928-2013), ვინაიდან არც ამ გადაწყვეტილებას აქვს კავშირი და მსგავსება განსახილველ დავასთან. შესაბამისად, უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი სასამართლოს გადაწყვეტილება თავდებობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

15.1. მეორე აპელანტის (ლ. კ-ძის) სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

15.1.2. აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.1.15 პუნქტით სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავო ფაქტობრივ გარემოებად, რომ ბანკის სარჩელი მოთხოვნილი თანხების რაოდენობრივი კუთხით სადავო არ გამხდარა, რადგან ლ. კ-ძემ სადავოდ გახადა ბანკის მიერ წარდგენილი დაზუსტებული სარჩელით გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა 11 522 980.75 ლარის ოდენობით იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ როგორც ძირითადი მსესხებლის, ისე სოლიდარულად თავდები პირების მიმართ სარჩელის შეტანითა და თანხის სრულად დაბრუნების მოთხოვნით ბანკმა ისარგებლა სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით და უარი თქვა შესაბამის ხელშეკრულებებზე, რაც ბანკს ართმევს უფლებას, შესაბამისი ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ გაცემულ საბანკო გარანტიებზე მოითხოვოს თანხების მოპასუხისათვის დაკისრება;

15.1.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6.5 პუნქტის მე-9 აბზაცით სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად და საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ ის გარემოება, რომ ლ. კ-ძე სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების დადებისას მოქმედებდა საკუთარი ფინანსური დაინტერესებით. საზოგადოება და მისი პარტნიორი დამოუკიდებელ სამართალსუბიექტებს წარმოადგენენ და სანარმოში წილობრივი მონაწილეობა იმთავითვე არ ნიშნავს სანარმოს მენეჯმენტის ცალკეული გადაწყვეტილებების მიმართ პარტნიორის პირადი ფინანსური დაინტერესების არსებობასა და ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებზე მისი პირადი პასუხისმგებლობის გავრცელებას. ამასთან, პარტნიორისა თუ ნებისმიერი სხვა პირის პირადი ფინანსური ან სხვაგვარი დაინტერესება არ გამორიცხავს ამორალურობისა თუ სხვა საფუძვლებით თავდებობის ბათი-

ლად ცნობის შესაძლებლობას;

15.1.4. მეორე აპელანტის პრეტენზია იმასაც ეხება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6.5 პუნქტის მე-15 აბზაცით სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ლ. კ-ძეს სურდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების დადება. ლ. კ-ძის აღქმით, აღნიშნული ხელშეკრულებები არაფრით განსხვავდებოდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებისგან, რომლებიც დამოუკიდებლად, შემდგომი ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობდა. ზემოხსენებული 6.5 პუნქტის მე-17 აბზაცით სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ლ. კ-ძე როგორც სანყისი მოლაპარაკებების, ისე უკვე დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული ბანკთან ურთიერთობაში და რომ არა ლ. კ-ძის ნება, არც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებები და, მით უმეტეს, არც სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები დაიდებოდა. აპელანტის მტკიცებით, სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებიდან. ლ. კ-ძე არის შპს „ნ. ე-ის“ წილის მფლობელი პარტნიორი და არა მისი დირექტორი. ამასთან, სასამართლოს არ გამოუკვლევია აღნიშნულ კომპანიაში გადაწყვეტილებების მიღებისა და მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების წესი;

15.1.5. სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა ბანკის სარჩელზე ლ. კ-ძის მიერ წარდგენილი შესაგებლის პოზიცია და კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ყოვლად დაუსაბუთებლად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები მის მიმართ. სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სსკ-ის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 893-ე მუხლი, არასწორად არ გამოიყენა ამავე კოდექსის 50-ე, 51-ე და 52-ე, 345-ე და 405-ე მუხლები;

15.1.6. იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ შპს „ნ.რ.გ-ი“ არ მიიჩნია ვალდებულებათა შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად, რადგან ის წარმოადგენდა მხოლოდ მოსარჩელე ბანკს, შპს „ნ. ე-ისა“ (მესამე პირსა) და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის 2010 წლის 14 ივნისსა და 2011 წლის 19 მაისს გაფორმებული გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების მხარეს, რომლებითაც მხარეები არ შეთანხმებულან არსებით პირობებზე და აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში არ უსარგებლია ბანკისგან შეთავაზებული საბანკო პროდუქტებით, სასამართლომ შპს „ნ. ე-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება სრული მოცულობით დააკისრა თავდებ პირს, რომლის მიერ თავდებობის კისრების მომენტშიც ასევე არ არსებობდა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე და შესაბა-

მისად არ არსებობდა ვალდებულება ან/და თუნდაც იმგვარი სამომავლო ვალდებულება, რომელიც დააკმაყოფილებდა მისი განსაზღვრულობის მოთხოვნებს. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც არ გამოირიცხავენ თავდებობის არსებობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვალდებულება, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ნავარაუდევია ის, ჯერ არ წარმოშობილა და შესაძლებლად მიიჩნევენ საბანკო კრედიტის ყოველი ტრანშის უზრუნველყოფის მიზნით უზრუნველყოფის ერთი და იგივე საშუალების გამოყენებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მე-4 ნიგნის მე-2 ტომი, გვ. 229; ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012 წ., გვ. 33), თუმცა, სასამართლომ გვერდი აუარა იმავე წყაროებში თავდებობის ინსტიტუტთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებებს. კერძოდ, თავდებობა მოქმედებს მოვალის მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომლებიც თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან არის განსაზღვრული და ობიექტურად იდენტიფიცირებადი (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტომი II, გვ. 230); აქცესორული (დამოკიდებული) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების შემთხვევაში, უზრუნველყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან. უზრუნველყოფის არსებობა და მისი მოცულობა მიმართულია განსაზღვრული მოთხოვნის არსებობაზე. უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობის გარეშე, უზრუნველყოფის უფლება არც წარმოიშობა და არც გადაეცემა (იხ. თორნიკე დარჯანია, იპოთეკის აქსესორულობის პრობლემატიკა საკრედიტო ხელშეკრულებებში, 2013., გვ. 6); უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობა არის მოთხოვნის განსაზღვრადობა. მოთხოვნა იმდენად კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ შესაძლებელი იყოს მისი უზრუნველყოფა (იხ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012 წ., გვ. 18); უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს ნაკისრი ვალდებულებები (იქვე, გვ. 16); მართალია, თავდებობა უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მის გარეშე არ არსებობს, მაგრამ მოთხოვნის ცვლილება ავტომატურად არ აისახება თავდების პასუხისმგებლობის მოცულობაზე. სსკ-ის 893-ე მუხლის მე-2 წინადადების მიხედვით, გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ბანკების მიერ გამოყენებული თავდებობის ბლანკები (ფორმულარები), რომლებშიც მითითებულია, რომ თავდები პასუხს აგებს მო-

ვალის ყველა ვალდებულებაზე ბანკის წინაშე. ასეთი ჩანაწერი ეწინააღმდეგება სსკ-ის 893-ე მუხლის მე-2 წინადადებას და ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული. თუკი მოვალე ბანკისგან ახალ სესხს აიღებს, ამისთვის თავდებათან ახალი თავდებობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს (ანალოგიური მიდგომა არსებობს გერმანულ სამართალშიც; იქვე, გვ. 185). მეორე აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ სრულიად ურთიერთგამომრიცხავი გადანყვევტილება მიიღო, როდესაც გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების თანამსესხებელი მხარე საეცებით მართებულად გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან სწორედ იმის გამო, რომ მასთან არ მომხდარა შეთანხმება შესაბამისი საკრედიტო თუ საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ სხვა ხელშეკრულებების არსებით პირობებზე, ხოლო გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებები, ცალკე აღებული, არ შეიცავდა შეთანხმებას ამგვარ პირობებზე, თუმცა აბსოლუტურად დაუსაბუთებლად ამგვარი პასუხისმგებლობა სრული მოცულობით დააკისრა სოლიდარულ თავდებას, მიუხედავად იმისა, რომ არც მასთან ყოფილა შეთანხმებული შესაბამისი პირობები და მისთვის უცნობი იყო, როგორც საკრედიტო თანხის მოცულობა, ისე – საპროცენტო განაკვეთი და ხელშეკრულების სხვა არსებითი პირობები, ანუ უცნობი იყო, თუ რა ვალდებულების უზრუნველსაყოფად კისრულობდა თავდებობას;

15.1.7 მეორე აპელანტი აკრიტიკებს სასამართლოს მითითებას სსკ-ის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ჩანაწერზე თავდებობის სამომავლო და პირობითი ვალდებულებისთვის გამოყენების შესახებ, ამ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო მითითებული ნორმის არასწორ განმარტებას და არასწორად გამოიყენა ის. მხარის მტკიცებით, სასამართლომ ფაქტობრივად სამომავლო ვალდებულების იმგვარი განმარტება შემოგვთავაზა, რაც მას პირობითი გარიგების იმ შინაარსთან აიგივეს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბათილია. სსკ-ის 90-ე მუხლის თანახმად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე. გასათვალისწინებელია ასევე ამავე კოდექსის 96-ე მუხლში მოცემული დეფინიცია: გარიგება გადადების პირობით დადებულად ითვლება, თუ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ანდა ისეთ მოვლენაზე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია. ამავე კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დად-

გომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია. ამდენად, პირობით ვალდებულებაში მოიაზრება ისეთი ვალდებულება, რომელიც ერთდროულად სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომის შემთხვევაში წარმოიშვება და რომლის დადგომა ან დაუდგომლობა მხარეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული. სასამართლო კი იურიდიულ ლიტერატურაში სამომავლო ვალდებულებებთან დაკავშირებით მოყვანილ ისეთ მაგალითს ეყრდნობა, რაც, თავისი არსით, არა სამომავლო, არამედ – პირობით გარიგებას წარმოადგენს – თავდები იკისრებს სესხის გადახდის ვალდებულებას, თუ მის ნათესავს ვინმე ფულს ასესხებს (სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მე-4 ნიგნის მე-2 ტომი, გვ. 229), ეს გახლავთ პირობითი გარიგების, თანაც ბათილი გარიგების მაგალითი. რაც შეეხება სამომავლო ვალდებულებას, მასში კანონმდებელი ისეთ ვალდებულებას მოიაზრებს, რომლის შესრულებაზეც არსებობს კრედიტორის მოთხოვნის უფლება, თუმცა მისი შესრულების დრო ჯერ არ დამდგარა (მაგ. ბანკმა მისცა კრედიტი მსესხებელს, რომელიც გარკვეული პერიოდულობით აბრუნებს კრედიტის ძირითად თანხასა და საპროცენტო სარგებელს. ამ შემთხვევაში სახეზეა ბანკის სამომავლო მოთხოვნის უფლება და მსესხებლის სამომავლო ვალდებულება, ვინაიდან თანხის დაბრუნების ვალდებულება არსებობს პირობითად ყოველი თვის ბოლოს). ამდენად, ამ შემთხვევაშიც თავდებობის აღებამდე უნდა არსებობდეს ვალდებულება, თუმცა – სამომავლოდ შესასრულებელი, ანუ სახეზე უნდა იყოს კრედიტორის მოთხოვნის უფლება შესრულებაზე, თუმცა შესრულება სამომავლოდ, განსაზღვრული თარიღის ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგომის შემდეგ უნდა განხორციელდეს. განსახილველ შემთხვევაში როგორც სამომავლო, ისე პირობითი ვალდებულებები გამოვლენილი არ არის და სსკ-ის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილიც ირელევანტურია, რადგან სოლიდარული თავდებობის კისრების მომენტში არ არსებობდა სამომავლო ვალდებულება – სამომავლო ვალდებულება იქნებოდა უკვე მიღებული კრედიტის თანხის განსაზღვრული პერიოდულობით – ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად დაბრუნების ვალდებულება და არ არსებობდა პირობითი ვალდებულება – ძირითადი მსესხებლის ვალდებულება დაკავშირებული იყო არა სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, არამედ – მხარეთა თანმხვედრი ნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებასა და ბანკის მიერ კრედიტის გაცემაზე;

15.1.8. მეორე აპელანტის მტკიცებით, სამომავლო მოთხოვნასაც წაეყენება იგივე მოთხოვნები, რაც ვადამოსულ მოთხოვნას,

კერძოდ, ის საკმარისად განსაზღვრული უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ არა უგვიანეს მისი წარმოშობისა, უნდა მოხდეს მოთხოვნის ინდივიდუალურად განსაზღვრა ოდენობის, მოვალისა და საგნის მიხედვით. მაგალითად, განსაზღვრულად არ ითვლება მოთხოვნა მაშინ, როდესაც პირობითად ცვდენტი უთითებს, რომ თმობს ყველა მოთხოვნას 50 000 ევროს ოდენობამდე, რადგან ამ შემთხვევაში მოთხოვნის მოვალე და საგანი დაზუსტებული არ არის. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, გერმანულ სამართალში მოთხოვნის, მათ შორის, სამომავლო მოთხოვნის არასაკმარისი განსაზღვრულობა წარმოშობს ისეთ პრობლემას, როგორცაა გადამეტებული უზრუნველყოფა, რაც §138-ის მიხედვით ინვესს ხელშეკრულების ბათილობას, როდესაც მისი მთლიანი ბუნება ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამოა. ასეთ დროს ხდება უზრუნველყოფის მიმცემის პარალიზება, მას ეზღუდება საკუთარი ეკონომიური საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა იმგვარად, რომ მას, მხოლოდ როგორც უზრუნველყოფის მიმღების ინსტრუმენტს, ისე უნევს მოქმედება (იხ. იან კროპ-ჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 2014წ., გვ. 283). ამდენად, გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში სამომავლო ვალდებულების არაგანსაზღვრული ხასიათი თავდებობის არანამდვილობას ინვესს, თუმცა ეს გარემოება მისი ზნეობის ნორმებთან შეუსაბამობის გამო გარიგების ბათილობის საფუძვლადაც განიხილება;

15.1.9. ზემოაღნიშნულის გარდა, მეორე აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ აბსოლუტურად არასწორი დასკვნები გააკეთა თავდებობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით და სრულიად უგულვებელჰყო მისი აქცესორული ხასიათი, როდესაც დაასკვნა, რომ თავდებობა სრულიად იძენს იურიდიულ ძალმოსილებას, თუ კრედიტორსა და მოვალეს შორის დაიდება ის ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც განაპირობებს თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის და მისი შესატყვისი ვალდებულების არსებობას. სასამართლოსავე მითითებით, წინმსწრებად დადებული თავდებობის ხელშეკრულების აქცესორულობა ვლინდება იმაში, რომ თავდებობა ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრედიტორსა და მოვალეს შორის დაიდება ძირითადი ხელშეკრულება. ამგვარი მსჯელობა არ გამომდინარეობს და, უფრო მეტიც, პირდაპირ ეწინააღმდეგება სსკ-ის 893-ე მუხლით გათვალისწინებულ იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმადაც, თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ

გაიზრდება და ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა თავდებობის აქტისორულ ბუნებას უსვამს ხაზს და მისგან იმთავითვე გამომდინარეობს დასკვნა, რომ დაუშვებელია თავდებობის მოვალის იმ ვალდებულებებზე გავრცელება, რომლებიც თავდებობის კისრების მომენტიისათვის არ არსებობს და რომელთა განსაზღვრა ამავე მომენტისათვის შეუძლებელია. განსახილველ შემთხვევაში თავდების ვალდებულების განსაზღვრისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის განმარტებითაც, რომლის თანახმადაც, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. აღნიშნული ნორმა ვალდებულების შინაარსში ორ ძირითად ელემენტს გამოყოფს – ერთი პირის უფლება, მოითხოვოს შესრულება და მეორე პირის შესაბამისი მოვალეობა, შეასრულოს. ამასთან, შესრულების, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, სტრუქტურაში გამოყოფენ ძირითადი და დამოკიდებული შესრულების ცნებებს. პირველი დამოუკიდებლად არსებობს და მის მიერ სამართლებრივი შედეგების წარმოშობა მეორეზე დამოკიდებული არ არის. თავის მხრივ, დამოკიდებული შესრულება პირველის საფუძველზეა აღმოცენებული და მის გარეშე არ არსებობს. შესაბამისად, თუ ძირითადი ვალდებულება არ არსებობს, ყოველგვარ საღაზრს და სამართლებრივ ლოგიკას არის მოკლებული საუბარი დამოკიდებული შესრულების განხორციელების ვალდებულების არსებობაზე. სწორედ ამიტომ კანონი სპეციალურად მიუთითებს თავდებობისა და ძირითადი ვალდებულების განუყოფელ კავშირზე. ამდენად, სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 893-ე მუხლი, რომელიც საკმაოდ ცალსახად და არაორაზროვნად არის ფორმულირებული და არ იძლევა სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას;

15.1.10. მეორე აპელანტი მოიხმობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) &767-ს, რომელიც ფაქტობრივად ითვალისწინებს სსკ-ის 893-ე მუხლის ანალოგიურ დებულებას. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული ნორმიდან ვლინდება თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების მყარი დამოკიდებულება უზრუნველყოფილ ძირითად ვალდებულებაზე, თავდებობის არარსებობა სამართლებრივი ძალის მქონე ძირითადი ვალის გარეშე. ძირითად ვალზე დამოკიდებულების ფარგლები გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, გსკ-ის &767-ის პირველი ნაწილის მესამე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის კისრე-

ბის შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება. ამდენად, გარიგების საფუძველზე პასუხისმგებლობის ფარგლების შემდგომი გაფართოება (მაგ. თავდებობით უზრუნველყოფილი კრედიტის გაფართოება) არ მოქმედებს თავდების მიმართ... ფორმულარის ფორმით შედგენილი თავდებობის გავრცელება საქმიანობიდან გამომდინარე ყველა არსებულ და მომავალ მოთხოვნებზე არ შეესაბამება პირველი ნაწილის მე-3 წინადადებაში მოცემული კანონის სახელმძღვანელო გადაწყვეტილებას მომავალ მოთხოვნებთან დაკავშირებით და შესაბამისად ეწინააღმდეგება &307-ის მე-2 ნაწილის №1-ს (დავის შემთხვევაში მხარის მდგომარეობის შეუსაბამოდ გაუარესება ივარაუდება, თუ პირობა არ შეესაბამება კანონისმიერი დანაწესის ძირითად პრინციპებს, რომელთაგანაც იგი უხვევს); არსებული მოთხოვნების შემთხვევაში ფორმულარის ფორმით შედგენილი თავდებობის გავრცელება თავდებისათვის შეუსაბამოდ დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა &307-ის პირველი ნაწილის გაგებით, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ისინი შეუსაბამოდ საზიანოა შემთავაზებლის ხელშემკვრელი მხარისათვის. შეუსაბამო ზიანი შეიძლება ასევე წარმოიშვას იქიდან, რომ პირობა არ არის ნათელი და გასაგები (იხ. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 2014., გვ. 568-569). განსახილველი შემთხვევის ანალოგია გერმანულ სამართალში არსებული ე.წ. მაქსიმალური თანხის თავდებობის ინსტიტუტი, რომელიც თავდების მიერ კრედიტორის მთავარი მოვალის მიმართ არსებული მხოლოდ იმ მოთხოვნების შესრულებას ითვალისწინებს, რომლებიც წარმოადგენდნენ თავდებობის აღების საბაბს. მიჩნეულია, რომ დათქმები, რომლებიც მაქსიმალური თავდებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობას სხვა ვალდებულებებზე ავრცელებენ, მოულოდნელია და შეუსაბამო ზიანს აყენებს თავდებს (ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული სამოქალაქო საქმეებზე ((BGHZ)) 143, 95 (96 f.) = ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2000, 64; ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2002, 919 (920); 1996, 766) – მიუხედავად იმისა, სხვა (სამომავლო) ვალდებულებები მაქსიმუმს აღწევენ თუ არა (უმალექსი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM))) 1998, 1675 (1676 f.)), თავდებისათვის მოულოდნელობა იქნება, თუკი მან უცებ პასუხი უნდა აგოს სამომავლო მოთხოვნებზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოთხოვნები მაქსიმალური თან-

ხის ფარგლებში ჯდება. გარდა ამისა, ის სხვაგვარად ან უფრო ძლიერ შეიძლება დაიტვირთოს სხვა ვალდებულებების განსხვავებული პირობებით (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 1996, 1470 (1473)). ფედერალური სამოქალაქო კოდექსის §307 I თანახმად, გამჭვირვალობის მიზეზებიდან გამომდინარე მაქსიმალური თავდები შეუსაბამოდ ზარალდება ყველა არსებულ მოთხოვნაზე პასუხისმგებლობით, ვინაიდან ის არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ის არ დაიტვირთება იმ ვალის გამო, რომლის შესახებაც მისთვის არაფერია ცნობილი (ნობე, ბანკისა და კაპიტალის ბაზრის ჟურნალი (BKR) 2002, 747 (753); ასევე ტიდეკე, ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2001, 1015 (1018)). აქედან გამომდინარე, მოთხოვნების ჩამოთვლის გარეშე გამჭვირვალობის მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული (ნობე, ბანკისა და კაპიტალის ბაზრის ჟურნალი (BKR) 2002, 747 (755)). იმ შემთხვევაში, თუკი თავდებობის ანკეტა, რომელიც დასათაურებულია როგორც „ცალკე ვალდებულების თავდებობა“, კონტოკორენტული ვალდებულებებისა და ცალკეული სესხების „შერეულ უზრუნველყოფას“ ითვალისწინებს, რომელთაგანაც ცალკეული სესხის პასუხისმგებლობის თანხა მთლიანი თავდებობის მაქსიმალურ თანხას ფარავს, მაშინ თავდებობა უზრუნველყოფილი ძირითადი მოთხოვნის განსაზღვრულობის არარსებობის გამო არაქმედითია (ჰამის უმაღლესი სამხარეო სასამართლო ZIP 1999, 745).

15.1.11. მეორე აპელანტი მსჯელობს მხარეთა მტკიცებების ტვირთთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სწორედ კრედიტორია ვალდებული, დაასაბუთოს და დაამტკიცოს, რომ წარმოდგენილია თავდების ქმედითი თავდებობა და ის ფედერალური სამოქალაქო კოდექსის §767 I 1 გათვალისწინებით ძირითად ვალზე ვრცელდება (ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული სამოქალაქო საქმეებზე (BGHZ) 143, 95 f. = ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2000, 64). კრედიტორის მტკიცებების საგანში შედის ასევე თავდებობის განაცხადის მიღებულ ფორმასთან შესაბამისობის დადასტურება (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2000, 1179 კიოლნის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს წინააღმდეგ ZIP 1998, 150). უპირველესად კი კრედიტორმა უნდა წარმოადგინოს ცალსახა მტკიცებულება იმისა, რომ თავდებობის დოკუმენტი გაცემული არ იქნა როგორც არაქმედითი ფორმის ბლანკეტი (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2000, 514). მოცემულ შემთხვევაშიც თავდების პასუხისმგებლობის წარმოქმნის-

თვის განმსაზღვრელია ძირითადი ვალდებულების განსაზღვრულობა, რაც თავდებობის გაფორმების დროს არ არსებობდა. შესაბამისად, თუკი არ არსებობს განსაზღვრული ძირითადი ვალდებულება, არ შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა დამატებითი ვალდებულების შესრულების შესახებ;

15.1.12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე აპელანტს მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ბანკი ვალდებული იყო, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაეფორმებინა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რათა თავდები პირისათვის ცნობილი ყოფილიყო, თუ რა თანხის ფარგლებში და რა პირობებით გაფორმებული საკრედიტო თუ სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას და შესაძლებლობა ჰქონოდა შეეფასებინა, იძლეოდა თუ არა შესაბამის პერიოდში მისი ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა კონკრეტული ხელშეკრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ასეთი შესაძლებლობის გარეშე, ბუნებრივია, წარმოუდგენელია, რომ ფიზიკურმა პირმა გონივრული წინდახედულობის ფარგლებში დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მასსა და მის არსებულ თუ მომავალ ქონებას მუდმივი განუსაზღვრელობის, არასტაბილურობისა და საფრთხის რეჟიმში აქცევს. ასევე ობიექტურად შეუძლებელია ფიზიკურმა პირმა, მეწარმე სუბიექტთან ერთად, გააზრებულად იკისროს 20 000 000 და 50 000 000 მილიონი აშშ დოლარის სოლიდარულად გადახდის ვალდებულება მიუხედავად იმისა, თუ რა კავშირი აქვს მას აღნიშნულ სუბიექტთან. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ფაქტობრივად ორმაგი სტანდარტით იხელმძღვანელა როდესაც, ერთ შემთხვევაში, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებების მხარეს, რომელიც ამავე ხელშეკრულებებში კლიენტად არის მოხსენიებული, არ დააკისრა შპს „ნ. ე-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ გამხდარა აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში შემდგომში გაფორმებული საკრედიტო და სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებების მხარე, თუმცა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებების პარალელურად სოლიდარული თავდებობის მკისრებ პირს სრული მოცულობით დააკისრა ძირითადი მსესხებლის იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც თავდებობის კისრების მომენტში არ არსებობდა და შეუძლებელი იყო მათი მოცულობისა და ხელშეკრულების იმ პირობების პროგნოზირება, რომელთა თაობაზეც შეთანხმების არარსებობა გამორიცხავს რაიმე ვალდებულების არსებობის შესაძლებლობას;

15.1.13. სასამართლომ ასევე არასწორად არ გამოიყენა სსკ-ის 50-ე, 51-ე და 52-ე მუხლები გარიგების, ნების გამოვლენის ნამ-

დეილობისა და მისი განმარტების შესახებ. სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ხოლო ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. როგორც აღვნიშნეთ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებები დამოუკიდებლად არ წარმოშობდა რაიმე სამართლებრივ შედეგს მხარეებისთვის, რადგან ისინი წარმოადგენს ერთგვარი მემორანდუმის ტიპის დოკუმენტებს, მხარეთა განზრახულობათა ოქმს მომავალში თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულებების პარალელურად და იმავე ფორმატში გაფორმებული სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულება თავდების მიერ ნების შემდგომი გამოხატვის გარეშე საკმარისად მიიჩნია მასზე ვალდებულების დასაკისრებლად. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. მითითებული ნორმა გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდების, ბანკისა და ძირითადი მსესხებლის მიერ ზოგადი ხასიათის, მემორანდუმის ტიპის ხელშეკრულებების ხელმოწერით, რომელთაც არანაირი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვებოდა, რომლებიც არ იყო მბოჭავი არც ერთი მხარისთვის და რომლის ფარგლებშიც არ წარმოშობილა ძირითადი მოვალის არანაირი ვალდებულება, მათ შორის – არც სამომავლო, არ წარმოშობილა ბანკის ვალდებულება, გაეცა კრედიტი და შესაბამისად, კრედიტის დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის უფლება, არ შეიძლებოდა სასამართლოს დადგენილად მიეჩნია თავდების ნების არსებობა იმის თაობაზე, რომ მას საკუთარ თავზე აეღო გაურკვეველი, უცნობი და უფრო მეტიც, არარსებული ვალდებულებების შესრულება. თავისთავად ცხადია, ის გარემოება, რომ ყოველი შემდგომი ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში იდებოდა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ავტომატურად ახალ გარიგებაზე გადატანას ვერ გამოიწვევს. შესაბამის ხელშეკრულებებში არსებული მითითება იმაზე, რომ ყოველი შემდგომი დამატებითი ხელშეკრულება წარმოადგენს გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ და მის განუყოფელ ნაწილს, ვერ აქარწყლებს დამატებითი ხელშეკრულებების დამოუკიდებელ ხასიათს, ვინაიდან თავისთავად

გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების არსებობა არ იყო უტყუარი წინაპირობა იმისა, რომ შემდგომი ხელშეკრულებების გაფორმება გარდაუვალი იქნებოდა და მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმებას მიაღწევდნენ. ამისათვის საჭირო იყო მხარეთა დამოუკიდებელი და ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენა, რომლის პროგნოზირებაც წინასწარ, თუნდაც გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების არსებობის პირობებში, შეუძლებელი იყო. ამდენად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც ბანკი ითხოვს თავდების მიერ ვალდებულების შესრულებას, დადებული იყო თავდებობის აღების შემდეგ, რაც გამორიცხავს თავდებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას როგორც კანონის ნორმის იმპერატიული დანაწესის, ასევე, სამართლიანობის აღქმის მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით;

15.1.14. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა ხელშეკრულების განმარტებისას ფართოდ გამოყენებული ის პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებსა და აქტებში (UNIDROIT-ის საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, PECL – ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები და CISG – გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ) და რომელთა მეშვეობითაც სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება თავდების სასარგებლოდ უნდა განმარტებულიყო. სასამართლომ სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულება არ განმარტა ე.წ. საწინააღმდეგო განმარტების პრინციპით (*contra preferentem rule*), რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებულია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებაში, კერძოდ, სსკ-ის 345-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განმარტდება მეორე მხარის სასარგებლოდ. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ერთ-ერთი მხარის მიერ შეთავაზებული პირობების ბუნდოვანების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შემთავაზებული მხარის განმარტების საწინააღმდეგო განმარტებას; აღნიშნული მექანიზმში მიმართულია ხელშეკრულების მხარის მიერ ჩამოყალიბებული ტექსტის წინააღმდეგ და იძლევა კეთილსინდისიერი მხარის ინტერესების დაცვის შესაძლებლობას;

15.1.15. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა საერთო სასამართლოების პრაქტიკა, როდესაც დაუსაბუთებლად არის მიჩნეული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ საბანკო ინსტიტუტები ყოველდღიურად მიმართავენ ისეთ „საბანკო პრაქტიკას“, რო-

მელიც ეფუძნება ბანკსა და კლიენტს შორის გრძელვადიან ურთიერთობას და რომლის მიზანიცაა, თავიდან ააცილოს კლიენტს სხვადასხვა იურიდიული თუ ფინანსური დოკუმენტაციის მრავალჯერადი მომზადება, მასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯების გაღება, ყოველი ცალკეული საბანკო პროდუქტით მომსახურებისას ფორმდება გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული საბანკო პროდუქტით. სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს მხარეთა თანასწორობისა და თავისუფალი სახელშეკრულებო პრინციპით ანესრიგებს, რაც გულისხმობს მხარეთა თავისუფლებას ხელშეკრულების შინაარსში, ფორმაში და კონტრაპენტის არჩევანში კანონისმიერი შეზღუდვის გათვალისწინებით (სსკ-ის 319-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის ნორმათა, ძირითადად, დისპოზიციური ხასიათი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, კანონით დადგენილი წესისაგან განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ. ამავდროულად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის გამამწყვეტია ორივე მხარის ნება. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მოთხოვნის უზრუნველყოფის ფარგლები განსაზღვრეს. ამ ფარგლების შეცვლას კანონი არ კრძალავს, თუმცა სავალდებულოა მხარეთა ხელახალი შეთანხმება და ფორმის დაცვა (სსკ-ის 286-ე მუხლის მე-3 ნაწილი). კერძო სამართლის სუბიექტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია და თავის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში საბანკო პრაქტიკაში თუნდაც წარმატებული დანერგვა კანონის იმპერატიულ დანაწესს და სამართლის სუბიექტთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს ვერ შეცვლის (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-149-142-2013, ასევე – 2012 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1280-1300-2011);

15.1.16. ზემოაღნიშნულის გარდა, სასამართლომ არც ის გაითვალისწინა, რომ ბანკმა მოპასუხეების მიმართ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მან გაზარდა თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა 11 522 980.75 ლარით. მოთხოვნის გაზრდის საფუძველად კი მიუთითა, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში გაიცა საბანკო გარანტიები, რომლებზეც მოთხოვნა სარჩელის შეტანისას არ ყოფილა წარდგენილი. სარჩელში მითითებული საბანკო გარანტიების ნაწილი ბენეფიციარებზე გაცემულია პირველი სარჩელის წარდგენის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც გაიხსნა შპს „ე-ის“ მიმართ გადახდისუნარიობის საქმის წარმოება და ბანკმა სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ე-ის“, შპს „ნ.რ.გ-ის“, ლ. კ-ის, ი. ჩ-ისა და ნ. შ-ისათ-

ვის თანხის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ ამ ნაწილშიც არ გაიზიარა ჩვენი მოსაზრებები სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ბანკი სარჩელში მიუთითებდა, რომ საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში „მოპასუხეებს სესხის ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვა უნდა ენარმოებინათ გრაფიკების მეშვეობით, რომლებიც თან ახლავს ხელშეკრულებებს და წარმოადგენს მათ განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მათი ფინანსური მდგომარეობა საეარაუდოდ იმდენად გართულდა, რომ 2012 წლის 15 ოქტომბრიდან მათ შეწყვიტეს დავალიანების დაფარვა და მიუხედავად არაერთგზის სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილებისა ვალდებულების შეუსრულებლობა დღემდე გრძელდება“. ცხადია, ამ შემთხვევაში მოპასუხეში იგულისხმება შპს „ნ. ე-ი“, რომელმაც, როგორც მოსარჩელე მიუთითებს, 2012 წლის 15 ოქტომბერს შეწყვიტა სესხის დაფარვა. აქედან გამომდინარე, ცხადია, ბანკსა და ძირითად მსესხებელს შორის არსებობდა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა (სსკ-ის 316-ე მუხლი), რომლის დარღვევაც, როგორც ბანკი მიუთითებს, გახდა სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი. მიგვაჩნია, რომ სარჩელის შეტანით ბანკმა გამოიყენა თავისი კანონიერი უფლება და ხელშეკრულების დარღვევის გამო უარი თქვა ხელშეკრულებაზე. კერძოდ, სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ხოლო ამავე კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე ბანკი შპს „ნ. ე-ის“ და სხვა მოპასუხეებს პირველი სარჩელით თხოვს როგორც ვადამოსული ვალდებულებების შესრულებას, ისე არსებული გრაფიკების მიხედვით მომავალში შესასრულებელ ვალდებულებას, ანუ ფულადი თანხის სრული ოდენობით ანაზღაურებას, ცხადია, ეს უნდა განვიხილოთ, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა და ამით გამოწვეული ორმაგი რესტიტუციის უფლებით სარგებლობა. კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლა მონაწილეთა შორის ახალი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია: ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ. სხვაგვარად, ბანკის მხრიდან მოპასუხეებისთვის სარ-

ჩელით განსაზღვრული ფულადი მოთხოვნის სრული ოდენობით წაყენება, არც ერთი კანონიერი საფუძველიდან და მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი არც ერთი ნორმიდან არ შეიძლება გამომდინარეობდეს. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის არსებული ვალდებულებების ფარგლებში ბანკს მსესხებლისთვის შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ ვადამოსული დავალიანების გადახდა, ხოლო სრული თანხის დაბრუნების მოთხოვნა, ბანკს შეეძლო მხოლოდ ხელშეკრულების მოშლასთან ერთად, რაც მისი მხრიდან განხორციელდა სასამართლოში სარჩელის შეტანით. აქედან გამომდინარე, მეორე აპელანტს მიაჩნია, რომ დამატებით, ამ კონტექსტშიც, ყოველად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ბანკის მოთხოვნა თავდების (ლ. კ-ძის) მიმართ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდასთან მიმართებაში, ვინაიდან სარჩელის შეტანით ბანკი გავიდა მასსა და ძირითად მსესხებელს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და ვალდებულების სრულად ანაზღაურება მოითხოვა. აღნიშნულის შემდგომ გაცემული საბანკო გარანტიებით ანაზღაურებული თანხების თავდებისთვის დაკისრება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. მით უფრო, რომ სსკ-ის 893-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ თავდების ვალდებულებისთვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება;

15.1.17. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკმა არ შეასრულა 902-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა და არ აცნობა თავდებს იმ დამატებითი ვალდებულების წარმოშობის შესახებ, რაც დაზუსტებული სარჩელის შეტანის საფუძველი გახდა. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კრედიტორი ვალდებულია, თავდებს აცნობოს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის გადაცილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს. მთლიანობაში ზემოაღნიშნული არგუმენტაციის გაუზიარებლობას სასამართლოს დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა ლ. კ-ძის მიმართ, რაც მისი გაუქმების საფუძველია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების თანახმად;

15.1.18. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა ლ. კ-ძის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელი სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაო-

ბაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 54-ე, 55-ე, 72-ე და 73-ე მუხლები, არ გამოიყენა ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და 115-ე მუხლი, აგრეთვე – ამავე კოდექსის 320-ე მუხლი. სასამართლომ აქაც ორმაგი სტანდარტი დაადგინა, როდესაც, ერთ შემთხვევაში, სსკ-ის 54-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე ბათილად ცნო ი. ჩ-ის მიერ ბანკთან გაფორმებული სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულება, ხოლო ლ. კ-ძის მიერ გაფორმებული იდენტური შინაარსის ხელშეკრულებებთან მიმართებაში სხვაგვარი გადანყვეტილება მიიღო. სასამართლოს არგუმენტაცია ლ. კ-ძის შეგვებულ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ეფუძნება იმ ერთადერთ გარემოებას, რომ ლ. კ-ძე ძირითადი მსესხებლის – შპს „ნ. ე-ის“ 70%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია და ის საკუთარი ფინანსური ინტერესის ფარგლებში მოქმედებდა. სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში მოიხმო გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის გადანყვეტილება № XI ZR 98/1 საქმეზე, სადაც გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლოს შეფასებები, რომელმაც ზნეობის ნორმებთან შეუსაბამობის გამო ბათილად ცნო შპს-ის პარტნიორის თავდებობა იმ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, რომ შპს-ის პარტნიორის თავდებობა გამოინვევდა მისთვის დიდ ფინანსურ პრობლემებს და მისი შპს-ში წილობრივი მონაწილეობა არ იყო მისი, როგორც თავდების, რისკის შესაბამისი ეკვივალენტური ქმედება, რადგან საწარმოს მთელი ქონება წარმოადგენდა საკრედიტო უზრუნველყოფას. აღნიშნულის საპირისპიროდ, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ თავდებობის ამორალურობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრინციპები ვერ გავრცელდებოდა მთავარი მოვალის თანაპარტნიორზე, რადგან საკრედიტო დანესებულება, რომელიც გასცემს სესხს შპს-ზე, ძირითადად დაინტერესებულია აქტიურად მონაწილე პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობით. შესაბამისად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით მიიჩნია, რომ სამართლებრივად სრულიად გამართლებულია საბანკო პრაქტიკა, საქმიანი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შპს-ის პარტნიორთა თავდებობა. სასამართლოს მითითებით, კრედიტის გამცემი ბანკი ზოგადად უნდა ამოვიდეს იქიდან, რომ შპს-ის წილობრივი მონაწილეობის მქონე პარტნიორი ამას საკუთარი ფინანსური დაინტერესებით აკეთებს და სწორედ ამიტომ არანაირ არაპროპორციულ რისკს არ იღებს საკუთარ თავზე. ამდენად, თავდები პარტნიორის არც ფინანსური უქონლობა და არც მისი ემოციური კავშირი საზოგადოე-

ბაზე გაბატონებულ მესამე პირთან ვერ გაამართლებს ამორალურობის ვარაუდს. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება განსახილველ საქმესთან მიმართებით მეტად შეუსაბამოა მთელი რიგი გარემოებების გამო:

ა) პირველ რიგში, სასამართლომ არ გაითვალისწინა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით შექმნილი შპს-სა და საქართველოს კანონმდებლობით მიხედვით დაფუძნებული შპს-ის თვისობრივი განსხვავებები. გერმანული შპს (GmbH) უმთავრესად იქმნება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და წარმოადგენს ერთმანეთთან ახლო პიროვნული კავშირის მქონე პარტნიორების გაერთიანებას (Martin Schulz, Oliver Wasmeier, *The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law*, 2012, p.116). ქართულ სინამდვილეში შპს ფაქტობრივად ნებისმიერი ტიპისა და მასშტაბების სამენარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის უალტერნატივო ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს, სადაც პარტნიორების გასაერთიანებლად არავითარი მჭიდრო კავშირის არსებობა არ მოითხოვება. ამასთან, სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ რამდენად მიესადაგება გერმანული სამართლით აღიარებული „აქტიურად მონაწილე პარტნიორის“ ცნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი საწარმოს პარტნიორს და რამდენად შესაძლებელია მისი ანალოგის ქართულ რეალობაში მოძიება იმ პირობებში, როდესაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით პარტნიორის როლი შემოიფარგლება საწარმოს დაფუძნებისა და კანონით ან/და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებით, ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელობით საქმიანობას დანიშნული მესამე პირი – საზოგადოების დირექტორი უზრუნველყოფს, რომელსაც, როგორც წესი, სრულად აქვს გადაცემული საწარმოს მართვის უფლებამოსილებები, ხოლო საზოგადოების პარტნიორები, როგორც წესი, საკმაოდ შორს არიან საწარმოს მენეჯმენტისგან და არ ერევიან ყოველდღიურ მმართველობით საქმიანობაში. ამასთან, საქმეში არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რაც სასამართლოს იმგვარი შეფასების გაკეთების შესაძლებლობას მისცემდა, რომ ლ. კ-ძე შპს „ნ. ე-ის“ „აქტიურად მონაწილე პარტნიორი“ იყო. ხაზგასასმელია, რომ ლ. კ-ძე იმავდროულად არ ყოფილა საზოგადოების დირექტორი და საზოგადოების უშუალო ხელმძღვანელობით უფლებამოსილებებს არ ახორციელებდა. რაც შეეხება კომპანიაში ლ. კ-ძის 70%-იანი წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით სასამართლოს მიერ იმაზე მითითებას, რომ მისი თანხმობის გარეშე ბანკისგან ესოდენ დიდი ოდენობის სახსრების მოზიდვის გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა,

გარდა იმისა, რომ სასამართლოს ეს გარემოება სათანადო წესით არ გამოუკვლევია და დაუდგენია, მისი დადგენის შემთხვევაშიც კი არ არსებობდა ლ. კ-ძის „აქტიურად მონაწილე პარტნიორად“ მიჩნევის საფუძველი, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ლ. კ-ძე საზოგადოების უშუალო მმართველობით საქმიანობას არ ახორციელებდა. მისი მონაწილეობა საზოგადოებაში შემოიფარგლებოდა 70%-იანი წილის ფლობის ფაქტით და აღნიშნულის საპირისპირო მტკიცებულება საქმეში არ არსებობს. გარდა ამისა, სასამართლოს მხრიდან იმაზე მითითება, რომ არ გამოვლენილა გარემოება, რომელიც სასამართლოს აფიქრებინებდა, რომ ლ. კ-ძის პარტნიორობა განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი, კომპანიაზე გაბატონებული პარტნიორის ან მესამე პირის მხრიდან ზემოქმედების გამო და ამგვარი პარტნიორობა არ იყო ნაკარნახევი ლ. კ-ძის ფინანსური დაინტერესებით (დივიდენდის მიღების სურვილით) და აღნიშნულიდან გამომდინარე იმ დასკვნის გაკეთება, რომ სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას ლ. კ-ძე მოქმედებდა საკუთარი ფინანსური დაინტერესებით, რამაც თითქოსდა უნდა გამორიცხოს თავდებობით ნაკისრი რისკის არაპროპორციულობა და თავდები პარტნიორის მტკიცება, რომ თავდებობა უქონელმა პარტნიორმა იკისრა, ცდება სამართლებრივ ლოგიკას და არსებული მართლწესრიგის ფარგლებს, რადგან ამგვარი მსჯელობით სასამართლო სრულიად უგულებელჰყოფს პასუხისმგებლობის შეზღუდვას, რაც ყველაზე არსებითი განსხვავებაა კორპორაციული ტიპის საზოგადოებებსა და პერსონალური ტიპის საზოგადოებებს შორის. ცხადია, საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორის უპირატესი ინტერესი საზოგადოების საქმიანობის შედეგად მოგების მიღებაში მდგომარეობს, თუმცა ეს მიზანი არ შეიძლება ნეგატიურ ქრილში იქნეს განხილული და პარტნიორზე იმაზე მეტი რისკის დაკისრების საფუძველი გახდეს, ვიდრე მას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გაკეთებული სრულიად ლეგიტიმური არჩევანის შედეგად აქვს ნაკისრი. კერძოდ, საზოგადოების დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ცხადია, პარტნიორები განიხილავენ საკითხს იმის თაობაზე, თუ საზოგადოების რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებაა მათთვის უფრო ხელსაყრელი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების შემთხვევაში პარტნიორების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მათ მიერ განხორციელებული შენატანების ფარგლებში. ამასთან, შენატანი მისი განხორციელების მომენტიდან დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის – შესაბამისი იურიდიული პირის საკუთრებაა, რომელიც განცალკევებულია საკუთა-

რი პარტნიორებისა და მათი ქონებისგან. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას. ამდენად, პარტნიორი თავის ქონებას საკუთრებაში გადასცემს საზოგადოებას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის მისი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი, ზოგადი ნესის მიხედვით, არ დგება. შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად გამართლებულია, რადგან იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისგან და, მეორე მხრივ, კომპანიის ქონების დაცვას დირექტორებისა და პარტნიორების მიერ აღნიშნული ქონების პირადი სარგებლობისთვის უკანონო გამოყენებისგან. ამდენად, სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი იმგვარი მიდგომა, რომ კომპანიის პარტნიორის მიერ ნაკისრი თავდებობა არ ექვემდებარება თავდებობით ნაკისრი რისკის არაპროპორციულობისა და, შესაბამისად, ამორალურობის კუთხით შეფასებას, რადგან პარტნიორს პირადი ფინანსური დაინტერესება ამოძრავებს, იმთავითვე მცდარია და არ გამოძინარეობს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი კონსტრუქციის არსიდან, რომელიც კანონმდებლის ნების საფუძველზე იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ პარტნიორი, მისი ფინანსური დაინტერესების მიუხედავად, არ უნდა განიხილებოდეს საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელ სუბიექტად, გარდა მის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევისა, რაც განსახილველ შემთხვევაში არც კი წარმოადგენს მსჯელობის საგანს. თუ სასამართლოს ლოგიკას მივყვებით, აზრი ეკარგება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის მქონე იურიდიული პირის დაფუძნების გზით, რადგან, პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიუხედავად, დამფუძნებელი პარტნიორი ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს საზოგადოების მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე, როგორც ინდივიდუალური მეწარმის ფორმით საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში აგებდა. აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ქართული კა-

ნონმდებლობისგან განსხვავებით, გერმანული სამართალი იცნობს ფიზიკური პირის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესაძლებლობას, რაც პირისათვის გადაჭარბებული ფინანსური ტვირთის შემსუბუქების ან მისგან გათავისუფლების ეფექტურ მექანიზმად ჩამოყალიბდა. ჩვენს შემთხვევაში, ასეთი მექანიზმის არარსებობის პირობებში მოვალე ფიზიკურ პირს მთელი ცხოვრება უნევს შეუსაბამოდ დიდი ტვირთის ზიდვა ღირსეული არსებობისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივის გარეშე. ამდენად, აშკარაა, რომ სასამართლოს მსჯელობა არ უნდა იქნეს გაზიარებული და საზოგადოების პარტნიორის მიერ ნაკისრი თავდებობა იმავე სტანდარტებით უნდა შეფასდეს, როგორც ეს მესამე პირებთან მიმართებაში ხდება;

ბ) სასამართლოს მიერ გამოყენებული გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა არ უნდა იქნეს განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით განზოგადებული და გამოყენებული დავის ფაქტობრივი გარემოებების თავისებურებების გათვალისწინებითაც. კერძოდ, მითითებულ საქმეზე კრედიტორი იყო შემნახველი სალარო, რომელიც, მართალია, საკრედიტო დაწესებულებას წარმოადგენდა, მაგრამ არ იყო საბანკო დაწესებულება. შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა შესაბამისი დაცვითი ნორმები, რაც ისეთ ნამყვან საკრედიტო დაწესებულებასთან მიმართებაში, როგორც განსახილველი დავის მოსარჩელე ბანკია, ავტომატურად ვერ გავრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლო საბანკო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბანკების მხრიდან კეთილსინდისიერების პრინციპის განუხრელ დაცვას ემხრობა და აცხადებს, რომ ბანკმა უნდა იზრუნოს კონტრაჰენტის მდგომარეობაზე და არ გააფორმოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც განსაკუთრებულად მძიმე ვითარებას უქადის ხელშემკვრელ მხარეს და ამასთან, იმთავითვე გამორიცხულია ხელშეკრულებით ნაგულისხმევი შედეგის მიღწევა, რა მიზნითაც არსებობს მოლოდინი, რომ ბანკი აუცილებლად გადაამოწმებს გარანტიის ღირებულების მდგრადობას, მაგალითად, თავდებობის დროს თავდების ქონებრივ მდგომარეობას, საწარმოს პარტნიორის თავდებობის შემთხვევაში სასამართლო რატომღაც ველარ ხედავს ბანკის მხრიდან ამგვარი მიდგომის საჭიროებას. ამდენად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი საქმისგან განსხვავებით, განსახილველ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენს ბანკს, რომლის მიმართ ნდობის ხარისხი უფრო მაღალია, რაც მისი საიმედოობისა და მომეტებული დაცვის ვარაუდს ეფუძნება. შესაბამისად, საბანკო დაწესე-

ბულებას, როგორც ძლიერ კონტრაჰენტს, გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულება მოეთხოვება, ვიდრე ჩვეულებრივ სამენარმეო საქმიანობის სუბიექტს, მათ შორის, შემნახველ სალაროს. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა და სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცა იმ ფაქტისთვის, რომ ბანკს არ მოუხდენია თავდები პირის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა მისი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენა. ასეთი შესწავლის შემთხვევაში, რასაკვირველია, იმთავითვე ცხადი იქნებოდა, რომ სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების შესაბამისი ზღვრული ლიმიტის ფარგლებში გაფორმებას არანაირი აზრი არ ჰქონდა, ხოლო მათი გაფორმების შემთხვევაში თავდები პირი მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ვერ გათავისუფლდებოდა ვალაუვალობის ტვირთისგან და მას ღირსეული არსებობისა და განვითარების საშუალება მოესპობოდა, რადგან მისი შემდგომი ცხოვრებისა და საქმიანობის ერთადერთი მიზანი ძირითადი მსესხებლის დავალიანების დაფარვა იქნებოდა და არა – საკუთარი ქონების შექმნა და დაგროვება. შესაბამისად, ის დაკარგავდა ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების როგორც მოტივაციას, ისე შესაძლებლობას, რადგან მასთან საქმიან ურთიერთობაში შესვლას, ცხადია, გონივრული წინდახედულების ფარგლებში მოქმედი არც ერთი ბიზნეს სუბიექტი არ მოისურვებდა;

გ) ნიშანდობლივია, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან მოხმობილი შემთხვევისგან განსხვავებით, სადაც საქმე ეხებოდა 2 მილიონი გერმანული მარკის ოდენობის კრედიტს, თანაც იმ პირობებში, როდესაც გამოყენებული იყო უზრუნველყოფის სხვა არაერთი საშუალება, მათ შორის, ბანკის თავდებობა 1.28 მილიონი გერმანული მარკის ოდენობით, ფიზიკური პირის თავდებობა, რომელიც იყო ჩვეულებრივი და არა სოლიდარული, ვრცელდებოდა 500 000 გერმანული მარკის ფარგლებში, თანაც იმგვარად, რომ თავდებისგან დაკმაყოფილება მხოლოდ უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენების შემდეგ უნდა მომხდარიყო, საბოლოო ჯამში კი მას 51 000 გერმანული მარკის გადახდა დაეკისრა, რაც საერთო ვალის დაახლოებით 5%-ს შეადგენდა, განსახილველ შემთხვევაში ლ. კ-ძემ იკისრა სოლიდარული თავდებობა საკრედიტო თანხის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, ერთ შემთხვევაში – 20 000 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მეორე შემთხვევაში – 50 000 000 აშშ დოლარის ოდენობით, ჯამში 70 000 000 აშშ დოლარის ოდენობით და მას სასამართლოს გადაწყვეტილებით სრულად დაეკისრა ძირითადი მსესხებლის დავალიანების დაფარვა (2667.61 აშშ დოლარი, 21 619 460.39 ლარი, 3 253 703.53 ლარი, 1 495350.45 ლარი, 2

001 138.07 ლარი, 3 456 003. 27 ლარი, 12 360 169.21 ლარი), რამაც ჯამში 44 000 000 ლარს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. გარდა ამისა, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ბანკის მიერ შეთავაზებული თავდებობის ხელშეკრულებების პირობების უკიდურესად კაბალური ხასიათი, როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით და არა მხოლოდ, თავდები უარს აცხადებდა სამოქალაქო კოდექსით მისთვის მინიჭებული დაცვითი ნორმებით სარგებლობაზე. ამასთან, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ხელშეკრულებებზე ხელმოწერა განხორციელდა ისე, რომ თავდებს არც განემარტა იმ ვალდებულების შინაარსი და ის სამართლებრივი შედეგები, რომელსაც ბანკი ხელშეკრულებების ხელმოწერას უკავშირებდა. გარდა ამისა, ბანკს არც ერთხელ არ უცნობებია თავდებისთვის ძირითადი მსესხებლისათვის საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტისა თუ სხვა სახის საბანკო პროდუქტებით სარგებლობის უფლების მინიჭებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა ის ფაქტი, თუ რამდენად კეთილსინდისიერი იყო ბანკი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის დომინანტი მონაწილე. ამდენად, სასამართლომ უგულვებელჰყო სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას ავალდებულებს და რომლის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგის დადგომასა და უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაში მდგომარეობს, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირსების, ამ უმთავრესი კონსტიტუციური ღირებულების დაცვასთან, საკუთრების უფლების რეალური გარანტიების შექმნასთან, თავისუფალი განვითარების უფლების უზრუნველყოფასა და მენარმეობის თავისუფლებასთან, შესაბამისად, სტაბილური და მყარი სამოქალაქო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერალური სასამართლოს ერთეული შემთხვევის განზოგადებისა და განსახილველ შემთხვევაზე მორგების მცდელობის ნაცვლად, რომელიც გარდა იმისა, რომ ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული რეალობისგან და პრინციპში მხოლოდ პარტნიორის თავდებობის დასაშვებობაზე მიუთითებს, მისთვის ერთგვარი პრეცედენტული მნიშვნელობის მინიჭება განსხვავებული და არაპრეცედენტული სამართლის სისტემის პირობებში, არაგონივრული და გაუმართლებელია, სასამართლოს უნდა ემსჯელა იმაზე, თუ რამდენად პროპორციული და გონივრული იყო თავდების ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართების ის ტვირთი,

რომელიც მას სადავო ხელშეკრულებების საფუძველზე დაეკისრა და რამდენად შესწევდა ამ ტვირთის ზიდვის უნარი ღირსეული არსებობისა და განვითარების შესაძლებლობის მოსპობის გარეშე;

დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით: „... სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. ... „საჯარო წესრიგის“ ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთან არის დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული საკეთე საზოგადო ფასეულობისა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებას. აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შებოჭილია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული. მაშასადამე, ყოფილა ურთიერთობანი, რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ „კერძო ავტონომიის საქმე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-15-15-2016). სამოქალაქო ბრუნვის გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებში მოქცევა, სამოქალაქო კოდექსის გარდა, აღიარებულია კონსტიტუციური სამართლის დოქტრინაში – „საქართველოს კონსტიტუციამ მთავარ ღირებულებად ადამიანი, მისი ღირსება და თავისუფლება აღიარა და მას წარუვალა და უზენაესი მნიშვნელობა მიანიჭა“ (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, თბილისი, 2013, გვ. 7). რაც მთავარია, „კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებების მთავარი ღირებულებითი საფუძველი ადამიანია და აღნიშნული უფლებების განმარტებისა და შეფარდების პროცესში ამას

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“ (Starck, Der Demokratische Verfassungsstaat, 1995, S.161 ff; Huber, Des Menschenbild im Grundgesetz, Jura 1998, S.505 ff). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, როცა სამოქალაქო ბრუნვის ნორმატიულად დადგენილი პირობები არღვევს ბრუნვის მონაწილეების ინტერესთა ბალანსს, მაშინ ურთიერთობათა კერძოსამართლებრივი მოწესრიგება შესაძლებელია განიხილებოდეს კონსტიტუციური უფლებების ჭრილში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის №1/1/374,379 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“). საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ლიუთის საქმეზე (BVerfGE, 7,198 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 7,198), რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. სხვა გადაწყვეტილებებში, ფედერალურმა სასამართლომ დაგმო სავაჭრო ძალაუფლებით გამოწვეული უთანასწორობა და მოითხოვა ძირითადი უფლებების აღდგენა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის №1/1/374,379 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“). ანალოგიურ მიდგომას იზიარებს საერთო სასამართლოების პრაქტიკა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელშიც სასამართლომ მიუთითა შემდეგი: „საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. ყოველივე ამის საფუძველი სტაბილური ეკონომიკური ბრუნვა და ბრუნვის მონაწილეთა ძირითადი უფლებების დაცვაა. გარიგება ან მისი ესა თუ ის პირობა ზნეობრივ ნორმებთან და საჯარო წესრიგთან შეუსაბამოა, როდესაც ის ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში. შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც თითოეული გარიგების შინაარსი და მისი სამართლებრივი ბუნება, ასევე მისი პირობების შედარება სამოქალაქო ბრუნვაში ანალოგიური ეკონომიკური დანიშნულების მქონე გარიგებების შინა-

არსთან, ასევე ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც გამოავლინა გარიგების დადების ნება მხარემ“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-970-928-2013). კერძო ავტონომია და სახელმეკრულებო თავისუფლება წარმოადგენს ძირითადი უფლებებით დაცულ სიკეთეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. როგორც კონსტიტუციონალისტები აღნიშნავენ, ამ უფლების შინაარსი ძალზე ფართოა და „იგი მოიცავს ადამიანის არაერთ უფლებასა და თავისუფლებას, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების რეალიზაციის საშუალებად შეიძლება წარმოვიდგინოთ“ (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, თბილისი, 2013, გვ. 89). აღნიშნული უფლება, დაცვის სფეროს მოხედვით, ორ ძირითად უფლებას აერთიანებს, რომელთაგან საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება გულისხმობს „ყველაფრის კეთების უფლებას, რაც კი კანონით აკრძალული არ არის“ (Ibid. გვ. 91). სწორედ „ქცევის საყოველთაო თავისუფლებიდან გამომდინარეობს ეკონომიკური და სახელმეკრულებო თავისუფლებაც, თუ იგი არ ხვდება სხვა, სპეციალური ძირითადი უფლებების მოქმედებაში“ (გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, გვ. 72). იგივე მოსაზრება აღიარებულია ასევე სხვა ქართველი ავტორების მიერ (გიორგი ცერცვაძე, სახელმეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 101);

ე) კერძო ავტონომია და სახელმეკრულებო თავისუფლება არ წარმოადგენს შეუზღუდავ უფლებას. ის ყოველთვის განსაზღვრულ ფარგლებში ხორციელდება. როგორც პროფესორი ლადო ჭანტურია აღნიშნავს, „კერძო ავტონომიის ფარგლები, რომლებიც, როგორც წესი, კანონით განისაზღვრება, ან გარიგების ფორმას ეხება ან გარიგების შინაარსს ან სხვა გარემოებები უდევს საფუძვლად“ (ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 94). უმთავრესი მოტივი ის გახლავთ, რომ „ხელმეკრულება უზრუნველყოფს მატერიალური სიკეთის არა უბრალოდ განაწილებას, არამედ ამ განაწილების სამართლიანობასაც. ჯერ კიდევ თომა აქვინელი და შემდგომში ბუნებითი სამართლის მოძღვრების შემქმნელი მოაზროვნეები ამტკიცებდნენ, რომ ხელმეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებასა და მის შემხვედრ დაკმაყოფილებას შორის გარკვეული ნონასწორობა უნდა არსებობდეს და იგი გარანტირებული უნდა იყოს როგორც სამართლიანობის ერთ-ერთი ელემენტი“ (გიორგი ცერცვაძე, სახელმეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 51). სწორედ ამიტომ, „ხელმეკრულების თავისუფლების პრინციპის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და კონსტიტუ-

ციური მნიშვნელობის პრინციპების დაცვის მიზნით“ ხელშეკრულების თავისუფლება გარკვეულ შეზღუდვებს განიცდის. სახელშეკრულებო თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეები სტრუქტურულად თანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ამიტომაც, „კანონმდებელი (უკიდურეს შემთხვევაში, მოსამართლეც) ვალდებულია პრევენციული ზომები მიიღოს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დასაცავად, რათა არ მოხდეს აღნიშნულ უფლებათა შელახვა ხელშეკრულების თავისუფლების ხარჯზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარეები არათანაბარ პირობებში არიან“ (მარიამიძე გიორგი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, 2011, გვ. 31). როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ: „სახელშეკრულებო წონასწორობა არის თანასწორობის პრაქტიკული გამოვლინება. იგი მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების სამართლიან გადანაწილებაზე მიუთითებს და წარმოიშობა მაშინ, როცა კონტრაქტები თანაბარი უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი არიან. ... როგორც კი, ირღვევა უფლება-მოვალეობათა ეკვივალენტურობა, სახელშეკრულებო წონასწორობას საფრთხე ექმნება“ (თინათინ ჩაჩანიძე, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი №3(26), 2010, გვ. 23-24“);

ვ) ძირითადი უფლებების დაცვის და ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების, დაცვის პრობლემა აქტუალურია იმ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რომლებიც განსაკუთრებული რისკის მატარებელია ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიმართ. თავდებობის ხელშეკრულება, მით უფრო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, სწორედ იმ ტიპის ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მომეტებულ რისკს შეიცავს თავდების მიმართ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1993 წლის გადაწყვეტილება „ბიურგეს“ საქმეზე (BVERFG89, 214 = NJW 1994, 36). სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება განსახილველ შემთხვევას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, მიუთითა ძირითადი უფლებების მნიშვნელობაზე კერძო სამართალში. სასამართლოს აზრით: „ძირითადი კანონი ძირითადი უფლებების თავში შეიცავს ფუნდამენტურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გადაწყვეტილებებს სამართლის ყველა დარგისთვის. ეს ფუნდამენტური გადაწყვეტილებები ვითარდება იმ დებულებების მეშვეობით, რომლებიც პირდაპირ აკონტროლებს განსახილველი სამარ-

თლის სფეროს და, უპირველეს ყოვლისა, გააჩნიათ მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების განმარტებისათვის. როდესაც სამოქალაქო კოდექსის 138-ე და 242-ე პარაგრაფები საკმაოდ ზოგადად მიუთითებს ზნეობაზე, ჩვეულებებზე და კეთილსინდისიერებაზე, ისინი მოითხოვენ სასამართლოების მხრიდან კონკრეტიზაციას ღირებულებითი კონცეფციების სტანდარტებით, რომლებიც უპირველესად განსაზღვრულია კონსტიტუციაში არსებული პრინციპული გადანყვეტილებებით. შესაბამისად, სამოქალაქო სასამართლოები კონსტიტუციურად ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ძირითადი უფლებები, როგორც „გზის მაჩვენებელი“ ზოგადი დებულებების განმარტებისას და გამოყენებისას. თუ ისინი ვერ შეძლებენ მათ გათვალისწინებას და გამოიტანენ გადანყვეტილებას რომელიმე პირის საწინააღმდეგოდ, მაშინ ისინი არღვევენ მხარის ძირითად უფლებებს“. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა თავდებობის ხელშეკრულების შინაარსზე, რომელიც სცილდება ყოველდღიური, ყოფითი ურთიერთობების სფეროს. სასამართლოს განმარტებით: „თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თაობაზეც ფედერალურ სასამართლოს უნდა ემსჯელა, არსებითად განსხვავდება ყოველდღიურად დადებული უზრუნველყოფის ხელშეკრულებებისგან. საკონსტიტუციო მოსარჩელემ ხელშეკრულებით იტვირთა ექსტრაორდინარულად მაღალი რისკი უზრუნველყოფილი საკრედიტო ხელშეკრულების მიმართ ყოველგვარი ეკონომიკური ინტერესის გარეშე. სამოქალაქო კოდექსში არსებული თითქმის ყველა დამცავ დებულებაზე უარის თქმით, მან გასცა უპირობოდ აღსრულებადი გარანტია მამამისის სამენარმეო რისკის მიმართ იმ ფარგლებში, რაც გაცილებით სცდებოდა მის ეკონომიკურ გარემოებებს. თავიდანვე განჭვრეტადი იყო და საკრედიტო დანესებულებისთვის ადვილად დასადგენი, რომ თუ ვალდებულება წარმოიშობოდა, მოსარჩელე სავარაუდოდ მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში ვერ შეძლებდა ვალაუვალობის ტვირთიდან თავის დაღწევას. ამ სიტუაციაში, მხედველობაში უნდა მიღებულიყო ხელშეკრულების დადების წინაპირობები და მიზეზები“. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა კერძო ავტონომიის მნიშვნელობას, როგორც ძირითადი უფლებებით დაცულ სიკეთეს და კერძო ავტონომიის ფარგლებს. სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობით: „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ინდივიდის მიერ საკუთარი სურვილის შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება მისი მოქმედების თავისუფლების ნაწილს წარმოადგენს. ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი იცავს კერძო ავტონომიას, როგორც „სამართლებრივ სივრცეში ინდივი-

დის თვითგამორკვევას.“ კერძო ავტონომია აუცილებლად შეზღუდულია და მოითხოვს სამართლებრივ ფორმულირებას. აქედან გამომდინარე, კერძო-სამართლებრივი რეჟიმები შედგება ფორმულირების წესებისა და მეთოდების დაკალიბრებული სისტემისგან, რომლებიც ერთმანეთთან კოორდინირებულია, რომლებიც უნდა თავსდებოდეს კონსტიტუციურ წესრიგში. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება მოეპყრას კერძო ავტონომიას ისე, როგორც ეს მას მოესურვება და შედეგად მისი ძირითადი უფლებებით დაცვის შინაარსი დაიკარგოს. საკანონმდებლო ხელისუფლება ფორმულირებისას შეზღუდულია ძირითადი უფლებების ობიექტური სამართლით“. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სახელშეკრულებო თავისუფლება მოითხოვს ხელშეკრულების თანასწორი მონაწილეების არსებობას, იმგვარად, რომ მხოლოდ ერთი მხარის ნება არ გახდეს ხელშეკრულების შინაარსის განმსაზღვრელი. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ხელშეკრულების დადების გზით „ორივე მხარე ბოჭავს საკუთარ თავს და შესაბამისად ისინი იყენებენ ინდივიდუალური მოქმედების თავისუფლებას. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს გააჩნია ისეთი უპირატესი მდგომარეობა, რომ მას ძალუძს ფაქტობრივად ცალმხრივად განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი, ეს შედეგი, მეორე მხარესთან მიმართებით, არის გამორკვევა სხვის მიერ“. სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ „თუ საქმე ეხება შემთხვევას, საიდანაც ჩანს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის სტრუქტურული უთანასწორობა და თუ ხელშეკრულების შედეგები უჩვეულოდ მძიმეა ხელშეკრულების სუსტი მხარისათვის, სამოქალაქო სამართალმა უნდა იმოქმედოს და ხელი შეუწყოს მდგომარეობის გამოსწორებას. ეს გამომდინარეობს კერძო ავტონომიის ძირითადი უფლებით დაცვისგან“;

ზ) აღსანიშნავია, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ხელშეკრულების თავისუფლების გამომრიცხავი ელემენტი „განსაზღვრა სხვის მიერ“ (Fremdbestimmung), სხვა გადაწყვეტილებებშიც დაადგინა და არსებითაც გაიმეორა თავდებობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია. რაც მთავარია, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პოზიცია გაზიარებული იქნა სხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ. მაგალითად, საბერძნეთის სასამართლომ, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებზე (კეთილსინდისიერების პრინციპი, ამორალური გარიგებები) დაყრდნობით მიიჩნია, რომ ოჯახის წევრის მიერ თავდებობა არღვევდა კონსტიტუციით დაცულ პიროვნული განვითარების უფლებას და სახელშეკრულე-

ბო თავისუფლებას (Aurelia Colombi Ciacchi, in: Mel Kenny, James Devenney, Lorna Fox O'Mahony (editors), *Unconscionability In European Financial Transaction, Protecting the vulnerable*, 2010, p.16). გერმანიის სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამოქალაქო სამართალი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, სასამართლომ ნათლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმების ცენტრალურ მნიშვნელობაზე: „ამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს გააჩნიათ ცენტრალური მნიშვნელობა. სამოქალაქო კოდექსის 138(2)-ე პარაგრაფის რედაქცია გამოხატავს ამ აზრს საკმაოდ ნათლად. ის აღწერს ტიპიურ გარემოებებს, რომელთაც ავტომატურად მივყავართ მოლაპარაკების მონაწილე ერთ-ერთი სახელშეკრულებო მხარის დაბალ მდგომარეობაზე და რაც მოიცავს მის გამოუცდელობას. თუ უფრო ძლიერი მხარე იყენებს ამ სისუსტეს იმისათვის, რათა ცალმხრივად და ცხადად მიაღწიოს თავის ინტერესებს, ეს ინვესტს ხელშეკრულების ბათილობას. სამოქალაქო კოდექსის 138(1) პარაგრაფი საკმაოდ ზოგადად ბათილობას უკავშირებს ზნეობის ნორმების დარღვევას. ჩამოყალიბებული სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლიდან გამომდინარე. სამოქალაქო სამართლის მეცნიერება საბოლოო ჯამში ერთიანია იმ აზრში, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ადგენს სახელშეკრულებო ძალაუფლების და ფორმულირების შინაგან ზღვარს და აყალიბებს ხელშეკრულების შინაარსის სასამართლო კონტროლის უფლებამოსილების საფუძველს“. საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო საერთო სასამართლოების მოვალეობას კონსტიტუციით გათვალისწინებული საქმიანობის თავისუფლებისა და თვითგამორკვევის უფლებებთან მიმართებაში და ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი: „სამოქალაქო სასამართლოებისთვის აქედან გამომდინარეობს მოვალეობა უზრუნველყონ, რომ ზოგადი დებულებების განმარტებისა და გამოყენების დროს ხელშეკრულებები არ გამოიყენებოდეს სხვისი გამორკვევის მიზნისთვის. თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ რეჟიმზე, რომელიც დასაშვებია, როგორც წესი, ხელშეკრულების შინაარსის უფრო ექსტენსიური კონტროლი არ არის საჭირო. თუმცა თუ ხელშეკრულების შინაარსი უჩვეულოდ მძიმეა ერთი მხარისათვის და ამკარად შეუსაბამოა ინტერესთა შეთანხმებისათვის, სასამართლო არ უნდა დაკმაყოფილდეს იმის თქმით, რომ „ხელშეკრულება ხელშეკრულებაა“. სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ეს რეჟიმი სტრუქტურულად არათანასწორი მოლაპარაკების ძალაუფლების შედეგი, და თუ ეს აუცილებელია, ჩაერიოს მის გამოსწორებაში თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების ფარგლებში“. გერმანიის ფე-

დერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მის მიერ განხილულ შემთხვევაში დაირღვა თავდების ძირითადი უფლებები, ვინაიდან მოსარჩელის ყველა მოთხოვნა (უჩვეულოდ მაღალი რისკი, ისე რომ მას არ გააჩნდა საკუთარი ეკონომიკური ინტერესი; განსაკუთრებულად რთული იყო რისკების შეფასება; თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული საგარანტიო თანხა განსაზღვრავდა მხოლოდ ძირითადი მოთხოვნის მაქსიმუმს; ძირითად თანხას უნდა დამატებოდა სხვა ხარჯები და სარგებელი სესხისთვის, ისე რომ მისი გაანგარიშების წესი თავდებობის ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული; თავდები უარს აცხადებდა სამოქალაქო კოდექსით მისთვის მინიჭებულ ყველა დამცავ დებულებაზე) საერთო სასამართლოების მიერ უარყოფილ იქნა იმ საფუძველზე, რომ თავდები სრულწლოვანი იყო და უნდა შეეფასებინა წარმოშობილი რისკი. ამ შემთხვევაში, საკითხი ეხებოდა შვილის მიერ მამის ვალდებულების უზრუნველსაყოფად თავდებობას ბანკის სასარგებლოდ. ფაქტიურად, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „მოსარჩელეს პრაქტიკულად პასუხი უნდა ეგო, როგორც მამამისის პარტნიორს. ბიზნესში გამოცდილი ხალხიც ძნელად თუ შეაფასებდა რისკის შინაარსსა და მოცულობას“. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად არსებითად შეიცვალა როგორც სასამართლო პრაქტიკის, ისე სამართლის დოქტრინის მიმართულება თავდებობის ხელშეკრულებასთან მიმართებით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფის ერთ-ერთ კომენტარში თავდებობის ხელშეკრულებაზე სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმების მეშვეობით გავრცელების თაობაზე მითითებულია, რომ „კერძო ავტონომიის კონსტიტუციური გარანტია სახელშეკრულებო პარიტეტის უკიდურესი და ტიპიური დარღვევებისას ინვესს ხელშეკრულების საკონსტიტუციო სამართლის შესაბამისი შესწორების ვალდებულებას“ (იან კროპ-ჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, გვ. 64);

თ) მართალია, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შვილის მიერ მამის ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით თავდებობის ხელშეკრულების გაფორმებას შეეხებოდა, თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ გერმანულ სამართალში ამგვარი მიდგომა გამოიყენება ზოგადად თავდებობის ხელშეკრულების მიმართ. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და ზოგადად გერმანული სამართალი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ იმ მიმართულებით განვითარდა, რომ დღეისთვის კიდევ უფრო გამოკვეთილია თავდებობის ხელშეკრულებისას თავდების

დაცვის გარანტიები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის დებულებები ამორალურ გარიგებებთან დაკავშირებით ასევე გავრცელდა ყველა იმ ტიპის თავდებობაზე, რომლებშიც თავდებად გვევლინება პირი, რომელიც არ არის მენარმე და მათ შორის იმ თავდებობებზეც, რომლითაც კომპანიის პარტნიორები (აქციონერები) და დირექტორები თავდებად დგებიან კომპანიის ვალდებულებებისთვის (Peter Rot, in: Aurelia Colombi Ciacchi and Stephen Weatherhill (editors), *Regulating Unfair Banking Practices in Europe, The Case of Personal Suretyships*, p.255; კომპანიების და პარტნიორების თავდებობებზე იხილეთ იმავე ავტორის მიერ მითითებული: BGH, 1997 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, NJW 1998,894; BGH, 2002 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება, Betriebs_Berater(BB), 2002, 425; BGH, 2002 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, BB 2002, 1562). გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით, „ხელშეკრულების თავისუფლების რეალური ფარგლების შეფასების უპირველესი კრიტერიუმია დისპროპორცია უზრუნველყოფილი ვალდებულების მოცულობასა და თავდების ქონებასა და შემოსავალს შორის. თუ უზრუნველყოფილი ვალდებულების მოცულობა აშკარად დისპროპორციულია თავდების ქონებასა და შემოსავალს შორის და თუ ძირითად მოვალესა და თავდებს შორის არსებობს ახლო ურთიერთობა, სასამართლოები ცნობენ ამორალურობის პრეზუმფციას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფის მიხედვით“ (Peter Rot, in: Aurelia Colombi Ciacchi and Stephen Weatherhill (editors), *Regulating Unfair Banking Practices in Europe, The Case of Personal Suretyships*, p. 258-259). ამ დროს ივარაუდება, რომ ბანკმა ბოროტად გამოიყენა თავდების ემოციური დამოკიდებულება ძირითად მოვალესთან და ამით დაარღვია ზნეობრიობის პირობა. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც თავდებს სამენარმეო გამოცდილება გააჩნია, რადგან თვით გამოცდილი პირებიც შეიძლება იმყოფებოდნენ ემოციების გავლენის ქვეშ (იხ: BGH, 2000 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, NJW 2000, 1182 – 1184; BGH, 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, BB 2002, 114-116). პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი აწევს კრედიტორს. ამგვარ შემთხვევებში, კრედიტორმა უნდა მიუთითოს იმ სპეციალური გარემოებების შესახებ, რომლითაც დაამტკიცებს, თუ რატომ არ არის ხელშეკრულება ამორალური. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ თავდებობა არ არის აშკარად დისპროპორციული, თავდებმა უნდა მიუთითოს დამატებით გარემოებებზე იმისათვის, რომ ამტკიცოს გარიგების ამორალურობა (Peter Rot, დასახელებული ნაშრომი გვ. 259). ამდენად, ფედერალური სამოქალაქო კოდექსის §138 I გამოიყენება საკრედიტო ინსტიტუტების მიერ ვალის კერძო უზრუნველსაყოფად დადებულ

თავდებობის ან პასუხისმგებლობის გადანაწილების ხელშეკრულებაზე ძირითადად დამოკიდებულია ვალდებულების მოცულობასა და ძირითად მოვალესთან დაკავშირებული თავდების ან პასუხისმგებლობის გამზიარებელის ფინანსურ გადახდისუნარიანობას შორის არსებული შეუსაბამობის ხარისხზე (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 275 m. w. N. u. a. ფედერალური სასამართლო პალატის გადაწყვეტილებების კრებული ((BGHZ)) 125, 206 (211) = ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 1994, 676). აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლოს თვალსაზრისით გადაჭარბებული ფინანსური დატვირთვის და ძირითად მოვალესთან კავშირის გამო თავდებობის ამორალურობა (მიღებულ ნორმებთან შეუსაბამობა) სახეზე გვაქვს, თუკი თავდებად დადგომის მომენტში (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2000, 411; კიოლნის უმაღლესი სამხარეთო სასამართლო ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 280 (282)) ერთობლივად წარმოდგენილია შემდეგი ნიშნები (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 669 (670 m. w. N.)):

ა) ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიხედვით, არაპროპორციულობის დადგენა ხდება *ex ante* (წინასწარი) პროგნოზის მიხედვით, ანუ შესწევს თუ არა ძალა მას დაფაროს ვალი და მოემსახუროს ვალს, მათ შორის, პროცენტს. თავდების შემოსავლის განსაზღვრა ხდება სამომავლო პროგნოზით, და ამასთან გადახდისუნარიანობა უნდა გადამოწმდეს თავდებობის აღების მომენტისათვის, რა დროსაც დასაშვები უნდა იყოს ამ მომენტისათვის შესაძლო პროგნოზით ხელმძღვანელობა (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ZIP 2002, 170; აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკა Rn. 40 და კულკე, ZIP 2000, 960). ძირითადად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავდების შემოსავლის თვალსაზრისით რელევანტური ყველა გარემოება, მაგალითად, ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, განსაკუთრებული ხასიათის ოჯახური ან მსგავსი ტიპის დატვირთვები, როგორცაა, მაგალითად, რჩენის ვალდებულებები, რამდენად შეიძლება გაიზარდოს მისი შემოსავალი მომავალში და ა.შ. ამავედროულად, სამომავლო დასაქმების ან შემოსავლის ჰიპოთეტური შანსი მხედველობაში არ მიიღება (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2005, 421 = ZIP 2005, 432 = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW)

971 (972 m.w.N.); ერნსტი, ZVI 2006, 558 (560)). საჭიროა გადამოწმებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ თავდების შრომისუნარიანობა და არა მისი პარტნიორის ან ძირითადი მოვალის შრომისუნარიანობა (ასევე, უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 1997, 2117). მიიჩნევა, რომ ის ქონება, რაც თავდებს გააჩნია იმ დროს, როცა კრედიტორი თავდებისგან შესრულებას ითხოვს, იყო სავარაუდო თავდებობის გაფორმების დროსაც. ამის შემდეგ კრედიტორმა უნდა უარყოს ეს პრეზუმფცია და ამტკიცოს, თუ რატომ იყო სხვაგვარი მოლოდინი უფრო ლეგიტიმური. გარდა ამისა, თავდების ქონებრივი მდგომარეობის შეფასების დროს, ცალკე უნდა გამოიყოს ის ქონება, რომელიც აუცილებელია მისი ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (იხ.: BGH, 1997 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება, NJW 1997, 3372-3373). ამდენად, არსებითა შეფასდეს თავდების გადაჭარბებული ფინანსური დატვირთვა, რაც სახეზე გვაქვს, თუკი მას სავარაუდოდ არ შეუძლია ძირითადი ვალის არსებითი ნაწილების ან ძირითადი ვალდებულებების მიმდინარე პროცენტების მის ხელთ არსებული შემოსავლით დაფარვა, რა შემთხვევაშიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემოსავლის ის ქვედა ზღვარი, რომელზეც ყადაღა ვერ იქნება დადებული (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2005, 421 = ZIP 2005, 432 = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2005, 971 (972); უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2005, 418 = ZIP 2005, 607 = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2005, 973 (975); უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2001, 402; ერნსტი, ZVI 2006, 558 (559); ჰორნი, ZIP 2001, 93 (99); ტიდეკე, ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2001, 1015 (1022)).

ბ) გარდა ამისა, თავდები მთავარ მოვალესთან ან ემოციურად უნდა იყოს დაკავშირებული ან მასზე ეკონომიკურად უნდა იყოს დამოკიდებული. აღნიშნულს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუკი თავდები „თავისი სულიერი დამოკიდებულების საფუძველზე, რომელიც კრედიტის ამღებთან ემოციური კავშირის ან მასზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო წარმოიშვება, ვალდებულებების აღებაზე დათანხმდება“ (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ZIP 1994, 773 (776)). ამის შემდგომ სხვა გარემოებების ჩართვის გარეშე ვარაუდი (მტკიცებულების ტვირთის შემობრუნებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ახა-

ლი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2002, 744; Pfab, Jura 2005, 737 (740)) მეტყველებს იმაზე, რომ თავდებს თავდების აღებისას არ უხელმძღვანელია თავისი ინტერესებითა და ეკონომიკურ რისკებთან დაკავშირებული რაციონალური გადაწყვეტილებით და კრედიტორმა (საკრედიტო ინსტიტუტმა) კი მასსა და მთავარ მოვალეს შორის არსებული ურთიერთობა ყოველგვარი მორალური გამართლების გარეშე გამოიყენა (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2005, 421 = ZIP 2005, 432 = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2005, 971 (972); უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2005, 418 = ZIP 2005, 607 = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2005, 973 (975); უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2001, 402 m. w. N.; დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 277 (278)). აღნიშნული სამართლებრივი პრინციპები მოქმედებს მაშინაც, თუკი მთავარი მოვალე არის შპს, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით თავდებთან ან პასუხისმგებლობის გამზიარებელ პირებთან ემოციურად მჭიდროდ დაკავშირებულ პირებს ეკუთვნის (ფედერალური სასამართლო პალატის გადაწყვეტილებების კრებული (BGHZ) 137, 329 (336) = ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 1998, 239). ამდენად, გარდა ოჯახის წევრებს, სხვა ნათესავებსა და მეგობრებს შორის ურთიერთობისა, სასამართლოები მიიჩნევენ რომ ახლო ურთიერთობა არსებობს ასევე იმ დროს, როცა მოვალე კომპანიაა და ის სრულად, ან წილი მასში, ეკუთვნის პირს, რომელთანაც თავდებს აკავშირებს ემოციური ურთიერთობა (იხ.: BGH, 1997 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, NJW 1994, 1278-1279).

გ) პრეზუმფციის უარყოფის მიზნით კრედიტორს შეუძლია წამოაყენოს სამი შესაგებელი:

(1) კრედიტორმა არ იცოდა ამგვარი არაპროპორციულობის შესახებ. თუმცა, როგორც წესი, ბანკები წინასწარ აფასებენ თავდების ქონებრივ მდგომარეობას და თუ ასეთი რამ არ გააკეთეს, მაშინ ბანკს არ შეუძლია თქვას, რომ მისთვის თავდების ქონებრივი მდგომარეობა უცნობი იყო. ამიტომ, ამგვარი შესაგებელი შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოდგეს, როცა თავდები ბანკს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ამავდროულად, ქართულ სამართალშიც ივარაუდება, რომ კომერციულ ბანკს კლიენტი გულმოდგინე შემონმების შედეგად ჰყავს შერ-

ჩეული. ასე მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში მიუთითა შემდეგი: „საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბანკი, რომელსაც კონტრაჰენტი გულმოდგინე შემონმებით ჰყავს შერჩეული, კეთილსინდისიერების ფარგლებში ვალდებულია, გაითვალისწინოს შეცვლილი ვითარება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებით“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-7-6-2010);

(2) პრეზუმფციის უარსაყოფად ბანკს შეუძლია ამტკიცოს, რომ თავდებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესი გააჩნდა ძირითად ხელშეკრულებაში. ამავდროულად, სასამართლოები მოითხოვენ უშუალო და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესის არსებობას, ნაცვლად არაპირდაპირი ინტერესისა. მაგალითად, პირდაპირ ეკონომიკურ ინტერესად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა თავდები მონაწილეობდა ძირითადი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მოლაპარაკებაში ან როცა ის კრედიტის შედეგად აშენებულ სახლში იცხოვრებს ან კომერციული კრედიტის წარმატების შემთხვევაში მისი ცხოვრების ხარისხი ამაღლდება (იხ.: BGH, 2000 წლის 27 იანვრის გადანყვეტილება, NJW 2000, 1182-1184; BGH, 1991 წლის 22 იანვრის გადანყვეტილება, NJW 1991, 923-925; BGH, 2000 წლის 14 ნოემბრის გადანყვეტილება, NJW 2001, 815-817; BGH, 2002 წლის 3 დეკემბრის გადანყვეტილება, BKR 2003, 157-158);

(3) დამატებით, ბანკმა შეიძლება ამტკიცოს, რომ თავდებობა მიზნად ისახავდა აქტივების გადაცემის პრევენციას. ძველი სასამართლო პრაქტიკა მეუღლის თავდებობას მიიჩნევდა ნამდვილად, თუ მისი მიზანი იყო კრედიტორებისგან ქონების გადამალვის თავიდან აცილება. ახალი პრაქტიკა ამგვარ პირობას ნამდვილად მიიჩნევს, თუ ამის შესახებ ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული, ან მეუღლეს ქონება რეალურად გადაეცა.

15.1.19. მეორე აპელანტი განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა აშკარა დისპროპორცია არ არის, თავდებობა მაინც შეიძლება ბათილად გამოცხადდეს, თუ არსებობს დამატებითი გარემოებები:

(ა) დაუშვებელი ზეგავლენა ბანკის მხრიდან, მაგალითად, კრედიტის გაცემის დროს ბანკმა იცოდა, რომ დამატებითი უზრუნველყოფა საჭირო იყო, მაგრამ ამის გარეშე გასცა კრედიტი, შემდგომში ბანკმა მოითხოვა დამატებითი უზრუნველყოფის დაუყოვნებლივ წარმოდგენა და დაიმუქრა ხელშეკრულების შეწყვეტით, რამაც შეიძლება ძირითადი მოვალის გაკოტრება გამოიწვიოს;

(ბ) რისკის ნაკლებად შეფასება, მაგალითად, ბანკის წარმომადგენელი განუცხადებს თავდებს, რომ „ეს მხოლოდ ხელმოწერაა“,

„არსებითი რისკი არ არსებობს“, „ეს მხოლოდ ფორმალობაა“ (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო 89, 214 (232 f.) = ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 1993, 2199; ფედერალური სასამართლო პალატის გადაწყვეტილებების კრებული (BGHZ) 120, 272 (277) = ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 1993, 322; უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ZIP 2002, 170; ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი NJW-RR 2004, 337 (338 m.w.N.)). თუ ბანკისთვის ცნობილი იყო, ან ცნობილი უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი გარემოებები, მაგალითად, ძირითადი მოვალის ცუდი ფინანსური მდგომარეობა, შეუსაბამოდ მაღალი რისკი, მას შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ამის თაობაზე აცნობოს თავდებს. გერმანული სამართლის მიხედვით, ამ შემთხვევაში, სამართლებრივად სახეზეა წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა, რაც ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნას წარმოშობს. თუმცა, სასამართლოები ამ გარემოებას განიხილავენ ამორალურობის საფუძველზე გარიგების ბათილობის ერთ-ერთ დამატებით გარემოებად (Peter Rot, დასახელებული ნაშრომი, გვ. 265). გერმანული სამართლის მსგავსად, ინგლისურ სამართალშიც, ზოგადი წესის მიხედვით ბანკს არ გააჩნია ვალდებულება, განუმარტოს თავდებს არსებითი პირობები. თუმცა, სასამართლოები თავდებობის ხელშეკრულებებს მიიჩნევენ სხვა კომერციული ხელშეკრულებებისგან განსხვავებულად და კრედიტორს ავალდებენ, მიანოდოს თავდებს კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული ხელშეკრულების უჩვეულო დებულებები, რომელმაც შეიძლება არსებითად შეცვალოს არახელსაყრელი თვალსაზრისით თავდების ის მდგომარეობა, რასაც ის ჩვეულებრივ მოელოდა (Royal Bank of Scotland Plc v Eltridge (NO2) [2001] UKHL 44);

(გ) ბიზნეს-საკითხებში გამოუცდლობის გამოყენება ასევე განიხილება ამორალურ გარიგებად. ამასთან, თავდების მიერ ფინანსური რისკების გაუთვითცნობიერებლობა შეიძლება მაშინაც კი გახდეს თავდებობის ამორალურ გარიგებად მიჩნევის საფუძველი, როდესაც თავდებობა არ არის ამკარად დისპროპორციული, თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არ არსებობდა ახლო ურთიერთობა ან ბათილობის პრეზუმფცია უარყოფილ იქნა სხვა საფუძველით. მაგალითად, იმის გამო, რომ თავდებს გააჩნდა ეკონომიკური ინტერესი (Peter Rot, დასახელებული ნაშრომი, გვ. 266). ანალოგიური მიდგომები არსებობს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ინგლისის ლორდთა პალატამ გადაწყვეტილებაში საქმეზე Credit Lyonnais v. Burch, დაადგინა, რომ ბანკი ვერ მოთხოვდა თავდებს ვალდებუ-

ლების შესრულებას. საქმე ეხებოდა თანამშრომლის მიერ მისი უფროსის სასარგებლოდ დადგენილ თავდებობას. სასამართლომ მიუთითა, რომ ბანკმა იცოდა თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის შესახებ. შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ბანკი ვალდებულია პირადად აუხსნას თავდებს მისი პასუხისმგებლობის ხასიათის, მოცულობის, შესაძლო რისკებისა და დამოუკიდებელი სამართლებრივი რჩევის მიღების აუცილებლობის თაობაზე (იხ.: Aurelia Colombi Ciacchi, in: Mel Kenny, James Devenney, Lorna Fox O'Mahony (editors), *Unconscionability In European Financial Transaction, Protecting the vulnerable*, 2010, p.35). ამდენად, ფედერალური სამოქალაქო კოდექსის §138 I განმარტებისას საქმე გვაქვს სუბიექტურად კრედიტორისკენ მიმართულ საყვედურთან (შინამსკი, ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 2437 (2438) ბარტელსის მიერ ფორმალური გამოჯვანის მცდელობისგან განსხვავებით, ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2002, 1905 f.), რაც მდგომარეობს შემოსავლისა და ქონების არმქონე თავდების პირადი გარანტიის მიღებაში, რა დროსაც ხდება მისი ემოციური კავშირების ან ეკონომიკური დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება, მაშასადამე საქმე გვაქვს კრედიტორის უმართებულო ქმედებასთან და ხელშეკრულების დადების დროს ძირითად მოთხოვნასა და გადახდისუნარიანობას შორის დისბალანსთან (უმაღლესი ფედერალური სასამართლო პალატა (BGH) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2002, 223; კიოლნის უმაღლესი სამხარეო სასამართლო ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 280 (282); შიმანსკი, ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 2437 (2439)). ამორალურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ვალდებულებითი გარიგება, მაშასადამე, თავდებობა განსაკუთრებულად არახელსაყრელი და დამტვირთველია თავდებისთვის (ტიდკე, ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი (NJW) 2003, 1359 (1360); ნობე/კირხჰოფი, ბანკისა და კაპიტალის ბაზრის ჟურნალი (BKR) 2001, 5 (13 m. w. N.)). ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც იქიდან გამოდის, რომ კონსტიტუციის მუხლი 2 I, 20 I, 28 I (კერძო ავტონომია და სოციალური სახელმწიფოს პრინციპი) გამო უნდა მოხდეს კორექტირება, თუკი ხელშეკრულების მხარეებს შორის სტრუქტურული დისბალანსია წარმოდგენილი (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BverfG) ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2006, 23 = ZIP 2006, 60 (Rn. 3 f. და 42 f.) m.w.N.). იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორს წარმოადგენს ბანკი, შეიძლება გამოვიდეთ იქიდან, რომ ბანკი საბანკო წესების თანახმად გადაამონემებს გარანტიის

ღირებულების მდგრადობას, ე.ი. თავდებობის დროს თავდების ქონებრივ მდგომარეობას (კიოლნის უმაღლესი სამხარეო სასამართლო ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალი (WM) 2003, 286 (289)). იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორს შეუძლია, რომ პროფესიონალური ინფორმაციის მეშვეობით წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ თავდები თავდებობის ხელშეკრულების დადებისას საკმაო ქონებას ფლობს ან გადახდისუნარიანია, მაშასადამე, ის ფინანსურად გადაჭარბებულად არ იტვირთება, თავდების პასუხისმგებლობა კვლავაც გრძელდება. თუმცა ამისათვის საკმარისი არ არის იმგვარი განმარტებები, რომლებიც შეფასების საფუძველზე შედგენილ მონაცემებს ან არასანდო საკუთარი ინფორმაციის წყაროს ეფუძნება. საჭიროა დოკუმენტურად იქნეს წარდგენილი ზუსტი მონაცემები შემოსავლისა და ქონების მდგომარეობის შესახებ, მაშინაც კი, თუ ამ მონაცემებმა მოძიების პერიოდში ცვლილება განიცადა. ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ვალდებულებების აღების მომენტში არსებულ მდგომარეობაზე დასკვნების გაკეთება ფაქტიურად უმეტესწილად გამორიცხულია.

(დ) სსკ-ის 54-ე მუხლი უცილოდ ბათილად მიიჩნევს გარიგებას, რომელიც „ენინაალმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“. აღნიშნული მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, მართალია, გარიგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს პირდაპირ არ არღვევს, მაგრამ ენინაალმდეგება საზოგადოებრივ მართლწესრიგს, რომელიც კანონთან ერთად მორალური ქცევის სტანდარტის დაცვას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას, სადაც დაცული იქნება არა მხოლოდ თითოეული ინდივიდის კერძო ინტერესი, არამედ – საზოგადოებრივი ღირებულებები და უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა ღირსეული თანაცხოვრება. ნიშანდობლივია, რომ საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებები ბათილია არა მხოლოდ ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, არამედ ასეთი გარიგებები არანაირ იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობენ არც ერთი ცივილიზებული მართლწესრიგის პირობებში, მათ შორის, გერმანიაში და საკითხის ამგვარი მოწესრიგება ჯერ კიდევ რომის სამართლის პრინციპებიდან იღებს სათავეს. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გარიგება უცილოდ ბათილია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ბათილად ცნობა არ არის დამოკიდებული მხარის შეცვლაზე და ის დადების მომენტიდანვე არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს. სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის სადავო ხელშეკრულებების დადების დროს მოქმედი რედაქცია ისეთი გარიგების ბათილად ცნობას ითვალისწინებს, როდესაც გარი-

გებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით). მითითებული ნორმის მიზანია ხელშეკრულების შედარებით სუსტი მხარის დაცვა მეორე მხარის ძალმომრეობისგან, რაც მხარეთა შორის სახელშეკრულებო თავისუფლებას უზრუნველყოფს.

15.1.20 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მათ შორის, გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებული მიდგომების საკმაოდ ვრცელი მიმოხილვის გათვალისწინებით, მეორე აპელანტის მტკიცებით, გამოკვეთილია ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და, სსკ-ის 54-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე, სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ყველა წინაპირობა.

15.2. გარდა ამისა, სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებები ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სსკ-ის 72-ე და 73-ე მუხლების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმების დროს ლ. კ-ძის მიერ მათი შინაარსის აღქმა იმგვარ შეფასებას ეფუძნებოდა, რომ ის ხელს აწერდა წინასწარი ხასიათის, ერთგვარი მემორანდუმის ტიპის შეთანხმებებს, როგორც იყო ბანკსა და ძირითად მსესხებელს შორის გაფორმებულ გსხ-ის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები. სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების მომენტში, არავისთვის, მათ შორის, არც ბანკისთვის არ იყო ცნობილი, შედგებოდა თუ არა საკრედიტო-სამართლებრივი ურთიერთობა ბანკსა და ძირითად მსესხებელს შორის. ამდენად, თავდებს არც კი შეეძლო დაეშვა, რომ კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებების დადება და შესაბამისი თანხების გაცემა მისი დამატებითი თანხმობისა და ინფორმირების გარეშე მოხდებოდა და ძირითადი ვალდებულების არარსებობის პირობებში გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესრულების ვალდებულება მომავალში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ძირითადი მსესხებლის ვალდებულებებზე ავტომატურად გავრცელდებოდა.

15.2.1. ცალსახაა, რომ ბანკმა სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების იმ შინაარსით დადებით, რომელიც იძლევა თავდების შემდგომი თანხმობისა და ინფორმირების გარეშე ძირითადი მსესხებლის მიერ ნაკისრი საკრედიტო ვალდებულებების სოლიდარული თავდებისთვის დაკისრებას, შეცდომაში შეიყვანა

ის, ვინაიდან იმ ეტაპზე სახეზე არ იყო თავდებობის წარმოშობის არანაირი სამართლებრივი საფუძველი, არ არსებობდა მხარეებს შორის შეთანხმებული ძირითადი ვალდებულება, მისი მოცულობა, საპროცენტო განაკვეთი, გადახდის გრაფიკი, თანხის მომავალში გაცემის ან მიღების ვალდებულება და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ ლ. კ-ის მიერ სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებებზე შესრულებული ხელმოწერა შეფასდება როგორც მისი ნების გამოვლენა, რომელიც შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს, საქმე გვაქვს შეცდომით დადებულ გარიგებებთან, როდესაც პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა. თავდების მიერ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე, ვინაიდან ლ. კ-მ ფიქრობდა, რომ მისი, როგორც თავდების პასუხისმგებლობა, წარმოიშობოდა მხოლოდ კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობებთან მიმართებაში მის მიერ დამატებით გამოვლენილი ნების საფუძველზე, რომლითაც ის გამოხატავდა თანხმობას, ეტვირთა კონკრეტული ოდენობისა და კონკრეტული პირობებით გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე ძირითადი მსესხებლის ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ თანამსესხებელთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებით აღიარა, რომ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც გაფორმდა სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებები, არ წარმოშობდა საკრედიტო ურთიერთობებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ეს იყო ჩარჩო-შეთანხმებები, რომლებითაც მხარეებმა გამოთქვეს მომავალში ამ კუთხით თანამშრომლობის სურვილი, სასამართლომ სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო არ აღიარა, რომ სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებებიც, როგორც აღნიშნულ ხელშეკრულებებზე მიბმული ხელშეკრულებები, მსგავსი შინაარსის მატარებელი იყო და იმავე მიზნებს ემსახურებოდა, რასაც გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებები. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ თუ ძირითად მსესხებელს მიეცემოდა კრედიტი, თავდები შესაბამის პერიოდში არსებული გარემოებების შეფასების შედეგად მიიღებდა გადაწყვეტილებას კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში სოლიდარული თავდებობის კისრების შესახებ;

15.2.2. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ საკუთარი ნების ამგვარი ინტერპრეტაცია შესაძლოა მიჩნეულ იქნეს სამომავლო ვალდებულებებისათვის თავდებობის ინსტიტუტის მნიშვნელობის არცოდნის თუ არასწორი გაგების პროდუქტად, მაგრამ ვითარების ობიექტური შეფასება არ იძლევა ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლომ ისე, რომ შე-

საბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, მიუთითა, რომ ლ. კ-ძის მიერ ძირითადი მოვალის – შპს „ნ. ე-ის“ სანესდებო კაპიტალში 70%-ის წილის ფლობის ფაქტი თურმე იმას ნიშნავს, რომ მისი თანხმობის გარეშე ბანკისგან ესოდენ დიდი ოდენობის სახსრების მოზიდვის გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ლ. კ-ძე როგორც საწყისი მოლაპარაკებების, ისე უკვე დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული ბანკთან ურთიერთობაში და სასამართლოს ამის რწმენას, თურმე, ზოგადად პარტნიორის და მიუშემტეს გადაწყვეტილებების მიღებაში დომინანტური მდგომარეობის მქონე პარტნიორის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული პირადი ინტერესი უქმნის, რომ მოქმედებდეს საწარმოს საკეთილდღეოდ (მიიღოს საწარმოსათვის მომგებიანი გადაწყვეტილებები, გააკონტროლოს მათი შესრულება და ამ მხრივ ზედამხედველობა გაუწიოს დირექტორს, დაუსახოს გეგმები მენეჯმენტს) და ამით მიაღწიოს იმ პირადი ინტერესის აღსრულებას, რასაც დივიდენდის მიღება ჰქვია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად არის მიჩნეული სათანადო მტკიცებულებების არქონის პირობებში და ისევ და ისევ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის თავისებურებებისა და მართვის პრინციპების უგულვებლყოფით. ამასთან, სასამართლო უფრო შორს მიდის და აკეთებს დასკვნას, რომ არა ლ. კ-ძის ნება, არც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებები და, მით უმეტეს, არც სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები დაიდებოდა, რაც სრული ნონსენსია როგორც ფაქტობრივი, ისევე სამართლებრივი დასაბუთებულობის კუთხით. ამასთან, სასამართლო ლ. კ-ძის ნების ნაკლს იმ მსჯელობაზე დაყრდნობით გამოორიცხავს, რომ არა-გონივრულად და უფრო მეტიც, ინფანტილურად აფასებს ბანკის მცდელობას, ეზრუნა კრედიტით თუ სხვა საბანკო პროდუქტებით მომსახურების ფარგლებში განკარგული თანხების უზრუნველყოფისთვის, საამისოდ გაეფორმებინა ძირითადი მოვალის პარტნიორთან სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები, თუმცა უშედეგოდ, რადგან თავდებობის ხელშეკრულებები მხოლოდ განზრახულობათა გამოვლენას ემსახურებოდა და შემდგომში თავდებობის ხელშეკრულებების გარეშე არ წარმოშობდა მხარეთა უფლება-მოვალეობებს. მეორე აპელანტს მიაჩნია, რომ საკმაოდ რთულია სასამართლოს ლოგიკის მიყოლა, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, თანამსესხებელთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლომ აღიარა გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების

ბუნება და ის ფაქტი, რომ ისინი, დამოუკიდებლად, შესაბამისი საკრედიტო და საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ სხვა ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე არანაირ სამართლებრივ შედეგებს არ იწვევდნენ მხარეებისთვის. ამ მოცემულობის პირობებში კი გაუგებარია, თუ რატომ არის გამორიცხული სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების ანალოგიური ბუნება და, მით უფრო, ბანკის მიერ გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის პირობებში, რატომ გამოირიცხება ხელშეკრულებებზე ხელმოწერი პირის ნების ნაკლი და მთლიანად გარიგების შინაარსის ამორალურობა;

15.2.3. მეორე აპელანტის პრეტენზია იმასაც ეხება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არანაირ დასაბუთებას არ შეიცავს სადავო თავდებობის ხელშეკრულებების სსკ-ის 320-ე მუხლის გათვალისწინებით ბათილად ცნობის კუთხით. მითითებული ნორმის თანახმად, ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფურუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა ეფუძნება სამოქალაქო სამართალში ისტორიულად დამკვიდრებულ პრინციპს, რაც ასევე ასახულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ყოფილი §310 და დღეს მოქმედი §311b (2)). როგორც სამოქალაქო კოდექსის კომენტარშია მითითებული, სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვა შეეხება, როგორც სასყიდლიან, ისე უსასყიდლო ხელშეკრულებებს, როგორც ორმხრივ, ისე საკორპორაციო ხელშეკრულებებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, გვ.67). როგორც ქართული სამოქალაქო კოდექსის შემქმნელი ცივილისტები მიუთითებენ, „ქართული სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმა სწორედ გერმანული ნორმის საფუძველზე შეიქმნა“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, გვ. 67). სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია როგორც ქართული ნორმის პროტოტიპი გერმანული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებების მიზნისა და დანიშნულების, ისე სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება. თვით ქართველი ცივილისტებიც ნორმის განმარტებისას გერმანულ სამართალში მიღებულ განმარტებას ეყრდნობიან და აცხადებენ, რომ „გერმანულ სამართალში განმტკიცებული შეხედულების თანახმად, მთელი მომავალი ქონების სხვისთვის გადაცემის ვალდებულების დაკისრება მიგვიყვანდა პირის ქონებაუნარიანობის და შესაბამისად, უფლებაუნა-

რიანობის უარყოფამდე, რისი დაშვებაც თანამედროვე სამართალში შეუძლებელია“ (Larenz, Schuldrecht, AT, 14. Auflage, შ.53, ვუთითებთ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, გვ. 68). სამოქალაქო კოდექსის შემქმნელები, თავის მხრივ, დასძინენ შემდეგს: „ამის დაშვება პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ერთმევა ქონების შეძენის უნარი და უფლება: ყველაფერი, რაც მისი შეიძლება გახდეს, ავტომატურად გადადის სხვის საკუთრებაში. ეკონომიკური თავისუფლების ასეთი შეზღუდვა მართლაც წარმოუდგენელია. ხელშეკრულების თავისუფლება არ ნიშნავს ყოველგვარი თავისუფლების წართმევის შესაძლებლობას“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, გვ. 68). ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია გერმანიის შტუტგარტის ლანდის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ „ხელშეკრულება, რომელსაც თუ სიტყვებით არა, თუმცა ფაქტობრივად მაინც, დიდი ალბათობით მივყავართ მოვალის მომავალი ქონების ნაწილის გასხვისებად, §310 ანალოგიით და §138 გათვალისწინებით, არის ბათილი, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები ნათელია კრედიტორისთვის“ (OLG Stuttgart, 1988 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, NJW 1988,833,835). სასამართლო გადაწყვეტილების ძირითადი საფუძველი გახლდათ „იმედისა და ბედნიერების ძიების განუხსევსებელი უფლება“, რომელიც, სასამართლოს აზრით, დაუნერეელი კონსტიტუციური პრინციპია (სხვათაშორის, აღნიშნული დებულება სიტყვასიტყვით გვხვდება ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში). გერმანული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დაუნერეელი კონსტიტუციური პრინციპი იმას გულისხმობს, რომ კერძო პირები არ შეიძლება დარჩნენ იმ მინიმალური საშუალების გარეშე, რაც აუცილებელია მათი ღირსეული არსებობისათვის (იხ.: Nuno Ferreira, Fundamental Rights and Private Law in Europe, The Case of Tort Law And Children, 2011, p.103). სსკ-ის 320-ე მუხლის დანაწესი გამომდინარეობს აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლებიდან და საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული ადამიანის ღირსებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებას. საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „საკუთრების უფლება არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძ-

ლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიანი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). ამასთან, საკუთრების უფლება და მისი ხელშეუვალობა მხოლოდ აბსტრაქტულ ხასიათს არ ატარებს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით: „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიანი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). მოცემულ შემთხვევაში ამოსავალ დებულებას წარმოადგენს აგრეთვე ადამიანის, როგორც ძირითადი ფასეულობის, ღირსება. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით: „უმთავრესი კონსტიტუციური ღირებულების, ადამიანის ღირსების პატივისცემა მისი სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის ფარგლებში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკუთრების უფლების სრულფასოვან რეალიზებაზე. საკუთრება წარმოადგენს ადამიანის პირადი დამოუკიდებლობის, პიროვნული განვითარების ერთ-ერთ წყაროს. საკუთარი დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის მიზნით ადამიანის მისწრაფება, შექმნას საკუთარი ქონება, უდავოდ იმსახურებს სახელმწიფოს პატივისცემას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ);

15.2.4. სსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება

უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. ამავე კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. მოცემულ შემთხვევაში ბანკი, როგორც ხელშეკრულების მხარე, ვალდებული იყო, გამოეჩინა გულისხმიერება მეორე მხარის უფლებების მიმართ, რაც არ განხორციელა. კერძოდ, ვინაიდან, ბანკს დომინირებული მდგომარეობა უკავია ბაზარზე და საკუთარი პირობებით ახდენს ხელშეკრულებების დადებას მეორე მხარესთან, სულ მცირე ის ვალდებულება მაინც ეკისრება, რომ გულისხმიერად მოეკიდოს ისედაც არათანაბარ პირობებში მყოფი მეორე მხარის ქონებრივ თუ არაქონებრივ უფლებებს. სწორედ ეს აზრია კანონმდებლის მიერ ჩადებული სსკ-ის 316-ე მუხლში და სხვა შესაბამის ნორმებში, რაც ხაზს უსვამს სამოქალაქო კოდექსის ძირითად არსს და მისი მოქმედების სფეროს. სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კოდექსი ანესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, ყველა ურთიერთობა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, დამყარებული უნდა იყოს პირთა თანასწორობაზე, რაც, ამჟამად, რომ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა ბანკის მხრიდან;

15.2.5. კრედიტორის კეთილსინდისიერებაზე, გულისხმიერებასა და სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების ინსტი-

ტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხოთ მათი მოქმედება. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მუხლი მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედაა. აღნიშნული ნორმები საშუალებას იძლევა ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულე-

ბის კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსაცემი ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით. ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. როგორც წესი, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეები მხედველობაში იღებენ კონტრაჰენტის პიროვნებას. კრედიტორი ვარაუდობს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად. უმრავლეს შემთხვევებში, ვალდებულების შესრულება ხდება პირადად მოვალის მიერ – მყიდველი თვითონ იხდის ნაყიდი საქონლის ფასს; მსესხებელი აბრუნებს სესხის საგანს და ა.შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფლების განხორციელებისას პირმა უნდა დაიცვას კეთილსინდისიერება და მართლზომიერება. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ავალდებულებს მონაწილე სუბიექტებს, რომ უფლებები ბოროტად

არ გამოიყენონ. ეს უკანასკნელი მათი ზნეობრივი მოვალეობაცაა. ამ შემთხვევაში, საუბარია პირის მიერ უფლების იმგვარად გამოყენებაზე, როდესაც მეორეს ზიანი ადგება“. მეორე აპელანტის პრეტენზიით, განსახილველ შემთხვევაში ბანკის მიერ არ იქნა დაცული სამოქალაქო სამართლის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დეტალურად არის განხილული ზემოთ მითითებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში. ბანკი გარიგებების დადებისას მოქმედებდა კეთილსინდისიერებისა და თავდებების ქონებისადმი გულისხმიერი მოპყრობის პრინციპის დარღვევით, რამაც თავდებების უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვია და ხელყო მათი კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება;

15.2.6. საკუთრების უფლების მნიშვნელობის შესახებ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი მნიშვნელოვანი განმარტებიდან მეორე აპელანტმა საკუთარი საჩივრის დასასაბუთებლად რამდენიმე გამოჰყო: „საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. საკუთრების უფლების დაცვა უცხოა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ხოლო დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება, ხოლო, მეორე მხრივ – მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის უფლების სამართლებრივი დაცვის საკმარისი საშუალებების მინიჭება, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „...გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საკუთრებაში ვლინდება ადამიანი, როგორც მენარმე სუბიექტი ... საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამენარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე: „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური სანარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამი-

ნისტროს წინააღმდეგ“, II-23). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე აპელანტს მიაჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს უნდა გამოეკვლია და სათანადოდ შეეფასებინა ის ფაქტი, რომ სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებამდე ბანკს თავდების ფინანსური მდგომარეობა არ შეუსწავლია და არ დაუდგენია, თუ რამდენად იძლეოდა მისი ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა სოლიდარული ვალდებულების დაძლევის შესაძლებლობას. ასეთი შესწავლის განხორციელების შემთხვევაში, რასაკვირველია, იმთავითვე ცხადი იქნებოდა, რომ თავდებს დაანგებოდა იმ სიმძიმის ფინანსური ტვირთი, რომლის დაძლევასაც ის მაღალი ალბათობით მთელი მისი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ვერ შეძლებდა. უდავოა, რომ ლ. კ-ძის შემდგომი არსებობა დაუკავშირდება მხოლოდ სხვისი საკრედიტო ვალდებულების შესრულებას ისე, რომ მას იმ მინიმალური ქონების/შემოსავლის მიღების/შენარჩუნების შესაძლებლობა აღარ რჩება, რომელიც აუცილებელია ადამიანის ელემენტარული საარსებო ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც ცალსახად იმას ნიშნავს, რომ მისი გადაჭარბებული ფინანსური დატვირთვის ფონზე მას ესპობა ღირსეული არსებობისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა;

15.2.7. პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებასთან დაკავშირებით ლ. კ-ძის ეკონომიკურ ინტერესზე, მეორე აპელანტმა, ზემოხსენებული გარემოებების გარდა, დამატებით აღნიშნა, რომ გარკვეული პირდაპირი თუ ირიბი ეკონომიკური თუ სხვა სახის დაინტერესება ნებისმიერ თავდებს აქვს. სხვა მხრივ, ახსნა არ შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ ის თავდებად უდგება სხვა პირს და მასთან ერთად ან, რიგ შემთხვევებში, მის ნაცვლადაც საკუთარ თავზე იღებს საკმაოდ სოლიდური ვალდებულებების შესრულებას მისი ქონებისა და შემოსავლის დაკარგვის მაღალი რისკის ფასად, მაგრამ, თავისთავად ცხადია, ეს გარემოება არ უნდა გამოირიცხავდეს საბანკო თავდებობის, როგორც სტრუქტურულად უთანასწორო სუბიექტებს შორის გაფორმებული კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების შინაარსობრივ კვლევასა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობის კუთხით მის შეფასებას, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც აშკარად იკვეთება ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე სუსტი მხარის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის ნიშნები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ეხება 70 000 000 აშშ დოლარის ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ ნაკისრ სოლიდარულ თავდებობას, რაც ნამდვილად არ განეკუთვნება ჩვეულებრივი, ყოველდღიური გარიგებების რიცხვს და გაცილებით უფრო სიღრმისეულ კვლევასა და შეფასებას მოითხოვს,

ვიდრე მხოლოდ იმაზე მითითება, რომ თავდები ძირითადი მსესხებელი სანარმოს პარტნიორია და ის საკუთარი ეკონომიკური ინტერესების ფარგლებში მოქმედებდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომ თავდებს ბანკის მხრიდან არ განემარტა ხელშეკრულებების შინაარსი და მათი სამართლებრივი შედეგები, ის მაღალი რისკი, რომელსაც აღნიშნული ხელშეკრულებები შეიცავდა და მისთვის უცნობი იყო, თუ რა თანხის ფარგლებში და რა პირობებით გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას და შესაძლებლობა ჰქონოდა შეეფასებინა, იძლეოდა თუ არა შესაბამის პერიოდში მისი ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ასეთი შესაძლებლობის გარეშე, ბუნებრივია, წარმოუდგენელია, რომ ფიზიკურმა პირმა გონივრული წინდახედულობის ფარგლებში დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მას და მთელ მის არსებულ თუ მომავალ ქონებას მუდმივი განუსაზღვრელობის, არასტაბილურობის და საფრთხის რეჟიმში აქცევს. ამ შეთანხმების ანალოგი იქნებოდა ხელშეკრულებაში იმგვარი ჩანაწერის გაკეთება, რომ პირს ვალის გასტუმრებამდე უნდა ეცხოვრა ისეთსავე სამართლებრივ რეჟიმში, როგორც მოვალეთა რეესტრში შეტანილს. ნათელია, რომ ამგვარი ჩანაწერი იმთავითვე ბათილი იქნებოდა. ცხადია, ასეთი შინაარსის ხელშეკრულების დადება არ შეიძლება გამომდინარეობდეს პიროვნების ნამდვილი ნებიდან, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების თავისუფალი წევრის მდგომარეობას და იწვევს პირის დამონებას – მის გადაქცევას სხვისი ვალდებულებების შესრულების ინსტრუმენტად, საკუთარი ცხოვრებისა და სამომავლო პერსპექტივების გარეშე. ამდენად, კონსტიტუციური ღირებულებების უგულვებელყოფის, კერძო სამართლის ძირითადი პრინციპების იგნორირებისა და სსკ-ის ნორმებთან (სსკ-ის 54-ე, 55-ე, 72-ე და 73-ე მუხლები) წინააღმდეგობის გამო სასამართლოს ბათილად უნდა ეცნოს სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებები, რაც არ გააკეთა სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების საფუძველზე გაუქმებას ექვემდებარება.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები

16.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა:

16.1.1 გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება ლ. კ-ძის მიმართ ბანკის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების, გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრისა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1, 1.3, 1.5, 1.8, 1.10, 1.12, 1.14 პუნქტები და მე-5 და მე-6 პუნქტები ლ. კ-ძის ნაწილში);

16.1.2. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი);

16.1.3. ბანკის სარჩელი ლ. კ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა;

16.1.4. ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა;

16.1.5. ბათილად იქნა ცნობილი ბანკსა და ლ. კ-ძეს შორის 2010 წლის 14 ივნისს დადებული სოლიდარული თავდებობის №514587-517830-გ ხელშეკრულება და 2011 წლის 12 ივლისს დადებული სოლიდარული თავდებობის №გას 000000830 ხელშეკრულება;

16.1.6. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი ლ. კ-ძის ნაწილში;

16.1.7. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 და მე-9 პუნქტები.

16.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ლ. კ-ძის სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები ასაბუთებენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობას ლ. კ-ძის მიმართ;

16.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ბანკის მოთხოვნა ლ. კ-ძის მიმართ გამომდინარეობს, ამ უკანასკნელსა და ბანკს შორის, 2010 წლის 14 ივნისს, დადებული სოლიდარული თავდებობის №514587-517830-გ და, 2011 წლის 12 ივლისს, დადებული სოლიდარული თავდებობის №გას000000830 ხელშეკრულებებიდან. თავის მხრივ, ბანკის თავდაპირველი სარჩელის მოპასუხემ – ლ. კ-ძემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა აღნიშნული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა; შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მსჯელობა განავითარა, თუ რამდენად აკმაყოფილებს სოლიდარული თავდებობის შესახებ სადავო ხელშეკრულებები თავდებობის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და, აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოშობენ თუ არა ისინი სამართლებრივ შედეგებს ხელ-

მშემკვრელი მხარეებისათვის;

16.3.1. სააპელაციო სასამართლომ, უპირველესად, აღნიშნა, რომ სოლიდარული თავდებობის შესახებ ორივე სადავო ხელშეკრულება (2010 წლის 14 ივნისის №514587-517830-გ და 2011 წლის 12 ივნისის №გას000000830 ხელშეკრულება) ლ. კ-ძესთან დადებულია 2010 წლის 14 ივნისის მოსარჩელე ბანკს, შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის გაფორმებული გსხ-ის შესახებ 2010 წლის 14 ივნისის და 2011 წლის 19 მაისის გაფორმებული გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად; სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, იმდენად, რამდენადაც მათში გადმოცემულია მხოლოდ მხარეთა განზრახულობა მომავალში სხვადასხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობის საფუძველზე მათ შორის საკრედიტო ურთიერთობის წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ, ისინი არ განიხილებიან მხარეებისათვის დამოუკიდებელი სამართლებრივი შედეგების მომტან ხელშეკრულებებად, მიუხედავად იმისა, რომ, პირველ შემთხვევაში, ერთიანი საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრა 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარით, ხოლო მეორე შემთხვევაში – 50 000 000 აშშ დოლარით; აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს შეფასებით სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი იქნა ის ვალდებულება, რომელიც არ არსებობდა და არც მისი მომავალში წარმოშობის რეალურობა იყო სახეზე; შესაბამისად, სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების მიმართ სამართლებრივი შედეგების მოტანის თვალსაზრისით გავრცელებულ უნდა იქნეს ის სამართლებრივი რეჟიმი, რაც გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების მიმართ.

16.3.2. საქმეზე დადგენილია უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების დადებისა და იმავდროულად ლ. კ-ძესთან სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების დადების შემდეგ ბანკსა და მსესხებლებს: შპს „ნ. ე-ისა“ და შპს „ნ.რ.გ-ს“ შორის დაიდო საბანკო პროდუქტით სარგებლობის არაერთი ხელშეკრულება. კერძოდ, 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმდა სადაზღვევო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-752794 საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 4410 (ოთხი ათას ოთხასათი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში; 2011 წლის 19 მაისის გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-901392 საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 29 000 000 (ოცდაცხრა მილიონი) ლარი ან ექვივალენ-

ტი სხვა ვალუტაში; 2012 წლის 5 ნოემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-1308029 საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 3 300 000 (სამი მილიონ სამასი ათასი) ლარი; 2012 წლის 5 აპრილს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000001782-1122705; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 1 800 000 (მილიონ რვაასი ათასი) ლარი; 2012 წლის 29 ივნისს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000002109-1198366 ; კრედიტის მოცულობა და ვალუტა – 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი; 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000002296-1246453; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 3 450 000 (სამი მილიონ ოთხასორმოცდაათი ათასი) ლარი; 2011 წლის 19 მაისის გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკმა პრინციპალ შპს „ე-ის“ კრედიტორების (ბენეფიციარების) სასარგებლოდ გასცა საბანკო გარანტიები და მათ საფუძველზე ბენეფიციართა სასარგებლოდ ბანკმა ჯამში გადაიხადა 12 360 169,21 (თორმეტი მილიონ სამას სამოცი ათას ას სამოცდაცხრა მთელი და ოცდაერთი მესამედი) ლარი; აღნიშნული საკრედიტო ურთიერთობების ფარგლებში წარმოშობილი დავალიანების გამო ბანკის მიერ მსესხებლის – შპს „ე-ის“ მიმართ აღძრული სარჩელი, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 9 ივლისს, სარჩელის ცნობის საფუძველზე დააკმაყოფილა და შპს „ე-ის“ განცხადების საფუძველზე დანყებული წარმოების გამო გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფ შპს „ე-ის“ ბანკის სასარგებლოდ 48 256 567, 46 ლარის გადახდა დააკისრა (ამასთან, ამ თანხით ბანკი კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში გათვალისწინებული იქნა კრედიტორად);

16.3.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მეორე აპელანტის – ლ. კ-ძის პოზიცია იმის შესახებ, რომ ბანკი ვალდებული იყო, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაეფორმებინა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რათა თავდები პირისათვის ცნობილი ყოფილიყო, თუ რა თანხის ფარგლებში და რა პირობებით გაფორმებული საკრედიტო თუ სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას და შესაძლებლობა ჰქონოდა შეეფასებინა, იძლეოდა თუ არა შესაბამის პერიოდში მისი ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა კონკრეტული ხელშეკრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობას. სასამართლოს შეფასებით, ამ შემთხვევაში, სულ მცირე, საუბარია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების გაფორმების მომენტზე. ასეთი შესაძლებლობის გარეშე, ბუნებრივია, წარმოუდგენელია, რომ ფიზიკურმა პირმა გონივრული წინდახედულების

ფარგლებში დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მას და მის არსებულ თუ მომავალ ქონებას მუდმივი განუსაზღვრელობის, არასტაბილურობისა და საფრთხის რეჟიმში აქცევს. ასევე ობიექტურად შეუძლებელია ფიზიკურმა პირმა გააზრებულად იკისროს 20 000 000 და 50 000 000 მილიონი აშშ დოლარის, მენარმე სუბიექტთან ერთად, სოლიდარულად გადახდის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, თუ რა კავშირი აქვს მას აღნიშნულ სუბიექტთან.

16.4. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, გაიზიარა მეორე აპელანტის პოზიცია იმის შესახებ, რომ ის გარემოება, რომ ყოველი შემდგომი ხელშეკრულება გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში იდებოდა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ავტომატურად ახალ გარიგებაზე გადატანას ვერ გამოიწვევს. შესაბამის ხელშეკრულებებში არსებული მითითება იმაზე, რომ ყოველი შემდგომი დამატებითი ხელშეკრულება წარმოადგენს გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ და მის განუყოფელ ნაწილს, ვერ აქარწყლებს დამატებითი ხელშეკრულებების დამოუკიდებელ ხასიათს, ვინაიდან, თავისთავად, გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების არსებობა არ იყო უტყუარი წინაპირობა იმისა, რომ შემდგომი ხელშეკრულებების გაფორმება გარდაუვალი იქნებოდა და მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმებას მიაღწევდნენ. ამისათვის საჭირო იყო მხარეთა დამოუკიდებელი და ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენა, რომლის პროგნოზირებაც წინასწარ, გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების არსებობის პირობებში, შეუძლებელი იყო; ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ბანკს არც ერთხელ არ უცნობებია თავდებისთვის ძირითადი მსესხებლისათვის საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტისა თუ სხვა სახის საბანკო პროდუქტებით სარგებლობის უფლების მინიჭებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ.

16.5. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ლ. კ-ძესთან სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების გაფორმების წინაპირობებისა და ამ ხელშეკრულებების შინაარსის შესახებ:

16.5.1. ლ. კ-ძემ, 2010 წლის 14 ივნისს, მიმართა ბანკს სოლიდარული თავდებობის შესახებ და განაცხადა, რომ კისრულობს ვალდებულებას, ბანკთან შეთანხმებული პირობებით, ბანკის სასარგებლოდ, თავდებად დაუდგეს ძირითადი ხელშეკრულების (იგულისხმება 2010 წლის 14 ივნისის გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულება) მხარეებს, კერძოდ, ბანკის კონტრაჰენტებს – შპს „ნ. ე-ისა“ და შპს „ნ.რ.გ-ს“; განცხადებებში თავდებობით უზრუნველყოფილ მოთხოვნებად მითითებულია – ძირითადი ხელშეკრულებიდან ან/და ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომ-

დინარე ბანკის სასარგებლოდ არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნები არსებული ან/და სამომავლო მოვალეების მიმართ (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად: ნებისმიერი სახის დავალიანება, საკომისიო, პირგასამტეხლო/ჯარიმა და ბანკისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი), ასევე სასამართლოს (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს), აღსრულების და ამგვარი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯი; 2010 წლის 14 ივნისსვე ლ. კ-ძესთან ბანკმა გააფორმა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №514587-517830-გ, რომლის საგანია, ბანკის სასარგებლოდ, ლ. კ-ძის თავდებობა მოვალეების – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულებებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ; ამასთან, თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის ოდენობად მიეთითა 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთიანი საკრედიტო ლიმიტის თანხა 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარი;

16.5.2. ლ. კ-ძემ, 2011 წლის 12 ივლისს, მიმართა ბანკს სოლიდარული თავდებობის შესახებ და განაცხადა, რომ კისრულობს ვალდებულებას, ბანკთან შეთანხმებული პირობებით, ბანკის სასარგებლოდ, თავდებად დაუდგეს ძირითადი ხელშეკრულების (იგულისხმება 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულება) მხარეებს, კერძოდ, ბანკის კონტრაჰენტებს – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ს“; განაცხადებებში თავდებობით უზრუნველყოფილ მოთხოვნებად მითითებულია – ძირითადი ხელშეკრულებიდან ან/და ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ბანკის სასარგებლოდ არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნები არსებული ან/და სამომავლო მოვალეების მიმართ (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად: ნებისმიერი სახის დავალიანება, საკომისიო, პირგასამტეხლო/ჯარიმა და ბანკისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი), ასევე სასამართლოს (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს), აღსრულების და ამგვარი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯი; 2011 წლის 12 ივლისს ბანკმა ლ. კ-ძესთან გააფორმა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რომლის საგანია ბანკის სასარგებლოდ ლ. კ-ძის თავდებობა მოვალეების – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების

უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ. ამასთან, თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის ოდენობად მიეთითა 2011 წლის 19 მაისის გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთიანი საკრედიტო ლიმიტის თანხა 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარი. ამდენად, ლ. კ-ქმ იკისრა სოლიდარული თავდებობა საკრედიტო თანხის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, ერთ შემთხვევაში – 20 000 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მეორე შემთხვევაში – 50 000 000 აშშ დოლარის ოდენობით, ჯამში 70 000 000 აშშ დოლარის ოდენობით და მას სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სრულად დაეკისრა ძირითადი მსესხებლის დავალიანების დაფარვა, რამაც ჯამში 44 000 000 ლარს მნიშვნელოვნად გადააჭარბა;

16.6. სააპელაციო სასამართლომ ლ. კ-ქსთან დადებული სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების შინაარსის სამართლებრივი ანალიზის შედეგად დაასკვნა, ისინი არ პასუხობენ სსკ-ის 327-ე მუხლის მოთხოვნას იმდენად, რამდენადაც არ იკვეთება მხარეთა შეთანხმება თავდებობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე; შესაბამისად, ბანკსა და ლ. კ-ქს შორის თავდებობის ხელშეკრულება დადებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რაც საფუძველს აცლის ბანკის მოთხოვნას ლ. კ-ქს მიმართ, სოლიდარული თავდებობის ფარგლებში, შეასრულოს ბანკის წინაშე ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი და შეუსრულებელი ვალდებულებები; სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ეფუძნება სსკ-ის 892-ე, 898-ე და 327-ე მუხლების დანაწესებს; კერძოდ, სსკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება; სსკ-ის 898-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით თავდები პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე; სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით;

16.6.1. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 327-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების ნამდვილობის პირობე-

ბის (არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმება და მოთხოვნილი ფორმა) დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი სახის, მათ შორის, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის; ამასთან, არსებით პირობათა წრე მხარეთა მიერ ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს; განსახილველ შემთხვევაში სადავოა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა მის არსებით პირობაზე შეთანხმების თვალსაზრისით; სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობად დაადგინა თავდებობის დოკუმენტში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება; ამასთან, ხელშეკრულების დადების ავტონომიურობის პრიციპიდან გამომდინარე თავდებობისას მხარეებმა უნდა განსაზღვრონ და თავდებობის დოკუმენტში უნდა მიუთითონ მოვალის ვალდებულებიდან თავდების პასუხისმგებლობის ზუსტი რაოდენობა;

16.6.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებში მითითება იმის შესახებ, რომ მათი საგანია ბანკის სასარგებლოდ ლ. კ-ის თავდებობა მოვალეების – შპს „ნ. ე-ის“ და შპს „ნ.რ.გ-ის“ ვალდებულებების შესატყვისი იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომელ(ებ)იც მიმართულია 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულებით და 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულებით და მის შესაბამისად დადებულ (შემადგენელ) ან/და სხვა გარიგებით ან/და დოკუმენტით განპირობებული საფუძვლიდან გამომდინარე არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ და, ასევე, მითითება აღნიშნული გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ერთიანი საკრედიტო ლიმიტების შესახებ, არ წარმოადგენს თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრიობის განსაზღვრას, იმდაგვარად, როგორც ამას სსკ-ის 892-ე მუხლი მოითხოვს, ვინაიდან გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთიანი საკრედიტო ლიმიტის მოცულობა არ ადგენს კონკრეტული ვალდებულების რაოდენობას მოვალის მიმართ და შესაბამისად, ის ვერც თავდების ვალდებულების კონკრეტული რაოდენობის განმსაზღვრელად იქნება მიჩნეული; ამასთან, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა მხარეთა შეთანხმება საკრედიტო ხელშეკრულებების არსებით პირობებზეც, რაც შესაბამისად გამორიცხავდა თავდებობის გაფორმების დროს არა თუ ვალდებულების არსებობას, არამედ იმგვარი სამომავლო ვალდებულების არსებობასაც, რაც დააკმაყოფილებდა მისი განსაზღვრულობის მოთხოვნებს.

16.6.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ბანკის მტკიცება იმის შესახებ, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში წარმოშობილი თავდებობა სამომავლო ვალდებულების უზრუნველყოფად უნდა იქნეს განხილული, რადგან სამოქალაქო კოდექსის დაშვება სამომავლო ვალდებულების უზრუნველყოფის შესახებ მოიაზრებს მხოლოდ ისეთ ვალდებულებას, რომელიც თავდებობის დროს არსებობს, ანუ რომლის შესრულებაზეც არსებობს კრედიტორის მოთხოვნის უფლება, თუმცა, მისი შესრულების დრო ჯერ არ დამდგარა, მაგრამ სამომავლოდ არის შესასრულებელი; სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მეორე აპელანტის პოზიცია, რომ სწორედ სამომავლო ვალდებულების რეალურად არსებობის პირობებშია შესაძლებელი რეალიზებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნა თავდების ვალდებულების განსაზღვრულობის შესახებ; სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი შემთხვევის იმგვარი შეფასება, რომ თავდებმა იკისრა სამომავლო ვალდებულების შესრულება არ წარმოშობს ლ. კ-ძისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, რადგან სამომავლო მოთხოვნის ოდენობა არ არის საკმარისად განსაზღვრული;

16.6.4. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ლ. კ-ძისთან დადებული სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებში თავდების პასუხისმგებლობის ზღვრულ ოდენობად გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთიანი საკრედიტო ლიმიტის მოცულობების მითითება არის მხოლოდ აბსტრაქცია, არ იძლევა ვალდებულების მოცულობის ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობას, შესაბამისად, ის არ შეესაბამება სსკ-ის 892-ე მუხლის მოთხოვნას თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული რაოდენობით განსაზღვრის შესახებ, რის გამოც მისი დაუცველობა სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, გამორიცხავს კრედიტორის უფლებას, თავდებ პირს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, თავდების მოთხოვნას ხდის საფუძვლიანს სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

16.7. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე ბანკის სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები არ ასაბუთებენ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, რის გამოც პირველი აპელანტის (ბანკის) სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა.

16.7.1. ბანკმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება იმ

შეკრულებას; სანოტარო აქტის თანახმად, ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა და განუმარტა ხელშეკრულების შინაარსი და მასზე ხელმონერის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მოწმე პ. შ-ამ განმარტა, რომ ხელშეკრულება არ წაუკითხავს ს. ჩ-ისათვის და არც შინაარსი განუმარტავს, რადგან ინფორმირებული იყო ს. ჩ-ის მეუღლე ც. ჩ-ი და ს. ჩ-თან დამატებითი კომუნიკაციის და ახსნა-განმარტების საჭიროება აღარ არსებობდა;

16.7.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოწმე ც. ჩ-ის განმარტებაზე, სადაც მოწმემ აღნიშნა, რომ მან 2010 წლის დეკემბერში დაურეკა თავის მეუღლეს – ს. ჩ-ს, აცნობა, რომ მასთან სახელში მივიდოდნენ ბანკის წარმომადგენლები, რომლებიც მიიტანდნენ გარკვეულ დოკუმენტებს და სთხოვა მათზე ხელმონერა; ს. ჩ-მა განმარტა, რომ ის მოქმედებდა მეუღლის – ც. ჩ-ის თხოვნით, მეუღლისაგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად 2010 წლის დეკემბერში ს. ჩ-ს ესტუმრა ორი პირი და ხელმოსაწერად წარუდგინეს გარკვეული დოკუმენტები, მან მეუღლესთან სატელეფონო საუბრით კვლავ გადაამოწმა, თუ როგორ ემოქმედა, რაზედაც ც. ჩ-ისაგან განემარტა, რომ ეს იყო გარკვეული ფორმალობა და ხელი უნდა მოენერა, ს. ჩ-ს არავინ გასცნობია ნოტარიუსად, არავის არაფერი განუმარტავს და არ აუხსნია ხელმოსაწერ დოკუმენტთან დაკავშირებით, მეუღლის სურვილისდა მიხედვით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ხელი მოაწერა ხელშეკრულებას;

16.7.4. სააპელაციო სასამართლომ ს. ჩ-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა იმავე გარემოებებზე, რაზედაც იმსჯელა ლ. კ-ის მიმართ ბანკის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილის დასაბუთებისას. იპოთეკით გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის გამორიცხვა იმ საფუძვლით, რომ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულება არ წარმოშობს ვალდებულებას, არ არსებობს ძირითადი ვალდებულება და შესაბამისად, არც იპოთეკა, როგორც აქცესორული უფლება; აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მოიხმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება (საქმე №ას-285-269-2011): „იპოთეკა, როგორც სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის, ემსახურება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შესრულებას, რომლის მონაწილეებიც არიან კრედიტორი და მოვალე; ამდენად, იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სამოქალაქო კოდექსის 153.1 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით იგი არც შეიძლება არსებობდეს იმ უფლების გარეშე, რომელთანაც დაკავშირებულია“;

16.7.5. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბანკის მიერ ს. ჩ-

თან დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები; სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, რაც იმავდროულად ნების გამოვლენის ფორმის დაცვაა; სანოტარო ფორმა არის გარიგების ფორმის ერთ-ერთი სახე; იპოთეკის დროს სანოტარო ფორმის დაცვის აუცილებლობა კანონით არის განსაზღვრული; კერძოდ, სსკ-ის 289-ე მუხლის მე-3 ნაწილი იპოთეკის ხელშეკრულების დადებისათვის ადგენს სანოტარო ფორმის დაცვის აუცილებლობას. ვინაიდან გარიგების ფორმა ნების გამოვლენის ფორმაა, ის პირდაპირ უკავშირდება ნების გამოვლენის ნამდვილობას და მიიჩნევა, რომ გარიგების ფორმის დარღვევით გამოვლენილი ნება არაა ნამდვილი, რასაც სამართლებრივ შედეგად მოჰყვება გარიგების ბათილობა, სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ იმპერატიული დანაწესის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

16.7.6. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ბანკსა და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულება (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) არ არის დამონმებული სანოტარო წესით, რადგან სანოტარო აქტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს გარიგების სანოტარო ფორმის დაცვით დადებას, არ ასახავს რეალობას, შესაბამისად, სახეზეა ფორმის დაუცველად დადებული გარიგება იპოთეკის შესახებ, რაც მისი ბათილობის საფუძველია; აქედან გამომდინარე ს. ჩ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებით, იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობით, რომელიც საფუძვლად უდევს ბანკის სარჩელს იმ მოთხოვნის ნაწილში, რომ შპს „ნ. ე-ის“ შეუსრულებელ ვალდებულებათა აღსრულების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცეს ს. ჩ-ის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული ქონება, გამოირიცხა ამ ნაწილში ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

16.8. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბანკი სააპელაციო საჩივრით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს იმ ნაწილშიც, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ი. ჩ-ის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი, დაკმაყოფილდა ი. ჩ-ის შეგებებული სარჩელი ბანკის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელსა და ი. ჩ-ს შორის, 2010 წლის 14 ივნისს, დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება №5114587-517830-ბ ბათილად იქნა ცნობილი.

16.8.1. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოპასუხე ი. ჩ-ის მიმართ ბანკის მოთხოვნის ნაწილში საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე (იხ. წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტები, 3.3-3.4 და 13.33-13.34.1 ქვეპუნქტები). გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებების დადებისა და იმავდროულად ი. ჩ-თან სადავო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებების დადების შემდეგ ბანკსა და მსესესხელებს (შპს „ნ. ე-ი“ და შპს „ნ.რ.გ-ი“) შორის დაიდო არა ერთი საბანკო პროდუქტით სარგებლობის ხელშეკრულება: კერძოდ, 2010 წლის 14 ივნისის გსხ-ის შესახებ №514587-517830 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და შპს „ნ. ე-ის“ შორის 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმდა სადაზღვევო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-752794; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 4410 (ოთხი ათას ოთხას ათი) აშშ დოლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში; 2011 წლის 19 მაისს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-901392 საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 29 000 000 (ოცდაცხრა მილიონი) ლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში; 2012 წლის 5 ნოემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №514587-517830-1308029 საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 3 300 000 (სამი მილიონ სამასი ათასი) ლარი; 2012 წლის 5 აპრილს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000001782-1122705; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 1 800 000 (მილიონ რვაასი ათასი) ლარი; 2012 წლის 29 ივნისს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000002109-1198366; კრედიტის მოცულობა და ვალუტა – 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი; 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება №GCLCLA000002296-1246453; საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა – 3 450 000 (სამი მილიონ ოთხასორმოცდაათი ათასი) ლარი; 2011 წლის 19 მაისის გსხ-ის შესახებ №GCL000000621 ხელშეკრულების ფარგლებში ბანკმა პრინციპალ შპს „ნ. ე-ის“ კრედიტორების (ბენეფიციარების) სასარგებლოდ გასცა საბანკო გარანტიები და მათ საფუძველზე ბენეფიციართა სასარგებლოდ ბანკმა ჯამში გადაიხადა 12 360 169,21 (თორმეტი მილიონ სამას სამოცი ათას ას სამოცდაცხრა ლარი და ოცდაერთი თეთრი) ლარი; აღნიშნული საკრედიტო ურთიერთობების ფარგლებში წარმოშობილი დავალიანების გამო ბანკის მიერ მსესხებლის, შპს „ნ. ე-ის“ მიმართ აღძრული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 9 ივლისს, სარჩელის ცნობის საფუძველზე, დააკმაყოფილა და შპს „ნ. ე-ის“ განცხადების საფუძველზე დაწყებული წარმოების გამო გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფ ამავე შპს-ს, ბანკის სასარგებლოდ, 48 256 567,46 ლარის გადახდა დააკისრა (ამასთან, ამ თან-

ხით ბანკი კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში გათვალისწინებული იქნა კრედიტორად);

16.8.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ბანკი ვალდებული იყო, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაეფორმებინა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რათა თავდები პირისათვის ცნობილი ყოფილიყო, თუ რა თანხის ფარგლებში და რა პირობებით გაფორმებული საკრედიტო თუ სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას და შესაძლებლობა ჰქონოდა შეეფასებინა, იძლეოდა თუ არა შესაბამის პერიოდში მისი ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა კონკრეტული ხელშეკრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობას;

16.8.3 სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ი. ჩ-თან დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების სამართლებრივ ანალიზთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასებები და დასკვნები; ამასთან, დამატებით ი. ჩ-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა იმავე გარემოებებზე, რომლებსაც დაეფუძნა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. კ-ძის მიმართ ბანკის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთებისას. სასამართლომ გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების თავდებობით უზრუნველყოფა გამოორიცხა იმ საფუძველზე, რომ გსხ-ის შესახებ ხელშეკრულება არ წარმოშობს ვალდებულებას, არ არსებობს ვალდებულება და შესაბამისად, არც მისი უზრუნველყოფის წინაპირობა.

16.9. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ როგორც ი. ჩ-თან დადებული, ასევე ლ. კ-ძესთან გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები არ პასუხობენ სსკ-ის 327-ე მუხლის მოთხოვნას, იმდენად, რამდენადაც არ იკვეთება მხარეთა შეთანხმება თავდებობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე; შესაბამისად, ბანკსა და ი. ჩ-ს შორის თავდებობის ხელშეკრულება დადებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რაც საფუძველს აცლის ბანკის სასარჩელო მოთხოვნას ი. ჩ-ის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელმა, სოლიდარული თავდებობის ფარგლებში, შეასრულოს ბანკის წინაშე ძირითადი მოვალის (ბანკისაგან სესხის ამღების) მიერ ნაკისრი და შეუსრულებელი ვალდებულებები;

16.9.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ი. ჩ-თან დადებული სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის ზღვრულ ოდენობად გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთიანი საკრედიტო ლიმიტის მოცულობის მითითება არის მხოლოდ აბსტრაქცია, არ იძლევა ვალ-

დებულების მოცულობის ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობას, ამდენად, ის არ შეესაბამება სსკ-ის 892-ე მუხლის მოთხოვნას თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რის გამოც მისი დაუცველობა, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, გამორიცხავს კრედიტორის უფლებას, თავდებ პირს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, თავდების მოთხოვნას ასაბუთებს, სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე.

16.10. პირველი აპელანტის (ბანკის) სააპელაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და კანონიერებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბანკის სარჩელი შპს „ნ.რ.გ-ის“ წინააღმდეგ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სავსებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები ამ ნაწილში და კრედიტორის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია. გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შპს „ნ.რ.გ-ს“ არ წარმოუშობს ამ ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ შპს „ნ.ე-ის“ მიერ დადებული სხვადასხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებლობას (იხ. წინამდებარე განჩინების 13.29-13.30 ქვეპუნქტები).

16.11. სსსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემონმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით; იმავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს ამავე კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი; სსსკ-ის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე.

16.11.1. განსახილველ შემთხვევაში ზემოაღნიშნული მსჯელო-ბის შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ლ. კ-ძის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე უნდა გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. კ-ძის ნაწილში და მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება ლ. კ-ძის წინააღმდეგ ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების უარყოფისა და ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ; ამავე გადაწყვეტილებით ბანკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

17. ბანკის საკასაციო საჩივრის პრეტენზიები

17.1. ბანკმა საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, მისი გაუქმება მოითხოვა და საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა არსებითად განსახილველად იმ დასაბუთებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მოცემული საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორს მიაჩნია, რომ გამოკვეთილი საკასაციო საჩივრის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობისათვის, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა. ასევე, ბანკს მიაჩნია, რომ მოცემული საკასაციო განაცხადი აკმაყოფილებს დასაშვებობის მეორე პირობასაც – საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება აქამდე არ მიუღია, აღნიშნული საქმის სწორად გადაწყვეტა კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას (სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები). კასატორი მოითხოვს ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საკასაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილებას, ბანკის სარჩელის დაკმაყოფილებას და შესაბამისად, ი. ჩ-ის, ს. ჩ-ისა და ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

17.2. ბანკის საკასაციო პრეტენზიები მოიცავს მისსავე სარჩელში ასახულ გარემოებებს და სააპელაციო საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს ს. ჩ-ისა და ი. ჩ-ის ნაწილში დაკმაყოფილებული შეგებებული სარჩელების მოთხოვნების გასაბათილებლად, ასევე, შედავებას – ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე. კერძოდ, კასატორის პრეტენზიები შემდეგ საკითხებს ეხება:

17.2.1. სააპელაციო სასამართლომ მოცემული გადაწყვეტილე-

ბით ცალსახად დააკნინა უზრუნველყოფის საშუალებების როლი და ფაქტობრივად საერთოდ უფუნქციოდ დატოვა საბანკო სექტორისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება;

17.2.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად განიმარტა თავდებობის არსი, სამართლებრივად მცდარად შეფასდა უზრუნველყოფის სახით გამოყენებული თავდებობა/იპოთეკა, როგორც სამომავლო უზრუნველყოფის საშუალება. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლებში დადგენილი სასამართლო პრაქტიკა საფრთხეს უქმნის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებას სამომავლო ან პირობითი ვალდებულებების მიმართ, არასწორად განმარტავს უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის/თავდების პასუხისმგებლობას და რისკს უქმნის საფინანსო სექტორს, ასევე, ზოგადად სამოქალაქო ურთიერთობების სტაბილურობას, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე;

17.3. კასატორი უთითებს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ორ ძირითად ნაწილად იყოფა, რომლის ფარგლებშიც საკასაციო პრეტენზიის ავტორი ცალ-ცალკე მიმოიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც საკასაციო სასამართლოს მსჯელობისა და განხილვის საგანია.

17.3.1. ლ. კ-ისა და ბანკის სააპელაციო საჩივრებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კასატორი უთითებს, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების აბსტრაქტულობის წარმოჩენით სურს დაადასტუროს სსკ-ის 892-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობების დარღვევა, კერძოდ დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით: „თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება“. მოცემული ნორმის დეფინიცია და მისი განმარტებები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ სსკ-ის 892-ე მუხლის თანახმად, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, საჭიროა კუმულატიურად ორივე პირობის არსებობა, თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება. მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად აღნიშნული ნორმა იცავს თავდების ფინანსურ ინტერესებს, ვინაიდან თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული თანხის მითითება, გამორიცხავს თავდების პასუხისმგებლობის ზრდის შესაძლებლობას იმ შემთხვე-

ვაშიც კი, როდესაც უზრუნველყოფილ მოთხოვნას ერიცხება პროცენტი ან/და პირგასამტეხლო (საურავი). აღნიშნული პრინციპი ასევე განმტკიცებულია სსკ-ის 898-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები საწინააღმდეგოზე არ არიან შეთანხმებულნი, თავდები პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის ხელშეკრულებაში ან/და თავდების განცხადებაში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე. ზუსტად აღნიშნულ კონტექსტში უნდა შეფასდეს, თავდების პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობით, თუ გენერალურ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში მითითებული სამომავლო ვალდებულების სრული მოცულობით. ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს სამომავლო ვალდებულების მოცულობის განჭვრეტადობისთვის ვალდებულების მაქსიმალურ რომელ მოცემულობას ეყრდნობა თავდები – მოცულობას, რომელიც მითითებულია თავდებობის ხელშეკრულებაში, თუ მოცულობას, რომელიც მითითებულია გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში. კანონმდებლის მოტივაცია ცალსახად იკვეთება სსკ-ის 892-ე და 898-ე მუხლებით. მოცემული ნორმების ანალიზი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს კანონმდებლის განზრახვას თავდების პასუხისმგებლობის მოცულობის მაქსიმალური ზღვრის განსაზღვრულობა/განჭვრეტადობის დროს მნიშვნელობა მიენიჭოს მხოლოდ თავდებობის ხელშეკრულებას. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების აბსტრაქტულობასა და განჭვრეტადობაზე არარელევანტურია და იგი ვერ იქნება განხილული, როგორც სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. კ-ძესა და ბანკს შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებში პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვარი მითითებულია, რითაც დაცულია სსკ-ის 892-ე მუხლის მოთხოვნები. რაც შეეხება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებში მითითებული მაქსიმალური ზღვრისა და გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ლიმიტის იდენტიურობას, ამ უკანასკნელის „აბსტრაქტულობის“ შემთხვევაშიც კი, სახეზე ფიზიკურად ვერ გვექნება სსკ-ის 892-ე მუხლის წინაპირობების დარღვევა, ვინაიდან გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში საკრედიტო ლიმიტის შესაძლო ათვისება/აუთვისებლობა, განსაზღვრავს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე, სოლიდარული თავდებისათვის დასაკისრებელი პასუხისმგებლობის ოდენობას და არა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობას. აქედან გამომდინარე, სრულიად დაუსაბუთებელი და

არაარგუმენტირებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სსკ-ის 54-ე და 327-ე მუხლებზე, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ლ. კ-ძესა და ბანკს შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა სრული დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის არანაირი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი;

17.3.2. გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული თავდებობის შესახებ, როგორც სამომავლო ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებასთან დაკავშირებით, კასატორი, ასევე აკრიტიკებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს. სსკ-ის კომენტარის მე-4 ნიგნის მე-2 ტომში, 229-ე გვერდზე, პროფესორი რომან შენგელია მიუთითებს: „თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინაც, როცა ვალდებულება, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაცაა ნავარაუდები იგი, ჯერ კიდევ არ წარმოშობილა. ე.ი. თავდებობა გამოიყენება სამომავლო ვალდებულებებშიც, მაგალითად, თავდები იკისრებს სესხის გადახდის ვალდებულებას, თუ მის ნათესავს, ვინმე ფულს ასესხებს“. იმავე სახელმძღვანელოში ლადო ჭანტუაშვილი განმარტავს, რომ „ძირითადი ვალდებულების შეწყვეტისთანავე წყდება თავდებობაც. ამიტომ მისი არსებობა მთლიანად დამოკიდებულია უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე. მაგალითად, თუ თავდებობის ხელშეკრულება დადებულია თავდებსა და კრედიტორს შორის, მაგრამ ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც ძირითად მოვალეს სესხი უნდა აელო ბანკისგან, არ დაიდო, მაშინ არც თავდებობა არ წარმოიშობა, თუმცა ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია“. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კასატორი (ბანკი) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და მიაჩნია, რომ თავდებობის ხელშეკრულების დადება შესაძლოა წინ უსწრებდეს ძირითადი, კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობის განმსაზღვრელი ხელშეკრულების დადებას. ეს ფაქტი არაფრით არ აკნინებს თავდებობის ხელშეკრულების ლეგიტიმურობას და თავდებობა სრულად იძენს იურიდიულ ძალმოსილებას, თუ კრედიტორსა და მოვალეს შორის დაიდება ის ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც განაპირობებს თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის და მისი შესატყვისი ვალდებულების არსებობას. ძირითადი ხელშეკრულების წინმსწრებად დადებული თავდებობის ხელშეკრულების აქცესორულობა ვლინდება იმაში, რომ თავდებობა ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრედიტორსა და მოვალეს შორის დაიდება ძირითადი ხელ-

შეკრულება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს არსებული და სამომავლო ვალდებულებები, ასევე არსებულ და სამომავლო ვალდებულებებთან მიმართებით ვადამოსული და ვადამოუსვლელი მოთხოვნები. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლო სამომავლო ვალდებულებას აიგივებს ვადამოუსვლელ მოთხოვნასთან, რაც არსებითად არასწორია. იმ პირობებში, როდესაც, სამომავლო ან პირობითი ვალდებულება არ არსებობს კონკრეტული ვადის ან პირობის დადგომამდე, ვადამოუსვლელი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულება არსებობს და იგი არ შეიძლება განხილული იქნეს სამომავლო ვალდებულებად. შესაბამისად, კასატორი კატეგორიულად არ იზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ მსჯელობას, რომ ვალდებულება, რომლის შესრულების დრო ჯერ არ დამდგარა სამომავლო ვალდებულებაა. სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობიდან გამომდინარე, არსებული ვალდებულება მხოლოდ ვადამოსული მოთხოვნებიდან გამომდინარე ვალდებულებაა, ნათელია, რომ მოთხოვნა, რომელიც ვადამოსულია და რომელიც არ სრულდება მოვალის მიერ, არ იქნება უზრუნველყოფილი მესამე პირის – თავდების მიერ, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საკითხის ამგვარად დანახვის ჭრილშიც კი დაუსაბუთებელია. კასატორი დასკვნის სახით განმარტავს, რომ ზუსტად აღნიშნული ცნებების აღრევის შედეგია ის, რომ არსებული ვალდებულება (კასატორი სამომავლო ვალდებულებად იქნა განმარტებული, რამაც გამოიწვია სსკ-ის 891-ე მუხლის მეორე ნაწილის არსებითად არასწორი ინტერპრეტაცია და აღნიშნული ნორმა ფაქტობრივად უმოქმედო ნორმად აქცია, აკრძალა რა თავდებობის, როგორც უზრუნველყოფის საშუალების, გამოყენება სამომავლო და პირობითი ვალდებულებების მიმართ;

17.3.3. კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მსჯელობისა და დასკვნების იმ ნაწილსაც, რომელიც უკავშირდება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ხელახლა გაფორმების აუცილებლობას გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, ყოველი საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებისას. ამასთან დაკავშირებით კასატორი საკუთარი პოზიციის მართებულობის წარმოსაჩენად ეყრდნობა პროფესორ ლადო ჭანტურიას სახელმძღვანელოში – „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“, განვითარებულ შემდეგ მსჯელობას: „საბანკო კრედიტისგან უნდა განვასხვავოთ ე.წ. საკრედიტო ხაზი ან გენერალური საკრედიტო ხაზი, რომელიც როგორც ქართულ, ისე სა-

ერთაშორისო საბანკო საქმიანობაში ფრიად გავრცელებულია. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაზღვრავს ბანკისა და მსესხებლის საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებს: მაქსიმალურ ვადებს, საკრედიტო ლიმიტს და ა.შ. როგორც წესი, ამ ლიმიტის ფარგლებში ხდება კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება. ყოველი ახალი კრედიტის გაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს უკვე გაცემული სესხის დაბრუნებაზე. საბანკო კრედიტის ყოველი ტრანშის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება უზრუნველყოფის ერთი და იგივე საშუალება იქნეს გამოყენებული, მაგალითად, იპოთეკით დაიტვირთოს მიწის ნაკვეთი. საკრედიტო ხაზი ორივე მხარისთვის მისაღებია: ბანკს შესაძლებლობა აქვს დააკვირდეს კლიენტის (მსესხებლის) გადახდებსა თუ კრედიტუნარიანობას და ამის მიხედვით არეგულიროს კრედიტების გაცემა. ხოლო კლიენტს არ სჭირდება ყოველი კრედიტის აღებისას უზრუნველყოფის ახალი საშუალებების მოძებნა. საკრედიტო ხაზი არ ავალდებულებს ბანკს სესხის გაცემას. ბანკს სესხის გაცემის ვალდებულება მხოლოდ კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოეშობა. საკრედიტო ხაზი ბანკის ოფცინალურ უფლებას წარმოადგენს და მისი გამოყენება ბანკის ნებაზეა დამოკიდებული“. კასატორი ითხოვს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეაფასოს ლ. კ-ძის, როგორც შპს „ნ. ე-ის“ 70%-იანი პარტნიორის მონაწილეობა კომპანიის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მისი მტკიცებით, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ლ. კ-ძე, როგორც შპს „ნ. ე-ის“ 70%-იანი წილის მფლობელი და გადაწყვეტილების მიმღები პარტნიორი, კომპანიის სახელით იღებდა გადაწყვეტილებებს მოსარჩელე ბანკთან გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში საკრედიტო ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე, ამდენად, მისთვის, როგორც სოლიდარული თავდებისთვის, ცნობილი უნდა ყოფილიყო შპს „ნ. ე-ის“ მიერ, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში ყოველი მომდევნო საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. იმავდროულად კასატორს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა იმის შესახებ, რომ თითქოს არ შეიძლება ფიზიკური პირის მხრიდან გააზრებულ ქმედებას წარმოადგენდეს 70 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში თავდებობის ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელი ფიზიკური პირის პირადი ქონება რამდენიმე ათეულ მილიონ ლარად იყო შეფასებული და რომლის 70%-იანი წილი მოვალე კომპანიაში ერთმნიშვნელოვნად ნიშნავდა საკმაოდ სოლიდური დივიდენდების მიღებას;

17.4. ბანკის სააპელაციო საჩივარზე სააპელაციო სასამართლოს

მიერ მიღებული გადაწყვეტილების კრიტიკისას კასატორი, საკუთარი პრეტენზიის ფარგლებში, ყურადღებას ამახვილებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ მსჯელობებზე:

17.4.4. ს. ჩ-ის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ქონებების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში მიჩნეული უნდა იქნეს, რომ სს „ს. ბ. სა“ და ს. ჩ-ს შორის 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული №514587-517830-ნ იპოთეკის ხელშეკრულება (ნოტარიუსი პ. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – ...) არ არის დამონმებული სანოტარო წესით, რადგან სანოტარო აქტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს გარიგების სანოტარო ფორმის დაცვით დადებას, არ ასახავს რეალობას, შესაბამისად, სახეზეა ფორმის დაუცველად დადებული გარიგება იპოთეკის შესახებ, რაც მისი ბათილობის საფუძველია“. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, ს. ჩ-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიითებულება იმავე გარემოებების შესახებ, რაც აღნიშნული იყო ლ. კ-ძის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთებისას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ბანკსა და ს. ჩ-ს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებებით გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების არ არსებობა, გამორიცხავს იპოთეკის, როგორც აქცესორული უფლების არსებობას;

17.4.4.1 კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს ის დასკვნა, რის გამოც იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის წინაპირობებია გამოვლენილი, არ მიუთითებს გარიგების ფორმის დაუცველობაზე, მეტიც დასახელებული ფაქტების შეფასებით, შესაძლოა ითქვას, რომ იპოთეკის ხელშეკრულებაში დაშვებულია ტექნიკური უსწორობები, რაც არამც და არამც არ მიუთითებს გარიგების ფორმალადუცველობასა და ამ საფუძველით მის ბათილობაზე. კასატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება ს. ჩ-თან განხორციელდა იმ ვადით, რა ვადითაც გაფორმებული იყო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება. ამავე ხელშეკრულებით, კონტრაქტის ინიციატივით განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპს „ნ. ე-ის“ (განსახილველ დავაში მესამე პირის) ვალდებულება ბანკის წინაშე იქნებოდა არა უმეტეს 10 მილიონი აშშ დოლარისა და შპს „ნ. ე-ი“ გაიმარჯვებდა ახალ ტენდერებში, რომლის საფუძველზეც გააფორმებდა მინიმუმ 100 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტებს, ბანკი იღებდა ვალდებულებას, გაეცა მესაკუთრის კუთვნილ უძრავ ქონებებზე რეგისტრირე-

ბული იპოთეკის მოხსნის წერილი;

17.4.4.2 ს. ჩ-ისათვის არავის შეუზღუდავს ხელშეკრულების გაცნობისა და ხელმოწერის უფლება. იპოთეკის საგნის მესაკუთრემ თავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, გამოხატა ნება და აიღო შესაბამისი ვალდებულება. შესაბამისად, უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი სასამართლოს გადაწყვეტილება იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით.

17.5. ბანკსა და ი. ჩ-ს შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ბათილობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ ბანკი ვალდებული იყო, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, გაეფორმებინა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რათა თავდები პირისათვის ცნობილი ყოფილიყო, თუ რა თანხის ფარგლებში და რა პირობებით გაფორმებული საკრედიტო თუ სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას თავდები და შესაძლებლობა ჰქონოდა, შეეფასებინა, იძლეოდა თუ არა შესაბამის პერიოდში მისი ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა კონკრეტული ხელშეკრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები ი. ჩ-თან დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების სამართლებრივ ანალიზთან დაკავშირებით; ამასთან, დამატებით ი. ჩ-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმავე გარემოებების შესახებ, რაც გასაჩივრებულ გადამწყვეტილებაში ასახულია ლ. კ-ძის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, კერძოდ: „თავდებობით გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის გამორიცხვა, იმ საფუძვლით, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება არ წარმოშობს რა ვალდებულებას, არ არსებობს ვალდებულება და შესაბამისად, არც მისი უზრუნველყოფის წინაპირობა“. ამ ნაწილში ბანკი საკასაციო პრეტენზიის სახით უთითებს, რომ სოლიდარული თავდებობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერით, ი. ჩ-მა დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილია, თუ რა სახის და მოცულობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად კისრულობდა თავდებობას და რომ იგი ამას აკეთებდა ნებაყოფლობით, ბანკის, მოვალეების და სხვა მესამე პირთა მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

17.5.1. საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, შესაბამისად, იგი დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებას, თითქოს თავდებობის ხელშეკრულების დადების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს თავდები პირის ეკონომიკური ინტერესი ხელშეკრულების მიმართ და რომ თავდებსა და მოვალეს შორის არ უნდა არსებობდეს „ფსიქო-ემოციური“ დამოკიდებულება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლოების მსჯელობა არ გამომდინარეობს არანაირი საკანონმდებლო თუ დოქტრინალური განმარტებებიდან. უფრო მეტიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში მოყვანილი მაგალითები აშკარად დაფუძნებულია მოვალისა და თავდების „ფსიქო-ემოციურ“ ურთიერთობაზე. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს პოზიციის არამართებულობის დასტურს წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში მოყვანილი მაგალითები, არამედ, ავტორიტეტული მეცნიერების მიერ განვითარებული მსჯელობები, რომელთა შეფასებით, თავდებობის ხელშეკრულებით, თავდები ვალდებულებას კისრულობს, შეასრულოს მოვალის (და არა თავისი) ვალდებულება. თავდების მოტივს, თუ რატომ იღებს იგი მესამე პირის მიმართ ვალდებულებას, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს (D. Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, Verlag: C.H.Beck, Munchen, 2006, S. 190). ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ი. ჩ-ის ეკონომიკური ინტერესის არ არსებობის თაობაზე შპს „ნ. ე-იში“, რომ აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ გამოუკვლევიან. მოცემული მსჯელობის დასტურს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავის ფარგლებში (მოსარჩელე – „ნ. შ. რ. ლტდ“, მოპასუხეები – სს „გ. თ-ი“ და სს „პ. ს.“), მოსარჩელის მიერ, სარჩელზე თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი მტკიცებულება – ლ. კ-ის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილება. აღნიშნული დოკუმენტით, ბანკისათვის ცნობილი გახდა, რომ ჩ-ის ოჯახს ნამდვილად გააჩნდა ეკონომიკური ინტერესი შპს „ნ. ე-ის“ მიმართ, შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლიდა საკუთარი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა მოვალისა და თავდების ეკონომიკური ინტერესების განხილვაზე, მას დავის მოცემული ნაწილი უფრო სიღრმისეულად უნდა გამოეკვლია. კასატორი განმარტავს, რომ მითითებული მტკიცებულება ბანკისათვის ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოში უკვე დასრულებული იყო სასამართლო განხილვა, რის გამოც კასატორმა ვერ წარადგინა მტკიცებულების სახით სასამარ-

თლოში, თუმცა, კასატორს მიაჩნია, რომ ი. ჩ-ის და შპს „ნ. ე-ის“ შორის არსებული ეკონომიკური ინტერესების გამოკვლევა, ასევე შესაძლებელი იქნებოდა ბანკის შუამდგომლობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც. რაც შეეხება გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არარსებობის და აქცესორული უფლების – თავდებობის არარსებობის თაობაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის ნაწილში კასატორის კრიტიკას, ამ საკითხზე ბანკი უთითებს თავის ვრცელ პოზიციასზე, რაც წარდგენილია ლ. კ-ქსთან ბანკის მიერ გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის დაუსაბუთებლობის თაობაზე.

17.6. შპს „ნ.რ.გ-ისთვის“ საკრედიტო დავალიანების დაკისრებაზე ბანკის სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის ნაწილში კასატორი უთითებს, რომ თავისი სააპელაციო საჩივრით ასაჩივრებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას ასევე იმ ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ ბანკის სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილშიც დაუსაბუთებლად მიიჩნია და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შპს „ნ.რ.გ-ს“ არ წამოუშობს ამ ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ შპს „ნ. ე-ის“ მიერ დადებული სხვადასხვა საბანკო პრუდუქტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებლობას“. კასატორი არ იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან, მიაჩნია, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტების მიხედვით, შპს „ნ.რ.გ-მა“ იკისრა პასუხისმგებლობა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების შემადგენელი ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებაზე. სსკ-ის 319-ე მუხლის მიხედვით: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“.

17.7. კასატორს მიაჩნია, სააპელაციო სასამართლომ არა მხოლოდ არასრულად და ტენდენციურად შეაფასა ან არ გამოიკვლია გარემოებები, არამედ სრულიად უგულებელჰყო საბანკო სექტორის ინტერესები და არსებული პრაქტიკა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი დარღვევებით არის მიღებული, რითაც არა მხოლოდ შეილახა ბანკის უფლებები და კანონიერი ინტერესი, არამედ მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა ქვეყანაში კერძოსამარ-

თლებრივ ურთიერთობათა სტაბილურობას და განჭვრეტადობას, რაც საკმაოდ საშიში პრეცედენტის დამკვიდრების საფრთხეს ქმნის.

18. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

18.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ რამდენიმე ზეპირი სხდომა ჩაატარა, მხარეთა მონაწილეობით, რომლებზედაც მხარეებმა საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში წამოჭრილი საკითხების შესახებ, მათ შორის მოსამართლეთა შეკითხვების პასუხად, წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები, როგორც ზეპირი განმარტებების სახით, რაც ასახულია საკასაციო სამართალწარმოების ოქმებში, ისე წერილობით – თან ერთვის საქმის მასალებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად, საკმარისად არ არის დადგენილი გარემოებები, სათანადოდ არ არის შესწავლილი მხარეთა მტკიცების ტვირთის ფარგლებში მითითებული ფაქტები. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო სამართლებრივი შეფასების დროს ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით და მხოლოდ მათ ფარგლებში შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს საქმე სავალდებულო სამართლებრივი მითითებებით (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

19. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ს. ჩ-ისა და ი. ჩ-ის შეგებებული სარჩელების დაკმაყოფილების (შესაბამისად ბანკის თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნების უარყოფის) ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო ლ. კ-ძის ნაწილში და, მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით, სრულად დააკმაყოფილა ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელი. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები ურთიერთსანაწინააღმდეგო და ერთმანეთის გამომრიცხველია, კერძოდ:

19.1. იმ შემთხვევაში, თუ გსხ-ის ხელშეკრულება მხოლოდ აბსტრაქტია და არავითარ ვალდებულებას არ წარმოშობს (რასაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და, შესაბამისად, ბანკის თავდაპირველი სარჩელის უარყოფის ნაწილში), სრულიად ზედმეტია არარსებული (არანამდვილი) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდე-

ბულების უზრუნველყოფის პიროვნული თუ სანივთო საშუალებების, რომლებიც თავისი ბუნებით აქცესორულია, ნამდვილობის კვლევა და დასკვნების გამოტანა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, ერთი მხრივ, სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება ამორალურია, რადგან წარმოუდგენლად დიდი მოცულობისა და მძიმე ფინანსური ტვირთის მატარებელია მხარისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, იპოთეკის ხელშეკრულება (ამ შემთხვევაში ბანკსა და ს. ჩ-ს შორის) ბათილია, რადგან სანოტარო აქტი ყალბია, ფორმალურად შექმნილია. თუკი საკასაციო სასამართლო გაიზიარებდა იმ დასკვნას, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებების სახით არ არსებობს ძირითადი ხელშეკრულებები, მაშინ არც მათი უზრუნველყოფაა შესაძლებელი და თავისთავად უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების მართლობიერების კვლევას არ ექნებოდა მნიშვნელობა;

20. განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, უნინარესად, უნდა შეფასდეს გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და დანიშნულება საკრედიტო სამართალში, ხოლო შემდეგ უნდა გაირკვეს მის უზრუნველსაყოფად გამოყენებული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ნამდვილობის საკითხი.

21. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკრედიტო და სესხის ხელშეკრულებები იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ კრედიტის გამცემი ყოველთვის საკრედიტო დაწესებულებაა – ბანკი, რომლის საქმიანობა რეგულირდება კანონით (იხ. სსკ-ის 867-ე მუხლის კომენტარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარების მეოთხე წიგნში, ტ. II, გვ. 194- გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ.; გამოცემის მთავარი რედაქტორი ლადო ჭანტურია; ასევე – ზვიად გაბისონია, საბანკო სამართალი, გვ. 198-224, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017წ.). კომერციული ბანკის, როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლის, საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული ბანკი „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე დადგენილი წესით. „საბანკო კრედიტი ფინანსური ინსტიტუტების მთავარი საბანკო პროდუქტია“ (იხ. ზვიად გაბისონია, საბანკო სამართალი, გვ. 198, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017წ.).

21.1. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც საკრედიტო რესურსების ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს, ორიენტირებულია სასესხო ფულადი თანხის გამოყოფაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებით

ბანკი საკუთარ ოფციონალურ უფლებას (სსკ-ის 867-ე მუხლის თანახმად: „საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით) იყენებს, როდესაც მოვალეს სთავაზობს წინაპირობებს კრედიტის გასაცემად, თუმცა, არა აბსტრაქტულად, არამედ მომავალში ძირითად მსესხებლებზე გასაცემი თანხის ზღვრულ მოცულობას განსაზღვრავს, ამ ტიპის ხელშეკრულების მიზანია „მსესხებელს წინასწარ გაუფორმოს უზრუნველყოფის ხელშეკრულებები იმ ღირებულების ქონებაზე, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს საკრედიტო რესურსების ფარგლებში გამოყოფილი კონკრეტული საბანკო კრედიტების ან კრედიტის ცალკეული ტრანშების ამოღებადობას“ (იხ. საბანკო სამართალი – ზვიად გაბისონია, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017წ; გვ. 221-222). გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტორი მოვალის გადახდისუნარიანობის შესაბამისი წინაპირობების შესწავლისას ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ზღვრული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, უზრუნველყოფს მომავალში საკრედიტო ხელშეკრულებების გაფორმებას ყოველ ცალკეულ კრედიტზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკრედიტო რესურსების (საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება) ხელშეკრულება მხოლოდ იმ შინაარსით შეიძლება შეფასდეს ე.წ. „განზრახულობათა მემორანდუმად“, რომ ბანკის ოფციონალური უფლებიდან გამომდინარე, არ ავალდებულებს კრედიტორს, აუცილებად გასცეს ამ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა, ან მაინცდამაინც მისი ზღვრული მოცულობა, ამასთან, არც იმგვარ ვალდებულებას გულისხმობს, რომ მოვალემ (მსესხებელმა) მისთვის ზღვრული ლიმიტის ფარგლებში გამოყოფილი თანხა სრულად აითვისოს. ზემოთ მითითებულია საკრედიტო რესურსების ხელშეკრულების მიზანზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მანამ, სანამ ბანკი თავის ოფციონალურ უფლებას გამოიყენებდეს (მოვალეზე კრედიტს გასცემდეს), მას სჭირდება გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლოა მოხდეს როგორც სანივთო, ისე პიროვნული (პირადი) უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით (იხ. სსკ-ის 870-ე მუხლი). სწორედ ამიტომ არის სავალდებულო საბანკო რესურსების ხელშეკრულებაში მოვალისათვის გასაცემი კრედიტის მაქსიმალური ოდენობის წინასწარ განსაზღვრა, რადგან საკრედიტო პოლიტიკისა და სტრატეგიის საწინააღმდეგო იქნებოდა, საბანკო რესურსების ხელშეკრულების გაფორმება მომავალში გასაცემი კრედიტის წინასწარ უზრუნველყოფი საშუალებების გამოყენების გარეშე. უზრუნველყოფის საშუალებების გამოსაყენებლად კი საჭი-

როა, განისაზღვროს კრედიტორის მიერ გასაცემი კრედიტის მაქსიმალური (ზღვრული) ოდენობა, რაც „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით კრედიტის ცნების განმარტებისათვის განსაზღვრული დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის სანყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა.

22. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში ძირითადი განმარტების საგანია თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა იმ პირობებში, როდესაც კრედიტორსა და მოვალეს შორის გაფორმებულია გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება, თუმცა კრედიტი ჯერ კიდევ არ არის მოვალეზე გაცემული, ანუ წერილობით და თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითების (იხ. სკკ-ის 892.2 მუხლი) პირობებში, შეიძლება თუ არა მიჩნეულ იქნეს თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულება ნამდვილად სამომავლო ვალდებულებისათვის, მომავალში მოვალისათვის გასაცემი კრედიტის უზრუნველსაყოფად.

22.1. თავდებობა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის პიროვნული (პირადი) საშუალება, რომლის სუბიექტები (კონტრაჰენტები) თავდები პირი და კრედიტორი არიან, დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა და შესაძლოა მოვალემ არც კი იცოდეს ასეთი ხელშეკრულების არსებობის შესახებ. თავდებობის ხელშეკრულება შესაძლოა ვალდებულების წარმოშობამდეც გაფორმდეს და, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულება, სამართლებრივ საფუძველს (კაუზას) თავის თავშივე ატარებს, ამასთან, ცალმხრივად მავალდებულებელია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულებებში მითითებული არაა თავდებობა პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა. ამგვარ მითითებად სასამართლო ვერ მიიჩნევს ხელშეკრულების იმ ჩანაწერს, რომლის მიხედვით ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებებით წარმოშობილი მთლიანი ვალდებულებით... ნორმის დანაწესი, რომლის მიხედვით ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იქნეს პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა სწორედ კონკრეტული ოდენობის თანხის მითითების ვალდებულებას გულისხმობს და არა, ზოგადად აბსტრაქტულ ციტირებას პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით. როგორც

ზემოთ აღნიშნა, ნორმის აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიულია და მისი შეუსრულებლობა უკავშირდება შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის წარმოუშობლობას და მაშასადამე, თავდებობის არარსებობას“ (იხ. სუსგ №ას-1172-2018, 08.02.2019წ.). თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონმდებელი მის წერილობით ფორმას განსაზღვრავს, ასევე, მოითხოვს თავდების განცხადებას და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითებას (სსკ-ის 892-ე მუხლი). ეს მოთხოვნები სწორედ თავდები პირის უფლებას იცავს, რადგან სსკ-ის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე საკრედიტო დაწესებულებების პრაქტიკაში უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც თავდებობის კისრების მომენტში ვალდებულება წარმოშობილიც კი არ არის (იხ. ზ. გაბისონიას ნაშრომი წინამდებარე განჩინების 21.1 ქვეპუნქტში). „... არ არის აუცილებელი, რომ ვალდებულება თავდებობის კისრების მომენტში უკვე წარმოშობილი იყოს, რადგან 891.2 მუხლი ცალსახად უშვებს თავდებობის კისრებას ასევე სამომავლო, ისევე, როგორც პირობითი ვალდებულებებისათვის. საკმარისია მისი განსაზღვრადობა, არ არის აუცილებელი მის წარმოსაშობად მყარი საფუძვლის არსებობა, როგორც ეს აუცილებელია, მაგალითად, პირობადებული მოთხოვნის წარმოსაშობად. ამის საპირპისპიროდ, საკმარისია, თუ მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის, თავდებობის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახად დადგენადი იქნება ის გარემოება, მოცულია თუ არა ეს ვალდებულება თავდებობით. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფაუნარიანია ასევე სამომავლო მოთხოვნებიც. აქცესორულობის პრინციპიდან გამომდინარე, თავდები ამ შემთხვევებში მხოლოდ მას შემდეგ აგებს პასუხს, რაც ძირითადი ვალდებულება წარმოიშობა და გახდება ვადამოსული“ (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი – გცც.გე, 893-ე მუხლის კომენტარი, ველი 7);

22.2. თავდებობის ხელშეკრულების კონტრაპენტებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია როგორც ზოგადად ამ დამოუკიდებელი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების წარმოსაჩენად, ისე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი დავის ფარგლებში მხარეთა შედავების დასაბუთებულობის შემოწმების კუთხით. თავდები პირის შეცდომების უფლება ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით შესაძლოა ეფუძნებოდეს იმას, რომ თავდებმა ნება გამოავლინა საცილო გარიგებებისათვის დამახასიათებელი რომელიმე საფუძვლის პირობებში (შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით), ამასთან, მნიშვნელოვანია იმის დამ-

ტკიცება, რომ თავდების მიერ ნების გამოვლენის ნამდვილობაზე გავლენას ახდენდა ხელშეკრულების კონტრაჰენტი – კრედიტორი. იმ შემთხვევაში, თუ მოტყუება მესამე პირისაგან (ძირითადი მოვალისაგან) მომდინარეობს, თავდებს შესაძლოა ჰქონდეს კრედიტორთან შეცილების უფლება იმის დადასტურების შემთხვევაში, რომ მესამე პირისაგან თავდების მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა კრედიტორს, თუკი, სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, მესამე პირად სწორედ ძირითადი მოვალე შეიძლება იქნეს მიჩნეული სსკ-ის 83.1 მუხლის თანახმად (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი – ღccc.გე, 891-ე მუხლის კომენტარი, ველი 10).

22.3. როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 891-ე მუხლის პირველი ნაწილის და 893-ე მუხლის შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულება უზრუნველყოფს კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულების შესრულებას. ამასთან, თავდებობის ხელშეკრულება იდება კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ვალდებულების საფუძველზე და დამოკიდებულია ძირითად ხელშეკრულებაზე, ანუ თავდებობა აქცესორული ხასიათისაა. შესაბამისად, როდესაც წყდება ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება, წყდება ასევე თავდების ვალდებულებაც. თავდებობის აქცესორული ბუნება იმპერატიული ხასიათისაა და მხარეთა შეთანხმებით მისი შეზღუდვა, ანდა გამორიცხვა უზრუნველყოფის სახის ცვლილებას განაპირობებს (შდრ. სუსგ-ებს: №ას-704-661-2013; №ას-836-802-2016, 20.01.2016წ; №ას-97-2019, 05.07.2019 წ; №ას-726-2019, 05.07.2019წ). თავდებობის მთავარი ელემენტი არის მისი აქცესორული/დამხმარე ხასიათი. გერმანიისა და იტალიის სამოქალაქო კოდექსები ადგენენ, რომ თავდებობა უზრუნველყოფს სამომავლო მოთხოვნას (იხ. *The Suretyship in the Law of the Member States of the European Communities – Commission of the European Communities, 1971, Study prepared by the „Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht“, Hamburg – პარ.20, 43, 53, 58*). ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ცნებაზე „სამომავლო მოთხოვნა“, რაც, კრედიტორის სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფას ნიშნავს, თუმცა, თუკი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 765-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილს მოვიხიშობთ (რომლის ქართული მონესრიგების ანალოგია სსკ-ის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ცხადია, რომ თავდებობა შეიძლება მიცემულ იქნეს, აგრეთვე, სამომავლო და პირობითი ვალდებულები-სათვის, ხოლო ნორმის კომენტარში თავდებობის პასუხისმგებლობის წინაპირობებად მითითებულია: ა) სამართლებრივი ძალის მქონე თავდებობის ხელშეკრულება (წერილობითი ფორმა; პარ. 766);

ბ) ძირითადი მოთხოვნის არსებობა (სულ ცოცხა განსაზღვრებადი მოთხოვნისა); გ) ე.წ. თავდებობის პასუხისმგებლობის გარემოების დადგომა: ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, მიუხედავად ამ უკანასკნელის ვადამოსულობისა; დ) თავდების შესაგებლების არარსებობა (იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი – იან კროპჰოლერი; მე-14 გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014 – გვ. 565).

22.4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავდებობის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომავალში გასაცემი კრედიტის დაბრუნების ვალდებულებას, სწორედ ჯერ არარსებული, მაგრამ მომავალში გასაცემი კრედიტის პირადი (პიროვნული) უზრუნველყოფის საშუალებაა, აქცესორულია და ძალაში შედის იმ დროიდან, როდესაც კრედიტი მოვალეზე რეალურად გაიცემა. კანონმდებელმა თავდები პირის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი გაითვალისწინა, როდესაც დაადგინა თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმა და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითების სავალდებულობა. ამ დამცავი ნორმის ფუნქცია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ თავდებმა იცის მისი პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა (სსკ-ის 892 მუხლი) და თავდებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. ძირითადი მოვალის მიერ თავდებობის ხელშეკრულების შემდეგ კრედიტორთან გარიგების დადება ვერ მოახდენს გავლენას თავდები პირის იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მან წინასწარ, კრედიტორის მიერ მოვალისათვის კრედიტის სამომავლოდ გაცემამდე იკისრა, რადგან მისი პასუხისმგებლობა უკვე შემოფარგლულია მის მიერ წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორთან სწორედ იმ ზღვრული (მაქსიმალური) თანხით, რაც თავდებობით იკისრა; თავდების პასუხისმგებლობა ვრცელდება კრედიტორის მიერ ძირითადი მოვალისათვის თავდებობის ფარგლებში გაცემული მაქსიმალური თანხის ფარგლებში გასაცემ ყველა კრედიტზე (შესაძლოა არაერთი გარიგების ფარგლებში), რომელზეც პასუხისმგებლობა იკისრა თავდებმა და ამ ფარგლებში მოვალისათვის გაცემულ თითოეულ კრედიტზე აღარ არსებობს დამატებით თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება. სხვაგვარი დაშვება, რომ კრედიტორის მიერ მოვალისათვის კრედიტის გაცემის შემდეგ ფორმდება თავდებობა, ან მიუხედავად თავდების პასუხისმგებლობის შესახებ თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული ზღვრული ოდენობის თანხისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი ძირითად

მოვალეზე გასცემს კრედიტს, მაინც უნდა გაფორმდეს თავდებობის ხელშეკრულება, სრულიად გაუმართლებელი რისკის ქვეშ აყენებს ზოგადად საბანკო საქმიანობას და იმ საკრედიტო დანესებულებებს, რომელთა საქმიანობა კრედიტის გაცემაა. ასეთი დაშვება დააზიანებს საბანკო სექტორს, რადგან თავდებმა, მიუხედავად იმისა, რომ იკისრა მაქსიმალური თანხის ფარგლებში კრედიტის უზრუნველყოფის ვალდებულება, შესაძლოა უარი თქვას უკვე კონკრეტული თანხის (კრედიტის) გაცემის შემდეგ თავდებობით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ამგვარი მსჯელობა პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის მიზანს და საფუძველს აცლის თავდებობის ინსტიტუტის გამოყენებას, მოვალის სამომავლო და პირობითი ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით, კრედიტორის სასარგებლოდ. აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 286-ე მუხლის მეორე ნაწილზეც, რომელიც მკაფიოდ ადგენს, რომ იპოთეკა შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუ იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შესაძლებელია ამ მოთხოვნის განსაზღვრა. ამდენად, უკვე გაცემული თუ მომავალში გაცემი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობა მთავარ წინაპირობად განსაზღვრადი მოთხოვნის არსებობას ადგენს, როგორც პირადი, ისე სანივთო უზრუნველყოფის შემთხვევაში.

23. საკასაციო სასამართლომ უკვე იმსჯელა გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე, განმარტა, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი სამომავლო ვალდებულებებთან დაკავშირებით, ცალსახად განსაზღვრა საკრედიტო დანესებულებების საქმიანობის (როგორც კანონით რეგულირებული) სპეციფიკურობა და კატეგორიულად არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ კრედიტორის მიერ ძირითადი მოვალისათვის გაცემული თითოეული კრედიტის შემთხვევაში „ბანკი ვალდებული იყო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაეფორმებინა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რათა თავდები პირისათვის ცნობილი ყოფილიყო, თუ რა თანხის ფარგლებში და რა პირობებით გაფორმებული საკრედიტო თუ სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას და შესაძლებლობა ჰქონოდა შეეფასებინა, იძლეოდა თუ არა შესაბამის პერიოდში მისი ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა კონკრეტული ხელშეკრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობას...“. საკასაციო სასამართლო, ასევე, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ბანკის მიერ ლ. კ-ძესთან გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები არ აკმაყოფილებენ სსკ-ის 327-ე მუხლის მოთხოვნებს; სამართლებრივად დაუ-

საბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებაც, რომ სადავო თავდებობის ხელშეკრულებებში თავდების პასუხისმგებლობის ზღვრულ ოდენობად გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ერთიანი საკრედიტო ლიმიტის მოცულობების მითითება არის მხოლოდ აბსტრაქცია, არ იძლევა ვალდებულების მოცულობის ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობას, რის გამოც არ შეესაბამება სსკ-ის 892-ე მუხლის მოთხოვნას თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობით განსაზღვრის შესახებ (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელია კონფლიქტი თავდების კერძო ავტონომიის უფლებასა და ბანკის კერძო ავტონომიის უფლებას შორის მხოლოდ სადავო თავდებობის ხელშეკრულებების ამორალურობის თვალსაზრისით, რადგან გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებების ნამდვილობაზე, მათი იურიდიული ძალის თვალსაზრისით, და მათ უზრუნველსაყოფად, სამომავლო ვალდებულებებისათვის, თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების გამოყენების კანონიერებაზე უკვე იმსჯელა საკასაციო სასამართლომ და შესაბამისი განმარტებების საფუძველზე დასკვნებიც გამოიტანა. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს მოიხმეს გერმანული სასამართლოების (მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს) არაერთი საინტერესო გადაწყვეტილება სადავო თავდებობის ხელშეკრულების ამორალურობის საკითხის შეფასების თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მიუხედავად საუკეთესო მაგალითების მოშველიებისა, თითოეულ საქმეზე მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, ცხადია, მოქმედებს ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ დავის საგნის მსგავსების მიუხედავად, მოდავე მხარეთა მიერ წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება განსახილველი მოთხოვნის ფარგლებში.

25. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის დროს სადავო თავდებობის ხელშეკრულებების ამორალურობის კუთხით დამატებითი შემოწმების თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას საქმის მასალების მიხედვით უდავოდ დადგენილ გარემოებებზე:

25.1. ბანკსა და მის კლიენტებს (შპს „ნ. ე-ი“ და შპს „ნ.რ.გ-ი“) 14.06.2010წ. გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების (რომლის საკრედიტო ლიმიტი 20 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრა) ხელმოწერის დღესვე, ანუ 14 ივნისს ამავე ხელშეკ-

რულებისა და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1-2.3 ქვეპუნქტები) გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმდა სოლიდარული თავდებობის სამი ხელშეკრულება: ა) ბანკსა და ლ. კ-ძეს; ბ) ბანკსა და ნ. შ-ს; გ) ბანკსა და ი. ჩ-ს შორის (იხ. წინამდებარე განჩინების 3.2-3.4.2 ქვეპუნქტები); თითოეული თავდები პირის პასუხისმგებლობის ზღვრულ მოცულობად სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებაში მიეთითა 20 000 000 აშშ დოლარი (იხ. ხელშეკრულებები, ბანკსა ლ. კ-ძეს შორის; ბანკსა და ი. ჩ-ს შორის; ბანკსა და ნ. შ-ს შორის). გსხ-ის შესახებ 14.06.2010წ. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით თავდებმა ნ. შ-მა, მასთან 19.05.2011 წლის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების დამატებითი პირობებით (დანართი №1-514587-517830-ა-002) იკისრა ვალდებულება, 2012 წლის 3 იანვრამდე განახორციელოს შპს „ბ-აში“ /ს.კ .../ კუთვნილი 20 (ოცი)%-იანი და შპს „ბ-ოში“ /ს.კ. .../ კუთვნილი 11.25 (თერმეტი მთელი და ოცდახუთი მეასედი)%-იანი წილის სრული რეალიზაცია ბანკთან შეთანხმებულ ფასად, ხოლო რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა (გადასახადების გამოკლებით) სრულად მიმართოს ბანკის წინაშე შპს „ნ. ე-ის“ ვალდებულებების შესამცირებლად. აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს მიეცეს უფლება თავდებს დააკისროს ჯარიმა 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით;

25.2. ბანკსა და მის კლიენტებს (შპს „ნ. ე-ი“ და შპს „ნ.რ.გ-ი“) შორის გაფორმებული 19.05.2011წ. გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე (რომლის საკრედიტო ლიმიტი 50 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით სხვა ვალუტაში განისაზღვრა) და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან (იხ. წინამდებარე განჩინების 6-6.4 ქვეპუნქტები) გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ორი ხელშეკრულება: ა) გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის დღესვე, ანუ 19.05.2011წ. ბანკსა და ნ. შ-ს შორის; ბ) 12.07.2011წ. ბანკსა და ლ. კ-ძეს შორის; თითოეული თავდები პირის პასუხისმგებლობის ზღვრულ მოცულობად სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებაში მიეთითა 50 000 000 აშშ დოლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში. ბანკსა და მის კლიენტ სანარმოებს შორის სწორედ 19.05.2011წ. გსხ-ის ხელშეკრულების დამატებით პირობად განისაზღვრა ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად შპს „ნ. ე-იში“ /ს.კ .../ პარტნიორების – ლ. კ-ძის 70%-იანი წილისა და ნ. შ-ის 30%-იანი წილის დაგირავება.

26. პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით (რაც გაი-

ზიარა სააპელაციო სასამართლომ) ი. ჩ-თან გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება ამორალურია, ზნეობის საინინალმდეგოა, რადგან გამოვლენილია ბანკის მხრიდან გონივრულობისა და კეთილსინდისიერებით ნაკარნახევ პრინციპებთან აცდენა, კონტრაქტთან შედარებით დომინანტური მდგომარეობის გამოყენება და თავდების (ი. ჩ-ის) ეკონომიკური გარემოებების ჯეროვნად შეუფასებლობა მის მიერ თავდებობით ნაკისრ პასუხისმგებლობასთან შედარებით, ფინანსურ შესაძლებლობათა არაპროპორციულობა; ბანკი მოქმედებდა მხოლოდ თავდებობის მიღების მიზნით (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება). საქალაქო სასამართლომ ამორალურად მიიჩნია ი. ჩ-თან გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულება, მიუთითა გერმანიის სასამართლოს პრაქტიკაზე და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ი. ჩ-მა, როგორც თავდებმა, იმ სანარმოების ვალდებულების უზრუნველყოფა იკისრა, რომლებთანაც არ არის პირდაპირ დაკავშირებული პირი – კომპანიის სანესდებო კაპიტალში რაიმე წილის მქონე პარტნიორი ან საზოგადოების უფლებამოსილი პირი – დირექტორი; საქალაქო სასამართლომ იმსჯელა ი. ჩ-ისა და ნ. შ-ის, რომელიც, თავის მხრივ, ც. ჩ-ის მეგობარია, კავშირებზე და დასაკვნა, რომ ამ პირობებში თავდებობა რაიმე ეკონომიკური ინტერესით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ასევე, მსჯელობა განვითარებულია იმ კუთხითაც, რომ ი. ჩ-ს, რომლის ეკონომიკური შესაძლებლობების თაობაზე საკუთრივ არაფერია ცნობილი, სადავო თავდებობით ნაკისრი ვალდებულების აღსრულება მოუსპობდა არსებობისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ ბანკმა არ გაითვალისწინა ი. ჩ-ის ფინანსური მდგომარეობა, მის მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობისა და ფინანსური ვალდებულების არაპროპორციულობა, რაც ამორალურობის საფუძვლით სადავო გარიგებების ბათილობას უკავშირდება, სრულიად არის გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლო სადავო გარიგების ბათილობის ორ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ საფუძველზე უთითებს, ერთი – ამორალურობა თავდებობით ნაკისრი პასუხისმგებლობის ეკონომიკური შეფასებით არაპროპორციულობის გამო, მეორე – თავდებობა არ წარმოშობილა, რადგან თავისი ბუნებით პიროვნული უზრუნველყოფაა, რომელიც აქცესორულია და არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე; პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლო და, ი. ჩ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისას, სამართლებრივი მოტივაციის თვალსაზრისით, და-

მატებით უთითებს იმავე არგუმენტაციაზე, რაც ლ. კ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას დაედო საფუძვლად სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

26.1. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა დაბრუნების დროს დამატებით გამოსაკვლევი და განსახილველია სადავო თავდებობის ხელშეკრულებების ამორალურობა იმ შესაძლო „სტუქტურული უთანასწორობის“ (კრედიტორსა და უზრუნველმყოფ პირებს შორის) გამოვლენის თვალსაზრისით, რაც განსახილველ შემთხვევაში უკავშირდება როგორც ლ. კ-ძესთან, ისე ი. ჩ-თან კრედიტორის (ბანკის) მიერ გაფორმებულ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებს. მოცემულ შემთხვევაში თავდებობის ხელშეკრულების კონტრაქტთა ვინაობა, საქმიანობა, ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების თაობაზე ბანკთან შედარებით ე.წ. „სუსტი“ მხარის ინფორმირებულობისა და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების საკითხი დამატებით არის გამოსაკვლევი, რაც გულისხმობს საქმეში მხარეთა მიერ წარდგენილი პოზიციების (კანონის წინაშე თანასწორობის, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით) დამატებით შემოწმებას და დადგენას; კერძოდ, საქმეზე დადგენილი არ არის, თუ რა საქმიანი გამოცდილება აქვთ ი. ჩ-ს და ლ. კ-ძეს, არაერთ სანარმოში მათი პარტნიორობიდან გამომდინარე, რომლებიც გსხ-ის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების თავდები პირები არიან; სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ც. ჩ-ის ჩვენება მხარეთა განმარტებებთან ერთად, რადგან იკვეთება ც. ჩ-ის, რომელიც ი. ჩ-ის ძმა არის, კავშირი ნ. შ-თან და ლ. კ-ძესთან, თავის მხრივ, ამ პირთა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა და კავშირები ი. ჩ-თან (იხ. ქვემოთ 27.8-27.12 ქვეპუნქტები). ამ გარემოებების გამოკვლევის გარეშე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები ი. ჩ-თან და ლ. კ-ძესთან კრედიტორის მიერ გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებების, ამორალურობის გამო, ბათილობის შესახებ, ზედაპირულია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან (სსსკ-ის 412-ე მუხლი);

26.2. შეგებებული სარჩელების ავტორთა პოზიცია, რომ მათ მიერ გაუცნობიერებლად ნაკისრი თავდებობა სამუდამო ფინანსურ და გაუმართლებელ რისკს აკისრებს მხარეებს, რაც შეუძლებელია, საკასაციო სასამართლოს შეფასებით არ გამომდინარეობს საქმის გარემოებებიდან, რადგან თავდებ პირთა საქმიანი გამოცდილები-სა და ურთიერთშორის კავშირების წარმოჩენის გარეშე გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული.

სადავო არ არის, რომ შპს „ნ. ე-ის“, შპს „ნ.რ.გ-ს“, ლ. კ-ქეს, ნ. შ-ს და ი. ჩ-ს 2012 წლის 21 ნოემბრის წერილით ეცნობათ ბანკის წინაშე მათი დავალიანების შესახებ. რაც შეეხება კრედიტორის ვალდებულებას, რომ მოიკვლიოს და შეისწავლოს იმ პირთა გადახდისუნარიანობა, რომლებიც უზრუნველყოფის ღონისძიების სახით (პირადი თუ სანივთო) არიან ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელნი, ამ მიმართებით, შეგებებული სარჩელების ავტორებს დასაბუთებული შედავება არ წარუდგენიათ;

26.3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია საწარმოში (ამ შემთხვევაში შპს-ებში) პარტნიორის წილის რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმის გათვალისწინება, რომელსაც ადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვიონ ან დატვირთონ (დააგირავონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული“, ამასთან, 46-ე პრიმა მუხლი ადგენს წილის შესყიდვის უპირატეს უფლებას, რომლის მეორე ნაწილის საფუძველზე: „პარტნიორი (ვალდებული პირი), რომელსაც თავისი წილის გაყიდვა სურს, ვალდებულია ამის შესახებ შეტყობინება ყველა დანარჩენ პარტნიორს გაუგზავნოს. შეტყობინებაში მიეთითება დასადებ გარიგებაში აღნიშნული გასაყიდი წილის მოცულობა, ნასყიდობის ფასი და ანგარიშსწორების ვადა“. ამ საკანონმდებლო მოწესრიგებაზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია იმით, რომ განსახილველ საქმის მასალებში წარმოდგენილი ამონაწერებით მენარმეთა და არსამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ შპს „ბ-ას“ პარტნიორები არიან: ნ. შ-ი – 20%, ი. ჩ-ი – 23% (განსახილველ დავაში ბანკის მოპასუხე და იმავდროულად შეგებებული სარჩელის ავტორი) და უ. კ-ქე – 57%; შპს „ბ-ოს“ პარტნიორები არიან: ნ. შ-ი – 11, 25%, მ. ჩ-ი – 66,25% და უ. კ-ქე – 22,50%, რაც, სულ მცირე, ფაქტობრივად იმ გარემოებას ადასტურებს, რომ ი. ჩ-ი, როგორც მოცემულ დავაში კრედიტორის ძირითადი სარჩელის მოპასუხე და იმავდროულად შეგებებული სარჩელის ავტორი, საწარმოში წილს ფლობს და პრეზუმირებულია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში გაცნობიერებული აქვს კუთვნილ წილთან დაკავშირებით მისაღები ყველა შესაძლო გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ შედეგი. სხვაგვარი დამეება უბრალოდ გულუბრყვილობა იქნებოდა, რადგან, გარდა ამ გარემოებისა, შეგებებული სარჩელის ავტორის – ი. ჩ-ის ძმამ – ც. ჩ-მამ ამ საქმეზე მონმის სახით დაკითხვისას დაადას-

ტურა, რომ როდესაც ის გუბერნატორი გახდა სანარმოში კუთვნილი წილი სამართავად სწორედ ძმას – ი. ჩ-ს გადასცა. ც. ჩ-ი, მისივე განმარტების მიხედვით, ბიზნესურთიერთობებში გამოცდილი პირი, არაერთი სანარმოს მფლობელია, სასამართლოსათვის მოწმის სახით განმარტების მიცემის დროს აღწერს, თუ როგორ გადანყვიტა მეგობრისა და საქმიანი პარტნიორის – ნ. შ-ის დახმარება. მოწმე – ც. ჩ-ი აღწერს და ადასტურებს, რომ მას და მის ძმას – ი. ჩ-ს – განსახილველი დავის შეგებებული სარჩელის ავტორს, აქვთ ბიზნეს-საქმიანობაში გამოცდილება, ძმებს აქვთ სანარმოებში წილები, წილთა მართვისა და განკარგვის გადანყვიტალები არაერთხელ მიუღიათ; მოწმე იმასაც ადასტურებს, რომ როგორც მას, ისე, მის ძმას მეგობრული საქმიანი (მათ შორის პარტნიორული) ურთიერთობები აკავშირებთ ლ. კ-ძესა და ნ. შ-თან (რომლებიც განსახილველი დავის სუბიექტები არიან; იხ. ქვემოთ, 27.10 ქვეპუნქტში მოწმის ჩვენება).

26.4. საკასაციო სასამართლომ კასატორის მიერ ზეპირ სხდომაზე გაცხადებული გარემოების კვალდაკვალ, ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმისწარმოების ეტაპზე, კრედიტორმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რომ იმხანად საქალაქო სასამართლოს წარმოებაში იყო ბანკის ორი სარჩელი ი. ჩ-ის, ლ. კ-ძის, მ. ჩ-ის, ნ. ტ-ძისა და ი. ხ-ის მიმართ, რომლებიც ერთ წარმოებად გაერთიანდა. ამ საქმეში დავის საგანი იყო შპს „ნ. ე-ის“ თავდები პირების ი. ჩ-ისა და ლ. კ-ძის მიერ, მათ საკუთრებად რიცხული უძრავ-მოძრავი ქონებების ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების, როგორც მოჩვენებითი გარიგებების, ბათილად ცნობა. ამ შუამდგომლობის მიხედვით, ბანკის მოსაზრებით, განსახილველი დავის შეგებებული სარჩელების ავტორების – ლ. კ-ძისა და ი. ჩ-ის სასარჩელო მოთხოვნა სამართლებრივად დაკავშირებული იყო კრედიტორის სარჩელთან და დავის სწრაფად და მართებულად განხილვას ხელს შეუწყობდა საქმის ერთ წარმოებად გაერთიანება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შუამდგომლობის შინაარსიც ადასტურებს, რომ თავდები პირების ქონებრივი მდგომარეობა და გადახდისუნარიანობა შემოწმებული აქვს კრედიტორს, რომლის სპეციფიკური საქმიანობა საჯარო კანონმდებლობის მოწესრიგებასაც განეკუთვნება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი. ჩ-თან და ლ. კ-ძესთან გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებების, ამორალურობის გამო, ბათილობის საფუძველი დამატებით კვლევას საჭიროებს, რაც სარჩელსა და მის პასუხად წარდგენილი შესაგებლის, თავდების შეგებებული სარჩელისა და მის პასუხად წარდგენილი შესაგებლის, ასევე, მხარეთა მიერ გაცხადებული პოზიციების, მოწმეთა ჩვენებე-

ბის ერთობლივად შეჯერებითა და დამატებითი შეკითხვებით უნდა განახორციელოს სააპელაციო სასამართლომ და დაადგინოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იქნება მნიშვნელოვანი;

26.5. ზოგადად სამართალში და ყოველ კონკრეტულ კერძო-მართლებრივ ურთიერთობაში, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის კვლევის დროს მნიშვნელოვანია პრეზუმფციებზე მსჯელობა გონივრული შეფასების სტანდარტით, მით უფრო, როდესაც საუბარია თავდები პირების მიერ ე.წ. გაუმართლებელი და გაუცნობიერებელი ეკონომიკური/ფინანსური ტვირთის კისრებაზე, რაც შესაძლოა სტრუქტურულ უთანასწორობაში ამყოფებდეს პირს კრედიტორთან შედარებით, რომელიც ამ შემთხვევაში საბანკო დაწესებულებაა. საქართველოს უზენაესი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ „... მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან, თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც, ევალება მოსარჩელეს“ (იხ. სუსგ-ები: №ას-571-879-09, 30.04.2010წ; №ას-921-861-2017, 28.11.2017წ; №ას-1029-2019, 30.10.2019წ);

26.6. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ საქმეზე თავდები პირების საქმიანობა, ცხოვრებისეული თუ ბიზნესგამოცდილება, თავდებობის კისრების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კონკრეტულ სანარმოში მისაღებ გადაწყვეტილებათა იურიდიული მექანიზმები და მათი სამართლებრივი შედეგები, თუ ვინ რაზე იყო პასუხისმგებელი, რა უნდა სცოდნოდა და პრეზუმირებულია თუ არა, რომ იცოდა, ერთ-ერთი ძირითადი საკვანძო საკითხია, ერთი მხრივ, ბანკის და, მეორე მხრივ, მისი კონტრაჰენტების მხრიდან განხორციელებული ქმედებების შესაფასებლად და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან ივარაუდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი კეთილსინდისიერად ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს, რაც მათი ვალდებულებაა (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). მარტოოდენ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული კრედიტის მაქსიმალური თანხის „შთამბეჭდავი“ ოდენობა, რომელიც ემთხვევა თავდებობის ხელშეკრულებების საფუძველზე თავდებ პირთა მიერ ნაკისრი ვალდებულების ზღვრულ ოდენობას, საკასაციო სასამართლოს არ მიაჩნია საკმა-

რის საფუძვლად სადავო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებების ზნეობის საწინააღმდეგოდ მისაჩნევად, რადგან არ არის გამოკვლეული ყველა ის ელემენტი, რომელიც უკავშირდება თავდებ პირებს, მათ გაცნობიერებულობას ნაკისრი ვალდებულებებისადმი და კავშირებს ძირითადი მოვალის დამფუძნებელ პარტნიორებთან თუ ურთიერთშორის.

27. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განხილვის დროს, ასევე, დამატებით გამოსაკვლევად და შესამოწმებელია ის გარემოებები, რამაც განაპირობა იპოთეკის საგნის (შვიდი უძრავი ქონების) მესაკუთრის – ს. ჩ-ის მიერ იპოთეკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და საწარმოს მიერ მისაღები კრედიტის უზრუნველყოფა. ამასთან, როდესაც საუბარია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერებაზე და კონკრეტული ქმედებების გონივრული საზომით შეფასებაზე, შეუძლებელია არ გამოიკვეთოს კრედიტორის (თავდაპირველი სარჩელის ავტორის), როგორც კონტრაჰენტის, როლი და ქმედებები სადავოდ ქცეული გარიგებების დადებისას. სასამართლო უნდა დარწმუნდეს და ვალდებულია მკაფიოდ დაასაბუთოს საწარმოს სასარგებლოდ გაცემული კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული სანივთო თუ პირადი (პიროვნული) უზრუნველყოფის სახით გაფორმებული ხელშეკრულებების ბათილობის საფუძვლები, იქნება ეს ფორმალური თუ ამორალური გარიგება.

27.1. ს. ჩ-ი საკუთარი შეგებებული სარჩელის მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ მასთან მოტყუებით დაიდო გარიგება, ვინაიდან იპოთეკის საგნის მესაკუთრემ „არ იცის ქართული ენა, იგი დაბადებულია და განათლება მიღებული აქვს რუსეთში. მისთვის არავის განუმარტავს იპოთეკის ხელშეკრულების არსი, არ მომხდარა ხელშეკრულების ტექსტის თარგმნა, შესაბამისად არ შეეძლო სცოდნოდა, რა სამართლებრივი შედეგი შეიძლებოდა დამდგარიყო აღნიშნული ხელშეკრულების დადებით. ცალსახაა, რომ მოსარჩელე გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, ვინაიდან მას რომ სცოდნოდა რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა აღნიშნული ხელშეკრულების დადებას, რომლის ძალითაც მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დაიტვირთა იპოთეკით, აშკარაა, რომ გარიგება არ დაიდებოდა. გარდა ამისა, ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში დაირღვა სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი. ასევე მიგვაჩნია, რომ სადავო ხელშეკრულება არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებსა, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, დადებულია მხოლოდ იმის წყალობით, რომ

ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მიძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელით (გულუბრყვილობით)“ – იხ. შეგებებული სარჩელი. იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ იცის კანონი (Jura novit Curia), მოსარჩელემ (ს. ჩ-მა) საკუთარ შეგებებულ სარჩელში რამდენიმე გარემოებაზე მიუთითა, რაც, მისი მტკიცებით, სადავო იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობას უნდა დაედოს საფუძვლად, ასევე, მტკიცებულების სახით მოითხოვა მოწმეთა დაკითხვა.

27.2. საქალაქო სასამართლომ, რომელმაც დააკმაყოფილა ს. ჩ-ის შეგებებული სარჩელი (რაც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც) და ბათილად ცნო მასსა და ბანკს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება, იპოთეკის საგნის მესაკუთრის სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ სანოტარო აქტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს გარიგების სანოტარო ფორმის დაცვით დადებას, არ ასახავს რეალობას – ყალბია და სსკ-ის 68-ე, 289.3 მუხლის, 59-ე მუხლის თანახმად ბათილია (იხ. საქალაქო სასამართლოს დასაბუთება; წინამდებარე განჩინების 13.22.4 ქვეპუნქტი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება);

27.3. კრედიტორის საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში ს. ჩ-ის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული შეგებებული სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო სასამართლომ მოისმინა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის სხდომის საოქმო ჩანაწერი. ფაქტობრივი გარემოებების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის არსი თავად შეგებებული სარჩელის ავტორმა განმარტა, რომელმაც აღნიშნა, მისთვის უმჯობესია რუსულ ენაზე ისაუბროს მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ დონეზე ფლობს ქართულ ენას, რადგან უკვე არაერთი წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს. თუმცა იურიდიული ტერმინები და ის, რაც ეხლა სასამართლოზე ხდება, რუსულ ენაზეც კი, რთულად გასაგებია მისთვის. მოსარჩელემ განმარტა, რომ იტყოდა იმას, როგორც ახსოვდა გარემოებები სადავოდ ქცეული ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით. ს. ჩ-ს მეუღლემ – ც. ჩ-მა დაურეკა იმ დღეს, როცა სადავო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი და უთხრა, რომ ბანკიდან მოვიდოდნენ, მოიტანდნენ დოკუმენტებს, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა. 2010 წლის დეკემბერი იყო, ახალ წლამდე პერიოდი, ახსოვს, რადგან მასთან ყოველდღე არ დადიან ბანკიდან ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად; უფრო მეტი დეტალი 2012 თუ 2013 წელს გაიგო მას შემდეგ, რაც პროკურატურაში დადიოდა და ჩვენებას აძლევდა. სადავო ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს

ორი მამაკაცი მივიდა ს. ჩ-თან სახლში, დიღომში, მათ მოიტანეს ბევრი ფურცლები, რომლებზედაც წვრილი შრიფტით ეწერა; ს. ჩ-მა გადაურეკა მეუღლეს – ც. ჩ-ს, რადგან ბევრი ეწერა იმ ფურცლებზე და წვრილი შრიფტით; მოსარჩელეს მეუღლემ უთხრა, რომ არაფერზე ეწერეოდა, ეს ფორმალობა იყო და ხელი მოეწერა. მოსამართლის კითხვის პასუხად, მხარემ განმარტა, რომ მასთან მისულმა პირებმა უთხრეს, რომ ბანკის წარმომადგენლები იყვნენ, მას კონკრეტულად არავინ გაცნობია ნოტარიუსად. მოსარჩელი-სათვის არავის არაფერი განუმარტავს; სქელი დოკუმენტი იყო, ბევრი ეწერა და წვრილი შრიფტით, ამის გამო, თავის დაზღვევის მიზნით, ს. ჩ-მა გადაურეკა მეუღლეს, რომელმაც უთხრა, რომ ყველაფერი კარგად იყო, ეს იყო ფორმალობა, მოსარჩელემ ხელი მოაწერა დოკუმენტს და ის ორი მამაკაცი წავიდა. მოსარჩელის განმარტებით, ეს ფაქტები აკავშირებს მას სადავო ხელშეკრულებასთან, მისი ხელმოწერა დოკუმენტზე და ნდობა მეუღლისადმი. მოსამართლის კითხვის პასუხად, მოსარჩელემ განმარტა, რომ მას შემდეგ გააცნობიერა, რას მოაწერა ხელი, როდესაც 2013 წელს გამოძიება დაიწყო, 200 000 ზე იყო კრედიტი და იპოთეკა, დღესაც არ იცის, რა ვალდებულება იყო, როგორც ჩანს, ბანკს უნდა ზიანის ანაზღაურება, არასდროს ჰქონია ამასთან საქმე და არ იცის, რა არის იპოთეკა. მოსამართლის კითხვის პასუხად, განუმარტეს თუ არა ს. ჩ-ს საკუთარმა იურისტებმა, თუ რას უკავშირდება შეგებებული სარჩელი, რომელზედაც ამჟამად მიმდინარეობს საქმისწარმოება, ს. ჩ-მა აღნიშნა, რომ შესაძლოა ზუსტად ვერ გაიგო მოსამართლის შეკითხვა და ითხოვა მისი გამეორება. ამის შემდეგ კი განმარტა, რომ მაშინ არ იცოდა, რა ვალდებულება იკისრა, ეხლა იცის, რადგან პროკურატურაშიც იყო ამ საქმეზე. კრედიტის გამო ქონება, რომელიც მასზეა გაფორმებული, ჩაიდო იპოთეკაში. მოსამართლის კითხვის პასუხად ს. ჩ-მა განმარტა: რომ არა მეუღლის თხოვნა, არ მოაწერდა ხელს ამ ხელშეკრულებას; ის შვილებთან ერთად, ოჯახით ცხოვრობს ამ სახლში, რომელიც მისმა მეუღლემ – ც. ჩ-მა შეიძინა; ის დიასახლისია და ყველაფერი მისი მეუღლის მიერ არის შექმნილი, ც. ჩ-ის ბიზნესსაქმიანობის შედეგად. მოსამართლის კითხვის პასუხად, ს. ჩ-მა განმარტა, რომ სხვა შემთხვევებში, მაგ. „... ბანკში“ მეუღლესთან ერთად მიდიოდა ხოლმე ან მის მინდობილ პირთან ერთად, რომელიც სრულყოფილად ფლობს რუსულ ენას და უხსნიდა ხელმოსაწერი დოკუმენტების შინაარსს. მოსამართლის კითხვის პასუხად, ს. ჩ-მა განმარტა, რომ ამ სადავო ხელშეკრულების დადებამდე, სხვა შემთხვევებში მეუღლე – ც. ჩ-ი განუმარტავდა ხოლმე გარემოებებს, თათბირობდნენ, ამ შემთხვევაში კი ტელეფონით იყო მეუღლის თხოვნა, რომ ხელი მოეწერა სადავო

ხელშეკრულებაზე;

27.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს 29.06.2016წ. სხდომაზე მონმის სახით მონვეულმა ან უკვე ყოფილმა ნოტარიუსმა – პ. შ-ამ, რომელმაც სადავო გარიგება დაამონმა ბანკსა და ს. ჩ-ს შორის, განმარტა, რომ ზუსტად არ ახსოვს, ალბათ 2010 წელი იყო, ერთხელ სახლში იყო ჩ-ებთან, ერთხელ – „ბესედეკაში“. ს. ჩ-ის წარმომადგენლის ქ. ზ-ის კითხვის პასუხად მონმემ განმარტა: სახლში ვიყავი მისული, ჯერ უნდა მოსულიყო ბანკში, მაგრამ საკრედიტო ოფიცერმა თქვა, რომ ჩ-ებთან სახლში უნდა მისულიყვნენ, მით უმეტეს, როდესაც ასეთი კლიენტია.

27.5. მონმემ განმარტა, რომ ჩ-ებთან დილომში ორჯერ არის ნამყოფი, ერთხელ „ნ. ე-იში“ იყო მისული; გამოაბრუნეს, არ მოეწონათ ხელშეკრულების პირობები. სულ სამჯერ არის ნოტარიუსი ჩ-ების სახლში ნამყოფი, ც. ჩ-ს უნდა მოეწერა ხელი თავდებობის თუ რა-ღაც სხვა გარიგებაზე, ბანკიდან მეილით ავზავნიდნენ ხელშეკრულების „დრაფტს“; ც. ჩ-ის მხრიდან ადვოკატები მუშაობდნენ. სტანდარტული პირობების მიხედვით ბანკის იურისტი ამზადებდა ხელშეკრულების „დრაფტს“, ნოტარიუსი სანოტარო აქტს ადგენდა. ს. ჩ-ის წარმომადგენლის ქ. ზ-ის კითხვის პასუხად მონმემ განმარტა, რომ ერთხელ როდესაც ჩ-ებთან დილომში მივიდა სახლში, ქალბატონი ს. არ იყო შინ, ც. ჩ-მა დაურეკა და ჰკითხა, რამდენ ხანში იქნებო. ქალბატონი ს. 10-15 წუთში მოვიდა მანქანით, მეუღლემ – ც. ჩ-მა დაუძახა, ს. ჩ-ი შემოვიდა „ბესედეკაში“, მეუღლემ უთხრა, ყველაფერი კარგად იქნებაო და ქალბატონმა ს-მ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. მონმის განმარტებით, ძირითადად ც. ჩ-ი წყვეტდა ყველაფერს. როდესაც ნოტარიუსი ჩ-ებთან მივიდა სახლში, სამივეჯერ ცხელოდა. მხარის წარმომადგენლის პასუხად, მონმემ განმარტა, რომ ფლობდა თუ არა სახელმწიფო ენას ქალბატონი ს., მას ასეთი ეჭვი არ გასჩენია, რომ გასჩენოდა ეჭვი, მაშინ თარჯიმანს მოიწვევდა. მეუღლე – ც. ჩ-ი ქართულად ესაუბრებოდა მას, ყველა ხელშეკრულებას – ჩუქება, გაყიდვა და სხვ. ს. ჩ-ი ქართულად აწერს ხელს.

27.6. მოსამართლის კითხვის პასუხად, მონმემ განმარტა, რომ ფორმალურად მას უნდა განემარტა ს. ჩ-ისათვის ხელშეკრულების შინაარსი, თუმცა, მანამდე, ერთი კვირით ადრე ევზავნებოდა „დრაფტი“ ც. ჩ-ს, მისი ადვოკატები მონანალიზებდნენ, ბანკსა და ც. ჩ-ს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა;

27.7. მონმემ განმარტა, რომ ბანკის მიერ მომზადებულ ხელშეკრულებაში („დრაფტში“) მან, როგორც იმჟამინდელმა ნოტარიუსმა, შეიტანა მხარეთა ვინაობა, ქონების მახასიათებლები და ა.შ; მოსამართლის კითხვას, თუ რამ განაპირობა, რომ სანოტარო აქ-

ტში მითითებული იყო ... ქუჩა, ნოტარიუსის ბიუროს მისამართი და არა – დილომი, ჩ-ების მისამართი, სადაც რეალურად მოაწერა ხელი ს. ჩ-მა სადავო იპოთეკის ხელშეკრულებას, მონმემ უპასუხა, რომ უკვე გამზადებული „დრაფტი“ ჰქონდა, მერე გადაწყდა, რომ ჩ-ების სახლში უნდა მისულიყო და სინქარეში მექანიკურად დარჩა ხელშეკრულებაში სანოტარო ბიუროს მისამართი – ... ქუჩა. მონმის განმარტებით, ასეთი პრაქტიკა იყო, ჯერ ბანკი (მისი წარმომადგენელი) აწერდა ხელს, შემდეგ – კლიენტი; ასეთ მსხვილ კლიენტს არ უნდა ალოდინო, უნდა მოვიდეს და მოაწეროს ხელი. მონმემ განმარტა, რომ ნოტარიუსის თანდასწრებით ხელმოწერა არ ნიშნავს მხარეთა მიერ ერთდროულად ხელმოწერას. მონმემ განმარტა, რომ ბატონი ც. აბზაც-აბზაც ამონმებდა ყველაფერს, კითხულობდა ხელშეკრულებას, მანამდე მისი იურისტები ნახულობდნენ. სადავო გარიგების ხელმოწერის დღეს, ს. ჩ-ის მოსვლამდე, ც. ჩ-მა კიდევ გადახედა ხელშეკრულებას, როდესაც მეუღლე – ს. ჩ-ი მოვიდა, ბატონმა ც-მა უთხრა, ყველაფერი წესრიგშიაო;

27.8. პირველი ინსტანციის სასამართლოს 29.06.2016წ. სხდომაზე მონმის სახით მოწვეულმა ც. ჩ-მა განმარტა: 2010 წლის დეკემბერში მასთან მივიდა ნ. შ-ი, რაღაც კრედიტი უნდა გაეკეთებინა და დაახლოებით 200-300 ათასის ფარგლებში სჭირდებოდა უზრუნველყოფა (მოსამართლის კითხვის პასუხად დოლარზე იყო საუბარი თუ ლარზე, მონმემ მიუთითა, რომ არ დაუკონკრეტებია, სალამო იყო და სვამდნენ); შემდეგ, მეორე დღეს ც. ჩ-მა მეუღლეს – ს. ჩ-ს დაურეკა და უთხრა, რომ მასთან მივიდოდნენ. მოსამართლის კითხვის პასუხად მონმემ განმარტა, რომ შ-ს რაღაც მემორანდუმში უნდა გაეკეთებინა ბანკში და მერე კრედიტი უნდა აეღო; ქონება ერთობლივად შექმნეს მეუღლეებმა, რაც შემდეგ ს. ჩ-ზე აღირიცხა. ოჯახს წილი ჰქონდა „ნ-სი“, რომელიც ც. ჩ-ის შექმნილია, ოთხი პარტნიორი იყო, მაგრამ ც. ჩ-მა შექმნა, შემდეგ მან გაყიდა თავისი წილი 2008 წელს და 2009 წელს ააწენა ეს სახლი დ-სი. მოსამართლის კითხვის პასუხად მონმემ განმარტა, რომ ფაქტიურად კი განკარგავს მეუღლეზე აღრიცხულ ქონებას, მაგრამ ოჯახში მეუღლეები საუბრობენ. „აღბათ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება იყო იმათი მხრიდან და ჩემი მხრიდან არასრულფასოვანი შეფასება“;

27.9. ს. ჩ-ის წარმომადგენლის ქ. ზ-ის კითხვის პასუხად მონმემ განმარტა, რომ მას არ უნახავს იპოთეკის ხელშეკრულება, სანამ ეს პროცესები დაიწყებოდა, პირველად ეს ხელშეკრულება ნახა სისხლის თუ სამოქალაქო პროცესში, ზუსტად არ ახსოვს, 50-ფურცლიანი დოკუმენტი პირველად 2012 წლის გვიან შემოდგომაზე, ნახა ც. ჩ-მა;

27.10. მოსარჩელის წარმომადგენლის დ. ა-ის კითხვის პასუხად, შპს „ნ. ე-ისთან“ ც. ჩ-ის კავშირის შესახებ მოწმემ განმარტა, რომ საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორები ნ. შ-ი და ლ. კ-ძე მისი მეგობრები იყვნენ; მის ძმასთან – ი. ჩ-თან ერთად იგივე პირები არიან „ბ-ოს“ დამფუძნებლები. ც. ჩ-მა განმარტა, რომ ის 2008 წლიდან გუბერნატორი იყო, მას შპს „ი-სი“ ჰქონდა წილი და სამართავდ თავის ძმას – ი. ჩ-ს მისცა. შპს „ნ. ე-ი“, სხვა 60 კომპანიასთან ერთად, მუშაობდა ლტოლვილებისათვის სახლების აშენებაზე. სადავო გარიგების დადების დროს, 2010 წელს, მოწმე გუბერნატორი იყო;

27.11. მოსარჩელის წარმომადგენლის კითხვის პასუხად, მოწმემ – ც. ჩ-მა განმარტა, რომ სადავო გარიგებაზე ს. ჩ-ის მიერ ხელმოწერის დროს, მისი მეუღლის გვერდით არ იმყოფებოდა, შეიძლება ერთი-ორი დღით ადრე ან გარიგების დადების წინა დღეს უთხრა ს. ჩ-ს, რომ ბანკიდან მოვიდოდნენ მასთან. ახსოვს, რომ ერთხელ უთხრა ამის შესახებ ს. ჩ-ს და ერთხელ დაურეკა. ც. ჩ-მა განმარტა, რომ იპოთეკით ქონების დატვირთვაზე მასთან არავის არაფერი ულაპარაკია... სუფრაზე იყო, იქ კონფლიქტი მოუვიდა ბანკის თანამშრომელთან;

27.12. მოსამართლის კითხვის პასუხად მოწმემ განმარტა, რომ ს. ბ-თან ს. ჩ-ის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს არ ყოფილა მეუღლის გვერდით, მეუღლეს უთხრა, რომ ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე; „მაგ დროს სახლშიც რომ ვყოფილიყავი, არ ვიქნებოდი იმ მდგომარეობაში, რომ წამეკითხა, რადგან ალკოჰოლური თრობის ქვეშ ვიყავი“... მოწმე განმარტავს, რომ დაახლოებით რვა კომპანია აქვს. მისთვის არავის მოუტანია სადავო იპოთეკის ხელშეკრულება, ვერ წარმოიდგენდა რომ 200 000-იან ქონებას მიაბამდნენ 200 000 000 სესხს.

28. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და ერთმანეთს შეადაროს საქმეზე დაკითხულ მოწმეთა (რომლებიც განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის გაფრთხილებული არიან შესაძლო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე სსსკ-ის 145.2 მუხლის თანახმად) ჩვენებები, მათ შორის მათი დამაჯერებლობის კუთხით (თითოეული მოწმის ჩვენება უნდა შეფასდეს მთლიანობაში მისი სარწმუნოების თვალსაზრისით, რადგან თუ ერთი მოწმის ჩვენება, დამოუკიდებლად, წინააღმდეგობრივია, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი განმარტების ნამდვილობა, რადგან შეუძლებელია მოწმის ჩვენების ერთი ნაწილი დამაჯერებელი იყოს, ხოლო მეორე – არადამაჯერებელი) და მხარეთა მიერ გაცხადებული პოზიციები, რომელთა შეჯერება და გაანალიზება მნიშვნელოვანია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. მტკიცებულებათა გა-

მოკვლევისა და შეფასებისას მოქმედებს სსსკ-ის 105-ე მუხლის დანაწესი, რაც იმას გულისხმობს, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა; მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასება მნიშვნელოვანია თითოეულ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, რაც ეფუძნება საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით დასაშვები და განკუთვნილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და შემოწმებას. სწორედ ამგვარი გამოკვლევის შედეგია ის დასკვნა, რასაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილების სახით, ამასთან, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად დაედება სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები ჯეროვნად არ არის შეფასებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, რამაც საქმეზე წინააღმდეგობრივი და ფაქტობრივ-სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა.

28.1. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს. ჩ-ის შეგებებულ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იმსჯელოს იმაზე, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც სანოტარო წესით დამოწმდა ნოტარიუსის მიერ, პირველ ეტაპზე, ქმნის იმგვარ პრეზუმფციას, რომ ნოტარიუსმა საკუთარი პროფესიული საქმიანობა განახორციელა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით. სადავო იპოთეკის ხელშეკრულების ნოტარიული დადასტურებით, რომელიც იმ გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის სინამდვილის დასამოწმებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, პრეზუმირებულია, რომ ნოტარიუსმა შეასრულა საკუთარი ვალდებულება და შეამოწმა მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყო გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა, რაც საჯარო აქტისათვის დამახასიათებელია (ნოტარიუსის საქმიანობა ხორციელდება დამოუკიდებლობისა და პროფესიული მიუკერძოებლობის, კანონიერების, ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ნოტარიუსის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის პრინციპების საფუძველზე; ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესრულებისას ადგენს სანოტარო მოქმედების მო-

ნაწილზე ფიზიკური და იურიდიული პირის ან მათი წარმომადგენლის ვინაობას, უფლებამოსილებასა და ქმედუნარიანობას, ნების თავისუფალი გამოვლენის ნამდვილობას, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტავს მის უფლებებსა და ვალდებულებებს, აფრთხილებს სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ; ნოტარიუსი ვალდებულია არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მორალს და/ან საჯარო წესრიგს-იხ. დასახელებული ინსტრუქციის, შესაბამისად, მე-4 მუხლი, მე-8 მუხლის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები). საკაცაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სათანადოდ არ არის დასაბუთებული, თუ როგორ გააქარწყლა ზემოხსენებული პირველადი ვარაუდი (პრეზუმფიცია) შეგებებული სარჩელის მოსარჩელემ – ს. ჩ-მა; კერძოდ, არ არის დასაბუთებული, 2016 წლის სასამართლო სხდომაზე, მოსარჩელის მიერვე მონვეული მოწმის ჩვენებამ, რომელიც სადავო საჯარო აქტის დამმონებელი ყოფილი ნოტარიუსია და მასზე ჩვენების მიცემის დროისათვის არ ვრცელდება ნოტარიუსისათვის კანონით დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მოთხოვნები, რამდენად შეარყია საჯარო აქტის ნამდვილობის ვარაუდი; ამასთან, ამ აქტის გაბათილებაზე კონკრეტულად რომელმა ფაქტობრივმა გარემოებებმა და მტკიცებულებებმა იქონია გავლენა. ზოგადად პირის ნების გამოვლენა, ანუ მისი შინაგანი სურვილისა და კონკრეტული ქცევით, ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) რეალურად გამოხატული ნების ნამდვილობის შემოწმება, მასზე შესაძლო შემოქმედების ფაქტორის გამოკვლევა და დადგენა საკმაოდ რთული საკითხია და სიფრთხილეს საჭიროებს; სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა იმსჯელოს ს. ჩ-ის განმარტებაზე, ასევე, ყოფილი ნოტარიუსის – პ. შ-ას, როგორც მოწმის ჩვენებაზე, რაც მათ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის სხდომაზე დააფიქსირეს;

28.2 ამავე სხდომაზე მხარემ განმარტა, რომ პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მეუღლის მითითებით და მასთან მოთათბირებით განიკარგა ს. და ც. ჩ-ების თანასაკუთრება, რასაც, თავის მხრივ, ადასტურებს საქმეზე მოწმედ დაკითხული ც. ჩ-იც. სადავო იპოთეკის ხელშეკრულების საგანი (შვიდი უძრავი ქონება) რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაა და საჯარო რეესტრში აღრიცხულია ს. ჩ-ის სახელზე, ეს დაადასტურებულია, როგორც ს. ჩ-ის, ისე, მისი მეუღლის – ც. ჩ-ის განმარტებებით. ს. ჩ-ის განმარტების მიხედვით, მას ადრეც ჰქონია შემთხვევები, როდესაც მეუღლის – ც. ჩ-ის ან მინდობილი პირის თანხლებით სხვადასხვა გარიგება დაუდია ზოგადად ბანკთან, ამ დროს საქმის გარემოებებს განუმარტავდა

მეუღლე ან მინდობილი პირი, რომელიც სრულყოფილად ფლობს რუსულ ენას. სასაკაცო სასამართლომ მოცემულ დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში ს. ჩ-ის განმარტებას ყურადღება მიაქცია იმ თვალსაზრისითაც, რომ შეგებებული სარჩელის ავტორი ამბობს, რომ მისთვის განსახილველი დავა და სადავო ხელშეკრულების შინაარსი, რუსულ ენაზეც კი, რთულად გასაგებია იურიდიული ტერმინოლოგიის გამო, თუმცა, სხვა დროს გაფორმებული გარიგებების დროს (მეუღლის ან მინდობილი პირის თანხლებით) იგი საკმარისად მიიჩნევს იმას, რომ რუსულ ენაზე მიენოდა ინფორმაცია და მხარის განმარტებიდან არ იკვეთება, რომ სამართლებრივი საკითხების გარკვევისათვის უფრო მეტი დეტალები მოითხოვა თანხლები პირებისა თუ სპეციალისტებისაგან. ს. ჩ-ი არ უარყოფს, რომ მეუღლის მითითებით (მისდამი ნდობით) მოხდა სადავო იპოთეკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, თავის მხრივ, მონემედ დაკითხული ც. ჩ-იც იმას ადასტურებს, რომ მეგობრისა და საქმიანი პარტნიორისათვის – ნ. შ-ის (განსახილველი დავის თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე), რომელთანაც საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა, დასახმარებლად, მეუღლეს – სთხოვა თანსაკუთრებაში არსებული და ს. ჩ-ის საკუთრებად რიცხვული უძრავი ქონებების განკარგავსთან დაკავშირებით ხელშეკრულების ხელმოწერა.

28.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულება ყალბია, მისი ფორმადაუცველობის გამო, რადგან იმ თეორიული დაშვებითაც, რომ ნოტარიუსმა არ განუმარტა ხელშეკრულების კონტრაჰენტს (ამ შემთხვევაში კრედიტის უზრუნველმყოფ პირს) საჯარო აქტის შინაარსი, ეს არ უკავშირდება გარიგების ბათილობას ფორმის დაუცველობის გამო. ამ დროს შესაძლოა სადავო გახდეს კონტრაჰენტის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა და ეჭვქვეშ დადგეს მის მიერ გაცნობიერებული გადანყვეტილების მიღება. ნების გამოვლენის ნამდვილობის შედავება კი ძალზედ კონკრეტული გარემოებების მითითებას მოითხოვს, ერთი მხრივ, პრეტენზიის ავტორის მხრიდან, მეორე მხრივ კი- დეტალურ კვლევას სასამართლოს მიერ. სხვა შემთხვევაში კი პრეზუმირებულია, რომ საჯარო აქტი სწორედ იმ შინაარსით და იმგვარი ნების გამოვლენით დაიდო, როგორც ეს მასშია მითითებული.

28.4 საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნების გამოვლენის ნაწილია მხარის მიერ მისთვის გასაგებ ენაზე ხელშეკრულების ხელმოწერაც, რაც გაცნობიერებული გადანყვეტილების მიღებას უკავშირდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ

მიზნით უნდა შეჯერდეს თავად მხარის – ს. ჩ-ის, მისი მეუღლის – ც. ჩ-ისა და ან უკვე ყოფილი ნოტარიუსის – პ. შ-ას განმარტებები. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს შეგებებული სარჩელის ავტორის მეუღლის – ც. ჩ-ის, როგორც მოწმის განმარტებას, რომელსაც არ მიუთითებია მისი მეუღლის – ს. ჩ-ის მიერ მიერ სადავო იპოთეკის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს ნების გამოვლენის ნაკლზე იმ კუთხით, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრემ არ იცის ქართული ენა იმ დონეზე, რაც მას ხელს შეუშლიდა გადაწყვეტილების მიღებაში სადავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს. ს. ჩ-ი თავის შესაგებელში იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ის მოატყუეს, არ არის დაბადებული საქართველოში, რუსულ ენაზე აქვს მიღებული როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლება და მისთვის, ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით, უცნობი იყო, თუ რა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მისი შინაარსის თაობაზე არავის არაფერი განუმარტავს, არ გადაურთავმნიათ მისთვის იპოთეკის ხელშეკრულების შინაარსი (იხ. ს. ჩ-ს წარდგენილი აქვს დაბადების მოწმობა, საშუალო და უმაღლესი განათლების რუსულ ენაზე მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები, ქორწინების მოწმობა; ის გამოძიების ეტაპზე და განსახილველი საქმისწარმოების დროს სარგებლობდა თარჯიმნის დახმარებით). ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ თავად მხარის – ს. ჩ-ის, მისი მეუღლის – მოწმედ დაკითხული ც. ჩ-ისა და სადავო გარიგების დამმოწმებელი ან უკვე ყოფილი ნოტარიუსის – პ. შ-ას, რომელიც ასევე, მოწმის სახით დაკითხა, განმარტებები უნდა შეადაროს და შეაჯეროს ერთმანეთთან. სადავო არ არის, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრემ უძრავი ქონების განკარგვის (იპოთეკით დატვირთვის) ნება გამოავლინა საკუთარი მეუღლის მითითებისა და მისდამი ნდობის საფუძველზე. ს. ჩ-ისა და ც. ჩ-ის განმარტებების მიხედვით, ს. ჩ-ს სხვა შემთხვევაშიც განუკარგავს საკუთარი უძრავი ქონება მეუღლესთან თათბირის, მისი მითითების თუ მეუღლეთა ერთობლივი გადაწყვეტილების თანახმად. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში პრეზუმირებულია, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრემ ქონების განკარგვისას იცოდა, თუ რა ნებას ავლენდა, რა გადაწყვეტილებას ღებულობდა. მან საკუთარი მოსაზრების კიდევ ერთხელ გადამოწმების მიზნით, როგორც თვითონვე განმარტა, «დაზღვევის» მიზნით (იხ. წინამდებარე განჩინების 27.3 ქვეპუნქტი), კიდევ ერთხელ გადაურეკა მეუღლეს ხელშეკრულების ხელმოწერამდე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება კუთვნილი ქონების მესამე პირის სასარგებლოდ, რომელიც ჩ-ების ოჯახის მეგობარი და საქმიანი პარტნიორია, იპოთეკით დატვირთვის თაობა-

ზე. ს. ჩ-ს საკუთარი პოზიციის განმარტებისას არსად მიუთითებია, რომ მან, მისი წარმოდგენით, ბანკიდან მისულ თანამშრომლებს აუწყა, რომ სათანადოდ არ ფლობდა ქართულ ენას ან მოითხოვა თარჯიმანი და ამაზე უარი ეთქვა. ყოფილმა ნოტარიუსმა – პ. შ-მამ განმარტა, რომ მას ეჭვი არ შეპარვია იმაში, რომ ს. ჩ-მა ქართული ენა იცოდა, არ დარჩენია შთაბეჭდილება, რომ სადავო გარიგების მხარეს თარჯიმანი სჭირდებოდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის დასაბუთებული, თუ რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ბანკს, როგორც სადავო იპოთეკის ხელშეკრულების კონტრაპენტს, რა ქმედების განხორციელება ევალებოდა კრედიტორს, რომელიც არ განახორციელა და რომელი სამართლებრივი ნორმიდან (კონკრეტული წინაპირობებიდან) გამომდინარეობს კრედიტორის შესაძლო პასუხისმგებლობა.

29. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნა შპს „ნ. რ-ის“ მიმართ ბანკის ძირითადი სარჩელის უარყოფის ნაწილში, საკასაციო სასამართლოს მართებულად მიაჩნია და ამ ნაწილში არ აკმაყოფილებს კრედიტორის საკასაციო საჩივარს, რადგან გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებით ბანკმა თავისი ოფციონალური უფლება გამოიყენა და კრედიტები გასცა მხოლოს შპს „ე. ე-იზე“, შესაბამისად, ბანკი საკუთარ მტკიცებას ეწინააღმდეგება, როდესაც განმარტავს, რომ ოფციონალური უფლების განკარგვა მისი პრიორიტეტია და ბანკს ვერავინ დაავალდებულებს კრედიტის გაცემას. ზოგადად ბანკის წინაშე შესასრულებელ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეკისროს იმ პირს, ვინც ისარგებლა საბანკო კრედიტებით და ამ ვალდებულების უზრუნველყოფა პირებს. სხვაგვარი სახელშეკრულებო ბოჭვა, რომ ძირითად მოვალეთაგან მხოლოდ ერთ-ერთის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით სარგებლობის შემთხვევაში მეორე მოვალე მაინც აგებს პასუხს, მოცემულ შემთხვევაში არ არის დადგენილი, რადგან ასეთი არსებითი სახელშეკრულებო პირობა არ ყოფილა მხარეთა შორის შეთანხმებული და ხელმოწერილი. ამდენად, ამ ნაწილში კრედიტორის საკასაციო პრეტენზია უარყოფილია და დამატებითი კვლევის საჭიროება არ არსებობს.

30. ზემოხსენებული სავალდებულო სამართლებრივი მითითებები დაედო საფუძვლად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

31. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, თუ საკასაციო სასამართლო ხელახლა განსახილველად დააბრუნებს საქმეს, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილ-

ვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის ნაწილში, მოპასუხე შპს „ნ.რ.გ-ის“ მიმართ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge